

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დასავლეთევროპული ენებისა
და ლიტერატურის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი

სადოქტორო პროგრამა: ფილოლოგია

თამარ ხატიაშვილი

ქართული სამხედრო ტერმინოლოგიის ისტორია და ქართულ-
ინგლისური შესატყვისების დადგენის საკითხები

ფილოლოგიის დოქტორის (PhD) აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

წარმოდგენილი

დისერტაცია

სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი

მანანა რუსიეშვილი
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი

სამეცნიერო თანახელმძღვანელი

ლია ქაროსანიძე
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

თბილისი
2025

აბსტრაქტი

თანამედროვე ციფრულ სამყაროში განსაკუთრებით გამოიკვეთა დარგობრივი ენის დახვეწა-განვითარების საჭიროება, მათ შორის, სამხედრო დარგისა, რომლის განვითარების ერთგვარ საზომს სწორედ ტერმინოლოგიის სრულყოფა წარმოადგენს. თავის მხრივ, სამხედრო დარგის განვითარება გულისხმობს ზუსტ, სათანადო და სტანდარტიზებულ სამხედრო ტერმინოლოგიასა და სამხედრო ტერმინოლოგიის თარგმნით თუ განმარტებით ლექსიკონებს. დღეს კი სამხედრო დოქტრინული პუბლიკაციების, საველე და ტექნიკური სახელმძღვანელოებისა თუ წესდებების შექმნის პროცესში ვლინდება სირთულე – სათანადო ქართული სამხედრო ტერმინოლოგიის სიჭრელე, შეუსაბამობა ან ტერმინის უქონლობა.

სამხედრო ცნება-ტერმინების მრავალმნიშვნელობიანობა ბუნებრივია სამხედრო სფეროში, რომელიც მოიცავს ქვედარგებს, საბრძოლო ფუნქციებს და ხშირად ერთსა და იმავე ტერმინს სხვადასხვა ქვედარგში სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს. ამასთანავე, გასათვალისწინებელია სამხედრო ოპერაციების სამი დონე: ტაქტიკური, ოპერატიული, სტრატეგიული, რომელთა მიხედვითაც ტერმინები იძენს სხვა შინაარსს. სამხედრო თემატიკის მრავალმხრივობა და უწყვეტი განვითარება მოითხოვს სამხედრო ცნება-ტერმინების სისტემატურ შესწავლა-დამუშავებას, ამავე დროს, მათ ნორმალიზებასა და სტანდარტიზებას, რადგან, როგორც ცნობილია, მხოლოდ დადგენილი ტერმინოლოგიაა ტერმინოლოგიური უზუსტობების, არასანდოობისა და მრავალფეროვნების დაძლევის წინაპირობა. ამ ფონზე იკვეთება ყურადსაღები სირთულე – არსებული სამხედრო ბეჭდური თუ ციფრული ლექსიკონების, ბაზებისა და სამხედრო სამეცნიერო დარგობრივი კვლევების სიმწირე. შესაბამისად, ქართული სამხედრო ტერმინოლოგიის ნორმალიზაცია-სტანდარტიზაციის საკითხის მოგვარება უპირველესად საჭიროებს ამ დარგში არსებული ვითარების გააზრებას. დგება სამხედრო ტერმინოლოგიის თანამედროვე მიდგომების გამოყენებით შესწავლის აუცილებლობა.

დღეს საქართველოში გრძელდება მრავალსაუკუნოვანი ტრადიციული ტერმინოლოგიური მუშაობა, რომელშიც თანდათან უფრო მეტად შემოდის და ინერგება თანამედროვე ციფრული ეპოქისთვის მნიშვნელოვანი მიდგომები.

სწორედ ამან განაპირობა წინამდებარე ნაშრომზე მუშაობა. მასში პირველადაა განხილული ქართული სამხედრო ტერმინოლოგიის ისტორია, რომლის შესწავლას უდიდესი მნიშვნელობა აქვს სამხედრო ტერმინოლოგიური სისტემის ჩამოყალიბებისთვის, ტერმინთშემოქმედების მეთოდოლოგიური გზების განსაზღვრისთვის. არსებული სამხედრო ლექსიკონების თავმოყრა და ანალიზი საფუძველს უყრის სამხედრო ცნება-ტერმინების საერთო ელექტრონული სალექსიკონო ბაზის, კერძოდ, თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართული ტერმინთსაცავის სამხედრო ტერმინოლოგიის ქვებაზის შექმნას, რომელიც საბოლოოდ იქნება ქართული სამხედრო ტერმინოლოგიის სტანდარტიზაციის, სამომავლო ფუნდამენტური სამხედრო სამეცნიერო კვლევების შემუშავების, ტერმინთშემოქმედებისა და ისტორიული გამოცდილების გაზიარების საფუძველი.

სამხედრო ტერმინოლოგიის ქვებაზა შეიქმნა ვლადიმერ ცაგარელის 1920 წლის „სამხედრო-ტექნიური ლექსიკონის“, მისივე 1925 წლის „სამხედრო-ტექნიკური ლექსიკონის“, ივანე შაიშმელაშვილის 1987 წლის სამხედრო ტერმინოლოგიის გაციფრულებული ვერსიების საფუძველზე. ქართული სამხედრო ტერმინოლოგიის განვითარების აღწერა ცხადყოფს, რომ ქართული სამხედრო ტერმინების ჩამოყალიბებაზე გავლენას ახდენს ისტორიულ-ეპოქალური ტენდენციები.

ნაშრომში ზოგადად განხილულია ქართული ტერმინთსაცავის სამხედრო ტერმინოლოგიის ქვებაზის მუშაობის პრინციპი. მოცემულია სამხედრო სალექსიკონო ერთეულების შეპირისპირების მაგალითები სამხედრო დარგის სხვადასხვა სფეროს ტერმინოლოგიის თემატური ჯგუფების მიხედვით, გამოყოფილია ვლადიმერ ცაგარელის სიტყვაწარმოების მეთოდოლოგიური მიდგომები, ამასთან, მოძიებულია ბიოგრაფიული ცნობები ვლადიმერ ცაგარელის შესახებ.

- ასევე აღწერილია ქართული ტერმინთბანკისა და ევროპული ტერმინთბანკების მუშაობის პრინციპები, მიმოხილულია ევროპული მიდგომები, თანამედროვე ქართული სამხედრო ტერმინოლოგიის ზოგადი მდგომარეობა, თავისებურებები და პრობლემები, მათი მოგვარების გზები; ასახულია თანამედროვე ქართულ-ინგლისურ ცნება-

ტერმინთა ჰარმონიზაციისათვის მნიშვნელოვანი კვლევები, ცნება-ტერმინთა კონცეფციური/დოქტრინული გააზრების მნიშვნელობა.

თანამედროვე ციფრულ ეპოქაში სახელმწიფო ენების სრულფასოვნად ფუნქციონირებისათვის მნიშვნელოვანია ეროვნული ტერმინთბანკები. როგორც ევროპულ სამეცნიერო ლიტერატურაში შენიშნავენ, ის ერი, რომელიც ვერ შეძლებს თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარების კვალდაკვალ დარგობრივი ტერმინოლოგიის განვითარებას, ყოველთვის იძულებული იქნება სხვა ერებთან საურთიერთოდ გამოიყენოს მესამე ენა, შესაბამისად, იმისათვის, რომ ქართული ენა „ციფრული წყალგამყოფის“ მიღმა არ დარჩეს, უმნიშვნელოვანესია ქართული ტერმინოლოგიის თანმიმდევრული განვითარება.

სწორედ ამ მიზანს ემსახურება ქართული ტერმინთბანკი, რომლის ფარგლებშიც შექმნილი ქართული სამხედრო ტერმინოლოგიის ქვებაზა გახდება ქართული სამხედრო ტერმინოლოგიის ნორმალიზაციისა და ახალი სიტყვების სანდო წყარო. მასზე დაყრდნობით გამარტივდება სამხედრო ტერმინების სათანადო ქართული შესატყვისების დაძებნა, დარგობრივი ტერმინების აღნუსხვა, ამ მონაცემების საფუძველზე ახალი ტერმინების შემუშავება-დამკვიდრება დარგის სპეციალისტებსა და ენათმეცნიერებთან ერთად, რაც შექმნის მნიშვნელოვან საფუძველს ქართულ-ინგლისური სამხედრო ტერმინოლოგიის ჰარმონიზაციისა და სტანდარტიზაციის საკითხების მოსაგვარებლად.

საკვანძო სიტყვები: *სამხედრო, ქართული ტერმინოლოგია, ქართული ტერმინთბანკი, დადგენა-ჰარმონიზაცია, ლექსიკონი.*

Abstract

The History of Georgian Military Terminology and the Issue of Establishing Georgian-English Equivalents

In the modern digital world, the need for the refinement and development of field-specific languages has become clearly evident, including in the military field. Military terminology serves as a measure of the development of the military sector, which, in its turn, requires precise, appropriate, and standardized military terminology, along with military translation and explanatory dictionaries. Today, however, the process of creating military doctrinal publications, field manuals, regulations, and technical guidelines is challenging due to the diversity, inconsistency, or absence of proper Georgian military terminology.

Polysemy in military concept-terms is particularly prominent, as the military field encompasses various subfields and combat functions, where the same term can have different meanings across different subfields. Additionally, military operations are conducted into three levels – tactical, operational, and strategic – each of which can assign different meanings to the same term. The complexity and continuous evolution of military themes necessitate the systematic study and refinement of military concept-terms, as well as their normalization and standardization. As we all know that only unified terminology can be a prerequisite for overcoming terminological inaccuracies, inconsistencies and variation. Within this background a critical challenge emerges – the lack of sufficient printed or digital military dictionaries, databases, and military specific research. Consequently, the issue of normalization and standardization of Georgian military terminology at first requires an in-depth understanding of the current state of the field. This calls for a study of the military terminology through modern approaches.

Today in Georgia there is still the long-standing tradition of terminological work, incorporating and integrating approaches essential for the digital era.

This necessity has motivated the present study, which, for the first time, explores the history of Georgian military terminology – a study of great importance for the development of a structured military terminological system and for defining methodological approaches to terminology creation. The collection and analysis of existing military lexicons lay the foundation for a comprehensive electronic lexical database of military concept-terms, specifically the military terminology sub-database within the Georgian TermBank at the Arnold Chikobava Institute of Linguistics at Tbilisi State University. Ultimately, this will serve as a basis for the standardization of Georgian military terminology, the development of future fundamental military research, the refinement of methodological approaches to terminology creation, and the sharing of historical experience.

The military terminology sub-database was created based on the digitized versions of: Vladimir Tsagareli's "Military-Technical Dictionary"(1920), "Military-Technical Dictionary" (1925), and Ivane Shaishmelashvili's military terminology work (1987). The study of the

development of Georgian military terminology reveals that historical and epochal trends have had significant influence on the formation of Georgian military terms.

This research provides an overview of the operational principles of the military terminology sub-database within the Georgian TermBank. It also provides comparisons of lexical units from military dictionaries, categorized into thematic groups from various areas of military terminology. It also highlights Tsagareli's methodological approaches to word formation and presents biographical information about him.

Additionally, the study describes the principles of operation of the Georgian TermBank and European term banks, reviews European approaches, and analyzes the general state, characteristics, and challenges of modern Georgian military terminology, along with possible solutions. Furthermore, the study reflects on significant research related to the harmonization of modern Georgian-English concept-terms and underscores the importance of the conceptual and doctrinal interpretation of terms.

In the modern digital era, national term banks play a significant role in ensuring the full functionality of state languages. As noted in European scientific literature, a nation that fails to develop field-specific terminology consistent with the current technological advancements will always be forced to use a third language for communication with other nations. Therefore, to prevent the Georgian language from being left behind in the "digital divide", it is essential to ensure the consistent development of Georgian terminology.

This is the goal of the Georgian TermBank, within which the military terminology sub-database will become a reliable source for the normalization of Georgian military terminology. This resource will facilitate the search for appropriate Georgian equivalents of military terms, the documentation of field-specific terminology, and, based on this data, the development and establishment of new terms in collaboration with field specialists and linguists. Ultimately, this will create a firm foundation for addressing the harmonization and standardization of Georgian-English military terminology.

Keywords: *Military, Georgian terminology, Georgian TermBank, Establishing, Dictionary.*

სარჩევი

აბსტრაქტი (ქართულ ენაზე).....	ii
Abstract.....	v
ძირითადი შესავალი.....	1
I თავი. ქართული სამხედრო ტერმინოლოგიის ისტორია	11
1.1. ქართველთა საომარი საჭურველი და სამხედრო საქმე.....	14
1.2. ნაშრომები ქართული სამხედრო ისტორიის შესახებ.....	19
1.3. პირველი ქართული „სამხედრო-ტექნიური ლექსიკონი“ (1920)	24
1.3.1. ლექსიკონის აგების პრინციპები.....	28
1.3.2. ტერმინოლოგიური სიტყვაწარმოება, სალექსიკონო ერთეულები	33
1.4. 1925 წლის სამხედრო ლექსიკონი	38
1.5. სამხედრო ლექსიკონი (1976)	44
1.6. სამხედრო ტერმინთა რუსულ-ქართული მოკლე განმარტებითი ლექსიკონი (1980)	46
1.7. სამხედრო ტერმინოლოგია (1987).....	48
1.8. ინგლისურ-ქართული სამხედრო ონლაინლექსიკონი (2010)	51
1.9. სამხედრო-ტექნიკურ ტერმინთა ელექტრონული ლექსიკონი (2013)	53
1.10. ქართული სამხედრო ენციკლოპედიური ლექსიკონი (2017)	54
1.11. ქართული სამხედრო ტერმინოლოგიური პროექტები.....	55
II თავი. ტერმინოლოგიური მუშაობა ციფრულ ეპოქაში: ევროპული მიდგომები და ქართული ტერმინოლოგია	62
2. 1. თანამედროვე ქართული სამხედრო ტერმინოლოგიის, დარგობრივი ენის პრობლემები	62
2.1.1. ქართული სამხედრო ლიტერატურის ენა, ტერმინთა სტრუქტურულ- სემანტიკური ანალიზი	73

2.2. ტერმინოლოგიური მუშაობა თანამედროვე ციფრულ ეპოქაში: ევროპული მიდგომები, სტანდარტები, ტერმინთბანკები.....	88
2.3. ქართული დარგობრივი ტერმინოლოგიის ელექტრონული ბაზა – ქართული ტერმინთბანკი	96
2.4. ქართული ტერმინთბანკის სამხედრო ტერმინოლოგიის ქვებაზა	99
III თავი. ქართული სამხედრო ტერმინოლოგიის კვლევისა და ქართულ-ინგლისური შესატყვისების დადგენის (ჰარმონიზაციის) საკითხები	119
3.1. ტერმინთა სტანდარტიზაციის საერთაშორისო მეთოდოლოგია და ქართული ტერმინოლოგიური მუშაობა	119
3.2. ქართულ სამხედრო ტერმინთა შესაბამისობის დადგენის საკითხები: კვლევები და მიდგომები.....	132
3.3. ქართული ტერმინთბანკის გამოყენება სამხედრო ტერმინოლოგიურ კვლევებში	166
ზოგადი დასკვნები	177
გამოყენებული ლიტერატურა.....	180

შემოკლებები

(ცაგარელი 1920) – პირველი ქართული „სამხედრო-ტექნიური ლექსიკონი“

(ცაგარელი 1925) – ქართული „სამხედრო-ტექნიკური ლექსიკონი“

(სამხედრო 1967) – სამხედრო ლექსიკონი

(ინგლ.-ქართ. 1975) – ინგლისურ-ქართული ლექსიკონი

(სამხედრო 1987) – სამხედრო ტერმინოლოგია

(სამხედრო 2010) – ინგლისურ-ქართული სამხედრო ონლაინლექსიკონი

(ინგლ.-ქართ. 2010) – დიდი ინგლისურ-ქართული ონლაინლექსიკონი

(ქართ.-ინგლ. 2006) – ქართულ-ინგლისური ლექსიკონი

(ტექნიკური 1977) – ტექნიკური ტერმინოლოგია

ქეგლ – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი

ქეოლ – ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი

ქვ – ქართული ვერსია

შესავალი

თანამედროვე ციფრულ სამყაროში დგას დარგობრივი ენის სწრაფი შექმნა-განვითარების საჭიროება, მათ შორის, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და სწრაფად განვითარებადი სამხედრო დარგის მიმართულებითაც. მართალია, ქართული დარგობრივი ტერმინოლოგია ამ ტემპს ჩამორჩა, მაგრამ საქართველოში გრძელდება მრავალსაუკუნოვანი ტრადიციული ტერმინოლოგიური მუშაობა, რომელშიც თანდათან უფრო მეტად შემოდის და ინერგება თანამედროვე ციფრული ეპოქისთვის მნიშვნელოვანი მიდგომები. სხვა დარგის ტერმინოლოგიასთან ერთად დღის წესრიგში დადგა ქართული სამხედრო ტერმინოლოგიის ნორმალიზაცია-სტანდარტიზაციის საკითხიც; ეს კი უპირველესად მოითხოვს ამ დარგში არსებული ვითარების შესწავლას. სწორედ ამან განაპირობა წინამდებარე ნაშრომზე მუშაობა, რომელშიც განხილულია ქართული სამხედრო ტერმინოლოგიის ისტორია, თანამედროვე სამხედრო ტერმინოლოგიური პრობლემები და მათი მოგვარების გზები, ევროპული მიდგომები, ცნება-ტერმინთა ჰარმონიზაციისათვის მნიშვნელოვანი კვლევები, ეროვნული და საერთაშორისო ტერმინთბანკების მუშაობის პრინციპები, ასევე დასმულია ქართული ტერმინთბანკის ფარგლებში შექმნილი სამხედრო ტერმინოლოგიის ქვებაზის შექმნა-განვითარებისა და მასზე დაყრდნობით ტერმინთა ნორმალიზაციის საკითხები.

საკვლევი საკითხის აქტუალობა და პრობლემები: საბჭოთა სტანდარტებიდან საერთაშორისო სტანდარტებზე გადასვლა, როგორც კვლევამ ცხადყო, მოითხოვს არსებული დარგობრივი ტერმინოლოგიური ლექსიკონების ნორმირებას საერთო ტერმინოლოგიურ ბაზაზე დაყრდნობით. ქართული ტერმინთბანკის პროგრამით უნდა დამუშავდეს სხვადასხვა წყაროში დადასტურებული სამხედრო ტერმინოლოგია და სამხედრო ლექსიკონებიც, რისთვისაც საჭიროა არსებული ქართული სამხედრო დარგობრივი ლექსიკონების აღწერა და თემატურ ჯგუფებად დაყოფა (ქაროსანიძე, 2022-2023, გვ. 400). ეროვნული ტერმინოლოგიის განვითარებისთვის სხვა დარგობრივ ტერმინოლოგიასთან ერთად მნიშვნელოვანია სტანდარტიზებული ქართული სამხედრო ტერმინოლოგიური ლექსიკონები, ნორმატიული ქართული სამხედრო ტერმინოლოგია.

თსუ არნოდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მიერ შექმნილი ქართული ტერმინთაზნისთვის ბეჭდური სამხედრო ლექსიკონების გაციფრულებისა და მრავალდარგობრივი თემატური ლექსიკონისთვის სამხედრო ტერმინოლოგიური მასალების მომზადებისას, ასევე თავდაცვის სამინისტროს დოქტრინების განვითარების ცენტრში სამხედრო სახელმძღვანელოების, დოქტრინული პუბლიკაციების, საბრძოლო მომზადების, წვრთნის ცირკულარებისა და სხვა სახის მასალებზე მუშაობისას (გრამატიკულ-სტილისტიკურად დამუშავებისას, რედაქტირებისას) იკვეთება მნიშვნელოვანი სირთულე – სათანადო ქართული სამხედრო ტერმინოლოგიის მრავალფეროვნება, სიჭრელე, შეუსაბამობა ან ქართული შესატყვისის უქონლობა.

სტანდარტიზებული ტერმინოლოგიური ლექსიკონების უქონლობა თავისთავად განაპირობებს ტერმინოლოგიურ მრავალფეროვნებას, თვითშემოქმედებით, შეუთანხმებელ ტერმინთშემოქმედებას. ქართულ სამხედრო ტერმინებთან დაკავშირებით სამხედრო სპეციალისტებს განსხვავებული დამოკიდებულება და მიდგომები აქვთ, ამასთან, სხვადასხვა სამხედრო სფეროში გავრცელებული და დამკვიდრებულია კონკრეტული ტერმინები, მათ შორის, ინგლისურ-რუსული ბარბარიზმები.

ცნება-ტერმინების მრავალმნიშვნელობიანობა განსაკუთრებით იჩენს თავს სამხედრო სფეროში, რომელიც მრავალ მიმართულებას/ქვედარგსა და საბრძოლო ფუნქციას მოიცავს, აქედან გამომდინარე, ერთ და იმავე ტერმინს სხვადასხვა მიმართულებით სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს. ასევე გასათვალისწინებელია სამხედრო ოპერაციების სამი დონე, ტაქტიკური, ოპერატიული, სტრატეგიული, რომელთა მიხედვითაც ტერმინები ასევე იძენს სხვა შინაარსს. ამიტომაცაა, რომ აშშ-ისა და *ნატოს* სახელმძღვანელოებს უმეტესწილად ერთვის გლოსარიუმები, რომლებშიც განმარტებულია კონკრეტულ სახელმძღვანელოებსა და გამოცემებში გამოყენებული ცნება-ტერმინები თუ შესიტყვებები, მითითებულია მათი პირველწყაროები და ცნება-ტერმინის განმარტებაში შეტანილი ცვლილებები. შესაბამისად, აშშ-ისა და *ნატოს* ტერმინოლოგია სტანდარტიზებული და უნიფიცირებულია, ხოლო, თუ რომელიმე სახელმძღვანელოში ტერმინი სხვა

მნიშვნელობით გამოიყენება, ეს სახელმძღვანელო მიიჩნევა ცნება-ტერმინის წყაროდ, რაც ასევე მიეთითება.

ახალი ინგლისური სამხედრო ტერმინები შემოდის ახალი ტექნიკის შემოტანასთან ერთად, რაც განაპირობებს ახალი სათანადო ტექნიკური სახელმძღვანელოების თარგმნას, მომზადებასა და შემუშავებას. აღსანიშნავია ისიც, რომ ვითარდება ქართული სამხედრო მრეწველობა „დელტას“ ბაზაზე, მაგალითად: ქართული ჯავშანმანქანა „დიდგორის“ მოდიფიკაციები, ჯავშანჟილეტები, ჩაფხუტები და სხვ¹. ახალი ტექნიკის წარმოებას სდევს შესაბამისი ტექნიკური სახელმძღვანელოების შექმნისა თუ მომზადების აუცილებლობა, ამისთვის კი საჭიროა სწორი, გასაგები, სათანადო და სტანდარტიზებული ტერმინოლოგია.

აღნიშნული მიმართულებით გადადგმული ნაბიჯების მიუხედავად, თავდაცვის ძალების შეიარაღებისა და სამხედრო ტექნიკის ნაწილი მაინც რუსული წარმოებისაა, სამხედრო ტექნიკური ლიტერატურაც უმეტესად ნათარგმნია რუსულიდან ისევე, როგორც „ქართულ ენაზე გამოცემული ტექნიკური სასწავლო ლიტერატურის უმეტესობა... ქართული ტექნიკური ტერმინოლოგია, გასაგები მიზეზების გამო, ჯერ კიდევ დიდხანს იქნება უცხოური, კერძოდ კი, რუსული ტერმინოლოგიის გავლენის ქვეშ“ (სუთიძე, 2016, გვ. 119). აქედან გამომდინარე, ქართულ-ინგლისური სამხედრო შესატყვისების დადგენისას საჭირო ხდება სათანადო რუსული სიტყვა-ცნებების შესწავლაც.

ახალი ქართული სამხედრო სახელმძღვანელოების ძირითადი ნაწილი აშშ-ისა და *ნატოს* სათანადო სახელმძღვანელოების თარგმნის საფუძველზე იქმნება. სახელმძღვანელოების მომზადებისა და შემუშავების პროცესში ქართულ-ინგლისური შესატყვისების დადგენა-ჰარმონიზაციას კი აფერხებს შემდეგი პრობლემები: ცნება-ტერმინის წარმომავლობის, ისტორიის კვლევა; ქართული სამხედრო ლექსიკონების სიმწირე; ქართული სამხედრო სამეცნიერო კვლევების სიმცირე.

კვლევის მიზანი: ქართული ტერმინოლოგიის თანამედროვე მოთხოვნათა განსაზღვრიდან გამომდინარე, ჩვენი კვლევის მიზანია, ქართული ტერმინთა ბანკის ფარგლებში ქართული სამხედრო ტერმინოლოგიის ელექტრონული ბაზის (ქვებაზის)

¹ „დელტას“ – სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი – ბაზაზე მიმდინარეობს სერიული წარმოება და ტექნიკის რემონტი. აქ წარმოებული რამდენიმე სახეობის ტექნიკით, იარაღითა და აღჭურვილობით მარაგდება ქართული შეიარაღებული ძალები (<https://delta.gov.ge/Mission>).

მუშაობის აღწერა და მისი როლის ჩვენება როგორც ქართული სამხედრო ტერმინოლოგიის ისტორიის შესწავლის, ისე თანამედროვე ქართული სამხედრო ტერმინების მდგომარეობისა და თავისებურებების გააზრების მხრივ. ამასთან, აშშ-ის/ნატოს სამხედრო ტერმინების სტანდარტიზაციის დოქტრინული მიდგომების გამოკვეთის საფუძველზე ქართულ-ინგლისურ-რუსული შესატყვისების შეპირისპირება არსებული ლექსიკონების მიხედვით და თანამედროვე ქართულ-ინგლისურ ცნება-ტერმინთა დადგენა-ჰარმონიზაცია კონკრეტულ მაგალითებზე.

ნაშრომის პრაქტიკული ნაწილი მიზნად ისახავს, შესწავლილი და განხილული ქართული სამხედრო ლექსიკონების საფუძველზე გამოიკვეთოს საქართველოში დამკვიდრებული დამოუკიდებლობის, საბჭოთა და პოსტსაბჭოთა ტერმინოლოგიური მუშაობის მეთოდური გზები; გაანალიზებული და შედარებული სალექსიკონო ერთეულების საფუძველზე განისაზღვროს, რა მასალას ვფლობთ ადრინდელი თუ თანამედროვე სალექსიკონო მასალების სახით; ასევე გამოიყოს ქართული სამხედრო დარგობრივი ენის თავისებურებებით შექმნილი სურათი ქართული და ინგლისური სამხედრო სახელმძღვანელოებისა და დოქტრინების საფუძველზე; გაანალიზდეს თანამედროვე ევროპული მიდგომები, საერთაშორისო ტერმინოლოგიური სტანდარტები; გამოიყოს სალექსიკონო მასალებში თემატური დარგობრივი ჯგუფები სამხედრო დარგის სტრუქტურის მიხედვით; ჩამოყალიბდეს თანამედროვე ქართული და ინგლისური სამხედრო ცნება-ტერმინების დადგენის, მისადაგების მეთოდური მიდგომა/გზა; განისაზღვროს ქართული ტერმინთბანკის სამხედრო ტერმინოლოგიის ქვებაზის სამუშაო სტრუქტურა, სამიეზო ფუნქციები.

ნაშრომის ემპირიული მასალა მოიცავს ადრინდელ და თანამედროვე ქართულ სამხედრო ლექსიკონებს. შესწავლილი 8 ლექსიკონიდან 5 ადრინდელი ლექსიკონია, ერთი – დამოუკიდებლობის პერიოდის, 4 – საბჭოთა პერიოდის; 3 – თანამედროვე სამხედრო ლექსიკონია. ძველი სამხედრო ტერმინოლოგიური მასალა დამუშავებულია კვლევის საფუძველზე. ქართული ტერმინთბანკის სამხედრო ტერმინოლოგიის ქვებაზა მოიცავს ჩვენ მიერ გაციფრულებულ სამ ლექსიკონს: 1920 წლის „სამხედრო-ტექნიური ლექსიკონი“, 1925 წლის „სამხედრო-ტექნიკური ლექსიკონი“, 1978 წლის სამხედრო ტერმინოლოგია, სულ 24200 ცნება-ტერმინს; გამოყოფილია 10 თემატური დარგობრივი ჯგუფი, სინონიმები, მიმოხილულია

განსხვავებული ფორმები, ინგლისურ-რუსულ-ქართულ შესატყვისები. აღწერითი და შედარებითი ანალიზისთვის გამოყენებულია ინგლისურ-ქართული ლექსიკონი (1975), ინგლისურ-ქართული სამხედრო ონლაინლექსიკონი, მოკლე განმარტებითი სამხედრო ლექსიკონი, 1967 წლის სამხედრო ლექსიკონი, დაახლოებით 30 000 ერთეული. სულ შესწავლილია 54 000 ერთეული. კვლევაში განვიხილავთ კონკრეტული ნიშნით განსხვავებულ ცნება-ტერმინებს. ცნების გააზრების თვალსაზრისით სირთულე წარმოშვა ორმა ოპერატიულ-სტრატეგიულმა ტერმინმა, რომელმაც მოითხოვა უცხოური სამეცნიერო კვლევითი სტატიებისა და დოქტრინული მასალების მიხედვით ანალიზი.

სალექსიკონო ერთეულების ქართული შესატყვისების შესწავლისთვის გამოყენებულია ქართულ სამეცნიერო სივრცეში არსებული და სხვა უცხოური ლექსიკონები: ქართული ტერმინთბანკის ბაზა, რომელშიც რამდენიმე დარგის ტერმინოლოგიაა გაერთიანებული, მათ შორის, ტექნიკური ტერმინოლოგიის ყველა რედაქცია: 1920, 1921, 1935, 1957, 1977 წლების ბეჭდური და 1993 წლის გამოუქვეყნებელი ბოლო რედაქცია. ინგლისური-ქართული ლექსიკონი (1975), ინგლისურ-ქართული ლექსიკონი (2006), ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, უცხო სიტყვათა ლექსიკონი, Merriem-Webster Dictionary, Oxford Learner's Dictionaries, მრავალენოვანი ლექსიკონი Multitran.com.

შესწავლილი ქართული სამხედრო ლექსიკონებია:

დამოუკიდებლობის პერიოდის:

ვლადიმერ ცაგარელის 1920 წლის „სამხედრო-ტექნიკური ლექსიკონი“

საბჭოთა პერიოდის:

ვლადიმერ ცაგარელის 1925 წლის „სამხედრო-ტექნიკური ლექსიკონი“

ივანე შაიშმელაშვილის 1967 წლის სამხედრო ლექსიკონი

რევაზ კავსაძის 1980 წლის სამხედრო ტერმინთა რუსულ-ქართული მოკლე განმარტებითი ლექსიკონი

ივანე შაიშმელაშვილის 1987 წლის სამხედრო ტერმინოლოგია

თანამედროვე ლექსიკონები:

ინგლისურ-ქართული სამხედრო ონლაინლექსიკონი (2010)

ტექნიკური მარაგების ლექსიკონი (2013)

ქართული სამხედრო ენციკლოპედიური ლექსიკონი (2017)

ნაშრომის ძირითადი თეორიული მასალა ეფუძნება საერთაშორისო ტერმინოლოგიურ სტანდარტებს: ისო 860 „ტერმინოლოგიური მუშაობა – ცნებათა და ტერმინთა შესაბამისობაში მოყვანა/ჰარმონიზება“, ისო 1087 „ტერმინოლოგიური მუშაობა და ტერმინოლოგიური მეცნიერება – ლექსიკონი“, „ტერმინოლოგიის პოლიტიკის სახელმძღვანელო“; ევროპული ტერმინთაბანკების სამუშაო მიდგომებს: შვედეთი, ხორვატია, ევროპული ტერმინთაბანკების პროგრამები; ამ მიმართულებით გამოქვეყნებულ თეორიებსა და კვლევებს. ასევე ძველ ქართულ ტერმინოლოგიურ მასალებს: ივ. ჯავახიშვილის „სამხედრო საქმე და საომარი საქურველი“; ქართული ტერმინოლოგიის ისტორია: რ. ღამბაშიძე „ტერმინოლოგიური მუშაობა საქართველოში“, გ. ახვლედიანის, ვლ. ცაგარელისა და ივ. შაიშმელაშვილის სალექსიკონო წინასიტყვაობებს; ტერმინოლოგიის საკითხებს: ლ. ქაროსანიძე „ტერმინოლოგია – ქართული ენის ხვალისდელი დღე“, „ქართული ტერმინთაბანკი და ტერმინოლოგიური პოლიტიკა საქართველოში“, „პირველი ტექნიკური ტერმინოლოგიური ლექსიკონი 100 წლისაა“; ავთანდილ არაბული „ტერმინოლოგიური პოლიტიკა და კანონი სახელმწიფო ენის შესახებ“. ქართული სამხედრო ისტორიის კვლევებს: გ. ანჩაბაძე, „სამხედრო ისტორია“, დ. სილაქაძე, „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის რეგულარი ჯარისა და სახალხო გვარდიის ორგანიზაცია და შეიარაღება“, მ. წურწუშია „შუასაუკუნეების ქართული ლაშქარი (900-1700), ორგანიზაცია, ტაქტიკა, შეიარაღება“. სამხედრო კვლევებს: „ჰიბრიდული ომების ანატომია“ თინა ხიდაშელის რედაქციით; უცხოურ სამხედრო სამეცნიერო კვლევებს; აშშ-ისა და ქართულ სამხედრო დოქტრინულ მასალას: FM 3-90, ADP 3-90, FM 3-0, FM 3-60, FM 7-0, FM 1-02, JP 3-0, JP 1-02, ATP 3-09.42, JP 3-06.

კვლევის მეთოდოლოგია: კვლევა ეფუძნება იმ მეთოდოლოგიას, რომელიც განსაზღვრულია საერთაშორისო სტანდარტებში, კერძოდ:

1. ისო 704 (2024) – „ტერმინოლოგიის პრინციპები და მეთოდები“, რომელშიც განხილულია ტერმინოლოგიაზე მუშაობისას გამოსაყენებელი პრინციპები და მეთოდები. ყურადღება გამახვილებულია ასევე მონოსემიის, სინონიმიის, ომონიმიის პრობლემებზე. განხილულია სიტყვათშემოკლებათა შექმნის საკითხები და ა.შ.

2. ისო 860 (2023) – „ტერმინოლოგიური მუშაობა – ცნებათა და ტერმინთა შესაბამისობაში მოყვანა/ჰარმონიზება“, რომელშიც განმარტებულია ცნებათა და ტერმინთა ჰარმონიზაციის საჭიროება, განსაზღვრულია ამ პროცესის თანმიმდევრობა, ახსნილია, რომ დამკვიდრებული ტერმინები მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა ჩანაცვლდეს, თუ ყურადღებით იქნება განხილული დადებითი და უარყოფითი მხარეები, გაანალიზებულია პრობლემები, რომლებიც თავს იჩენს ჰარმონიზაციის არქონის შემთხვევაში და ა.შ.

ამ და სხვადასხვა სტანდარტს ეფუძნება არნოდ ჩიქოვას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტში მიმდინარე ტერმინოლოგიური მუშაობა, შესაბამისად, პრაქტიკულ და თეორიულ საკითხებზე მუშაობისას გამოვიყენეთ საერთაშორისო სტანდარტებით განსაზღვრული ტერმინოლოგიური მიდგომები.

ნაშრომში განხილული არ არის საკუთრივ სამხედრო ტერმინებთან დაკავშირებული ქართული სამეცნიერო კვლევები (ფაქტობრივად, უქონლობის გამო). აქედან გამომდინარე, არსებითად მიგვაჩნია, თსუ არნ. ჩიქოვას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის „ტერმინოლოგიის საკითხების“ კრებულში შეტანილი ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის შესახებ სტატიების, ასევე უცხოენოვანი სამხედრო-სამეცნიერო წყაროების გამოყენება. შესაბამისად, წინამდებარე სადოქტორო ნაშრომი სამხედრო ტერმინოლოგიის მიმართულებით ერთ-ერთი პირველი სამეცნიერო ნაშრომია, რაც თავისთავად გულისხმობს იმასაც, რომ კიდევ ბევრი და მნიშვნელოვანი მასალაა საკვლევი.

კვლევის სიახლე: დღეს დგას ქართული ენის ზოგადი აღწერისა და გაციფრულების აუცილებლობა, რათა ქართული ენა სრულყოფილად დამკვიდრდეს საერთაშორისო ციფრულ სივრცეში, შესაბამისად, ქართული ტერმინთსაცავის ფარგლებში პირველად შექმნილი სამხედრო ტერმინოლოგიის ქვებაზა დღემდე შეუსწავლელი სამხედრო ტერმინოლოგიის მოკლე ისტორიისა და ბეჭდური სამხედრო ლექსიკონების შესწავლა-შეპირისპირება, ასევე მათი ანალიზი სიახლეა და მოგვცემს დიდძალ მასალას სამომავლო სამხედრო ტერმინთწარმოებისა და ტერმინთშემოქმედებისათვის, სამხედრო სამეცნიერო ფუნდამენტური კვლევებისთვის. ამასთან ერთად, ქართულ სამეცნიერო სივრცეში პირველად აღწერილი თანამედროვე ქართული სამხედრო ტერმინოლოგიური მდგომარეობა,

კერძოდ: ქართული სამხედრო ტერმინების თავისებურებების გამოყოფა, პრაქტიკულ მუშაობაზე დაყრდნობით ხელს შეუწყობს ქართულ-ინგლისური სამხედრო ტერმინების დადგენა-ჰარმონიზაციას.

აქვე დავძენთ იმასაც, რომ სამხედრო თემატიკის მრავალფეროვნება, მრავალმხრივობა და მუდმივი განვითარებადობა მოითხოვს სამხედრო ტერმინების სისტემატურ შესწავლასა და დამუშავებას, ამავე დროს, მათ ნორმირებასა და სტანდარტიზებას, რადგან, როგორც წინამდებარე ნაშრომიც ცხადყოფს, მხოლოდ უნიფიცირებული ტერმინოლოგიაა ტერმინოლოგიური უზუსტობების, არასანდოობისა და მრავალფეროვნების დაძლევის წინაპირობა.

გასული საუკუნის 20-იან წლებში პირველი ქართული სამხედრო ტექნიკური ლექსიკონის შემქმნელი ვლადიმერ ცაგარელი მიიჩნევდა, რომ ქართველი ოფიცრების და არა მარტო ოფიცრების, არამედ მეცნიერთა საზოგადოების „ქართული ენით ამეტყველებისთვის“ საჭირო იყო სათანადო ქართული ტერმინების, შესატყვისების მიგნება, შესაბამისად, მუშაობდა არა მარტო სიტყვა-ტერმინების შედგენასა და შეთხზვაზე, არამედ ტერმინოლოგიური მართვის გზების შერჩევაზეც. დღეს კი კვლავ დგას ქართული სამხედრო ტერმინების როგორც დახვეწის, ისე შემუშავების საჭიროება. არსებული ბეჭდური ლექსიკონები ტექნიკის მზარდი განვითარების ფონზე ვეღარ აკმაყოფილებს ახალ საჭიროებებს (ბაზების სიმჭირის მხრივ).

კვლევის შედეგები: კვლევის შედეგად აღიწერა ქართული სამხედრო ტერმინოლოგიის მოკლე ისტორია; ვლადიმერ ცაგარელის 1920 და 1925 წლების ქართული სამხედრო ლექსიკონების საფუძველზე გამოიყო სალექსიკონო ერთეულები სიტყვაწარმოების ხერხებისა და თემატური ჯგუფების მიხედვით, ამავე ლექსიკონების ბაზები შედარდა სხვა სამხედრო ლექსიკონების ბაზებს, გამოიკვეთა ვლადიმერ ცაგარელის ტერმინოლოგიური მუშაობის მეთოდოლოგია. ამასთან, კვლევაში მოყვანილი პირველი სამხედრო ამერიკული ლექსიკონის მაგალითი ცხადყოფს, რომ, ტერმინების ჩანაცვლების აღნუსხვა აუცილებელია, ჩვენ ასეთი ისტორია არ გვაქვს. ციფრულ ეპოქაში ეს უნდა შეიქმნას, რადგან საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, ტერმინთბანკში შესულ მასალას, თითოეულ ტერმინს უნდა ჰქონდეს თავისი ე.წ. ID, ანუ უნდა მიეთითოს წარმომავლობის წყარო.

ევროპული ტერმინთბანკების გამოცდილების საფუძველზე აღიწერა ქართული ტერმინთბანკის (ტერმინთსაცავის) ფარგლებში შექმნილი ქართული სამხედრო ტერმინოლოგიის ელექტრონული ბაზა (ქვებაზა), მომზადებული ბეჭდური ლექსიკონების, კერძოდ, ვლადიმერ ცაგარელის 1920 წლისა და 1925 წლების სამხედრო-ტექნიკური ლექსიკონებისა და 1987 წლის სამხედრო ტერმინოლოგიის ლექსიკონის ციფრული ვერსიების საფუძველზე, ამავე დროს, გამოიკვეთა ქართული სამხედრო ტერმინოლოგიის ელექტრონული ბაზის (ქვებაზის) დანიშნულება ქართული სამხედრო ტერმინოლოგიის პრობლემების მოგვარების კუთხით.

გამოიყო ქართული სამხედრო ტერმინების თავისებურებები პრაქტიკულ მუშაობაზე დაყრდნობით. შემუშავდა და აღიწერა თანამედროვე სამხედრო სახელმძღვანელოებში ქართულ-ინგლისური ცნება-ტერმინების დადგენა-ჰარმონიზაციის გზები კონკრეტული ახალი ოპერატიულ-სტრატეგიული ტერმინების ქართული შესატყვისების მაგალითზე. კვლევა ცხადყოფს, რომ თანამედროვე ქართულ-ინგლისური სამხედრო შესატყვისების დასადგენად აუცილებელია დოქტრინული კონტექსტის/ტერმინის კონცეფიური გააზრება.

ძირითადი დასკვნა: ქართული სამხედრო ტერმინოლოგიის კვლევა-შესწავლა ტერმინთბანკის მიდგომებით იძლევა ქართული სამხედრო ცნება-ტერმინების სიტყვაწარმოების გზების გამოკვეთისა და თანამედროვე ნორმატიული ტერმინოლოგიური ლექსიკონების შექმნის შესაძლებლობას. ქართული ტერმინთბანკის სამხედრო ტერმინთა ქვებაზა გახდება სამეცნიერო კვლევების საფუძველი და ახალი ქართული სამხედრო ცნება-ტერმინების დადგენა-ჰარმონიზაციის სანდო წყარო.

ნაშრომის აგებულება: წინამდებარე სადოქტორო ნაშრომი შედგება სამი თავისგან, მოიცავს აბსტრაქტს (ქართულ და ინგლისური ენებზე), სარჩევს, შემოკლებებს, ძირითად შესავალსა და ზოგად დასკვნებს.

I თავში მიმოხილულია სამხედრო ტერმინოლოგიის ისტორიასთან დაკავშირებული შრომები. ამასთან, აღწერილია არსებული ბეჭდური და ციფრული ქართული სამხედრო ლექსიკონები, რაც ასახავს XX და XXI საუკუნეებში წარმართულ სამხედრო ტერმინოლოგიურ მუშაობას საქართველოში. დაწვრილებითაა განხილული ვლადიმერ ცაგარელის 1920 წლის პირველი ქართული „სამხედრო-ტექნიკური

ლექსიკონისა“ და ამავე ლექსიკონის 1925 წლის განახლებული და შევსებული გამოცემის სალექსიკონო ერთეულები, ამასთან, მოძიებულია ცნობები თავად ვლადიმერ ცაგარელის ბიოგრაფიის შესახებ.

II თავში განხილულია თანამედროვე ქართული სამხედრო ტერმინოლოგიის მდგომარეობა, პრობლემები, დასახულია მათი მოგვარების გზები. ამასთან, შესწავლილია თანამედროვე ტერმინოლოგიური მუშაობა, ევროპული ტერმინთა ბანკების გამოცდილება და ნაჩვენებია ქართული ტერმინთა ბანკის ფარგლებში შექმნილი სამხედრო ტერმინოლოგიის ქვებაზის როლი ზოგადად სამხედრო ტერმინოლოგიის განვითარების კუთხით.

III თავში მოცემულია ტერმინთა საერთაშორისო სტანდარტიზაციის ნორმები, ასევე სამხედრო დოქტრინული მიდგომები სამხედრო ტერმინოლოგიის სტანდარტიზაციისადმი, ნაჩვენებია ქართული სათანადო ტერმინების აუცილებლობა და ქართულმდირიანი ტერმინების შექმნის პრაქტიკული მაგალითები ქართულ-ინგლისურ სამხედრო შესატყვისთა დადგენა-ჰარმონიზაციის გზების შემუშავებით.

I თავი. ქართული სამხედრო ტერმინოლოგიის ისტორია

ქართულ სამეცნიერო სივრცეში ქართული სამხედრო ტერმინოლოგიის ისტორია დღემდე ძირითადად შეუსწავლელია, მიუხედავად იმისა, რომ „ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის ჩამოყალიბებასა და განვითარებას ჩვენში დიდი ხნის ისტორია აქვს“ (დამბაშიძე, 1972, გვ. 14).

შესაბამისად, ქართული სამხედრო ტერმინოლოგიის ისტორიის კვლევას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, ერთი მხრივ, ქართული ტერმინოლოგიის სრულყოფილად შესწავლისთვის, მეორე მხრივ, თანამედროვე სტანდარტიზებული სამხედრო ტერმინოლოგიის ჩამოყალიბებისათვის. არსებული სამხედრო ლექსიკისა და ლექსიკონების თავმოყრა და მიმოხილვა კი სათავეს უდებს თანამედროვე და ახალი სამხედრო ტერმინების საერთო სალექსიკონო ბაზის შექმნას, რაც საბოლოოდ განაპირობებს ქართული სამხედრო ტერმინოლოგიის ნორმირებისთვის საჭირო სახელმძღვანელო მითითებების შემუშავებას.

სამხედრო საქმე საქართველოში საუკუნეების განმავლობაში ვითარდებოდა. მის ჩამოყალიბებაზე გავლენას ახდენდნენ როგორც დამპყრობელი, ისე მოკავშირე ქვეყნები, რაც აისახა ახალ იარაღსა თუ ბრძოლის ხერხებთან ერთად უცხო სამხედრო ლექსიკის შემოჭრით. „არც ერთი ქვეყნის, მითუმეტეს ევროპა-აზიის შესაყარზე მდებარე საქართველოს სამხედრო საქმის კვლევა არ შეიძლება იზოლირებულად, მისი გარემომცველი სამყაროს სამხედრო საქმის შესწავლის გარეშე. სამხედრო საქმე მგრძნობიარეა გარემომცველი სამყაროს მიმართ, იგი თავისებური ლაკმუსის ქაღალდია, რომელიც ყოველგვარ ცვლილებებზე რეაგირებს (წურჭუძია, 2014, გვ. 5). აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ასეთივე ლაკმუსის ქაღალდია ქართული სამხედრო ტერმინოლოგია და ისტორიულ-ეპოქალური პერიოდების მიხედვით ატარებს ხან არაბულ-სპარსულ-თურქულ, ხან რუსულ და ინგლისურ გავლენებს, უფრო მეტიც, ამ ენათაგან ბევრი სიტყვაა ქართულში „შემოხიზნული“ (ჯავახიშვილი, 1962, გვ. 262).

სამხედრო საქმე მოიცავს თეორიულ და პრაქტიკულ საკითხებს, რომლებიც უკავშირდება სამხედრო ძალების მომზადებას, ოპერაციებს, საბრძოლო მოქმედებებს, შეიარაღებას, აღჭურვილობას, მომარაგებას, შენობა-ნაგებობებს, შესაბამისად, აერთიანებს სხვადასხვა დარგობრივ მიმართულებას. სამხედრო ხელოვნებისა და

მეცნიერების ტერმინოლოგიის შესწავლასა და სტანდარტიზებას, ასევე სრულ ლექსიკოგრაფიულ ასახვას ართულებს სწორედ სფეროს მრავალდარგობრიობა, შესაბამისად, საჭირო ხდება ტექნიკური და ჰუმანიტარული დარგობრივი მიდგომების გამოყენება, რაც ფართო და შრომატევადი საქმეა.

მთლიანობაში კი ესაა სამხედრო დარგობრივი ცოდნა, რომელსაც ფლობენ და სათანადო სამხედრო ტერმინოლოგიის საშუალებით იყენებენ სამხედრო პირები ყოველდღიურ, მშვიდობიან თუ საომარ ვითარებაში².

ნათელია, რომ სამხედრო საქმე მოიცავს სამხედრო ისტორიას; და მიუხედავად იმისა, რომ, დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, საქართველოს სამხედრო ისტორია დღემდე შესწავლილი არ არის სრულყოფილად, უფრო მეტიც, „სამხედრო საქმის კვლევა ისტორიოგრაფიულ პრობლემადაა ქცეული“ (წურწუშია 2014: 4), ომების წარმოების, საბრძოლო წყობების, საბრძოლო მოქმედებების, „ჯარ-იარაღისა და ტექნიკის“ განვითარებისა და გამოყენების ანალიზის შედეგად ვეცნობით სამხედრო ცნება-ტერმინების განვითარების გზას. ამავე დროს, ქართული სამხედრო ტერმინოლოგიის ისტორია ასახავს ისტორიულ-ეპოქალურ მიმართულებებსა და მიმდინარე სიახლეებს.

ქართული სამხედრო ცნება-ტერმინების ისტორიული განვითარების შესწავლა მოითხოვს საქართველოს სამხედრო ისტორიის ანალიზს სამხედრო ტერმინების აღწერის საფუძველზე. აქედან გამომდინარე, კვლევაში ძველი სამხედრო ცნება-ტერმინების შესწავლისთვის ვეყრდნობით ივანე ჯავახიშვილის ნაშრომს „ქართველთა საომარი საჭურველი და სამხედრო საქმე“, რომელშიც სიღრმისეულადაა შესწავლილი IX-XV საუკუნეების ქართველთა შეიარაღების სახელდებები, ასევე მიმოვიხილავთ თანამედროვე ისტორიკოსების, კერძოდ, გ. ანჩაბაძის, დ. სილაქაძისა და მ. წურწუშიას კვლევებს საქართველოს სამხედრო ისტორიის ძველი და ახალი პერიოდების შესახებ.

² სამხედრო საქმე ადრეული პერიოდიდანვე დამკვიდრებული ტერმინია. აშშ-ისა და ნატოს დოქტრინების მიხედვით მომზადებულ სახელმძღვანელოებში კი ამავე ცნების აღსანიშნავად გამოიყენება *სამხედრო მეცნიერება* და *ხელოვნება*. ორივე ტერმინი გამოხატავს საერთო არსს და გამოიყენება პარალელურად. სამხედრო საქმე, როგორც საგანი, ისწავლება სკოლებში სათანადო სახელმძღვანელოს მიხედვით.

XX საუკუნის სამხედრო ცნება-ტერმინების შესწავლისთვის პირველად მიმოვიხილავთ ვლადიმერ ცაგარელის 1920 წლის „სამხედრო-ტექნიური ლექსიკონისა“ და 1925 წლის „სამხედრო-ტექნიკური ლექსიკონის“ გამოცემებს.

ქართული სამხედრო ტერმინოლოგიის ისტორიის გასააზრებლად მნიშვნელოვნად მიგვაჩნია საქართველოში დანერგილი ტერმინოლოგიური მუშაობის პრინციპების გათვალისწინებაც, რადგან „ერთიანი ქართული მეცნიერული ტერმინოლოგიის შემუშავების საქმე სხვაგვარ მოვლა-პატრონობას ითხოვს“ (დამბაშიძე, 1972, გვ.18); მსგავს მეცნიერულ პრინციპებზე დამყარებული ტერმინოლოგიური მუშაობის შედეგია ვლადიმერ ცაგარელის 1920 წლის სამხედრო ლექსიკონი.

სამხედრო ცნება-ტერმინების შემუშავებისა და განვითარების კვლევა საჭიროებს ერთგვარ სისტემატიზებას, კერძოდ, ქართული ტერმინოლოგიის ისტორიის იმ პერიოდების მიდგომების გაცნობას, რომლებიც გამოყოფილი აქვს ლია ქაროსანიძეს ნაშრომში „ტერმინოლოგია – ქართული ენის ხვალინდელი დღე“. ნაშრომის ავტორს შესწავლილი და გამოყოფილი აქვს ქართული ტერმინთშემოქმედების ისტორიის ოთხი პერიოდი, თითოეულისთვის დამახასიათებელი მეცნიერული ხედვისა და ნათლად ჩამოყალიბებული სამოქმედო პრინციპების შესაბამისად, ესენია:

1. X-XII საუკუნეებისა;
2. ილია ჭავჭავაძისა და მის თანამედროვეთა;
3. ე.წ. სიტყვარისტებისა;
4. საბჭოთა პერიოდისა (ქაროსანიძე, 2014, გვ.176).

აქედან გამომდინარე, სამხედრო ტერმინოლოგიის ისტორიის აღწერისას ვეყრდნობთ ტერმინოლოგიური მუშაობის შედეგად შექმნილი ლექსიკონების ერთგვარ სისტემატიზებასა და მასალებს, რაც მოგვცემს ტერმინთშემოქმედების მეთოდური მიდგომებისა და გზების გამოკვეთის შესაძლებლობას.

საგულისხმოა, რომ ქართული სამხედრო ტერმინოლოგიის ისტორიის კვლევისას, ზოგადად, დარგობრივ ტერმინოლოგიაზე მუშაობისას, უნდა გავითვალისწინოთ ერთი რამ, „ორი ენის ტერმინოლოგიის, ლექსიკოგრაფიული შესატყვისების დადგენა (ჰარმონიზაცია) ხანგრძლივ სამეცნიერო შრომას მოითხოვს.

დღეს, როცა, სამწუხაროდ, ქართულ ენაში იმატებს ინგლისური ტერმინების უთარგმნელად გადმოღებული ან კალკირებული ფორმები, მნიშვნელოვანია, გავიხსენოთ, როგორ მუშაობდნენ ქართველი მეცნიერები ტერმინოლოგიურ ლექსიკონებზე“ (ქაროსანიძე, 2022-2023, გვ. 397).

თანამედროვე ტერმინოლოგიური მუშაობისა და ქართული სამხედრო ტერმინოლოგიის ისტორიის სრულფასოვნად წარმოჩენისთვის ასევე განვიხილავთ არსებულ ბეჭდურ და ციფრულ სამხედრო ლექსიკონებს, როგორებიცაა: სამხედრო ლექსიკონი (1976), სამხედრო ტერმინების რუსულ-ქართული მოკლე განმარტებითი ლექსიკონი (1980), სამხედრო ტერმინოლოგია (1987), სასაქონლო მარაგების სამხედრო-ტექნიკურ ტერმინთა ელექტრონული ლექსიკონი (2013), ქართული სამხედრო ენციკლოპედიური ლექსიკონი (2017), ინგლისურ-ქართული სამხედრო ლექსიკონი (2010).

აღნიშნულ ლექსიკონებში, ერთი მხრივ, იკვეთება ეპოქის თავისებურებები, მეორე მხრივ, მოცემულია მეთოდოლოგიური გზების განსაზღვრის საფუძველი, ეს კი საბოლოოდ ქმნის „ისტორიაზე დაფუძნებული ტერმინთშემოქმედების“ ერთგვარ სურათს.

ვფიქრობთ, სამხედრო ტერმინოლოგიის ისტორიის მოკლე აღწერა სათავეს დაუდებს უფრო სიღრმისეულ კვლევებს, რაც სამომავლოდ საწინდარი იქნება როგორც სათანადო სამხედრო ცნება-ტერმინების დადგენა-შემუშავებისა და სწორი ტერმინოლოგიური მუშაობის წარმართვისა, ისე სალექსიკონო ბაზების ნორმირებული ცნება-ტერმინებით შევსებისა და გამართული და სტანდარტიზებული ლექსიკონების შედგენისა.

1.1. ქართველთა საომარი საჭურველი და სამხედრო საქმე

ქართული სამხედრო ტერმინოლოგიის ისტორიული განვითარება ძველი ქართული მასალების მიხედვით საფუძვლიანად შეისწავლა ივანე ჯავახიშვილმა. ნაშრომში „მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისთვის“ (გამოცემული 1962 წელს) ივანე ჯავახიშვილი გამოყოფს მეოთხე ნაკვეთს, სათაურით „საომარი საჭურველი და სამხედრო საქმე (სამხედრო დანიშნულების ხელსაწყოთა

ზოგადი სახელები)“, რომელშიც თავმოყრილი და შესწავლილია ქართულ ისტორიულ თუ ლიტერატურულ მასალებში დადასტურებული სამხედრო ცნება-ტერმინები.

ივანე ჯავახიშვილი დაინტერესებული იყო ძველი ქართული სამხედრო ცნება-ტერმინების შესწავლით, გარდა ამისა, ის უშუალოდ მონაწილეობდა სამხედრო-ტექნიური ლექსიკონის ორივე გამოცემის შემუშავების პროცესში. ამის შესახებ ინფორმაცია დასტურდება თავად ვლადიმერ ცაგარელის წინასიტყვაობებსა და 1925 წლის გამოცემისთვის დართულ გიორგი ახვლედიანის წინასიტყვაობაში. უფრო მეტიც, როგორც ვლადიმერ ცაგარელი აღნიშნავს, ივანე ჯავახიშვილი რჩევა-დარიგებით დიდად დაეხმარა და თავისი სამხედრო ტერმინებისა და სიტყვების კრებულის თხოვნებით საშუალება მისცა ზოგიერთი ტერმინით ესარგებლა (ცაგარელი 1920, გვ. III).

ივანე ჯავახიშვილის ნაშრომი ეხება საქართველოს სამხედრო საქმის ისტორიას IX-XVII საუკუნეების ჩათვლით, რომელიც, გარდა სამხედრო ტერმინების ისტორიულ-ეტიმოლოგიური მიმოხილვისა, გვაჩვენებს სამხედრო ტერმინების განვითარების გზას, ამა თუ იმ ტერმინის გავრცელების პერიოდებს, სინონიმური ტერმინების თანაარსებობას, ასევე ისტორიული ნასესხობების ენის ლექსიკურ ფონდში დამკვიდრების გზებს. ქართულ სამხედრო ტერმინთა ნაირსახეობებს, ახალი ნასესხობების შემოტანა-დამკვიდრებას, ივანე ჯავახიშვილის თვალთახედვით, განაპირობებდა საუკუნეთა განმავლობაში თავდასხმის მოგერიებისა თუ ბრძოლის წარმოების ხელსაწყოების სახელების ცვლილებები (ჯავახიშვილი, 1962, გვ. 203).

ივანე ჯავახიშვილს ნაშრომში გამოყოფილი ცნება-ტერმინები შესწავლილი აქვს შემდეგი ქართული და ნათარგმნი სამეცნიერო და სალიტერატურო წყაროების მიხედვით: „დაბადების ქართული თარგმანი“, ლეონტი მროველისა და ვახუშტი ბატონიშვილის თხზულებები, სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონი, „არჩილიანი“, „ვეფხისტყაოსანი“, „ვისრამიანი“ და სხვ.

სამხედრო საქმესა და იარაღთან დაკავშირებული სახელების შესწავლისას მეცნიერი ყოფს თემატურ ჯგუფებს, ამავე დროს, ზოგად ქვეჯგუფებად ახარისხებს არსებულ ძველ ქართულ ცნება-ტერმინებს. ცნება-ტერმინების კონტექსტურ-შინაარსობრივი კუთხით შესწავლის საფუძველზე, წერილობით ძეგლებში დადასტურებული უძველესი სახელებიდან, გამოყოფს **საჭურველსა** და **ჭურს**. მისი

ცნობით, **საჭურველი** იყო დარების, ჰოროლების, მშვილდისრების, ლახუმების, კუერთხების საერთო მნიშვნელობის/ზოგადი სახელი. სხვა წყაროებზე დაყრდნობით, ირკვევა, რომ **საჭურველში** შედის შურდულიცა და ცხენიც. „საჭურველი ძველად საბრძოლო იარაღის ზოგადი სახელი და ტერმინი იყო.“ (ჯავახიშვილი 1962, გვ. 204), მაგრამ **საჭურველზე** უფრო ადრეული ტერმინია **ჭური**, ამას ცხადყოფს **ჭურვილი**, რომელიც დასტურდება ლეონტი მროველთან, რაც შეიარაღებულსაც აღნიშნავდა და აღჭურვასაც (ჯავახიშვილი, 1962, გვ. 204).

როგორც ვხედავთ, **საჭურველი** და **ჭური** პარალელური, სინონიმური სიტყვებია, ხოლო **ჭურვილი** – ორმნიშვნელობიანი.

ამასთან, **შეჯავშნილ-შეიარაღებულ ქვეითად** იწოდებოდა **მებრძოლიც** და **ცხენიც**, ასევე **ჭურვილი**. XII-XIII საუკუნის ძეგლებში ჩნდება **საჭურველი**, შეიარაღებულ ადამიანს **შეჭურვილიც** ეწოდება და **აღჭურვილიც**. XII საუკუნის მხატვრული ძეგლებიდან კი ირკვევა, რომ **საჭურველი** იქცა მწიგნობრულ სიტყვად და ჩაანაცვლა **აბჯარმა**, როგორც იარაღის ზოგადმა სახელმა. **აბჯარი** ჩნდება IX-X საუკუნეებში, – აღნიშნავს ავტორი (ჯავახიშვილი, 1962, გვ. 206).

როგორც ირკვევა, **იარაღის** ზოგად სახელად **აბჯარს** ხმარობს სულხან-საბა ორბელიანიც, როგორც კრებითი მნიშვნელობით, ისე სპეციალური, დარგობრივი მნიშვნელობით. **აბჯარი** XVII-XVIII საუკუნეებშიც ჩანს, მაგრამ მის ნაცვლად უკვე XV საუკუნიდან ჩნდება სიტყვა **იარაღი**. **აბჯარი** ძველ საჭურველს და შემდგომ იარაღს გულისხმობს. ივანე ჯავახიშვილი ასკვნის, რომ სიტყვა **იარაღი** ქართულ სამხედრო ტერმინოლოგიაში თურქულიდან შემოვიდა და დამკვიდრდა XV საუკუნეში. **აბჯარი** (IX) და **იარაღი** (XV) ზოგადი ტერმინებია, მხოლოდ **აბჯარი** თავდასაცავი, **საჭურველი** – შესატევი, ხოლო **იარაღი** – ყველანაირი ხელსაწყო (ჯავახიშვილი, 1962, გვ. 213).

იარაღის აღსანიშნავად იხმარებოდა **სალაშქროც**, **ლაშქარი**, როგორც ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, სპარსული სიტყვაა და უძველეს ქართულ ძეგლებში არ დასტურდება. ამ ცნების აღსანიშნავად ჯერ **ერი**, შემდგომში კი **სპა** გამოიყენებოდა. ივანე ჯავახიშვილი მიიჩნევს, რომ **ლაშქარი**, როგორც უცხო სიტყვა, მტრის, სპარსელთა და არაბთა, **ჯარს** აღნიშნავდა, ამიტომ **ლაშქარი** IX საუკუნის მეორე ნახევრიდან ქართულში შეთვისებული ტერმინია. **სალაშქრო**, როგორც ივანე ჯავახიშვილი ფიქრობს, **საჭურველის** მნიშვნელობით ძალიან გავრცელებული არ ჩანს.

საჭურვლის გარდა, ძველ ქართულში ტერმინად დასტურდება **საბრძოლოც** და **მოკაზმულობაც** (ჯავახიშვილი, 1962, გვ. 215).

რაზე მეტყველებს ივანე ჯავახიშვილის კვლევა? ქართული ცნება-ტერმინების პარალელურად ჩნდება უცხო სიტყვები, რომლებიც მკვიდრდება, სინონიმური მნიშვნელობით გამოყენებული სიტყვები კი იცვლის სემანტიკურ მნიშვნელობას/იმენს სხვა მნიშვნელობას, ტერმინები გამოიყენება საერთო, ფართო ან ვიწრო მნიშვნელობით.

ივანე ჯავახიშვილს გამოყოფილი აქვს იარაღის მოხმარება-გამოყენებასთან დაკავშირებული გამონათქვამებიც, „ენას არა ერთხელ უკუუგდია და ახალი შემოულია“ (ჯავახიშვილი, 1962, გვ. 215), მაგალითად: **ჯაჭუჭურის** ჩაცმის ნაცვლად **ართხმა**; ასევე **საჭურვლის ჩაცმა**, **აბჯრის ჩაცმა** (ჯავახიშვილი, 1962, გვ. 215-216).

ივანე ჯავახიშვილი მიიჩნევს, რომ იარაღის სახელთა შესწავლისას დიდი მნიშვნელობა აქვს იარაღის განჯგუფებას დანიშნულების მიხედვით და წყაროებში გაბნეული მწირი ცნობების საფუძველზე ასკვნის, რომ **იარაღი** განირჩეოდა ლითონების მიხედვით, არსებოდა **მშვიდობიანობის დროს სახმარი** და **საომარი აბჯარი** (ჯავახიშვილი, 1962, გვ. 217). იარაღის ტარება, როგორც მეცნიერი ფიქრობს, XIX საუკუნემდე დიდად მიღებული არ იყო, იხმარებოდა გარკვეულ ასპარეზობისა და დარბაზობის დროს. მებრძოლი ჯარი ორ ნაწილად იყოფოდა: ერთი მხრით, **ქვეითი ჯარი**, მეორე მხრით, **მხედრობა – ცხენოსანი ჯარი**. ამასთან, განირჩეოდა **საფალავნო საომარი აბჯარი**, **საკაცო** და **საცხენო**, **საქვეითო** და **სამხედრო**.

ივანე ჯავახიშვილს შესწავლილი აქვს ქართული სამხედრო ტერმინები სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის მიხედვით, რომელიც, მეცნიერის აზრით, იძლევა XVII საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოში მიღებული აბჯრის ანუ იარაღის განჯგუფების წესის გათვალისწინების საშუალებას. ივანე ჯავახიშვილს იქვე მოჰყავს ცნობები, რომლებიც ადასტურებს ვახუშტი ბატონიშვილის მიერ იარაღის ჯგუფ-ჯგუფად ჩამოთვლას, უფრო მეტიც, მას იარაღის გარკვეული სისტემაც ჰქონია ჩამოყალიბებული (ჯავახიშვილი, 1962 გვ. 222-223).

ივანე ჯავახიშვილი საომარ იარაღის სახესხვაობებს ყოფს შემდეგ ჯგუფებად: *საძგერებელი იარაღი: შუბი, გმური, ლახუარი, ხიშტი; სატყორცნ-საძგერებელი იარაღი: მაზრაკი, სათხედი. სატყორცი იარაღი: საგორველი* (დიდ ქვას ეწოდებოდა),

საგდებელა, ფილაკავანი (არაბული სიტყვა). *სასროლი იარაღი: მშვილდ-ისარი, აქვე საისრე და კაპარჭი*, სინონიმური მნიშვნელობის სიტყვები. *დასარტყმელი იარაღი: ლახტი, გურზი. მკვეთი, მკვეთელი იარაღი: დამწა, დანა* („ვეფხისტყაოსანში“), ხმალი, სატევარი, ხანჯალი (სპარს.).

მეომარს ჯარში დაკავებული ადგილის მიხედვით სხვადასხვა **აბჯარი** ჰქონდა. *თავდასაცავი აბჯარი* იყო **საკაცო** და **საცხენო**; *საბრძოლო თავსაბურავებიდან: მუზარადი, ჩაფხუტი, ჩაჩქანი, ზუჩი, ზარადი, ჩაბალახი*. საგულისხმოა, რომ სულხან-საბა ორბელიანს, როგორც ავტორი ამბობს, საბრძოლო თავსაბურავების ხუთი ჯგუფი აქვს გამოყოფილი, კერძოდ: **დასარტყმელი რკინა (კვერცხი), ზარადი (ზუჩი, მუზარადი), საცხვირე, არაზარადვლებული (ჩაფხუტი), პოლოტიკი და ზარადი კისრის (ჩაჩქანი)**. ივანე ჯავახიშვილი ასკვნის, რომ საბრძოლო თავსარტყმლის ცალკეული დანიშნულების ნაწილს თავ-თავისი სახელი ჰქონდა (ჯავახიშვილი, 1962, გვ. 265).

ნაშრომში გამოყოფილია *თავდასაცავი აბჯრიდან გულმკერდის საცავი იარაღი: ჯავშანი, ჯაჭვის პერანგი*, რომლებსაც დამზადების ადგილისა და სახელოსნოსა და ქვეყნის მიხედვით განსხვავებული სახელები ეწოდებოდა. ესენია: **ჯაჭვი-ბეგთარი, ჯაჭვი-ბაბრაბი, ჯაჭუ-ჭური**, იგივე **რკინის სამოსი** (ჯავახიშვილი, 1962, გვ. 269-270). ცალკეა გამოყოფილი *ცხენის ჯავშანი და აკაზმულობა: ბარგისტანი, ავჟანდა, დეზი, სადავე, რახტი, ანუ აღვირედი, ლაგამი*. **მხედარი** თავდაპირველად ცხენოსანს ნიშნავდა (ჯავახიშვილი, 1962, გვ. 277-280).

როგორც ირკვევა, *ცეცხლის იარაღები*, ზოგადად, განვითარდა XVI საუკუნიდან. ცეცხლის მფრქვეველი იარაღი კი საქართველოში XVII-XVIII საუკუნეებამდე არ ჩანს. ქართველები მტრის **ზარბაზნებს** თოფით უხვდებოდნენ. თოფი ამ დროიდან საქართველოში მზადდებოდა, თუმცა **ლულა** უცხოეთიდან შემოჰქონდათ. ივანე ჯავახიშვილი განიხილავს **თოფთან** დაკავშირებულ გავრცელებულ ტერმინებს: **ყირიმი, მაჟარო, სიათა, თოფხანა, მეთოფე-მესროლენი** (ჯავახიშვილი, 1962, გვ. 281-282).

ივანე ჯავახიშვილს ასევე გამოყოფილი აქვს **სატარებელი იარაღი და მისი შემკულობა**, სამხედრო საქმე და ორგანიზაცია IX-XII საუკუნეებში, ქვეითი და ცხენოსანი ჯარი, საქვეითო და სამხედრო იარაღი და სხვ. ჩამოთვლილ ტერმინთა მსგავსად იქმნებოდა სხვა ტერმინებიც, მაგალითად: **ჯავშნოსანი** და **უჯავშნონი**,

აზგროსანი და უაზგრონი, აზგროსან-თოროსანი რაზმი. როგორც ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავს, სამხედრო რაზმის ერთ-ერთ ნაწილს **დრომონი** ეწოდებოდა. რაზმი დასტურდება „ვეფხისტყაოსანშიც“ (ჯავახიშვილი, 1962, გვ. 287).

ივანე ჯავახიშვილის ნაშრომი სრულ წარმოდგენას გვიქმნის ძველი სამხედრო ტერმინების გავრცელების, მოხმარებისა და წარმოების თაობაზე, ასევე სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის მნიშვნელობაზე სამხედრო ცნება-ტერმინების კუთხითაც. ივანე ჯავახიშვილი ფიქრობს, რომ იარაღის დარგობრივი და ქრონოლოგიური პრინციპის მიხედვით განხილვა უნდა ეფუძნებოდეს საჭურვლის რაიმე პრინციპით განჯგუფებას და, ტერმინების ანალიზზე დაყრდნობით, გამოთქვამს ვარაუდს, რომ შესაძლებელია საჭურვლის „ნაირნაირობის“ ჯგუფების გამოყოფა (ჯავახიშვილი, 1962, გვ. 216-217).

საგულისხმოა ისიც, რომ მრავალი ძველი სიტყვა დღესაც ცოცხალია და გამოიყენება დარგობრივი მნიშვნელობით.

ივანე ჯავახიშვილის ნაშრომის ანალიზის საფუძველზე, შეგვიძლია დავასკვნათ, ქართული სამხედრო ტერმინოლოგიის ისტორია იწყება IX საუკუნიდან, მთელი საუკუნეების განმავლობაში ხშირად გამოიყენება ნასესხობები, დასტურდება ერთი ცნების პარალელური ფორმების თანაარსებობა და ერთი ცნების მნიშვნელობის ჩანაცვლება სხვა მნიშვნელობით.

1.2. ნაშრომები ქართული სამხედრო ისტორიის შესახებ

ქართული სამხედრო ტერმინოლოგიის ისტორიის სრული სურათის შესაქმნელად განვიხილავთ თანამედროვე ისტორიკოსების ნაშრომებს, რათა გამოვკვეთოთ ის ფაქტორები (იარაღისა თუ ბრძოლების წარმოება), რომლებიც ეპოქალური მნიშვნელობით განაპირობებდა ახალი სამხედრო ტერმინების შექმნისა და შემოტანის აუცილებლობას.

საქართველოს სამხედრო ისტორიას ძირითად პერიოდებად ყოფს გ. ანჩაბაძე ნაშრომში „სამხედრო ისტორია“ (2002); ესენია: პირველი, ძველი მსოფლიოს ომების პერიოდი (უძველესი დროიდან ახ. წ. V ს-ის ბოლომდე), მეორე შუა საუკუნეების ომების პერიოდი (V ს-ის ბოლო - XVII ს), მესამე ახალი დრო (XVII ს-იდან 1918 წლამდე) და მეოთხე (1918 წლიდან ჩვენს დრომდე).

სამხედრო სფეროს ცალკეული პერიოდის თავისებურება გამოიხატება ჯარის სტრუქტურული ორგანიზებით, ბრძოლის წესებითა და საბრძოლო წყობებით, აღჭურვილობითა და გამოყენებული შეიარაღებით. მაგალითად, გ. ანჩაბაძე გვამღევს ფეოდალური საქართველოს ლაშქრის ბრძოლისთვის მოწყობას დროშების მიხედვით. ბრძოლის ველზე დროშები საბრძოლო წყობის ელემენტებს წარმოადგენდა, კერძოდ: **ავანგარდს – მეწინავე დროშა, მარჯვენა ფრთას – მემარჯვენე დროშა, მარცხენა ფრთას – მემარცხენე დროშა, ხოლო არიერგარდს – მეფის დროშა.** ცხადია, ეს მეტყველებს ჯარის საბრძოლო წყობისა და ბრძოლაში ჩაბმის ერთგვარ წესებზე, რაც მთლიანობაში ქმნის ტაქტიკას და რომლის აღსაწერადაც საჭირო ხდება სათანადო ქართული სახელდებები, როგორებიცაა: **მეწინავე დროშა, მემარჯვენე დროშა** და ა.შ. შესაბამისად, სამხედრო კუთხით მიმდინარე სიახლეები იწვევს სათანადო სამხედრო ტერმინების გაჩენასაც (ანჩაბაძე, 2002, გვ. 26).

მნიშვნელოვანი ტერმინოლოგიური ცვლილებები და ახალი ტერმინების წარმოება განაპირობა ცეცხლსასროლი იარაღის შემოტანამ საქართველოში. ცეცხლსასროლი იარაღის გაჩენასთან ერთად განვითარდა ტაქტიკა და ტაქტიკასთან დაკავშირებული ტერმინოლოგიაც. გ. ანჩაბაძის კვლევის მიხედვით, საქართველოში ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების პირველი შემთხვევა დასტურდება 1488 წელს, როდესაც მტერმა ზარბაზნის ცეცხლი გამოიყენა, ხოლო ქართული *ლაშქარი* XVI საუკუნის დასასრულამდე ძირითადად ცივი იარაღით იყო აღჭურვილი, ცეცხლსასროლი იარაღი კი ფართოდ გავრცელდა XVII საუკუნიდან (ანჩაბაძე, 2002, გვ. 27), რამაც გავლენა იქონია ბრძოლის წესების, საბრძოლო წყობების, სამხედრო მოქმედებებისა და მეომრების აღჭურვასთან დაკავშირებული ცნება-ტერმინების შემოტანასა და გავრცელებაზე/შემუშვებაზე. შესაბამისად, უნდა ვიფიქროთ, რომ იარაღის შემოტანას სდევს არა მარტო საკუთრივ იარაღის, არამედ იარაღის შემადგენელი ნაწილების, იარაღის სახეების, შეიარაღებული თუ შეუიარაღებელი ფენების სახელდებების შემოტანა და გათავისება როგორც პროფესიულ-დარგობრივი კუთხით, ისე მათი ასახვა სასაუბრო-სალიტერატურო ენაში (სხვა წყაროებთან ერთად მკვლევარი ეყრდნობა ლიტერატურულ ნაწარმოებებს, მათ შორის, „ვეფხისტყაოსანს“), მაგალითად: მშრომელი გლეხობისა და მხედარ-მოლაშქრეთა საზოგადოებრივ

ფუნქციების გამოყოფა (ანჩაბაძე, 2002, გვ. 25); **პატრუქიანი თოფი** (ანჩაბაძე, 2002, გვ. 27); **სახაზინო გემი, ბათქებით სროლა, ხაზოვანი წყობა და სხვ.**

ქართული სამხედრო ტერმინოლოგიის ჩამოყალიბებაზე გავლენას ახდენს სამხედრო საქმის განვითარება საქართველოში, რაც დამოკიდებული იყო გეოპოლიტიკურ ვითარებაზე, მეზობელ ქვეყნებსა და დამპყრობლებზე, მათ როლზე. ომების ხასიათი და მასშტაბი იცვლებოდა საზოგადოების პოლიტიკური, სოციალური, თუ ტექნიკური ფაქტორების ზეგავლენით. თუმცა, გ. ანჩაბაძის აზრით, ძირითადი ცვლილებები სამხედრო ხელოვნებაში გამოიწვია სამმა რევოლუციურმა ნახტომმა, როგორებიცაა: დენტისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოგონება, მანქანური საბრძოლო ტექნიკისა და ავტომატური იარაღის დანერგვა და რაკეტ-ბირთვული შეიარაღებისა და ომის უახლესი საშუალებების გაჩენა (ანჩაბაძე, 2002, გვ. 71) .

ცხადია, გარდამტეხი ფაქტორი ხდება სწორედ მარტივი იარაღით წარმოებული ბრძოლების ჩანაცვლება სამხედრო ტექნიკის გამოყენებით გამართული ომებით, რადგან „ომების ხასიათისა და მასშტაბების ცვლასთან ერთად იცვლებოდა მათი წარმოების ხერხებიც. გადამწყვეტ გავლენას სამხედრო ხელოვნების განვითარებაზე ახდენდნენ ბრძოლის საშუალებები, ანუ ადამიანები, საჭურველი და საბრძოლო ტექნიკა, რომლებიც, თავის მხრივ, დამოკიდებული იყვნენ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ წყობილებაზე, სამრეწველო წარმოების, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების დონეზე“ (ანჩაბაძე, 2002, გვ. 71). ამ ურთიერთგამომდინარე პროცესს კი, ცხადია, თან სდევს ძველი ტერმინების განდევნა, ახალი ტერმინების შემოსვლა, პარალელური ტერმინების გამოყენება ან ტერმინების მნიშვნელობის ცვლა, მთლიანობაში, სამხედრო ტერმინოლოგიის განვითარება.

შესაბამისად, სამხედრო ტერმინები გვაჩვენებს ქართული სამხედრო დარგის განვითარების დონეს, რაც უდავოდ სიმაღლეს აღწევს დამოუკიდებელი საქართველოს შეიარაღებული ძალების ჩამოყალიბების სამწლიან პერიოდში (1918-1921).

ამ პერიოდის სამხედრო ისტორია შესწავლილი აქვს დ. სილაქაძეს სადოქტორო კვლევაში, „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის რეგულარი ჯარისა და სახალხო გვარდიის ორგანიზაცია და შეიარაღება“, რომელშიც, როგორც თავად აღნიშნავს, პირველად მიმოიხილავს საქართველოში ახლად შექმნილ სამხედრო-ორგანიზაციულ სტრუქტურასა და შეიარაღებას. ამავე დროს, ხაზგასმით საუბრობს

რეორგანიზაციის გავლენის შედეგად წარმოქმნილი ქართული სამხედრო ტერმინების შემოტანა-დამკვიდრების მნიშვნელობის შესახებ. „ახალი ქვედანაყოფების ოფიციალური სახელები „გადაქართულდა“: პოლკს – რაზმი/ლეგიონი ეწოდა; ბატალიონს – ათასეული; ასეულს – გუნდი; ხოლო ოცეულს – მწყობრი.“ (ანჩაბაძე, 2023, გვ. 96); თუმცა იმასაც დასძენს, რომ ოფიციალური სახელწოდებების პარალელურად წერილობით წყაროებში ქვედანაყოფები მოიხსენიება ხან ძველი ტერმინებით, ხან – ახლით.

სინონიმური მნიშვნელობის ტერმინების გამოყენება, ივანე ჯავახიშვილის ზემოთ განხილული ნაშრომის მიხედვით, დამახასიათებელი მოვლენაა ქართულში ახალი ტერმინების შემოტანა-დამკვიდრების საქმეში. ამას ადასტურებს დ. სილაქაძის მიერ მოყვანილი შემთხვევაც, „კანონპროექტის დამტკიცების დროს პირველ და მეხუთე მუხლებში ტერმინი „რეგულარული არმია“ შეიცვალა „რეგულარული ჯარით“, მაშინ როდესაც კანონის სახელი დარჩა – „საქართველოს რესპუბლიკის რეგულიარული არმიის ორგანიზაციისა“ (სილაქაძე, 2023, გვ. 96). თუ განვიხილავთ ზემოთ მოყვანილ ჯარის სტრუქტურული შემადგენლობის აღწერას, დავინახავთ დამოუკიდებლობის პერიოდის სამხედრო ტერმინოლოგიურ სურათს. საინტერესოა, ერთი მხრივ, ახალი ქართულმდირიანი სამხედრო ტერმინების – **ათასეულის, მესანგრის**, ასევე ძველი ქართული სამხედრო ტერმინების – **რაზმის, გუნდების, მწყობრის** – გამოყენება და, მეორე მხრივ, უცხომდირიანი სამხედრო ტერმინების – **საარმიოს, საავიაციოს, დივიზიონის, რადიოტელეგრაფის, ფლოტილის** – გამოყენება, ასევე ყურადღება მისაქცევია უცხომდირიანი და ქართულმდირიანი ტერმინების, როგორებიცაა **მესანგრეთა/საპიორთა**, პარალელურ ფორმებად გამოტანა-გამოყენებაზეც. დამოუკიდებლობის პერიოდის ტერმინოლოგიური ვითარება მეტყველებს ახალ თუ ძველ ქართულ სამხედრო ცნება-ტერმინთა მოხმარების სიხშირეზე და ქართული ჯარის ქართულად ალაპარაკების მცდელობაზე.

როგორც აღნიშნული კვლევიდან ირკვევა, ქართული ჯარის ამ პერიოდის შეიარაღებიდან გამოიყოფოდა: შაშხანები, ტყვიამფრქვევები, არტილერია (სილაქაძე, 2023, გვ. 131). ამავე დროს საწყობებში ინახებოდა მცირე რაოდენობით სხვადასხვა ქვეყნის წარმოებისა და კალიბრის შაშხანები და კარაბინები: ფრანგული „ლეზელის“ სხვადასხვა მოდიფიკაცია; რუსული წარმოების „ბერდანა“; შვეიცარიულ-იტალიური

„ვეტერლი“; იაპონური „არისაკა“, გერმანული „მაუზერი“ (სილაქაძე, 2023, გვ. 126); საარტილერიო დანადგარები იყოფოდა შემდეგ სახეებად: საველე ქვემეხი, სამთო ქვემეხი, ჰაუბიცები, ასევე ჯავშანტექნიკა, ჯავშანმანქანები და ტანკები და სხვ.

ცხადია, შეიარაღების მრავალფეროვნება (თუმცა მწირი მარაგები, როგორც დ. სილაქაძე აღნიშნავს (სილაქაძე, 2023, გვ. 126);) მეტყველებს არა მხოლოდ ტექნიკის განვითარებაზე, არამედ საქართველოს შეიარაღებაში შემოსულ დანადგარებსა და სისტემებზე, რომლებიც საჭიროებს გამოყენებისა და მოვლა-პატრონობის წესების შესწავლას სათანადო წესდებებისა და სახელმძღვანელოების მიხედვით, რაც, თავის მხრივ, მოითხოვს სათანადო ქართული ტერმინების (შესატყვისების) დანერგვას, ტერმინებთან ერთად ახალი ცნებების შემოსვლასა და ახალი სახელების დამკვიდრებას.

როგორც ჩანს, დამოუკიდებლობის პერიოდში ქართული სამხედრო ცნება-ტერმინების შედგენა-შემუშავების გარდა, ცდილობდნენ ქართული სახელების დარქმევას ჯარის სტრუქტურული ერთეულებისთვის, მაგალითად: „გვარდიის ბატალიონებს მოიხსენიებენ არა ოფიციალურ სახელწოდებით, არამედ გასაწვევი ადგილის მიხედვით“ (სილაქაძე, 2023, გვ. 114), როგორიცაა: ზუგდიდის ბატალიონი, გორის ბატალიონი და სხვ.; თუმცა, როგორც დ. სილაქაძე ადასტურებს, ოფიციალურ თუ არაოფიციალურ საუბარსა და მიმოწერაში გვარდიის ერთი და იგივე ბატალიონი ორი სახელით მოიხსენიება (სილაქაძე, 2023, გვ. 114), ვთქვათ: კახეთის I ბატალიონი და თელავის ბატალიონი, კახეთის II ბატალიონი და სიღნაღის ბატალიონი. საინტერესოა იმ გამანადგურებელი კატარღების ქართული სახელები, რომელთაგან ერთ-ერთს „ვეფხისტყაოსნის“ მთავარი გმირის, ტარიელის, სახელი ეწოდა. დ. სილაქაძეს მოჰყავს საინტერესო ცნობა: „...კაპიტანი გოგავა მთავრობის თავმჯდომარესა და სამხედრო მინისტრს აცნობებდა, რომ „ტარიელი „პატარა კახზე“ სწრაფიც იყო და მძლავრიც“ (სილაქაძე, 2023, გვ. 273), ხოლო ავთანდილი ეწოდა გარემონტებულ #526-ს.

როგორც ვხედავთ, დამოუკიდებლობის პერიოდში სახელმწიფო პოლიტიკის ზეგავლენით არა მარტო იქმნებოდა ქართული სამხედრო ცნება-ტერმინები, არამედ იყო მცდელობა ქართული სახელწოდებები შეერქმიათ ჯარის სტრუქტურული ერთეულებისა თუ სამხედრო საშუალებებისთვის.

1.3. პირველი ქართული „სამხედრო-ტექნიური ლექსიკონი“ (1920)

XX საუკუნის დასაწყისში ტექნიკის განვითარების მხრივ შეინიშნება მნიშვნელოვანი მიღწევები მსოფლიო მასშტაბით, კერძოდ, იქმნება და უმჯობესდება მანქანა-დანადგარები, ხელსაწყოები, რომლებიც შემოდის საქართველოს რესპუბლიკის ჯარის შეიარაღებაში, ამასთან, ყალიბდება ჯარის ახალი სტრუქტურა, ქართული სახელწოდებები/სახელდებები კი არ არსებობს, საჭიროა უცხოური ცნება-ტერმინების „გადმოქართულება“.

პირველი ქართული რესპუბლიკის დაარსება ქართველი საზოგადოებისგან დიდ ძალისხმევასა და პასუხისმგებლობას მოითხოვდა, „რაც ჩვეულებრივ რამდენიმე თაობის და საუკუნის ნაშრომს წარმოადგენდა, იმის განხორციელება ცხოვრებამ ერთბაშად მოგვთხოვა, – წერს 1918 წელს რუსუდან ნიკოლაძე, – ჩვენი ერი რაც შეიძლება მოკლე ხანში მოწინავე ქვეყნების დონემდის უნდა აგვემაღლებინა და მთელი ჩვენი ცხოვრება ევროპულ პირობებში ჩაგვეყენებინა“... საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე ერთ-ერთ უმთავრეს საზრუნავად ქართული ენა გამოცხადდა“ (ქაროსანიძე, 2020, გვ. 6).

საზოგადოდ, ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნების უმნიშვნელოვანესი გზა სახელმწიფო ენის განვითარება და სრულყოფაა; ამიტომაც იქცა ქართველი საზოგადოების ერთ უმნიშვნელოვანეს საზრუნავად ეროვნული ტერმინოლოგიის შექმნა.

რთული ტექნოლოგიური სისტემების, ზოგადად, ტექნოლოგიების, გაუმჯობესება და პოლიტიკური გარდატეხა ქვეყნის ცხოვრებაში, როგორცაა, დამოუკიდებლობის მოპოვება, საფუძველს უყრის ახალ ეპოქას. საქართველოს აღმშენებლობის დაწყების ეტაპად უპირობოდ შეგვიძლია მივიჩნიოთ მე-20 საუკუნის დასაწყისი. ცალსახაა ისიც, რომ ქვეყნის სამწლიან დამოუკიდებლობას წინ უძღოდა ქართველი საზოგადო მოღვაწეების ბრძოლა ეროვნული ცნობიერების ამაღლებისთვის. ეროვნული საზოგადოების ჩამოყალიბება მჭიდროდ უკავშირდება პირველი ქართული უნივერსიტეტის დაარსებას 1918 წლის 8 თებერვალს. დადგა დრო, როდესაც ქართველებს მშობლიურ ენაზე უნდა ესწავლათ, თუმცა თავი იჩინა სხვა შემაფერხებელმა გარემოებამ, კერძოდ, „თითქმის მიახწია რუსეთის

პოლიციურმა მთავრობამ თავის მიზანს და ქართველი ერი ლამის შეაყენა გადაგვარების გზაზე. მან თვის სანუკვარ მიზნის განსახორციელებლად ჩვენი მშობლიური ენა ამოიღო თვალში: ამ ენის საშუალებით არ მიიღებოდა არც საშუალო, მით უმეტეს არც უმაღლესი სწავლა...” (ცაგარელი, 1920, გვ. I). მიმდინარე მოვლენების კვალდაკვალ, უნივერსიტეტში სამეცნიერო სკოლების ჩამოყალიბებამ და ქართულ ენაზე ახალი სასკოლო სახელმძღვანელოების გამოცემამ, სრული სიმწვავით გამოკვეთა დარგობრივი ტერმინოლოგიის შემუშავების საკითხი, რამაც განაპირობა ამა თუ იმ დარგის შესაბამისი სამეცნიერო ცნებების, ანუ ტერმინების, შექმნაზე მუშაობა. „სწორედ ამის მაგალითია... XIX-XX საუკუნეც, როდესაც ფაქტობრივი ახალი სახელმწიფოებრივი ხედვის ფორმირების პირობებში ყალიბდებოდა და ვითარდებოდა სწორი და მიზანმიმართული ენობრივი პოლიტიკა“ (არაბული, 2014, გვ. 8). სამშობლოს მომავალზე მოფიქრალთა მიდგომა ნათელია – ენის გადარჩენა დარგობრივი ტერმინოლოგიის შექმნითა და დახვეწით, ქართული ძირების გამოყენებით. ქართველი საზოგადოება მზად აღმოჩნდა ამ გამოწვევისთვის და 1918-1921 წლებში გაჩაღდა ტერმინოლოგიური მუშაობა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაფუძნება ქართული საენათმეცნიერო მუშაობის, კერძოდ, ტერმინთა შემუშავება-დამკვიდრების საწინდარი გახდა. ამ პერიოდის „ქართული ტერმინოლოგიური მუშაობა თავისი მიზნებით, პრინციპებით გადაუჭარბებლად შეგვიძლია შევადაროთ ძველ ქართველ მთარგმნელთა მუშაობას. ახალი ეპოქის გააზრება და მასში ქართული ენის ადგილის დამკვიდრებისათვის თავდადებული ბრძოლა, საყოველთაოდ დამტკიცება იმისა, რომ ქართული ენა „სხვათა სწორია“ (ქაროსანიძე, 2020) იქცა მე-20 საუკუნის დასაწყისის საზოგადო მოღვაწეთა მამოძრავებელ იდეად. ამ მიზანმიმართული მუშაობის შედეგი ახალი დარგობრივი ლექსიკონების გამოცემა იყო. ტექნიკის დარგში არსებული ჩამორჩენა შეავსო 1920 წელს საქართველოს ტექნიკური საზოგადოების მიერ გამოცემულმა „სიტყვარმა“ – რუსულ-ქართულმა ტექნიკურმა ლექსიკონმა (ღამბაშიძე, 1972, გვ. 18). ლექსიკონის შედგენას თავისთავად თან სდევდა ტერმინების დამუშავება ლინგვისტურ-მეთოდოლოგიური მიდგომებით, ტერმინების შემუშავების გზების ძიება, ძველი წყაროების (მასალების) შესწავლა. სწორედ ამ მიდგომებით ხელმძღვანელობდა ვლადიმერ ცაგარელი პირველი სამხედრო ლექსიკონის შედგენისას.

პირველი ქართული სამხედრო ტერმინოლოგიური ლექსიკონი საქართველოს დამოუკიდებლობის წლებში შეიქმნა, ქართული ტერმინოლოგიის მესამე, ე.წ. სიტყვარისტების ტერმინთშემოქმედების პერიოდში (ქაროსანიძე, 2014, გვ. 176).

ქართული სამხედრო და არა მარტო სამხედრო საზოგადოების ქართულ ენაზე ასამეტყველებლად სამხედრო ცნება-ტერმინების დადგენა-შემუშავება თუ შემოტანა-დამკვიდრება „მიზნად დაისახა“ პოლკოვნიკმა ვლადიმერ ცაგარელმა.

ვინ იყო ვლადიმერ (ლადო) ცაგარელი? მის შესახებ ბიოგრაფიული ცნობები არ იძებნება არც საბჭოთა ენციკლოპედიაში, არც სამხედრო ენციკლოპედიაში. ვლადიმერ ცაგარელის შესახებ ცნობები ასევე შეტანილია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში, *ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრებში* (<http://www.nplg.gov.ge/ilia/ka/00004120>), თუმცა უცნობია აქ შეტანილი ინფორმაციის წყაროები. აღნიშნული ბიოგრაფიული მონაცემების მიხედვით ვლადიმერ ცაგარელი ცნობილია ფსევდონიმითაც *ლ. მხედარი*, თუმცა ჩვენ მიერ მოძიებულ საარქივო მასალებში, გაზეთ „ჯარის კაცში“, ვხვდებით წერილების სერიას „ჯარი და ერი“ („ჯარი და ერი“, IV, გაზეთი „ჯარის კაცი“ 1917, #5; „ჯარი და ერი“, V, 1917, #8), რომელსაც ხელს აწერს *ძველი მხედარი*. შესაბამისად, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ვებგვერდზე თავმოყრილი ფაქტები საჭიროებს სამომავლო კვლევასა და დადასტურებას. გადასამოწმებელია ასევე ცნობა იმის შესახებაც, რომ ვლადიმერ ცაგარელმა შექმნა სატანვარჯიშო ტერმინოლოგია, რადგან, როგორც ცნობილია სატანვარჯიშო ტერმინოლოგია დიდი ხნით ადრე, 1912 წელს, შექმნა გიორგი ნიკოლაძემ და გამოსცა 1920 წლის ტექნიკური ტერმინოლოგიის („სიტყვარის“) დანართად (ქაროსანიძე, 2020, გვ. 9).

ვლადიმერ ცაგარელის ბიოგრაფიას ეხება თედო სახოკია მოგონებების კრებულში „ჩემი საუკუნის ადამიანები“ (სახოკია, 1969). მის შესახებ ინფორმაცია ასევე დასტურდება ლევან ჯიქიას სადოქტორო ნაშრომში „1924 წლის აჯანყება დასავლეთ საქართველოში“ (ჯიქია, 2012).

ვლადიმერ ცაგარელი დაიბადა 1878 (1873) წელს დუშეთის მაზრის სოფელ გოროვანში. იგი იყო სოფელ ნატახტრის მღვდლის, ალექსი ცაგარელის, შვილი. ლ. ცაგარელი სწავლობდა თბილისის სასულიერო სემინარიაში, საიდანაც „მგლის ბილეთით“ დაითხოვეს მეხუთე კლასიდან სემინარიის რეჟიმით უკმაყოფილო

მოწაფეთა მღელვარებაში მონაწილეობის გამო. საიუნკერო სამხედრო სასწავლებლის საუკეთესოდ დამთავრების შემდეგ როგორც ოფიცერი, მსახურობდა თურქესტანში, ახალციხესა და გროზნოში, ხოლო 1903 წლიდან – თბილისის მე-3 მსროლელთა ათასეულში. 1905 წელს რუსეთის გენერალური შტაბის კაპიტანთან, იოსებ გედევანიშვილთან, ერთად სათავეში ჩაუდგა ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის სამხედრო ორგანიზაციას, რომელსაც რუსეთის თვითმპყრობელობის დასამხოზად უნდა ეხელმძღვანელა იარაღით ხელში მებრძოლი რაზმებისთვის. 1905 წელს ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის სახსართა გასაძლიერებლად ივანე გედევანიშვილისა და ლადო ცაგარელის ხელმძღვანელობით მოეწყო დუშეთის ხაზინის ექსპროპრიაცია. მათ ხაზინიდან 60 000 მანეთი გაიტაცეს. მონაწილეთა ერთი ნაწილი საზღვარგარეთ გაიქცა, ხოლო ივანე გედევანიშვილი და ლადო ცაგარელი საქართველოში დარჩნენ და 2 წლით მეტეხის ციხეში ჩასვეს. ციხიდან განთავისუფლების შემდგომ მას გაურბოდნენ, არ იღებდნენ სამსახურში. სწორედ ამ პერიოდიდან ჩაება ის „ქართულ ლიტერატურაში“.

ვლადიმერ ცაგარელი 20 წელი ამუშავებდა (200 000 სიტყვა) დიდ სამხედრო ტერმინოლოგიის ლექსიკონს, მაგრამ 1941 წელს ომმა ხელი შეუშალა ხელნაწერის სტამბაში ჩაბარებასა და დაბეჭდვას.

1942 წელს გარდაიცვალა გულის სიდამბლით, დაკრძალულია კუკიის სასაფლაოზე (სახოკია, 1969, გვ. 260).

ლექსიკონის ხელნაწერის შესახებ თედო სახოკიას მიერ აღნიშნული ინფორმაცია ვერ მოვიძიეთ, რაც ამ მიმართულებით კვლევის გაგრძელების კიდევ ერთი განმაპირობებელი საკითხია.

ვლადიმერ ცაგარელის შესახებ ცნობას ვხვდებით ლევან ჯიქიას სადოქტორო ნაშრომში, რომელშიც აღნიშნულია, რომ ის იყო დამოუკიდებლობის კომიტეტის „სამხედრო ცენტრის“ წევრი. 1923 წლის 21 მაისს სამხედრო ცენტრის 15 ოფიცერი დახვრიტეს, დანარჩენები კი ძეზნილებად გამოაცხადეს“. ძეზნილთა ვრცელ სიაში, როგორც ლევან ჯიქია მიუთითებს, ნახსენებია ვლადიმერ ალექსანდრეს ძე ცაგარელი (სოციალისტ-ფედერალისტი) (ჯიქია, 2012, გვ. 63).

ვლადიმერ ცაგარელის შესახებ ინფორმაცია ასევე დაცულია ეროვნულ არქივში. არქივში შემონახული ოქმებიდანაც ირკვევა, რომ ვლადიმერ ცაგარელი იყო

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების აღწერილ ოქმებში დასტურდება სამი დოკუმენტი, რომლებიც თარიღდება 1914 წლით (<https://prosopography.iliauni.edu.ge/persons/5794-vladimer-aleqsandres-dze-tsagareli>).

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ციფრულ ფოტომატიანეში იძებნება ვლადიმერ ცაგარელის ფოტოსურათი (<https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/271736>).

კვლევა ცხადყოფს, რომ ვლადიმერ ცაგარელის 1920 და 1925 წლების სამხედრო ლექსიკონებში ასახულია ის სიტყვა-ტერმინები, რომლებიც საჭიროებისამებრ უკავშირდება იმ პერიოდისთვის არსებულ სამხედრო დარგობრივ მიმართულებებსა და საბრძოლო ტექნიკა-შეიარაღებას. უფრო მეტიც, 1920 წლის ლექსიკონის შექმნა განაპირობა გამართული ქართული სამხედრო დარგობრივი ტერმინოლოგიის საჭიროებამ. „მეცნიერებამაც და ჯარ-იარაღის ტექნიკამაც მეტად დიდი ნაბიჯები წარსდგა წინ სწორედ მეცხრამეტე და მეოცე საუკუნეში, ე.ი. იმ ხანაში, როდესაც ჩვენი თავი ჩვენ არ გვეყუდნოდა“ (ცაგარელი, 1920, გვ. II). ამ სამხედრო-ტექნიკური ტერმინოლოგიური სიცარიელის ამოვსების ცდა შედეგიანი აღმოჩნდა იმ მხრივ, რომ ლექსიკონში შეტანილი სამხედრო ცნება-ტერმინები „სავალდებულო“ და „საყოველთაო მოსახმარი“, ანუ უნიფიცირებული და სტანდარტიზებული გახდა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალებისა და ქართული სამხედრო შეიარაღების საშტატო-საორგანიზაციო თუ ქონებრივი ერთეულებისთვის ქართული სახელების მიცემისა და სათანადო სამხედრო ტერმინებისთვის ქართული შესატყვისების მისადაგების პროცესს დ. სილაქაძე გამოხატავს სიტყვით *გადაქართულება*, გ. ახვლედიანი იმავე პროცესს *ქართული ენით ამეტყველებას* უწოდებს, რაც მეტყველებს იმაზე, თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა დამოუკიდებლობის პერიოდის საქართველოში სამხედრო დარგისა და ქართული სამხედრო ტერმინების შექმნასა და დამკვიდრებას.

1.3.1. ლექსიკონის აგების პრინციპები

1920 წელს გამოცემულ სამხედრო ლექსიკონში ასახულია არა მხოლოდ ლადო ცაგარელის, არამედ თანამედროვე ეპოქის მოთხოვნები – ქართული ენა სახელმწიფო

ენაა და მას თავისი მდიდარი თუ მრავალფეროვანი ლექსიკური მარაგითა და გრამატიკულ-ლინგვისტური ხერხების საშუალებით ძალუმს სხვა ენათა დარად სრულფასოვნად აწარმოოს ნებისმიერი დარგობრივი ტერმინი.

ლექსიკონის წინასიტყვაობაში ავტორი „რუსეთის პოლიციური მთავრობის“ მიერ ქართველი ერის გადაგვარების სამიზნედ მშობლიურ ენას მიიჩნევს. „ქართულ ენას აღარ ჰქონდა ასპარეზი, არ ჰქონდა გასავალი და, თუ არა ჩვენი ღარიბი ჟურნალ-გაზეთობა და თეატრი, იგი მთლიანად მიკვდებოდა, აღმოიფხვრებოდა“ (ცაგარელი 1920: I). ავტორ-შემდგენელი აქვე კვეთს რეალურ სურათს – ქართული სამეცნიერო ენის/ტერმინოლოგიის არარსებობას, კერძოდ, ის აღნიშნავს, რომ მეცნიერების ყველა დარგს, „უმეტესად კი სამხედრო მეცნიერებას შეუკრეფელი და დაუმუშავებელი ტერმინოლოგია ჰქონდა“ (ცაგარელი, 1920, გვ. I).

აღნიშნული ლექსიკონის წინასიტყვაობა მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ავტორის თვალთახედვის გასააზრებლად, არამედ პოლკოვნიკ ვლადიმერ ცაგარელის, როგორც მეცნიერ-ლექსიკოგრაფისა და სამხედრო წესდებების მთარგმნელის, ტერმინოლოგიური მუშაობის მეთოდის გასაცნობად, რაც გამოიხატება შემდეგში: მას მიაჩნია, რომ ძველ მწერლობაში ბევრი მასალაა გაფანტული, რომლის შესწავლასაც სჭირდება დრო და „ათეული სპეციალი მომუშავე“, შესაბამისად, გათავისებული აქვს, ერთი მხრივ, დარგის სპეციალისტების საჭიროება და მნიშვნელოვნობა, მეორე მხრივ, ძველი მასალების გამოყენების აუცილებლობა და ახალი ტერმინების შექმნა, რაც, თავის მხრივ, ენის გამდიდრების საწინდარია.

ყურადსაღებია ის ფაქტიც, რომ სამხედრო-ტექნიურ ლექსიკონზე მიმდინარეობდა „შეთანხმებული, სწორად წარმართული მუშაობა“, რადგან ცალსახად გამოკვეთილი და მითითებული არიან მასზე პასუხისმგებელი პირები, კერძოდ, ლექსიკონი ნებადართულია რესპუბლიკის სამხედრო მინისტრის მიერ 1920 წლის 20 მაისს და დაბეჭდილია სამხედრო სამინისტროს სტამბაში (გამოცემა ოფიციალი); ამასთან, ლექსიკონი ოფიციალურად განიხილა ორმა კომისიამ, გენერალური შტაბის დანიშნულმა და დამფუძნებელ კრების სარედაქციო კომისიამ, გამოცემა ნებადართულია რესპუბლიკის სამხედრო მინისტრის მიერ; რაც მიუთითებს სამხედრო სპეციალისტებისა და მეცნიერების ერთობლივ მუშაობაზე. კომისიებთან ერთად მოწვეულმა მცოდნე პირებმაც, მ. ჯანაშვილმა, პ. მირიანაშვილმა, მიიღეს

მონაწილეობა და ლექსიკონი „დაუახლოვდა სასურველ სახესა და შინაარსს“. ამასთან, ზემოთაც აღვნიშნეთ, რომ ამ ლექსიკონით დიდად იყო დაინტერესებული ივანე ჯავახიშვილი, რომელმაც, მეთოდოლოგიური მითითებების გარდა, ვლადიმერ ცაგარელს მისცა „სამხედრო ტერმინების და სიტყვების“ საკუთარი კრებული (ცაგარელი, 1920, გვ. III).

1920 წლის სამხედრო ლექსიკონი რუსულ-ქართულია. სალექსიკონო ერთეულად გამოტანილ 3000 რუსულ სიტყვა-ტერმინს ახლავს ქართული შესატყვისები. სიტყვა-ტერმინები მარტივ ანბანთრიგზეა დაწყობილი. ვხვდებით ბუდობრივი პრინციპით დალაგებულ სალექსიკონო ერთეულებსაც.

ავტორი ითავისებს სამხედრო ტერმინების „ამგვარად დალაგების“ „პირველ ცდასთან“ დაკავშირებულ სირთულეებსაც, რომლებიც აღნიშნულ ფაქტორებთან ერთად გამოწვეულია იმითაც, რომ სამხედრო დარგი მრავალ დისციპლინას აერთიანებს.

ვლადიმერ ცაგარელს გააზრებული აქვს ლექსიკონის აგების ზოგადი პრინციპები, რაც გამოიხატება სალექსიკონო ერთეულების „ცალკე დალაგება-აღნუსხვით“, ამასთან, იცის თავისი ნაშრომის სამეცნიერო ღირებულებაცა და დარგობრივი მნიშვნელობაც, რაც გულისხმობს ლექსიკონის საბაზისო წიგნად მიჩნევას მომავალი თაობებისთვის და შემოთავაზებული ლექსიკოგრაფიული შესატყვისების დახვეწასა და გაუმჯობესებას: „ეს არის პირველი ცდა სამხედრო სიტყვა ტერმინების ცალკე დალაგება-აღნუსხვაში. უნაკლო და სავსებით დამაკმაყოფილებელნი ლექსნი და გამოთქმანი აუცილებლად მოჰყვება ამგვარ გამოცემათა და სამხედრო პირთა პრაქტიკულ-ლიტერატურულ მეცადინეობას. ვიმედოვნებ, რომ ჩემი მცირედი ნაშრომი მაინც გაუადვილებს სამხედრო ასპარეზზე მოსაქმეთ მეცნიერულ-ლიტერატურულ და პრაქტიკულ მუშაობას“ (ცაგარელი, 1920, გვ. VI).

ვლადიმერ ცაგარელი, როგორც თავად აღნიშნავს ლექსიკონის წინასიტყვაობაში, 1905 წლიდან თარგმნიდა სამხედრო წესდებებსა და სახელმძღვანელოებს, ჟურნალ-გაზეთებშიც აქვეყნებდა წერილებს სამხედრო საკითხებზე, რაც ძალიან მნიშვნელოვანი იყო, ერთი მხრივ, ქართული სამხედრო დარგის ჩამოსაყალიბებლად, მეორე მხრივ, ქართული საზოგადოების ცნობიერების

ასამაღლებლად, თუმცა განსაკუთრებული მნიშვნელობის საქმედ მაინც უნდა მივიჩნიოთ მისი „ცდა ქართული სამხედრო ტერმინოლოგიის შექმნისა, რაც მანამდე საქართველოში წარმოუდგენლად და შეუძლებლად ითვლებოდა...რაც რამ სამხედრო სათარგმნელი იქნებოდა ქართულად, უეჭველად ლადოს ხელი და თვალი უნდა მოხვედროდა, მის მიერ უნდა ყოფილიყო გამართული“ (სახოკია, 1969, გვ. 260). თავისთავად, მთარგმნელობითმა მუშაობამ განაპირობა ქართული სამხედრო-ტექნიკური ტერმინების შემუშავების გზების ძიება, რადგან „მეცნიერების თითქმის ყოველ დარგს და უმეტესად კი სამხედრო მეცნიერებას შეუკრეფელი და დაუმუშავებელი ტერმინოლოგია ჰქონდა“ (ცაგარელი, 1920, გვ. I). თარგმნის პროცესში გამოვლენილი სირთულეების გადასაჭრელად, უფრო ზუსტი შესატყვისების მოსაძებნად მან „მხსნელად“ გამოიყენა ძველი ქართული წიგნები და არსებული ლექსიკონები. დარგობრივი ტექსტის თარგმანისთვის საჭიროა როგორც საკუთრივ დარგის, ისე ამ ენაზე არსებული სათანადო ლექსიკონების ძირეული ცოდნა. ვლ. ცაგარელი შეგროვებულ და ანბანზე გაწყობილ სიტყვებს ჟურნალ „განათლებაში“ ბეჭდავდა, რაც საფუძველი გახდა ლექსიკონის შედგენისა. ჯარის ტაქტიკისა და სამხედრო შეიარაღების განვითარება ახალი გამოწვევების წინაშე აყენებდა ავტორ-შემდგენელს, შესაბამისად, მას უწევდა სიტყვა-ტერმინების შეთხზვა ან შედგენა (ცაგარელი, 1920, გვ. II).

თავდაუზოგავი მუშაობის მიუხედავად, ვლადიმერ ცაგარელის ნაშრომი ვერ იქნებოდა ლინგვისტურ-მეთოდოლოგიურად სრულად დახვეწილი, რამეთუ მისი ძირითადი საქმიანობა უფრო თარგმნას, ბეჭდვასა და კორექტურას მოიცავდა, ახლად შექმნილი სახელმწიფოს სამხედრო საქმის/დარგის ჩამოყალიბებისთვის „დიდი სიჩქარით“ მზადდებოდა სათანადო სამხედრო ლიტერატურა (ორი წლის განმავლობაში მან თარგმნა და გამოსცა „ყოველ დარგის ჯარის სხვა-და-სხვა წესდებები თითქმის ოცამდე“ (ცაგარელი, 1920, გვ. II). როგორც თავად გვამცნობს, სწორედ სამხედრო შინაარსის წერილების მომზადებისას ეცნობოდა არსებულ მასალებს, ლექსიკონებს, ხოლო ამოკრეფილ სიტყვებს აწყობდა ანბანზე, „შეთხზული ან შედგენილი სიტყვა-ტერმინები მხოლოდ ისეთებია ჩართული, რომლებიც ვერ ვიპოვნე ჩვენს ლექსიკონებ-წყაროებში და რომლებიც...არც მოიპოვება, რადგან

მეცნიერება და ჯარ-იარაღის ტექნიკამაც დიდი ნაბიჯები წარდგეს წინ“ (ცაგარელი, 1920, გვ. II).

საგულისხმოა, რომ ვლადიმერ ცაგარელი იაზრებს ტექნიკის მზარდი განვითარების პროცესს და ახალი ტერმინების შედგენა-შეთხზვის საჭიროებას, როგორც თავისთავად თანმდევ საგანს; თუმცა ის ქართულ ეკვივალენტებს თავდაპირველად ეძებს არსებულ მასალებში, ადგენს სათანადო მიახლოებულ ფორმებს, წინააღმდეგ შემთხვევაში კი ქმნის ახალ ფორმებს, ახალ შესატყვისებს, რასაც ხაზგასმით აღნიშნავს კიდევ.

ამასთან, ვლადიმერ ცაგარელი აზუსტებს იმასაც, რომ ლექსიკონის გამოცემით „ზოგიერთ ნახმარ ტერმინების და სიტყვების შეუთანხმებლობა“, როგორც ნაკლი, იქნება გამოსწორებული, რაც მეტყველებს იმაზე, რომ მას ლექსიკონი მიაჩნია ტერმინების სტანდარტიზების საშუალებად. მართლაც, „ტერმინოლოგიის სტანდარტიზაცია თითქმის ყოველთვის გულისხმობს არჩევანს მოცილე ტერმინებს შორის“ (სახელმძღვანელო, 2022, გვ. 14). ავტორ-შემდგენელი აკეთებს არჩევანს ქართულძირიანი სამხედრო ტერმინების გაცოცხლებისა და შექმნის სასარგებლოდ.

მნიშვნელოვანია, რომ ლექსიკონში შედის „ჩვეულებრივი სიტყვები და გამოთქმებიც“, რათა ქართული ენის ნაკლებად მცოდნე ოფიცრებს გაადვილებოდათ სამხედრო წესდებების გაცნობა და შესწავლა.

ლექსიკონში შეტანილია მის მიერ შემუშავებული სიტყვა-ტერმინები, მხოლოდ ისეთები, რომლებიც ვერ მოიძია ძველ ლექსიკონებში და არც იქნებოდა იქ, რადგან მათი საჭიროება დადგა მეცნიერებისა და საბრძოლო იარაღისა და მანქანების განვითარებასთან ერთად. ის მუშაობს არა მარტო ტერმინების შედგენასა და შეთხზვაზე, არამედ ტერმინოლოგიური მართვის გზების შერჩევაზეც. „საჭირო იყო დღე-და-ღამ მუშაობა თარგმანზე, ბეჭვდაზე და კორექტურის სწორებაზე. ამ გარემოებამ გამოიწვია ზოგიერთ ნახმარ ტერმინების და სიტყვების შეუთანხმებლობა სხვა-და-სხვა წესდებებში. ამ ლექსიკონის გამოსვლით გამოცემების ეს ნაკლი ადვილად იქნება შესწორებული“ (ცაგარელი, 1920, გვ. II). სწორი ტერმინების დანერგვა სამიზნე აუდიტორიის მზაობაზეა დამოკიდებული. ვლადიმერ ცაგარელი მიიჩნევს, რომ ლექსიკონი საჭიროებს დახვეწას, „ნაკლულების“ შესწორებას და იმედოვნებს „მკითხველი საზოგადოების“ ჩართულობას მოძიებული ფორმების

უკეთესი ფორმებით ჩანაცვლების პროცესში. მსგავსი მიდგომა ტერმინოლოგიური მუშაობისადმი უდავოდ შეესაბამება თანამედროვე ტერმინოლოგიური მუშაობის სტანდარტებს, რაც გამოიხატება იმით, რომ მას გააზრებული აქვს „დარგობრივი და საერთო მოხმარების ენებს შორის მუდმივი ურთიერთზემოქმედება...ლექსიკური მასალის მუდმივი გადადინება ორივე მიმართულებით“ (სახელმძღვანელო, 2022, გვ. 12), რადგან აღნიშნავს იმასაც, რომ ლექსიკონი გაუადვილებს შრომას სამხედროებს მეცნიერულ-ლიტერატურული და პრაქტიკული კუთხით, ასევე სამომავლოდ საფუძველი ჩაეყრება იმ დიდი შენობას, რომელსაც სამხედრო მეცნიერების ტაძარი ჰქვია და რომელიც აერთიანებს „თითქმის ყოველი დარგის სწავლა-მეცნიერებანს“ (ცაგარელი, 1920, გვ. IV).

უნდა დავძინოთ ისიც, რომ ლექსიკონს ერთვის შენიშნული შეცდომებიც, მაგალითად: დაბეჭდილია **საომარი ამოცანა** - უნდა იყოს **ბრძოლის ამოცანა**; დაბეჭდილია **სროლის სივრცე** - უნდა იყოს **სათოფარი**.

1.3.2. ტერმინოლოგიური სიტყვაწარმოება, სალექსიკონო ერთეულები

1920 წლის სამხედრო ლექსიკონის ზედმიწევნით შესწავლის შედეგად იკვეთება ავტორის გარკვეული მიდგომები ქართული სამხედრო სიტყვა-ტერმინების შემუშავებისადმი.

ვლადიმერ ცაგარელს გააზრებული აქვს ლექსიკოგრაფიული შესატყვისების დადგენის სირთულები, უფრო მეტიც, ითვალისწინებს სამომავლოდ სალექსიკონო ერთეულებისთვის ყველა შესატყვისის მითითებას, ხოლო გადაუთარგმნელი ტერმინებისთვის, ე.ი. უცხოპირიანი ცნება-ტერმინებისთვის, ახსნა-განმარტებების მიწერას, რათა სამხედრო პირობებში მომუშავეთ არ დასჭირდეთ დამატებითი ლექსიკონების, როგორიცაა უცხო სიტყვათა ან განმარტებითი ლექსიკონი, გამოყენება. ამავე დროს, პრაქტიკულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, მას განსაზღვრული და შემუშავებული აქვს რუსული ცნება-ტერმინებისთვის ქართული ეკვივალენტების მისადაგების გზები, კერძოდ, სამხედრო სიტყვა-ტერმინების შედგენისას/შეთხზვისას იყენებს გარკვეულ სიტყვაწარმოების ხერხებს, ლექსიკონი აგებულია ქართული ენის მდიდარი ლექსიკური მასალის საფუძველზე. შეინიშნება ქართული ფუძეების შემოტანისა და ახალი ფორმების შექმნის მცდელობა. მასში შეტანილია ტერმინები

მველი წყაროებიდან, დიალექტური და სალიტერატურო ქართული ენის ფორმები. ქვემოთ მოყვანილია მაგალითები 1920 წლის სამხედრო ლექსიკონიდან, რომლებსაც ფრჩხილებში მიწერილი აქვს 1925 წლის სამხედრო ლექსიკონის ფორმები:

ლაშქარი (არმია, армия), **გამოჯეკვა** (გამართულობა, выправка), **ამირბარი** (ადმირალი, адмирал), **ჯაბახანა** (არსენალი, арсенал), **თახუმი** (კომპლექტი, комплект), **ზუმბა** (ზუმბა, шомпол), **სოგმანი** (სოგმანი (საბა), шпонка), **ჯავშანი** (ჯავშანი, броня), **ვეზნა** (კუთხ. ფშ., წელის ჩანთა, поясная сумка), **აღლუმი** (მანევრი, маневр), **ფეთქა** (биеение), **ლულა, ღერო** (ტანი, лულა, ствол), **აჭექვა** (დეტონაცია, детонация), **ტაბუცი** (3. ტაბუცი კუთხ. ქიზ., валец), **ბანაკი** (ბივუაკი, бивуак), **ხვრეტილა** (бородокч), **კორა** (1. სამიზნე, კორა, 2. დამიზნება, прицел), **შესდექ, სდექ** (стой), **მოსხლეტა - სასხლეტი - დაღმართი** (3. სასხლეტი, спуск).

გამოყენებულია ტრადიციული ტერმინოლოგიური სიტყვაწარმოება და სიტყვათა თხზვა, მაგალითად: **თავდაცვა** (თავდაცვა, самозашита), **ჯარის-კაცი** (1. რიგითი, рядовой), **ფილთამეხი** (ბომბსატყორცნი, бомбомет), **ჰაერნავი** (დილიქაბლი, дирижабл), **ჭვრეტყიბლანი** (ბუსოლი, бусол), **თვითმოქმედი** (ავტომატი, автомат), **ელსასმენი, ტელეფონი** (ტელეფონი, телефон), **ჭვრეტსაზომი** (ალიდადა, алидада), **ჰაერდაწოლობა, ატმოსფეროს წოლვა** (ატმოსფერული წნევა, атмосферное давление), **ბანსანგარი** (ბლინდაჟი, блиндаж), **უკანმავალი** (არიერგარდი, арьергард), **უბეკამაქი** (спирт), **ჭახრაკხიდა** (ბუფერი, буфер), **ნემს-წვეტი, სარტყმელა** (საცემელი, წვეტი, боек), **სათოფავი, ყაბახი** (სასროლი მოედანი, სასროლეთი, стрельбище), **მორიგე** (მორიგე, дежурный), **მესანოფაგე, მესურსათე, მეულამე** (მეარტელე, არტელის წევრი, артельщик), **ლაშქრობა** (ლაშქრობა, ომი, походь), **ასეული** (ასეული, рота), **ათასეული** (ბატალიონი, аთასეული, баталион), **მედოლე, მედაფე** (მედოლე, барабанщик), **ოცეული** (2. ოცეული, взвод), **მესანგრე** (მესანგრე, сапёр), **ზედამხედველი, მეთვალთვალე** (დამკვირვებელი, მეთვალყურე, მზირი, наблюдатель), **დამმიზნებელი** (მემიზნე, მიმმართველი, დამმიზნებელი, наводчик), **საჭვრეთელი** (ბურღი, сверло), **მეთოფე, მესაჭურვლე** (მეიარაღე, მესაჭურვლე, оружейник).

1. კონკრეტული სიტყვის ზუსტი ეკვივალენტის უქონლობის გამო არის უცხო ენებიდან ნასესხები ფორმები, ე.წ. „საერთაშორისო“ სიტყვები, მაგალითად: **არტილერია** (არტილერია, артиллерия), **არტილერისტი**

(არტილერიისტი, артиллерист), **ბალისტიკა** (ბალისტიკა, балистика), **ბატარეა** (ბატარეა, батарея), **შტაბი** (შტაბი, штаб), **აზიმუტი** (აზიმუტი, азимут), **გრანატა** (გრანატა, граната), **ტრაექტორია** (ტრაექტორია, траектория), **ფორმულა** (ფორმულა, формула).

2. გვხვდება თარგმნითი სესხების შემთხვევები, კერძოდ: რუსული ენის კალკირება, თუნდაც რუსულში ეს სიტყვა იყოს სხვა ენების კალკი; მაგალითად: **წყალსაზომი** (წყალსაზომი, водомер), **შორსაზომი** (მანძილსაზომი, дальномер), **თბისაზომი** (თერმომეტრი, термометр), **გამყოლი**, **ეტიკი** (1. გზის მაჩვენებელი, მეგზური, ეტიკი, 2. გამყოლი, проводник).

3. მოცემულია შესიტყვებების თარგმანები, მაგალითად: **მდარე დენთი** (ფუჭი დენთი (მვ.), холостой порох), **უტყვიო ვაზნა** (ფუჭი ვაზნა, холостой патрон), **გამარჯვების საგნები** (ალაფი, ნადავლი, трофея), **ჩქარი სროლა** (ხშირი ცეცხლი, частый огонь), **ჯარის დაწყობა** (ჯარის მოწყობა, დაწყობა, построение войска), **მწყობრი სვლა** (მწყობრად გადაადგილება, стройное движение), **სამხედრო მსახური** (სამხედრო მოსამსახურე, военнoслужащій), **სამხედრო გაწვრთნილება** (სამხედრო, მხედრული გამართულობა, военная выправка), **ხელსაწყობის თახუმი** (ხელსაწყობის ნაკრები, набор инструментов), **საბრძოლო თახუმი** (საბრძოლო კომპლექტი, боевой комплект), **სალაშქრო ფორმა** (სალაშქრო ფორმა, походная форма), **სათვალთვალო ადგილი**, **პუნქტი** (სათვალთვალო პუნქტი, наблюдательный пункт), **საომარი ამოცანა** (საბრძოლო ამოცანა (1925), боевая задача), **მონარდე ჯარი** (დაქირავებული ჯარი, войско наёмное), **მწე ჯარი**, **ნიჯადი** (დამხმარე ჯარი, вспомогательная войска), **უწესრიგო სროლა** (უწესრიგო ცეცხლი, беспорядочный огонь), **ნივთების პარკი** (სანივთე ჩანთა, вещевой мешок), **ასაფეთქებელი ნივთიერებანი** (ასაფეთქებელი ნივთიერებანი, взрывчатные вещества), **ხელჩართული ბრძოლა** (ხელჩართული ბრძოლა, рукопашный бой), **ტანის ამოსამიზნი** (ფიგურული (ადამიანის სილუეტის) მიზანი, ამოსამიზნი, фигурная мишень).

ნათელია, რომ ქართული სამხედრო ლექსიკოგრაფიული შესატყვისების დადგენისთვის/ჰარმონიზაციისთვის ვლადიმერ ცაგარელი იყენებს მეთოდურ

სისტემას, შესაბამისად, ცაგარელი უდავოდ უნდა მივიჩნიოთ XX საუკუნის დასაწყისის ქართველ მეცნიერ-ლექსიკოგრაფად, რომელიც იმავდროულად განათლებით სამხედრო სპეციალისტია და აქვს თარგმნითი მუშაობის, რედაქტირებისა და ლექსიკონების შედგენის გამოცდილება, რასაც ეფუძნება ტერმინთშემოქმედების აღნიშნული მიდგომების მიგნება და გამოყენება, აგრეთვე ტერმინოლოგიური მუშაობის გზების დასახვა.

მართალია, 1920 წლის ქართული სამხედრო ლექსიკონი „პირველი ცდაა“, თუმცა, როგორც გიორგი ახვლედიანი აღნიშნავს, მას „საპატიო ადგილი ეკუთვნის ჩვენი ტერმინოლოგიის ისტორიაში“ (ახვლედიანი, 1924, გვ. V). საგულისხმოა, რომ „ცაგარელმა პირველმა შეადგინა „რუსულ-ქართული სამხედრო-ტექნიკური ლექსიკონი“ და გაამდიდრა სამხედრო დარგის ტერმინოლოგია, რომელიც თბილისის უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭომ შეამოწმა და ივანე ჯავახიშვილმა რეცენზია მისცა: „ეს შრომია ღირსია სამეცნიერო ხარისხისა“, ხოლო არმიის შტაბმა ჯილდოზე წარადგინა“ (<http://www.nplg.gov.ge/ilia/ka/00004120>). ეს კი თავისთავად გულისხმობს იმას, რომ სამხედრო ტერმინოლოგიის ისტორიის შესწავლისთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება ამ ლექსიკონის კვლევის საკითხს.

საზოგადოებისათვის უცნობი, ძალზე საყურადღებო საარქივო ცნობა გამოაქვეყნა მკვლევარმა სოფო ჭავჭავაძემ კრებულში „ტერმინოლოგიის საკითხები“ (2024). ავტორი აღწერს საქართველოს ეროვნულ არქივში დაცულ რამდენიმე დოკუმენტს, რომლებშიც აღწერილია სამხედრო ტერმინოლოგიის შემმუშავებელი კომისიის მუშაობის სპეციფიკა და საჭიროებები. ამ დოკუმენტის მიხედვით, სამხედრო პირები მიმართავენ განათლების სამინისტროს:

„სახალხო განათლების მინისტრს, ოპერატიული, 1919 წლის 2 დეკემბერი. რესპუბლიკის ჯარის სამშობლო ენაზედ აღსაზრდელად მრავალ-რიცხოვან წესდება-დებულებების ქართულად გადმოკეთების დროს ამ საქმისთვის არჩეული კომისია იძულებული იყო ბევრი ქართულ ენაში ამ ჟამად უხმარებული სიტყვები გამოეძებნა. რადგან ჯარი ისეთი ორგანიზაციაა, რომელშიდაც უნდა გატარებულ იქმნეს ჩვენი ერის მთელი ახალგაზრდობა, მათგან შეთვისებული სამხედრო ენა თანდა-თანობით გადაიქცევა მთელი ერის

ენად. ჯარში სახმარებელი ენა არანაკლებ წმინდა უნდა იყოს, ვიდრე საშუალო და უმაღლეს სასწავლებელში, რადგან ამ უკანასკნელებში სწავლობს ახალგაზრდობის მხოლოდ ერთი ნაწილი, რომელიც ამასთანავე შემძლეა კრიტიკულის თვალთ შებედოს ყველა სამოსწავლო ენაში შეპარულ შეცდომებს და თვითონ გამოასწოროს ის. ჯარში გატარებული მთელი ქართველი ახალგაზრდობა კი შეუკითხავად მიიღებს და დაიმახსოვრებს ყველაფერს იქ გაგონილს, რათა საბოლოოდ შემუშავდეს სამხედრო ტერმინოლოგიის ლექსიკონი, რასაც ზემონათქვამისაებრ პირდაპირ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს, არსდება კომისია, რომელშიდაც მუშაობის შესაფერი ავტორიტეტის მისაცემად საჭიროა შედიოდეს დამფუძნებელი კრების სარედაქციო კომისიისა და სახელმწიფო უნივერსიტეტის თითო წარმომადგენელი, რის გამო, სამხედრო მინისტრის ბრძანებისამებრ, მოგმართავთ თხოვნით, რომ აღნიშნულ კომისიაში დაინიშნოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთაგან ერთი წარმომადგენელი. გენერალი ზაქარიძე, ოპერატიული სექციის უფროსი პოლკოვნიკი გედევანიშვილი და სამწყობრო ნაწილის უფროსი პოლკოვნიკი დეკეკოვნიკი ივანოვი“ (სეა, სცა, ფ. 1935, ან. 1, N585, გვ. 1-1ა).

1920 წლის 10 იანვარს განათლების სამინისტრომ სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს გადაუგზავნა ზემოაღნიშნული წერილი და სთხოვა კომისიაში მონაწილე კანდიდატის ვინაობა ეცნობებინათ განათლების მინისტრისათვის. დოკუმენტს ხელს აწერენ: დირექტორი: ვ. ბერიძე, მდივანი: მ. ბერძენიშვილი და საქმისმწარმოებელი: ი. ეპიტაშვილი“ (სეა, სცა, ფ. 1935, ან. 1, N585, გვ. 2).

ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა 1920 წლის 20 იანვარს სახალხო განათლების სამინისტროს შემდეგი საპასუხო წერილი გაუგზავნა: „პასუხად თქვენი მომართვისა ამა იანვრის 10-დან N319, უნივერსიტეტის გამგეობას პატივი აქვს გაცნობოთ, რომ სამხედრო ტერმინოლოგიის ლექსიკონის შემდგენელ კომისიაში, რომელიც სამხედრო სამინისტროსთან დაარსებუ-

ლა, უნივერსიტეტის წარმომადგენლად არჩეულია პროფესორი ივანე ჯავახიშვილი. გამგეობის წევრი, პროფესორი: კ. კეკელიძე (სეა, სცა, ფ. 1935, ან. 1, N585, გვ. 3).

27 იანვარს აღნიშნული ცნობა განათლების სამინისტრომ გენერალური შტაბის უფროსს გადაუგზავნა და შეატყობინა, რომ უნივერსიტეტის მიერ შემოთავაზებული კომისიის წევრი პროფ. ივ. ჯავახიშვილი იქნებოდა. დოკუმენტს ხელს აწერენ: დირექტორი: ვ. ბერიძე, მდივანი: მ. ბერძენიშვილი და საქმის მწარმოებელი: ი. ეპიტაშვილი (სეა, სცა, ფ. 1935, ან. 1, N585, გვ. 4). „საყურადღებოა გენერალური შტაბის უფროსის, ზაქარიძის, მიერ წერილში აღნიშნული გარემოება, რომლის მიხედვითაც ჩანს, რომ სამხედრო ტერმინოლოგიაზე მომუშავე კომისიას ტერმინთა შერჩევისას იმ დროისათვის ქართულ ენაში „უხმარებელი“ სიტყვები გამოუძებნიათ. საინტერესოა, კომისიის წევრებს ეს ლექსიკური ერთეულები ქართული ენის დიალექტებიდან შემოჰქონდათ, ქართველური ენებიდან, საისტორიო წყაროებიდან თუ უცხო ენებიდან?! გენერლის თქმით, სწორად შერჩეულ სამხედრო ტერმინოლოგიას პირდაპირ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა ჰქონდა. სწორედ ამიტომაც მოიწვია მან საქართველოს უმაღლესი ორგანოს დამფუძნებელთა კრების სარედაქციო კომისიისა და ქართული უნივერსიტეტის წარმომადგენელი (2024, გვ. 281-299).

ქართული სამხედრო ტერმინოლოგიის სრული ისტორიის შესწავლისათვის მნიშვნელოვანია საარქივო მასალების სრულყოფილად შესწავლა, რაც, ცხადია, შეავსებს ამ პერიოდში მიმდინარე ქართული ტერმინოლოგიური მუშაობის დეტალებს.

1.4. 1925 წლის სამხედრო ლექსიკონი

საინტერესოა ის ფაქტი, რომ ცაგარელის პირველი ლექსიკონი საქართველოს დამოუკიდებლობის დროს გამოიცა, მეორე კი – უკვე საბჭოთა ეპოქაში. ამ ორი ეპოქის ტერმინოლოგიურ მუშაობას შორის არსებითი განსხვავების შესახებ შენიშნულია პირველი ტექნიკური ტერმინოლოგიური ლექსიკონის („სიტყვარის“) შესახებ

დაწერილ გამოკვლევაში „სიტყვარი – ქართული ტექნიკური ტერმინოლოგიის პირველი ლექსიკონი – 100 წლისაა“. სტატიაში განხილულია ნიკოლაძეების ტერმინოლოგიური მიდგომები, მათი მყარი და ჩამოყალიბებული არგუმენტები ტერმინთა გაეროვნულების შესახებ, რომელსაც მოგვიანებით საბჭოთა ეპოქის ინტერნაციონალური ტერმინოლოგიის პოლიტიკა დაუპირისპირდა (ქაროსანიძე, 2020, გვ. 5).

საბჭოთა ეპოქაში უპირატესობა უცხო წარმომავლობის სიტყვებს ენიჭება, მაშასადამე, განსხვავებულმა ეპოქამ განსხვავებული ტერმინოლოგიური მიდგომები მოიტანა, რომელიც 1925 წელს გამოცემულ სამხედრო ტერმინთა ლექსიკონს შესავალშივე ეტყობა. ლექსიკონი რომ ახალ ეპოქაშია შექმნილი, ამაზე მიუთითებს ლექსიკონის გარეყდის ზედა მარჯვენა კუთხეში წამძღვარებული წარწერა: „პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა შეერთდით!“

1924 წელს უმაღლესი სამეცნიერო დაწესებულების პროფესორთა საბჭოს მიერ შემოწმდა და დამტკიცდა 1920 წლის სამხედრო ლექსიკონის პრაქტიკული გამოყენება დაგროვილ დაუბეჭდავ სატერმინოლოგიო მასალასთან ერთად. ლექსიკონის განახლებული და შევსებული ვერსია 1925 წელს გამოიცა სამხედრო სარედაქციო-საგამომცემლო კომისიის მიერ. სამხედრო-ტექნიური ლექსიკონის მეორე გამოცემა შეამოწმა და დაამტკიცა უნივერსიტეტის პროფესორთა სამეცნიერო საბჭომ.

ლექსიკონს ერთვის გიორგი ახვლედიანის 1924 წელს დაწერილი წინასიტყვაობა, რომელშიც გიორგი ახვლედიანი, როგორც ჩანს, გარკვეულ შემთხვევებში ორი ტერმინის (ქართულის და უცხოურის) არსებობას უჭერს მხარს: ტერმინოლოგიის უქონლობა, წერს გიორგი ახვლედიანი, ერთი მხრივ, აფერხებს, ხოლო, მეორე მხრივ, საფრთხეში აგდებს როგორც ცალკეული დარგების, ისე საზოგადოებრივი ცხოვრების სწორ მდინარებას. თავის მხრივ, სირთულეს ქმნის ყველასათვის „სასტიკად სავალდებულო ტერმინოლოგიის“ შემოღება-დამკვიდრებაც. მისი აზრით, ქართული ტერმინოლოგიის არარსებობა, უფრო მეტიც, არაბუნებრივობა, განპირობებულია ქართული ენის მოდუნებით ასი და მეტი წლის განმავლობაში, სამეცნიერო აზროვნებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ენად გამოუყენებლობით. ამავე დროს, ქართული ლექსიკა გამოიყენება, „ცოცხალ ხმარებაშია“, მაგრამ ვერ ვუკავშირებთ იმ საგნებსა და ცნებებს, რომლებთან კავშირიც ბუნებრივად და აუცილებლობად

იქნებოდა აღქმული ჩვეულებრივი განვითარების პირობებში. უფრო მეტიც, „ქართულ ენაზე აზროვნების დაქვეითების ხანაში ჩვენი ენის მდიდარი ცოცხალი ლექსიკა და ფორმები დაუკავშირდა საყოველთაო საჭიროებათა საგნებსა და ცნებებს, და დღეს ჩვენ თითქოსდა უხერხულად ვცნობთ (სრულიად უმართებულოდ, რასაკვირველია) გამოვხატოთ იმავე სიტყვებითა და ფორმებით სამეცნიერო ან სხვა ამგვარი ცნებები“ (ახვლედიანი, 1924, გვ. IV). ასეთ შემთხვევაში გ. ახვლედიანი სხნას ძველ ქართულ სიტყვებსა და ფორმებში ხედავს. ამასთან, აუცილებლობად მიიჩნევს შემდეგსაც: „ჩვენი ცხოვრების ყოველივე დარგში უნდა ხდებოდეს სათანადო ტერმინოლოგიის შექმნის ცდა...“ (ახვლედიანი, 1924, გვ. V). ენათმეცნიერი ისიგრძეგანებს ამგვარი ცდის თანმდევი შეცდომების ალბათობასაც და ქართული აზროვნების ჩამოყალიბების მნიშვნელობასაც, რაც საბოლოოდ იქნება იმ „რიგიანი ტერმინოლოგიის“ შექმნის საფუძველი, რომელსაც სამეცნიერო საბჭო „ყველასათვის სასტიკად სავალდებულოდ გაჰხდის“.

ქართველი ოფიცრების და არა მარტო ოფიცრების, არამედ მეცნიერთა საზოგადოების „ქართული ენით ამეტყველებისთვის“ საჭირო იყო სათანადო ქართული ტერმინების, შესატყვისების მიგნება, რისთვისაც ქართული ენა „მზად“ არ აღმოჩნდა. გიორგი ახვლედიანი მიიჩნევს, რომ სამხედრო ტერმინოლოგიის შექმნის მოთხოვნილება ცალსახაა, მაგრამ ტერმინთშემოქმედება თანდათანობითი პროცესია და საჭიროებს მეცნიერულ მიდგომას. ქართული ენის ამ დრომდე სამეცნიერო ენად ჩამოყალიბებლობა კი განაპირობა ასზე მეტი წლის განმავლობაში ქართულის სამეცნიერო და საზოგადოებრივ ენად გამოუყენებლობამ. დღეს სირთულეს წარმოადგენს ქართული შესატყვისების უქონლობა. ამ დაბრკოლების გადასალახავად კი „საჭიროა ამეტყველდეს მთელი ერი თავისი მშობლიური ენით – ყოველ დარგში ქართულად იაზროვნოს და საჭირო ტერმინებიც გაჩნდეს.“ (ახვლედიანი, 1925, გვ. V). ქართული ტერმინოლოგიის შემუშავების მხოლოდ ერთი გზა არსებობს ყველა დარგში ტერმინოლოგიური მუშაობის წარმართვა, ქართული ლექსიკისა და ფორმების გათვალისწინების საფუძველზე, და სხვადასხვა დარგობრივი ტერმინოლოგიების გაერთიანება სამეცნიერო საბჭოს მიერ, რის საფუძველზე ქართული ცნება-ტერმინების მოხმარება „სასტიკად სავალდებულო გახდება“.

მეტად საგულისხმოა, რომ ტერმინოლოგიური მუშაობის, ტერმინთშემოქმედების „ცდად“ გიორგი ახვლედიანი მიიჩნევს 1920 წელს გამოცემულ ტექნიკოსთა „სიტყვარსა“ და 1920 წელს გამოცემულ ვლადიმერ ცაგარელის „სამხედრო-ტექნიურ“ ლექსიკონს“. მისი შეფასების თანახმად, ვლადიმერ ცაგარელი „მორიდებით“ ეპყრობა ენას. გიორგი ახვლედიანს შეცდომად მიაჩნია ყველა ტერმინის გაქართულება, თუმცა იქვე დასძენს, რომ ზოგიერთი უცხო ტერმინის თარგმნა საჭიროც არის და შესაძლებელიც. „ლ. ცაგარელი დაუდალავად წლობით ჰკრებდა ხალხში ხმარებულს ამა თუ იმ მოვლენისა თუ საგნის სახელებს, ეცნობოდა აგრეთვე, შეძლებისდაგვარად, ძველ წყაროებს და ლექსიკონს ამ გვარად ჰქმნიდა“ (ახვლედიანი, 1924, გვ. VI). გიორგი ახვლედიანი არ უგულებელყოფს იმასაც, რომ თუ ერი ამეტყველდება და იაზროვნებს მშობლიურ ენაზე, შესაძლოა, სამომავლოდ „გაქართულებულ უცხო სიტყვებს კანონიერი ხორცი შეესხას“ (ახვლედიანი, 1925, გვ. VII).

მეცნიერი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საქართველოს სამეცნიერო საბჭოს (ყოფილი „სასწავლო კომიტეტი“) მუშაობას, რომელსაც შემუშავებული აქვს სხვა დარგთა ტერმინოლოგია და რომელმაც განიხილა ვლადიმერ ცაგარელის მიერ შედგენილი სამხედრო ლექსიკონი. გიორგი ახვლედიანის აზრით, სწორედ ამ მუშაობის შედეგად დაკმაყოფილდა სამხედრო ტერმინების „უახლოესი საჭიროება“, სამხედრო საზოგადოება კი შესანიშნავი ბაზაა სამეცნიერო საბჭოს მიერ მიღებული ტერმინების გავრცელებისა და დამკვიდრებისა, მხოლოდ საბჭოს მიერ დადგენილი ფორმით. რასაკვირველია, დადგენილი ფორმების ხმარება ხელს შეუწყობდა ახალი სამხედრო ტერმინების გავრცელებას.

რუსულ-ქართული სამხედრო-ტექნიური ლექსიკონის 1925 წლის გამოცემა მოიცავს 5200 ერთეულს.

ვლადიმერ ცაგარელის ტერმინოლოგიური მუშაობის შედეგად პირველი ლექსიკონი შეივსო საბჭოს მიერ დამტკიცებული სხვა დარგობრივი ტერმინოლოგიითაც, როგორებიცაა: მათემატიკა, ასტრონომია. ეს კი, როგორც ავტორი აღნიშნავს მეორე გამოცემის წინასიტყვაობაში, მეტყველებს იმაზე, რომ სამხედრო-ტექნიური ლექსიკონი „არ შეიძლება იყოს და არც არის ვიწრო სპეციალური“

(ცაგარელი, 1925, გვ. XII). ნათელია, ვლადიმერ ცაგარელი ხაზს უსვამს სამხედრო საქმის მრავალდარგობრიობას, რაც წარმოადგენს სამხედრო სფეროს თავისებურებას.

ცხადია, შეთანხმებული ტერმინოლოგიის გამოყენებაში ჩანს ლექსიკოგრაფის სწორი მეცნიერული მიდგომა. გასათვალისწინებელია კიდევ ერთი ფაქტორიც, ვლადიმერ ცაგარელს განსაზღვრული ჰქონდა სამომავლო მუშაობის გზა, კერძოდ, თანდათანობით დაგროვილი მასალის გამოცემა ლექსიკონის დამატებებად, ამასთან, სურდა ქართულ-რუსული ვარიანტის მალევე გამოცემა.

საგულისხმოა ისიც, რომ ვლადიმერ ცაგარელს გათავისებული ჰქონდა ლექსიკონის მეორე გამოცემის შევსების აუცილებლობაც, რასაც ხელს უშლიდა სამხედრო წესდება-სახელმძღვანელოების გამოცემებზე მუშაობა, მაგრამ თარგმნით გამოცდილებაზე დაყრდნობა ეხმარებოდა, ერთი მხრივ, ზუსტი და გასაგები ტერმინების შექმნაში, მეორე მხრივ, ტერმინოლოგიის ხელოვნურობისა და შეუსაბამობის თავიდან არიდებაში.

როგორც ვხედავთ, ვლადიმერ ცაგარელი რუსულ-ქართული შესატყვისების დადგენის/ჰარმონიზაციის გზასაც სახავს; აგრეთვე გვთავაზობს მნიშვნელოვან მიდგომასაც, რისი შესრულების შესაძლებლობაც მას არ აქვს და ხსნის ამ მიდგომის გამოუყენებლობის მიზეზსაც. ესაა ლექსიკონის შედგენის შესაძლებლობა ფრანგულ-გერმანული ლექსიკონების საფუძველზე, რასაც სჭირდება თავისუფალი კაცი, რომლის მსგავსი სამხედრო უწყებას არავინ ჰყავს. ამავე დროს, ხაზს უსვამს ლექსიკონის აუცილებლად გამოსასწორებელ ნაკლს, კერძოდ, თითოეულ სიტყვას მიეწეროს ყველა შესატყვისი, ხოლო გადაუთარგმნელ ტერმინებს – ახსნა-განმარტებები, რათა საჭირო არ გახდეს დამატებითი ლექსიკონების გამოყენება.

ვლადიმერ ცაგარელი ლექსიკონზე სრულფასოვნად მუშაობის ხელშემშლელ პირობად სამხედრო გამოცემებზე დაუსრულებელ მუშაობასა და უსახსრობას ასახელებს.

ვლადიმერ ცაგარელი პატივისცემით აღნიშნავს ლექსიკონის შესწავლას პროფესორთა სამეცნიერო საბჭოს მიერ და მიაჩნია, რომ მათი მუშაობის შედეგად ლექსიკონის შინაარსი გაუმჯობესდა „ჩემი ლექსიკონის შინაარსის გაუმჯობესებას საკმაო ამაგი დასდო პროფესორთა სამეცნიერო საბჭომ“ (ცაგარელი, 1925, გვ. XIII). სხდომებს, რომლებიც დღეში 12 საათი და მეტი გრძელდებოდა, თავმჯდომარეობდა

ივანე ჯავახიშვილი, რომელიც ამჯერად უშუალოდ მონაწილეობდა თითოეული რუსულ-ქართული შესატყვისის დადგენაში, უფრო მეტიც, თითოეულ სიტყვას ამოწმებდა პირადად. ივანე ჯავახიშვილი ხელმძღვანელობდა სამეცნიერო საბჭოდან გამოყოფილ მცირე კომისიას, რომლის წევრები იყვნენ: გ. ახვლედიანი, ა. ბენაშვილი, ვ. ყიფშიძე. ავტორი დარწმუნებულია, რომ სამეცნიერო კომისიის მუშაობა, მათ შორის, ივანე ჯავახიშვილისა, „უცილობელ ავტორიტეტს“ მიანიჭებს ლექსიკონს.

ვლადიმერ ცაგარელი იაზრებს საზოგადოების ჩართულობის აუცილებლობას ლექსიკონის შედგენის საქმეში, კერძოდ, მოუწოდებს დაინტერესებულ პირებს, აღნუსხონ და მიაწოდონ რუსული სიტყვები თავისი შესატყვისებითურთ. მას მიაჩნია, რომ მსგავსი ტერმინოლოგიური მუშაობა იქნება სრული თემატური მასალის ლექსიკონში თავმოყრის საწინდარი.

1925 წლის სამხედრო ლექსიკონი დაახლოებით 2000 ერთეულით მეტია 1920 წლის სამხედრო ლექსიკონზე. საგულისხმოა, რომ 1925 წლის გამოცემისთვის დამატებული ქართული სალექსიკონო ერთეულები ძირითადად უცხოძირიანია. ცნება-სიტყვები კი ნათარგმნია, მაგალითად: Абсолютный – **აბსოლუტური**, Автотрансформатор – **ავტოტრანსფორმატორი**, Барограф – **ბაროგრაფი**, Бетон – **ბეტონი**, Биквадрат – **ბიკვადრატი**, Комуфляж – **კომუფლიაჟი**, **ნიშნობრიობის მომსპობი შეფერადება**, Конденсатор – **კონდენსატორი**, Концентрация – **კონცენტრაცია**, Фокус – **ფოკუსი**, Эшелон – **ეშელონი**, **ნაწილი რაზმის** და სხვ.

1925 წლის ვერსიაში დამატებულია ტერმინები და შესიტყვებები, თუმცა, ამავე დროს, ამოღებულია გარკვეული სალექსიკონო ერთეულებიც, მაგალითად: Ополченец – **ლაშქროსანი**, Обер-офицер – **ობერ-ოფიცერი**, Ополчение – **ლაშქრობა**, Подкрепление – **მშველელი** და სხვ.

საყურადღებოა ისიც, რომ 1925 წლის ლექსიკონში შეცვლილია არა მარტო რუსული ცნება-ტერმინების ქართული შესატყვისები, არამედ გასწორებულია არსებული მართლწერასთან დაკავშირებული კორექტურული შეცდომები, მაგალითად: Возвратная пружина (1920) – **Возвратная пружина (1925)**, Выводная трубка – **გამომყვანილი მილი (1920)**, უნდა იყოს **გამომყვანი მილაკი (1925)** და სხვ.

ლექსიკონში არის შემთხვევები, როდესაც სიტყვისთვის მისადაგებული რამდენიმე მნიშვნელობიდან 1925 წლის გამოცემაში შეტანილია მხოლოდ ერთი

მნიშვნელობა, მაგალითად: 1920 წლის გამოცემაში Гарнизон-ს შეესატყვისება **გარნიზონი** და მეციხოვნე, ხოლო 1925 წლის გამოცემაში მას შეესაბამება მხოლოდ **გარნიზონი**.

1925 წლის ვერსიაში დამატებულია ერთი ერთეულის რამდენიმე შესატყვისი, გათვალისწინებულია სიტყვათა მრავალმნიშვნელობიანობა და შესატყვისებს მითითებული აქვს გამოყენების სფეროც, რაც სავსებით შეესაბამება ლექსიკონის შედგენის თანამედროვე მიდგომებს. თუ 1920 წლის ლექსიკონში Блеск შეტანილია მხოლოდ **პრიალის** მნიშვნელობით, 1925 წლის გამოცემაში ერთი რუსული ფორმის შესატყვისად შეტანილია 7 ქართული სინონიმური მნიშვნელობის ფორმა, რაც მეტად საინტერესო სურათს ქმნის და ხაზს უსვამს ქართული ენის მრავალფეროვან ბუნებასა და მოქნილ სიტყვაწარმოებას, კერძოდ: **კრიალი, ბზინვა, ბრწყინვა, ელვარება, ბრჭყვიალი, პრიალი, ციალი**.

ცაგარელის ლექსიკონები ამ დრომდე არავის უკვლევია, მათ სრულად შესასწავლად ეს ლექსიკონები გავაციფრულეთ და ქართული ტერმინთბანკის ბაზაში გადავიტანეთ, რაც მათ სრულყოფილად გამოკვლევაში დაგვეხმარება. ამ თანამედროვე მიდგომით კვლევის შესახებ მომდევნო თავში ვისაუბრებთ.

1.5. სამხედრო ლექსიკონი (1976)

ბეჭდური სამხედრო ლექსიკონი შედგენილია ივ. შაიშმელაშვილის მიერ 1976 წელს. სამხედრო ლექსიკონს ერთვის ავტორის წინასიტყვაობა, რომელშიც აღნიშნულია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელთა როგნედა ღამბაშიძისა და ნ. მაყაშვილის, ასევე საქართველოს სსრ მწერალთა კავშირის მთარგმნელთა სექციის წევრების – მწერლების, რ. ქორქიას, ნ. აგიაშვილის, ჟურნალისტ მ. მამულაშვილის, გადამდგარ გენრალ-მაიორ ნ. კალაძის, თადარიგის პოლკოვნიკების ლ. გოგატაშვილისა და ა. ცინცაძის ჩართულობა ლექსიკონის შედგენის პროცესში (შაიშმელაშვილი, 1967, გვ. 6).

სამხედრო ლექსიკონი შედგება ორი ნაწილისგან: რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული. ლექსიკონი დაბეჭდილია გამომცემლობა „განათლების“ მიერ და აქვს მრავალმხრივი დანიშნულება; განკუთვნილია როგორც სამხედრო საქმის მასწავლებლებისა და სამხედრო საგნის შემსწავლელი ახალგაზრდებისთვის, ისე

სამოქალაქო თავდაცვის ორგანოების, მთარგმნელების, თავდაცვითი ხასიათის თემებზე, ტერმინოლოგიის საკითხებზე მომუშავე და სხვა დაინტერესებული პირებისთვის.

როგორც ავტორ-შემდგენელი აღნიშნავს, ლექსიკონის გამოცემის საჭიროება განაპირობა რაკეტულ-ბირთვული და მასობრივი დაზიანების იარაღის სახეობათა შექმნის შედეგად შემოტანილი ახალი ქართული სამხედრო ტერმინოლოგიის საჭიროებამ. ლექსიკონში ასახულია ტერმინოლოგია, რომელიც უკავშირდება თანამედროვე სამხედრო საქმეს ტაქტიკური, ოპერატიული და სტრატეგიული დონეების მიხედვით, ასევე დარგობრივ მიმართულებებს – შეიარაღებული ძალების სახეობები, ორგანიზაცია, ტექნიკა, სამხედრო-საინჟინრო, მატერიალური უზრუნველყოფის, საბრძოლო მომზადება და სხვ. (შაიშმელაშვილი, 1967, გვ. 3). ამავე დროს, სალექსიკონო ერთეულებად შეტანილია ისტორიული სამხედრო ტერმინები მასალისა და ავტორების მითითებით, მაგალითად: **набедреники и поножи всадника (часть панцыря)** საწმერთული „ამხედრებული ბარკლების დასაცავი ჯავშანი“ (ი.ჯ.), **лёгкое ружьё с нарезным стволом** – მაჟარი ანუ შაშხანა, მსუბუქი, დაკუთვილ ლულიანი თოფი (ნ. ჩ.), **парк** – პარკი, ჯელგმა (ლ. ც.); **самоохаживание** – ჩასანგრება, ხანდაკობა (ლ. ც.). ზოგიერთი ქართული ისტორიული ტერმინი მითითებულია ტრანსლიტერაციის წესით, მაგალითად: **мажари** (გруз.); **сацмертули** (გруз.); **амирбари** (გруз. ისტ.). ზოგჯერ რუსულ ტერმინს უწერია რამდენიმე ქართული ტერმინი, სხვადასხვა წყაროს დამოწმებით, მაგალითად: **войско** (ისტ.) (6 тыс. чел.) – **გუნდი (ისტ.) ლაშქარი ექვსი ათასი (ნ.ჩ.) ლეგიონი**; **доспехи** (ისტ.) см. **Латы, кольчуга, шлем и др.** – (XII ს-მდე იარაღსაც გულისხმობდა), **саჭურველი** (საბა: „საჭირველი - აბჯარი აღსაკაზმავი“), **იხ. ჯავშანი, ჯაჭვი, მუზარადი, საკაცო აბჯარი, საცხენე აბჯარი, საწვივე აბჯარი**; **адмирал - ამირბარი (ისტ.), ადმირალი, ჯარისთავი (საბა)**. ვხვდებით ისეთ შემთხვევებსაც, როდესაც დასტურდება ახალი სინონიმური ფორმები, მაგალითად: **марш - მარში, სვლა; маршрут - მარშრუტი, სვლაგეზი**; **нарез - ხრახნილი, ნაჭდევი** და სხვ. მითითებულია ტერმინის წარმომავლობა, მაგალითად: **саფანტი, ჩარჩმა** (თურქ.), **кастет - კასტეტი** (ფრ.), **ослоп (ისტ.) - ოსლოპი (ისტ.), საბრძოლო კეტი** (რუს.). მსგავსი სახით ქართული სალექსიკონო ერთეულების მითითება გვაძლევს ქართული სამხედრო ტერმინების განვითარებისთვის თვალის მიდევნების საშუალებას.

ლექსიკონის შედგენას საფუძვლად უდევს სულხან-საბა ორბელიანის, ქართულის ცხოვრების, სეხნია ჩხეიძისა და პაპუნა ორბელიანის შრომები, ნიკო და დავით ჩუბინაშვილების, ლადო ცაგარელის (1920 და 1925), ივანე ჯავახიშვილის „საომარი საჭურველი და სამხედრო საქმე“ მასალები, ქართული სამართლის ძეგლები, ვარლამ თოფურიასა და ივანე გიგინეიშვილის ქართული ორთოგრაფიული ლექსიკონი (1968), სიმონ ყაუხჩიშვილისა (1937) და ახალი რუსულ-ქართული ლექსიკონები, ქართული ენის განმარტებით ლექსიკონი (I-VIII ტომები), ასევე რუსული სამხედრო ტერმინების განმარტებითი (1966), რუსულ-თურქული, ფრანგულ-რუსული, რუსულ-ინგლისური სამხედრო და ტექნიკური ლექსიკონები.

ავტორის ცნობით, სამხედრო ლექსიკონის მნიშვნელოვანი წყარო იყო ძველი ქართული მხატვრული ნაწარმოებები, „ვეფხისტყაოსანი“, „ამირან-დარეჯანიანი“, „საქართველოს ზნეობანი“, „დიდმოურავიანი“ და სხვ. ასევე ლექსიკონის შედგენისას გათვალისწინებულია ქართულ ენაზე გამოცემული სამხედრო სახელმძღვანელოები, დარიგებანი და წესდებები: „საველე წესდება“ (1922), „დაავადებული შაშხანა“ (1932), „სროლის საქმის დარიგება, 1, შაშხანა“ (1933), „სახსოვარი ქვემეხის წმენდა და მოვლა-მოფრთხილებაზე“ (1932) და სხვ. (შაიშმელაშვილი, 1976, გვ. 4).

სამხედრო ლექსიკონი მოსახერხებელი გამოსაყენებელია, რადგან აგებულია ბუდობრივი პრინციპით. რუსული ტერმინის რამდენიმე ქართული შესატყვისიდან კი უპირატესობა პირველს ენიჭება. ლექსიკონს ერთვის გამოყენებულ შემოკლებათა სია.

1.6. სამხედრო ტერმინთა რუსულ-ქართული მოკლე განმარტებითი ლექსიკონი (1980)

რევაზ კავსადის მიერ შედგენილი სამხედრო ტერმინთა რუსულ-ქართული მოკლე განმარტებითი ლექსიკონი გამოქვეყნებულია 1980 წელს უნივერსიტეტის გამომცემლობის მიერ. ლექსიკონი განკუთვნილია ქართულ საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, პროფტექნიკურ სასწავლებლებსა და საშუალო სპეციალური განათლების ტექნიკუმებში თავდაცვითი სამხედრო-მასობრივი საქმით დაინტერესებული პირებისთვის, მასწავლებლებისა და მოსწავლე ახალგაზრდობისთვის.

ლექსიკონის ერთვის ავტორის წინასიტყვაობა. მასში შეტანილია დაწყებით სამხედრო მომზადებასთან დაკავშირებული 233 სამხედრო ტერმინი. სალექსიკონო

მასალებზე მუშაობისთვის გამოყენებულია შემდეგი რუსულენოვანი მასალები: სამხედრო განმარტებითი ლექსიკონი (1966), ოპერატიულ-ტაქტიკური ტერმინების მოკლე ლექსიკონი (1958), ოფიცრის ცნობარი სამხედრო ტოპოგრაფიაში (1973), საავიაციო ცნობარი (1965), ასევე ქართული ლექსიკონები: სამხედრო ლექსიკონი (1976), ქართული საბჭოთა ენციკლოპედია (I, II, III ტომები, 1975-77-78.).

მოკლე განმარტებითი ლექსიკონი მოიცავს ანბანურ რიგზე გაწყობილ რუსულ სამხედრო ტერმინებს სათანადო ქართული შესატყვისებითა და განმარტებებით. ქართულ სალექსიკონო ერთეულებს მითითებული აქვს ვიწრო დარგობრივი სფერო ან წარმომავლობა. მაგალითად: **აბსოლუტური სიმაღლე** /გეოდეზიაში, ტოპოგრაფიაში/, **ავანგარდი** /ფრანგ. მეწინავე რაზმი/.

ლექსიკონში ძირითადად მოცემულია ჯარის სახეობებსა და გვარეობებთან, ჯარის სტრუქტურულ შემადგენლობასთან, სამხედრო წოდებებთან, შეიარაღებასთან, ბირთვულ იარაღსა და ტაქტიკასთან დაკავშირებული სამხედრო ტერმინოლოგია.

ლექსიკონის რედაქტორია ა. ორახელაშვილი, რეცენზენტები არიან: ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი გ. თოფურია, პოლკოვნიკი ს. ჭოხონელიძე, თადარიგის გენერალ-მაიორი ივ. შაიშმელაშვილი.

აღნიშნულ სალექსიკონო მასალაზე ავტორთან ერთად მუშაობდნენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების სამეცნიერო ტერმინოლოგიის განყოფილების მეცნიერ-თანამშრომლები, რ. ღამბაშიძე და ლ. გელენიძე, თადარიგის გენერალ-მაიორი ივ. შაიშმელაშვილი და პოლკოვნიკი ვლ. ჭოხონელიძე.

საგულისხმოა, რომ საბჭოთა პერიოდში დაწყებითი სამხედრო მომზადების ლექსიკონის შედგენაზე დარგის სპეციალისტებთან ერთად მუშაობდნენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის თანამშრომლები, რაც განაპირობებდა შეთანხმებულ ტერმინოლოგიურ მუშაობასა და ლექსიკონში სტანდარტიზებული ტერმინების შეტანას, თუმცა, როგორც უკვე აღნიშნულია, საბჭოთა სტანდარტების გამო ქართულ ტერმინებს უპირატესობა არ ენიჭებოდა. ამ ვითარებიდან ერთგვარი გამოსავალი იყო, როგორც ჩანს, ქართველი ტერმინოლოგების მიდგომა, როცა ე.წ. საერთაშორისო ტერმინებს ხშირად სინონიმად უწერდნენ ქართულ ტერმინებს. დღეს ტექნიკური ტერმინოლოგიის ახალ

რედაქციაზე მუშაობისას ორი შესატყვისის (ქართულისა და არაქართულის) არსებობა გარკვეულ წინააღმდეგობას ქმნის, თუმცა უკვე გამოიკვეთა ახალი მიდგომები, რომლებიც ქართულ ტერმინთანკვე მუშაობასაც დაედო საფუძვლად (ქაროსანიძე, 2022-2023, გვ. 399). ქართული სამხედრო ტერმინოლოგიის მასალის დამუშავებისას სწორედ ამ მიდგომას ვიყენებთ, რის შესახებაც მომდევნო თავში ვისაუბრებთ.

1.7. სამხედრო ტერმინოლოგია (1987)

1925 წლის შემდეგ სამხედრო დარგობრივი ლექსიკონების შედგენის საქმეში დიდი წვლილი შეიტანა ივანე შაიშმელაშვილმა (გადამდგარმა გენერალ-მაიორმა), რომელმაც 1987 წელს გამოსცა ორენოვანი *სამხედრო ტერმინოლოგიის* ლექსიკონი, შედგენილი 1976 წელს მისივე გამოცემული მასალების საფუძველზე.

ლექსიკონის გამოქვეყნება დადასტურებულია საქართველოს სსრ მწერალთა კავშირის გამგეობის, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ოფიცერთა სახლთან არსებული სამხედრო-სამეცნიერო საზოგადოებისა და საქართველოს სსრ სამოქალაქო თავდაცვის შტაბის მიერ. ლექსიკონი გამოაქვეყნა გამომცემლობა *განათლება*. ლექსიკონის რეცენზენტია გადამდგარი გენერალ-მაიორი ნ. კალაძე.

აღნიშნული ლექსიკონი მოიცავს 16 000-ზე მეტ ტერმინსა და ტერმინოლოგიურ გამოთქმას. შედგება ორი ნაწილისგან; პირველი ნაწილი რუსულ-ქართულ ლექსიკოგრაფიულ ერთეულებს აერთიანებს, მეორე კი – ქართულ-რუსულს. ლექსიკონი ცალკე ნაწილის სახით მოიცავს დანართს *ძველი სამხედრო ცნებები და ტერმინები*.

ლექსიკონს უძღვის რ. ღამბაშიძისა და ავტორის წინასიტყვაობები. რ. ღამბაშიძე აღნიშნავს, რომ სამხედრო ტერმინოლოგიის მასალები განიხილეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო ტერმინოლოგიის განყოფილებაში. ახლად მომზადებული ლექსიკონი განსხვავდება ამავე ლექსიკონის 1976 წლის გამოცემისგან.

როგორც რ. ღამბაშიძე აღნიშნავს, ლექსიკონში შეტანილი ცნება-ერთეულები ავტორს უმეტესწილად ლიტერატურული წყაროებიდან აქვს მოძიებული, ნაწილი კი – „უშუალოდ ხალხშია შეგროვილი“ (ღამბაშიძე, 1987, გვ. 5).

ლექსიკონის მასალები მუშავდებოდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო ტერმინოლოგიის განყოფილების მიერ.

ლექსიკონების შედგენა-შემუშავების მეთოდოლოგიურ-სისტემური კუთხით მნიშვნელოვანია რ. ღამბაშიძის მიერ აღწერილი სამუშაო პროცესი, რომელიც შეგვიძლია დავყოთ საფეხურებად, კერძოდ:

ა) მასალის წინასწარი მომზადება, რაშიც შედის ტექსტის გადაწერა, ზოგადი და მომიჯნავე დარგის ტერმინების გაცხრილვა, შეჯერება გამოცემულ ტერმინოლოგიებთან;

ბ) მასალის დალაგება განყოფილებაში დადგენილი წესების შესაბამისად;

გ) ანბანური რიგის შემოწმება;

დ) სარედაქციო კოლეგიის ჩამოყალიბება, რომელიც ლექსიკონზე თითქმის ერთი წელი მუშაობდა და რომელმაც საბოლოოდ დაამტკიცა სამხედრო ტერმინოლოგიის რუსულ-ქართული ნაწილი. ლექსიკონის მეორე ნაწილი, ქართულ-რუსული, მომზადებულია სამეცნიერო ტერმინოლოგიის განყოფილების თანამშრომლების მიერ (ღამბაშიძე, 1987, გვ. 5-6).

როგნედა ღამბაშიძე ხაზს უსვამს ლექსიკონის მნიშვნელობას დარგობრივი კუთხით, რაც ვლინდება წინა გამოცემისგან სიტყვარითა და თარგმანებით განსხვავებული ვარიანტის მომზადებაში, უფრო მეტიც, ლექსიკონში შესულია ახალი ტერმინებიც, ხოლო ბევრი ტერმინი დაზუსტებული და გამართულია ქართული სიტყვაწარმოების საფუძველზე.

საგულისხმოა, ლექსიკონის აგებულების პრინციპი გაცნობაც: სალექსიკონო ერთეულები განლაგებულია მარტივ ანბანთრიგზე, ორ- და მეტსიტყვიანი გამოთქმები მოცემულია ინვერსიული წყობით, გამოყენებულია ბუდობრივი სისტემა, ხმარებულ ვარიანტზე მითითებულია სინონიმები.

ლექსიკონს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ერთვის ავტორის წინასიტყვაობაც. ივანე შაიშმელაშვილი კარგად ერკვეოდა სამხედრო დარგში და მისი განვითარების კუთხით ქართული სამხედრო დარგობრივი ტერმინოლოგიის მნიშვნელობაში³. მისი

³ივ. შაიშმელაშვილის შესახებ ცნობები შეტანილია ბიოგრაფიულ ლექსიკონში (საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა) (<http://www.nplg.gov.ge/bios/ka/00010096/>). მან 1950 წელს დაამთავრა მ. ფრუნზეს სახელობის სამხედრო აკადემია, შემდგომში – გენერალური შტაბის აკადემია.

შემოტანილი ტერმინებია: რიგითი, სამხედრო მოსამსახურე, ნაღმსატყორცნი, ნაღმსატყორცნელი, ჩაწერტება, მაალეხელი და სხვ.

ივანე შაიშმელაშვილი ლექსიკონის წინასიტყვაობაში ხაზს უსვამს ქართული სამხედრო ტერმინოლოგიის დადგენა-დახვეწის მნიშვნელობას, რასაც სამომავლოდ შენახვის კუთხით „ღვაწლი დასდეს ჩვენმა წინაპრებმა“, კერძოდ: სულხან-საბა ორბელიანმა, ვახუშტი ბატონიშვილმა, ნიკო და დავით ჩუბინაშვილებმა, ივანე ჯავახიშვილმა, თანამედროვეთაგან – „წითელი არმიის ქართული ნაწილების პრაქტიკოს-ხელმძღვანელებმა“, რომელთაგან გამოყოფს კონსტანტინე ლესელიძეს, მიხეილ მიქელაძესა და ლადო ცაგარელს. აქვე დასძენს ვლ. ცაგარელის მიერ ამ მიმართულებით შეტანილი წვლილის შესახებ, კერძოდ: ლადო ცაგარელმა 1921-1940 წლებში რუსულიდან ქართულ ენაზე გადმოთარგმნა და გამოსცა შეიარაღებული ძალების წესდებები და დარიგებები, და მიუთითებს, რომ სამუშაო პროცესში მონაწილეობდა თავადაც (შაიშმელაშვილი 1987: 7). ცხადია, ეს ფაქტი მოწმობს და ადასტურებს იმას, რომ ივ. შაიშმელაშვილი კარგად იცნობდა ლადო ცაგარელის საქმიანობას.

ივანე შაიშმელაშვილმა სამხედრო ტერმინოლოგიის შემუშავება-განვითარებისთვის, როგორც თავად აღნიშნავს, გამოიყენა ტერმინოლოგიური ხასიათის ნაშრომები, რომლებიც ქვეყნდებოდა არმიის ქართული შენაერთების სამხედრო გაზეთებში, ასევე პ. შამათავას რამდენიმე შემაჯამებელი პუბლიკაცია, ქართველი გენერლებისა და ოფიცრების მემუარულ-კვლევითი ხასიათის ნაშრომები, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია (შაიშმელაშვილი 1987: 7-8).

ავტორის აზრით, ლექსიკონისთვის დართულ, უცვლელად მოტანილ, ძველ ქართულ-რუსულ ცნებებსა და ტერმინებს შეუძლია დიდი სამსახური გაუწიოს დაინტერესებულ პირებს, რადგან ისინი ასახავს ქართული ლაშქრის, სამხედრო ხელოვნების, იარაღის ცნებებს. ავტორი მიიჩნევს, რომ ძველი ცნება-ტერმინების შესწავლა და შემონახვა მნიშვნელოვანია ისტორიული კუთხით „მეომრული მოქმედების თეორიისა“ და საუკუნეების განმავლობაში შემუშავებული „მხედრული

ის მსახურობდა წითელი არმიის ქართულ შენაერთებში, მონაწილეობდა მეორე მსოფლიო ომში, იკავებდა სხვადასხვა სამხედრო პოზიციას, მათ შორის, 1956-1969წწ. იყო საქართველოს სსრ სამოქალაქო თავდაცვის შტაბის უფროსი. ეკუთვნის რამდენიმე ნაშრომი.

ცნებების“ გასაგებად, ასევე მეზობელი ხალხების სამხედრო საქმესთან ბუნებრივი კავშირის გასააზრებლად (შაიშმელაშვილი, 1987, გვ. 8).

როგორც ვხედავთ, ივანე შაიშმელაშვილი სამხედრო ტერმინოლოგიის დადგენა-დახვეწისთვის მნიშვნელოვნად მიიჩნევს სამხედრო ხასიათის პერიოდული გამოცემების, ფუნდამენტური კვლევებისა და ძველი სამხედრო ცნებების გათვალისწინებას.

ყურადსაღებია, საბჭოთა პერიოდში შექმნილი ლექსიკონების უპირატესობა ის არის, რომ „ყველა ტერმინოლოგიური ლექსიკონი სპეციალისტებისა და ლინგვისტების ერთობლივი მუშაობის შედეგია, რომელიც წარიმართება ტერმინოლოგიური პრინციპების დაცვით“ (ლამბაშიძე, 1972, გვ. 20).

1.8. ინგლისურ-ქართული სამხედრო ონლაინლექსიკონი (2010)

ინგლისურ-ქართული სამხედრო ონლაინლექსიკონი ინტერნეტში გამოქვეყნდა 2010 წელს და ეყრდნობა აშშ-ის FM 101-5-1-სა, Operational Terms and Graphics, და რ. ბოვიერის (R. Bowyer, 2007) *სამხედრო ტერმინების ლექსიკონსა* და სხვა მითითებულ მასალებს. ონლაინლექსიკონი შედგენილია 2009 წელს, თავდაცვის სამინისტროს დაკვეთით, თსუ ლექსიკოგრაფიის ცენტრში, შემდგენლები არიან: თინათინ მარგალიტაძე (რედაქტორი), გიორგი მელაძე, გელა ხუნდაძე. არსებობს ლექსიკონის ელექტრონული ვერსიაც, რომელიც ამ ტიპის პირველი ქართული ელექტრონული ლექსიკონია. ლექსიკონის შესახებ ინფორმაცია და ლექსიკონის გამოყენების ინსტრუქციის ბმულები განთავსებულია პირველივე გვერდზე (<https://mil.dict.ge/ka/guide/>).

ონლაინლექსიკონი მოიცავს 9400 ტერმინს, რომლებიც უკავშირდება ტაქტიკას, ოპერაციებს, წვრთნებს, პერსონალს, სამხედრო წოდებებს, ძირითად საზომ ერთეულებსა და სხვა სამხედრო სფეროებს. ლექსიკონში შედის სამხედრო-ისტორიული ტერმინებიც, სასაუბრო და სლენგური სიტყვები, ასევე გამოთქმები, გავრცელებული აბრევიატურები, ერთვის აბრევიატურების ინდექსიც. ინგლისურ სიტყვებსა და შესიტყვებებს მიწერილი აქვს ტრანსკრიფციები. სალექსიკონო ერთეულების გარკვეულ ნაწილს დართული აქვს განმარტებები.

ლექსიკონი ძირითადად ინგლისურ-ქართულია, მაგრამ პროგრამული მხარდაჭერიდან გამომდინარე შესაძლებელია ქართული მასალის მოძიებაც.

საგულისხმოა, ავტორების მცდელობა, სიტყვა-სტატიების უკეთ გაგების მიზნით ტერმინების გამოყენების სხვადასხვა შემთხვევის მაგალითად მოყვანისა, რაც ხელს შეუწყობს ტერმინების აღქმას. ამავე დროს, ყურადსაღებია ლექსიკონზე მუშაობის შედეგად გამოთქმული დასკვნა, „ქართული ჯარის ფორმირების კვალდაკვალ იქმნება და ყალიბდება თანამედროვე ქართული სამხედრო ტერმინოლოგია.“ (<https://mil.dict.ge/ka/guide/>).

ინგლისურ-ქართული სამხედრო ლექსიკონი მრავალ მიმართულებას აერთიანებს. ლექსიკონის შედგენაზე მუშაობდნენ სამხედრო პირები და მასში მრავალი საჭირო ტერმინი თუ განმარტება იძებნება, თუმცა სამხედრო მასალებზე მუშაობისას ერთგვარ გაურკვევლობას იწვევს რამდენიმე პარალელური ქართული ფორმით გამოხატული ერთი ინგლისური ცნება-ტერმინი, კერძოდ, სხვადასხვა მთარგმნელი იყენებს სხვადასხვა ფორმას, რაც ართულებს ნათარგმნი ტექსტის აღქმასა და სიზუსტეს. მაგალითად: screening – დაზ. წინასწარი შერჩევა/შეფასება, roadblock – 1. ბარიერი, დაბრკოლება 2. საკონტროლო-გამშვები პუნქტი; საკონტროლო-გამშვებ პუნქტზე მდგომი ქვედანაყოფი; Diversion – 1. ყურადღების გადამტანი დარტყმა/იერიში; ყურადღების გადამტანი მანევრი/მოქმედება; 2. შემოვლითი გზა; insertion – 1. 1) გადასხდომა/დესანტირება, გადაადგილება (საბრძოლო მოქმედებათა ზონაში); 2) ჯარის გადასხმა/დესანტირება, გადასროლა, გადაყვანა (საბრძოლო მომედებათა ზონაში); barrage – 1. არტ. ცეცხლის ტალღა; გადამღობი ცეცხლი, ცეცხლის ფარდა. ამასთან, ინგლისურ ცნება-ტერმინთა შესატყვისად ზოგჯერ მოცემულია ვრცელი განმარტებები ან შესიტყვებები, რომლებიც მოუხერხებელია სახელმძღვანელოებსა და სხვა გამოცემებში გამოსაყენებლად, რადგან სამხედრო ტექსტები მოითხოვს სიცხადესა და გამჭვირვალობას, მაგალითად: release point (road) – მარშისას ქვედანაყოფების თავ-თავიანთ უშუალო მეთაურთა დაქვემდებარებაში დაბრუნების პუნქტი; targeting – მიზანზე საცეცხლე ზემოქმედების დაგეგმვა; handover line პასუხისმგებლობის გადაბარების ხაზი; passage of lines – საკუთარი შენაერთების/ქვედანაყოფების საბრძოლო პოზიციების გავლით გადაადგილება.

მიუხედავად ამისა, ონლაინლექსიკონის გამოყენება მარტივი და მოსახერხებელია თანამედროვე სტანდარტებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად გამართული ვებაპლიკაციის მეშვეობით.

1.9. სამხედრო-ტექნიკურ ტერმინთა ელექტრონული ლექსიკონი (2013)

2013 წელს თავდაცვის სამინისტროსა და თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტს შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე მომზადდა სასაქონლო მარაგების სამხედრო-ტექნიკურ ტერმინთა ელექტრონული ლექსიკონი (<http://www.saqinform.ge/news/29073/Tsu-shi+samxedro+teqnikur+terminTa+eleqtronuli+leqsikoni+waradgines.html>).

პროექტი მიზნად ისახავდა სამხედრო-ტექნიკურ ტერმინთა სტანდარტიზებასა და ნორმირებას, ენობრივ გამართვას გრამატიკული და მართლწერის თვალსაზრისით, რათა თავიდან აერიდებინათ მარაგების დასახელებების გამეორება და მათი რაოდენობრივი უზუსტობა.

ლექსიკონის შედგენა წარიმართა შემდეგი გზით: თავდაცვის სამინისტროსა და გენერალური შტაბის სათანადო სამსახურებს დაევალებათ, აღეწერათ არსებული მასალა, კერძოდ, სასაქონლო მარაგების ნუსხები, რომლებიც მოიცავდა სხვადასხვა პირის მიერ წლების განმავლობაში შედგენილ ცხრილებს. აღინუსხა და შედარდა საწყობებში დაგროვილი და შენახული მარაგები, რომლებიც დაიყო სათანადო კლასებად. სამხედრო ტერმინთა ჩამონათვალის ელექტრონული ვერსიის საფუძველზე, ენათმეცნიერებისა და დარგის სპეციალისტების ერთობლივი მუშაობის შედეგად, შესაძლებელი გახდა სასაქონლო მარაგების დასახელებების შეჯერება, ახალი შესატყვისების მისადაგება. შესაბამისად, აღნიშნული ელექტრონული ლექსიკონის შედგენით მოწესრიგდა სასაქონლო მარაგების ქართული სამხედრო ტერმინოლოგია, რომელიც ყოველდღიურად გამოიყენება თავდაცვის სამინისტროს მიერ.

სწორედ აღნიშნულ ლექსიკონზე მუშაობისას გაჩნდა იდეა თავდაცვის სამინისტროსა და თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის თანამშრომლობის საფუძველზე თავდაცვის სამინისტროს მიერ ქართული ენის ტერმინთა ბანკის პროგრამული მხარდაჭერისა.

1.10. ქართული სამხედრო ენციკლოპედიური ლექსიკონი (2017)

ქართული სამხედრო ენციკლოპედიური ლექსიკონი გამოიცა 2017 წელს, ინტერნეტში განთავსებულია შემდეგ მისამართზე: https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/241702/1/KartuliSamxedroEnciklopediuriLeqsikon_i.pdf.

ქართული სამხედრო ენციკლოპედიური ლექსიკონის შექმნას საფუძვლად დაედო ქართველოლოგიის, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების ფონდის (რუსთაველის ფონდი) საგრანტო პროექტი. ლექსიკონის გამოცემასა და მომზადებაში მონაწილეობდნენ თავდაცვის სამინისტრო, ქართული ენციკლოპედიის ირ. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია და არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი.

ლექსიკონი მოიცავს 4200 ცნება-ტერმინს. მასზე გენერალ-მაიორ ელგუჯა მემძარიაშვილთან (რედაქტორი) ერთად მუშაობდნენ გენერალ-მაიორები, თენგიზ შუბლაძე, ვახტანგ კაპანაძე, ასევე მთარგმნელები, შ. ბაიაძე, და სხვ.

სამხედრო ენციკლოპედიაში შესულია სხვადასხვა მიმართულების სამხედრო დარგობრივი ტერმინები, როგორებიცაა: შეიარაღებული ბრძოლის კანონები და ომის წარმოების ნიშნები; ხმელეთზე, ზღვაში, ჰაერსა და კოსმოსში შეიარაღებული ბრძოლის მეთოდები; შეიარაღებული ძალების ჩამოყალიბება, დაკომპლექტება, საბრძოლო მომზადება და სწავლება; შეიარაღებული ძალების ცალკეული სახეობები და მათი მოქმედებები; სამხედრო სფეროს მატერიალური რესურსების მომარაგება-განაწილება; შეიარაღება და სამხედრო ტექნიკა; სამხედრო ისტორია, საქართველოში და საზღვარგარეთ მოღვაწე მხედართმთავრები; საზოგადოებრივი, საბუნებისმეტყველო და ტექნიკის დარგები.

ლექსიკონში მოცემულია ანბანურ რიგზე დალაგებული ცნება-ტერმინების განმარტებები. აღნიშნული ლექსიკონი, ერთი მხრივ, ითვალისწინებს *ნატოს* სტანდარტებთან შესაბამისობას, მეორე მხრივ, მოიცავს საქართველოს სამხედრო ხელოვნების ისტორიულ და სამხედრო თეორიის უახლეს მონაცემებს.

ელგ. მემძარიაშვილი სალექსიო კურსის, „ქართული სამხედრო ტერმინები და განმარტებები სამხედრო დარგების მიხედვით“, დასკვნით ნაწილში განმარტავს სამხედრო ტერმინების სისტემატიზაციისა და გამართულობის მნიშვნელობას

როგორც სამხედრო ორგანიზაციისთვის, ისე სახელმწიფოსთვის. მისი თქმით, გამართული ტერმინოლოგია საჭიროა შეიარაღებული ძალების მოქმედებების მიღებული ტერმინებით აღსაწერად, ასევე სტრატეგიულ და სამხედრო პარტნიორებთან თანამშრომლობისთვის.

ელგ. მეძმარიაშვილი დღემდე გამართული ქართული სამხედრო ტერმინოლოგიის უქონლობას ხსნის იმით, რომ საქართველოს ისტორიული პრობლემები შეექმნა, რაც გამოიწვია სამასწლიანმა წყვეტამ სამხედრო ხელოვნების თეორიაში, საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვამ, ჯერ რუსეთის იმპერიის, შემდეგ კი საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ყოფნამ, როდესაც სამხედრო დარგში გამოიყენებოდა რუსული ცნება-ტერმინები. შესაბამისად, ქართული სამხედრო ენციკლოპედია თავს უყრის კლასიფიცირებულ სამხედრო ტერმინებს, თანამედროვე და საერთაშორისო ტერმინოლოგიის გათვალისწინებით (მეძმარიაშვილი 2018: 638)

1.11. ქართული სამხედრო ტერმინოლოგიური პროექტები

ქართული სამხედრო ტერმინოლოგიის ისტორიასთან, ქართულ სამხედრო ლექსიკონებსა და სამხედრო ტერმინებთან დაკავშირებული კვლევები ქართულ სამეცნიერო სივრცეში მწირია.

პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართულ სამხედრო ტერმინოლოგიაზე ნაშრომების შესახებ ინფორმაცია დასტურდება თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ვებგვერდზე *კონფერენციები* ბმულის *საინსტიტუტო* ქვებმულში (https://ice.tsu.ge/?page_id=485), რომლის მიხედვითაც 1998 წლის 5 მარტს უნდა შემდარიყო საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, საქართველოს მწერალთა კავშირის, ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტისა და არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ერთობლივი სამეცნიერო კონფერენცია თემაზე „სამხედრო აღმშენებლობა და ქართული სამხედრო ტერმინოლოგია“.

კონფერენციაზე გასატანი იყო შემდეგი კვლევები: „თანამედროვე ქართული სამხედრო ტერმინოლოგიის ზოგი საკითხი“ (ზ. ბიბილაშვილი, თავდაცვის სამინისტრო), „ქართული სამხედრო ტერმინოლოგიის ისტორიიდან“ (ი. ჯიბუტი, ენათმეცნიერების ინსტიტუტი), „სპეციალური სამხედრო ლიტერატურის ენობრივი

ანალიზი“ (ა. არაბული, ენათმეცნიერების ინსტიტუტი), „რამდენიმე სამხედრო ტერმინის შესახებ“ (ნ. მეტრეველი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი). შედგა სამოქმედო გეგმაც, მაგრამ, ჩვენთვის როგორც ცნობილია, ეს პროექტი ვერ განხორციელდა, რადგან პოლიტიკური მოვლენების კვალდაკვალ ჩამოიშალა ინსტიტუციები, რამაც გამოიწვია სამეცნიერო სისტემებისა და მუშაობის რღვევა.

სამეცნიერო ტერმინოლოგიური/დარგობრივი კვლევების სიცარიელეს ავსებს თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ტერმინოლოგიისა და თარგმნითი ლექსიკონების განყოფილების მიერ ტერმინოლოგიური პრობლემების გადაჭრის მიზნით წამოწყებული ტერმინოლოგიური მუშაობა. კერძოდ, 2013 წელს დაარსდა ადგილობრივი ყოველწლიური სამეცნიერო კონფერენცია და ჟურნალი „ტერმინოლოგიის საკითხები“, ასევე საქართველოს ვუკოლ ბერიძის სახელობის ტერმინოლოგიის ასოციაცია (სტა), რომელიც ევროპის ტერმინოლოგიის ასოციაციის წევრია; ხოლო 2018 წლიდან ტარდება ყოველწლიური საერთაშორისო ტერმინოლოგიური კონფერენციები *ტერმინოლოგია – მემკვიდრეობა და თანამედროვეობა*, სადაც თავს იყრის სხვადასხვა ქვეყნისა და დარგობრივი მიმართულების მუშაობის ამსახველი კვლევები. სამეცნიერო კონფერენციები ხელს უწყობს ტერმინოლოგიური მუშაობის სრულყოფას და მის შემდგომ განვითარებას.

2020 წელს ენათმეცნიერების ინსტიტუტის მიერ გამართულ II საერთაშორისო კონფერენციაზე *ტერმინოლოგია – მემკვიდრეობა და თანამედროვეობა* მოხსენება წაიკითხა მ. ნაჭყებია (თსუ შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი) თემაზე „სამხედრო აკრონიმები (საერთაშორისო ორგანიზაციებში მუშაობის გამოცდილებიდან)“, რომლის თეზისი განთავსებულია II საერთაშორისო კონფერენციის ტერმინოლოგია – მემკვიდრეობა და თანამედროვეობა – თეზისების Pdf ვერსიაში. მოხსენება ეყრდნობა საერთაშორისო ორგანიზაციებში მუშაობის გამოცდილებას. მაია ნაჭყებია თეზისში განმარტავს *საქართველოს წვრთნისა და აღჭურვის პროგრამაში* (2002) მთარგმნელად მუშაობის საკუთარი გამოცდილების სირთულეებს, რომლებიც გამოვლინდა იმ პერიოდისთვის ინგლისურ-ქართული ლექსიკონის არარსებობის შედეგად. მკვლევარი აღნიშნავს, რომ ინგლისური სამხედრო აკრონიმების შესატყვის ქართულ ტერმინებს ადგენდნენ ამერიკელ და

ქართველ სამხედროებთან კონსულტაციების შედეგად და მაგალითად მოჰყავს რამდენიმე ტერმინი, როგორებიცაა: AO – Area of Operation – ოპერაციების სივრცე MNT Military Liaison Team სამხედრო მოკავშირეთა ჯგუფი და სხვ. (ნაჭყებია, 2020, გვ. 34-35).

დასკვნა

მაშასადამე, არსებული ქართული სამხედრო ლექსიკონების მიმოხილვის შედეგად მიღებული სურათი ნათელია. ქართული სამხედრო ლექსიკონები მოიცავს ქართული ტერმინთშემოქმედების ისტორიის კონკრეტულ, კერძოდ, დამოუკიდებლობის, საბჭოთა და პოსტსაბჭოთა პერიოდებს (ქაროსანიძე, 2014, გვ. 176). ლექსიკონები არის ბეჭდური და ციფრული, ძირითადად ორენოვანი (რუსულ-ქართული და ინგლისურ-ქართული) თარგმნითი.

ცალსახად შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ საბჭოთა პერიოდის ლექსიკონები შედგენილი ან მომზადებულია დარგის სპეციალისტების, დარგობრივ-სამეცნიერო კომისიების მუშაობის შედეგად, სამხედრო ონლაინლექსიკონის მომზადება-შემუშავებაზე პასუხისმგებელი პირები არიან – მეცნიერ-ლექსიკოგრაფები, ინგლისური ენისა და დარგის სპეციალისტები.

ახალ ინგლისურ ლექსიკონებთან ერთად დღეს კვლავ გამოიყენება ადრინდელი რუსული ლექსიკონები ინგლისური თუ რუსული სამხედრო ტექნიკური სახელმძღვანელოების თარგმნა-მომზადებისას. ერთი რამ ცალსახაა, ახალ მოთხოვნებს აღწერილი ლექსიკონები თითქმის ვერ აკმაყოფილებს, საჭირო ხდება უცხოენოვანი ლექსიკონები, რის შედეგადაც სპეციალურ ლიტერატურაში ჩნდება სახელდახელოდ ნათარგმნი შეუთანხმებელი, არასალექსიკონო ცნება-ტერმინები.

რაც შეეხება 1920 და 1925 წლების ქართულ სამხედრო ლექსიკონებს, ისინი არ გამოიყენება არც სამხედრო, არც დაინტერესებული პირების მიერ, თუმცა 1920 და 1925 წლების სამხედრო ლექსიკონების ერთეულების შედარება იძლევა იმის თქმის საფუძველს, რომ ვლადიმერ ცაგარელს ტერმინთშემოქმედების გზებთან ერთად გააზრებული აქვს ლექსიკოგრაფიის პრინციპებიც; აქვე ყურადსაღებია შემდეგიც: XX საუკუნის დასაწყისში, ერთი დეკადის განმავლობაში, სამხედრო-ტექნიური ლექსიკონის ორი გამოცემა ურთიერთსაპირისპირო მიდგომების კვალს ატარებს;

მიუხედავად ამისა, ავტორ-შემდგენლის მცდელობა – ქართული სამხედრო ტერმინოლოგიისა და ლექსიკის შექმნისა, ნაყოფიერია, მასში შემონახულია საყურადღებო ქართულძირიანი ცნება-ტერმინები.

ქართული სამხედრო ტერმინოლოგიის განვითარების აღწერა ცხადყოფს, რომ ქართული სამხედრო ტერმინების ჩამოყალიბებაზე გავლენას ახდენს ისტორიულ-ეპოქალური ტენდენციები.

ნებისმიერი ქვეყნის სამხედრო ტერმინოლოგიის განვითარებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს პირველი სამხედრო ლექსიკონის გაცნობას. ამ მხრივ საინტერესოა სხვა ქვეყნების გამოცდილების გაზიარებაც, მაგალითად მოვიყვანთ აშშ-ის პირველი სამხედრო ლექსიკონის ისტორიას იმის გათვალისწინებით, რომ ქართული სამხედრო დოქტრინები საქართველოს დამოუკიდებლობის წლებში მზადდება აშშ-ის დოქტრინებზე დაყრდნობით.

როგორც ამერიკული სამხედრო ტერმინოლოგიის მკვლევარი ელენა ვიკერი თავის სტატიაში, „სამოქალაქო-სამხედრო თარგმანი: კოდირება, ნიშნები და გადარჩენა“, აღნიშნავს, 1786 წელს ბენჯამინ რაში მიუთითებდა, რომ სამხედრო ლექსიკონების გარეშე შეუძლებელია ჯარისკაცების საუბრის გაგება (Elena Wicker 2023). ამერიკელი მკვლევარი დასძენს, რომ საუკუნეების შემდეგაც, მიუხედავად სამხედრო წესდებების, წვრთნის სახელმძღვანელოებისა და დოქტრინის შექმნისა, სამხედრო დარგის გასაგებად მაინც საჭირო და მნიშვნელოვანია სამხედრო ლექსიკონების გამოყენება.

ცხადია, ამის გამომწვევი დარგის თავისებურება და ტექნიკისა და ტექნოლოგიების განვითარების მზარდი პროცესია, რასაც სდევს სიახლეების დანერგვა იმ სათანადო ცნება-ტერმინების გამოყენებით, რომელთა მნიშვნელობა შესაძლოა საჭიროებდეს ახსნა-განმარტებას.

ელენა ვიკერის კვლევის თანახმად, აშშ-ის ჯარისკაცებს პირადი ლექსიკონები ჰქონდათ 1810 წლიდან, თუმცა აშშ-ის პირველი ოფიციალური ლექსიკონი გამოიცა 1944 წელს (TM, Technical Manual, 20-205 Dictionary Of United States Army Terms 1944). მასში შედიოდა სახმელეთო ძალების ათასობით ოფიციალური ტერმინი, აბრევიატურა, აკრონიმი, რომლებსაც ჰქონდა უნიკალური მნიშვნელობა და რომლებიც გამოიყენებოდა სახმელეთო ძალების ფარგლებში (Wicker, 2023).

ელენა ვიკერის სტატიაში „მოკლე ისტორია აშშ-ის არმიის ლექსიკონის შესახებ“ აღნიშნულია, რომ სხვადასხვა მოქმედების, ფუნქციის აღსაწერად საჭირო სიტყვების უქონლობამ განაპირობა აშშ-ის სახმელეთო ძალების მიერ მრავალი უნიკალური სიტყვის შემუშავება. ამასთან, ავტორი დასძენს, პროფესიული ჟარგონი და ტერმინოლოგია არის სამხედრო ურთიერთობების საყრდენი, რაც იძლევა წერის, წვრთნის, მომზადების, ბრძანების გაცემისა და სხვა მოქმედების საშუალებას.

1944 წლის ლექსიკონი მოიცავდა სახმელეთო ძალების 7000 პროფესიული სიტყვას განმარტებითურთ, ლექსიკონის დანიშნულება კი გამოიხატებოდა შემდეგი ფრაზით: „პირველი ქმედითი ლექსიკონი ქმედითი არმიისთვის“. როგორც ავტორი დასძენს, ლექსიკონი დღემდე ივსება ახალი სიტყვებით. 1944 წლიდან 2024-მდე გამოიცემა სახმელეთო ძალების საველე სახელმძღვანელო 1-02.1 (ტერმინები და აბრევიატურები), რომელიც ყოველ ორ წელიწადში ახლდება (Wicker, 2024).

აშშ-ის პირველი სამხედრო ლექსიკონის გამოცემისა და შექმნის ისტორიის გაცნობა ნათლად გვანახებს სამხედრო ტერმინოლოგიის თავისებურებას, ამავე დროს, უნიკალური ტერმინების შექმნის აუცილებლობას. სამხედრო ტერმინები უნდა იყოს თავისთავადი, ქმედითი და სტანდარტიზებული, რათა შესაძლებელი გახდეს სამხედრო ენის მეშვეობით სწორი საბრძოლო მომზადების გავლა და ზუსტი მოქმედება. ამავე დროს სამხედრო ტერმინოლოგია საჭიროებს მუდმივ განახლებას, რაც დამოკიდებულია მიმდინარე ტექნოლოგიურ-პოლიტიკურ პროცესებზე, თუმცა, მოყვანილი ინფორმაციის შესაბამისად, აშშ-ის თანამედროვე სამხედრო ლექსიკონები ეყრდნობა პირველი ლექსიკონის ბაზას.

როგორც ვხედავთ, ვლადიმერ ცაგარელის მიერ შედგენილი ქართული სამხედრო ტერმინოლოგიის ლექსიკონი ორი ათეული წლით უსწრებს ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორს მეთოდოლოგიურ პრინციპებზე დაფუძნებული ლექსიკონის შედგენის საქმეში, თუმცა აქ ორი ქვეყნის დამოკიდებულებაა განსხვავებული: ამერიკის შეერთებული შტატები თუ ევროპის ქვეყნები ყოველთვის აგრძელებენ ტრადიციას, ავითარებენ ტრადიციულ კვლევებს, საქართველოში კი, თუ ამ ისტორიას კარგად დავაკვირდებით, ბევრი წყვეტაა, რადგან ხშირად კი არ ვაგრძელებთ დაწყებულ საქმეს, თავიდან ვიწყებთ. სწორედ სხვადასხვა დარგის ტერმინოლოგიის ისტორიის გამთლიანებას ისახავს მიზნად ქართული ტერმინთბანკი

(ქტბ), რომლის პროგრამის შექმნაზე მუშაობა 2014 წელს დაიწყო თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის თარგმნითი ლექსიკონებისა და სამეცნიერო ტერმინოლოგიის განყოფილებაში თავდაცვის სამინისტროსთან თანამშრომლობით. ქართული ტერმინთბანკის მთავარ მიზანს შესანიშნავად გამოხატავს ივანე ჯავახიშვილის სიტყვები: „ენის უწყვეტობა, ძველისა და ახლის მემკვიდრეობა იძლევა მეცნიერული ტერმინოლოგიის ჩამოყალიბების საშუალებას“ (ქართული ტერმინთბანკი).

გიორგი ახვლედიანი მიიჩნევდა, რომ 1920 წლის სიტყვარისა და „სამხედრო-ტექნიური ლექსიკონის“ შექმნით უმთავრესი საქმე ქართული დარგობრივი ტერმინოლოგიის ჩამოყალიბების მხრივ გაკეთებულია, სამეცნიერო საბჭოს მუშაობის შედეგად იქმნება სტანდარტიზებული სამხედრო ტერმინოლოგიური ბაზა, რომელიც შესაძლებლობას იძლევა სამომავლოდ წამოჭრილ ცნებებს მიესადაგოს ქართული სახელი, უფრო მეტიც, „ქართველი მხედარი სრული ბუნებრიობით თვითონ შექმნის თავისი დარგისათვის შესაფერ ტერმინს, რომელიც სამეცნიერო საბჭოს მიერ დადასტურებული იქნება“ (1924, გვ. VIII).

თავისთავად ნათელია, აღნიშნული ლექსიკონის (და არა მარტო) სიტყვა-სტატიების ნაწილი დღეს მივიწყებას მიეცა, არაქმედითია, ნაწილი შემორჩა სასაუბრო მეტყველებას ან ქართული ლექსიკური მარაგის სრულფასოვანი ერთეულია, ვფიქრობთ, ქართულ ტერმინთსაცავში ბეჭდური სამხედრო ლექსიკონების გადატანა უზრუნველყოფს პირველი ქართული სამხედრო ლექსიკონების მონაცემთა ბაზის ერთიან ტერმინოლოგიურ ბაზაში გაერთიანებასა და სამეცნიერო-შემეცნებითი თუ პრაქტიკული კუთხით მათ გამოყენებას. მით უმეტეს, რომ პირველი სამხედრო ტერმინოლოგიური ლექსიკონიდან დღესაც ვიყენებთ შემდეგ ტერმინებს: **ათეული, ოცეული, ასეული, ათასეული, ჯგუფი, დაჯგუფება, დამმიზნებელი, მესანგრე, სამხედრო თამაში, უკანდახევა, სწავლება, წვრთნა, ხელჩართული ბრძოლა, თავმოყრა, დადევნება, გამანადგურებელი, ამოსამიზნი (გავრცელებული არასალექსიკონო), ნიშანი (გავრცელებული არასალექსიკონო), დამიზნება, უწყება, პატაკი, წესდება და სხვ.**

კვლევამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ სამხედრო ტერმინოლოგიის დადგენისთვის საჭიროა ისეთი საკითხების გათვალისწინება, როგორებიცაა: „რიგიანი ტერმინოლოგია“, რაც გულისხმობს ცნება-ტერმინის სიზუსტესა და

გასაგებადობას, „ყველასათვის სავალდებულო ტერმინოლოგია“, რაც გულისხმობს ნორმირებულ ტერმინოლოგიას, და ტერმინების „სამეცნიერო საბჭოს“ მიერ დამტკიცება, რაც ნიშნავს სანდოობას (ახვლედიანი, 1925). ტერმინოლოგიური მუშაობის მართვის დასახული ნაბიჯები ასი წლის შემდეგაც არ კარგავს სიმძაფრეს თანამედროვე სამხედრო ტერმინოლოგიის დადგენა-დახვეწის საქმეში.

ქართული სამხედრო ტერმინოლოგიის ისტორიის კვლევა და სათანადო ლექსიკონების მეცნიერული შესწავლა დიდძალი მასალის დამუშავების საშუალებას იძლევა. „ქართული ტერმინოლოგიის ისტორია ეროვნული ენის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია“ (არაბული, 2016, გვ. 16). თავის მხრივ, დარგობრივი ტერმინების შექმნა-შემუშავება ცალსახად უკავშირდება ერის განვითარების დონეს, ამდენად, თუ თვალს მივადევნებთ ქართული დარგობრივი ტერმინების განვითარებას, დავინახავთ ქართული სამეცნიერო ენის ჩამოყალიბების გზასაც და სხვადასხვა პერიოდის ენობრივ პოლიტიკასაც.

თავი II. ტერმინოლოგიური მუშაობა ციფრულ ეპოქაში: ევროპული მიდგომები და ქართული ტერმინოლოგია

2. 1. თანამედროვე ქართული სამხედრო ტერმინოლოგიის, დარგობრივი ენის პრობლემები

საქართველოში თითქმის არ არსებობს დღეისათვის დარგი და სფერო, რომელსაც პროფესიული, დარგობრივი ენის რეფორმის მწვავე აუცილებლობა არ ჰქონდეს, რომელსაც ახალი დარგობრივი ტერმინოლოგიური ლექსიკონი არ სჭირდებოდეს, – წერს ავთანდილ არაბული თავის სტატიაში „ტერმინოლოგიური პოლიტიკა და კანონი სახელმწიფო ენის შესახებ“. მკვლევრის აზრით, საქართველოს ისტორიაში არ ყოფილა შემთხვევა, რომ ასე მოკლე პერიოდში ასეთი სწრაფი ტემპით დაცემულიყო ენობრივი კულტურის საყოველთაო განცდა და ოფიციალური ენობრივი პოლიტიკის საინსტიტუციო შეგნება (არაბული, 2016, გვ. 12). ამავე სტატიაში ავთანდილ არაბული ჩამოთვლის ამ ვითარების განმაპირობებელ ექვს ფაქტორს, ესენია:

1. ქართული სახელმწიფოს ფორმირების უაღრესად გაჭიანურებული პროცესი, რაც, უპირველესად, ფორმალური სახელმწიფოებრიობიდან (საბჭოური რესპუბლიკა) რეალურ, დამოუკიდებელ სახელმწიფო სისტემაზე გადასვლისათვის გაუაზრებელი, ცვალებადი ორიენტირებითა და, ხშირად, მცდარი ტაქტიკით მოქმედებას გულისხმობს;

2. გეოპოლიტიკურ გარემოებათა არასასურველი გადაკვეთა დროსა და სივრცეში;

3. პოლიტიკური პარადიგმის კარდინალური ცვლილების სათანადოდ გაუაზრებლობა უპირველესად ქვეყნის ინტელექტუალური განვითარების თვალსაზრისით;

4. ქვეყნის ტექნიკური და მენტალური მოუმზადებლობა ღია (ელექტრონული) საინფორმაციო სივრცის მიერ შემოთავაზებული სწრაფად ცვალებადი, აქტიური პირობებისათვის;

5. მართვის დემოკრატიული პრინციპების არსებითად არასწორი ინტერპრეტაცია;

6. ახალი განათლების სისტემის ჩამოყალიბებაში ენის ფაქტორის არსებითი იგნორირება (არაბული, 2016, გვ. 5).

90-იანი წლებიდან დღემდე ტერმინოლოგიური პოლიტიკის ჩამოყალიბებლობამ განაპირობა ქართული ნორმატიული დარგობრივი ლექსიკონების მომზადების შეჩერება. თანამედროვე ქართული ტერმინოლოგიის პრობლემებს ეხება ლია ქაროსანიძის სტატია „ქართული ტერმინთბანკი და ტერმინოლოგიური პოლიტიკა საქართველოში“, რომელშიც განხილულია ქვეყანაში ტერმინოლოგიური პოლიტიკის მოშლით გამოწვეული სირთულეები. როგორც ავტორი აღნიშნავს, მსგავს ვითარებაში უფრო მეტად აქტიურდება ტერმინოლოგიურ ლექსიკონებზე შეუთანხმებელი, არაკვალიფიციური და პარალელური მუშაობა. შეუთანხმებელი ტერმინოლოგიური მუშაობა და ტერმინოლოგიაზე პასუხისმგებელი პირებისა თუ ინსტიტუტების არარსებობა განაპირობებს პარალელური დარგობრივი ტერმინებისა და ლექსიკონების შედგენას, საბოლოოდ კი ამ ლექსიკონების მიუღებლობას საზოგადოების მიერ და ტერმინოლოგიურ სიჭრელეს (ქაროსანიძე, 2022-2023, გვ. 394).

შესაბამისად, ლია ქაროსანიძე საუბრობს, ერთი მხრივ, ტერმინოლოგიური პოლიტიკის უქონლობით გამოწვეულ სირთულეებზე, მეორე მხრივ, ტერმინოლოგიური მუშაობის მართვის რღვევაზე. ამასთან, სტატიაში გამოკვეთილია კონკრეტული ნაბიჯები, რომელთა მოგვარება საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისთანავე თავიდან აგვარიდებდა დღეს არსებულ სურათს. ეს ნაბიჯებია:

1. საბჭოთა სტანდარტებიდან ევროპულ ტერმინოლოგიურ სტანდარტებზე გადასვლა;
2. ტერმინოლოგიური მართვის პოლიტიკის ჩამოყალიბება და ცენტრალური ორგანოს გამოკვეთა, რომელიც ამას გაუძღვებოდა (ასეთად ისევ ენათმეცნიერების ინსტიტუტის აღიარება და მისთვის ხელშეწყობაც, რა თქმა უნდა, საკმარისი იქნებოდა);
3. არსებული ბეჭდური ტერმინოლოგიური ლექსიკონების გაციფრულება;
4. ქართულ-ინგლისური შესაბამისობების დადგენა (ჰარმონიზაცია);
5. ახალ ტერმინებსა და ცნებებზე მუშაობა;
6. თეორიულ საკითხებზე მუშაობის გაგრძელება;

7. ახალგაზრდა კადრების გაზრდა;

8. ტერმინთბანკზე, ტერმინთბანკის პროგრამებზე მუშაობა (ქაროსანიძე, 2022-2023, გვ. 400-401).

ავტორი არსებული ტერმინოლოგიური მდგომარეობის შექმნას უკავშირებს ქვეყნის პოსტსაბჭოთა ისტორიულ-პოლიტიკურ სირთულეებს. ამ პერიოდში დამოუკიდებელმა საქართველომ ვერ შეძლო ტერმინოლოგიური პოლიტიკის ჩამოყალიბება, განსხვავებით ლიეტუვისგან. ლიეტუვამ შეინარჩუნა ენის ინსტიტუტის სრული ფუნქციით შენარჩუნება, უპატრონა საბჭოთა სამეცნიერო მემკვიდრეობას, ამავე დროს ტერმინოლოგიური მუშაობის მართვის პოლიტიკა მიუსადაგა ევროპულ სტანდარტებს, შექმნა ტერმინთბანკი, ჩაერთო ევროპულ ტერმინოლოგიურ მუშაობაში, რითაც ავითარებს და მომავალს უქმნის ლიეტუვურ ენას (ქაროსანიძე, 2022-2023, გვ. 400).

პოსტსაბჭოთა ეპოქის გამოწვევებმა სხვა სირთულეების წინაშე დააყენა ქართული ტერმინოლოგია. 90-იან წლებში ტერმინოლოგიური მუშაობის მართვის სტრუქტურიდან მხოლოდ ენათმეცნიერების ინსტიტუტის ტერმინოლოგიური განყოფილება დარჩა, დაიშალა ენის სახელმწიფო კომისია, რომელიც საბოლოოდ ამტკიცებდა ენათმეცნიერების ინსტიტუტში შექმნილ ლექსიკონებს. ტერმინოლოგიურ ლექსიკონებზე მუშაობა, მართალია, ისევ გაგრძელდა ტერმინოლოგიის განყოფილებაში, თანაც ამჯერად ინგლისურ-ქართულის, მაგრამ ამ პერიოდში შექმნილი ტერმინოლოგიური ლექსიკონები საყოველთაო მოხმარებისა ვერ გახდა, რადგან ენათმეცნიერების ინსტიტუტი თანდათან კარგავდა ტერმინოლოგიური მუშაობის წარმმართველის, ცენტრის, ფუნქციას და ნორმატიული, სტანდარტიზებული ტერმინოლოგიის ცნება საქართველოში თანდათან ქრებოდა. საბოლოოდ, ცხადია, პოსტსაბჭოთა პერიოდში ტერმინოლოგიური პოლიტიკის არარსებობამ უმძიმესი პრობლემები წარმოშვა ამ დარგში, ზოგადად, ენაში (ქაროსანიძე, 2022-2023, გვ. 400).

საქართველო დღემდე იმყოფება ტერმინოლოგიურ ქაოსში, – წერს ლია ქაროსანიძე სტატიაში და ამის მაგალითად მოჰყავს მოქალაქის განცხადება **სარდაფის** განმარტების თაობაზე, რომელიც სხვადასხვა უწყებამ, დაახლოებით შვიდმა ორგანიზაციამ, სრულიად სხვადასხვაგვარად წარმოადგინა. აღნიშნული მაგალითი

ცხადყოფს შეთანხმებული ტერმინოლოგიური მუშაობის მნიშვნელობას, ტერმინოლოგიის სისწორესა და სათანადოობაზე პასუხისმგებელი უწყების ფუნქციურ საჭიროებას (ქაროსანიძე, 2022-2023, გვ. 402).

როგორც ლ. ქაროსანიძე აღნიშნავს, ტერმინოლოგიური მუშაობის მართვის აღდგენის მოგვარებისთვის მნიშვნელოვანია: ეროვნულ ტერმინთბანკში ტერმინოლოგიური სიჭრელის შესწავლა-გაანალიზება; არსებული ტერმინოლოგიური ლექსიკონების შევსება-განახლება; ტერმინოლოგიური ლექსიკონების სტანდარტულ ტერმინოლოგიად მიღება-დამტკიცება. ამასთან, ტერმინოლოგიური მუშაობის მართვის აღსადგენად მკვლევარს საჭიროდ მიაჩნია ტერმინოლოგიური მუშაობის დადებითი და უარყოფითი მხარეების გამოკვეთა-გააზრება, ტერმინოლოგიური მასალის ანალიზი, თეორიული კვლევების მომზადება (ქაროსანიძე, 2022-2023, გვ. 394).

მაშასადამე, სტატიის საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ არსებული ტერმინოლოგიური მდგომარეობის პრობლემების მოსაგვარებლად მნიშვნელოვანია ტერმინოლოგიური პოლიტიკის ჩამოყალიბება და ტერმინოლოგიური მუშაობის მართვის აღდგენა, ეროვნული ტერმინთბანკის ამოქმედება, რომელზეც ბოლო ათი წელია მუშაობს თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის თარგმნითი ლექსიკონებისა და სამეცნიერო ტერმინოლოგიის განყოფილება.

სტატიაში გამოკვეთილ სურათზე დაყრდნობით ნათელი ხდება, რომ სხვადასხვა მიმართულებით მიმდინარე ტერმინოლოგიური მუშაობის გაერთიანება შეკრავდა, სწორი გზით წარმართავდა ტერმინოლოგიურ ძალისხმევასაც და ფინანსურ ხარჯებსაც, რადგან, ღია ქაროსანიძის აზრით, ტერმინოლოგიურ ვითარებას კიდევ უფრო ართულებს შემდეგი საკითხები: პარალელური და შეუთანხმებელი მუშაობა ტერმინოლოგიურ პროექტებზე, არასანდო ტერმინოლოგიური ლექსიკონები, უთარგმნელად გადმოღებული ტერმინები, გაუმართავად თარგმნილი ტექსტები, არაკვალიფიციური მთარგმნელები, ტერმინოლოგიური მუშაობის განვითარების შესახებ სტანდარტებზე დაფუძნებული ხედვის უქონლობა (ქაროსანიძე, 2022-2023, გვ. 402).

ცხადია ქართული სამხედრო ტერმინოლოგიის წინაშეც დგას მთელი რიგი პრობლემები, რაც, ამ ვითარებაში გასაკვირი არც არის. ქართული სამხედრო

ტერმინოლოგიის მდგომარეობის შეფასებაში ერთი მაგალითის მოყვანაც დაგვეხმარება: როგორც ცნობილია, უცხოურ ლიტერატურაში ტერმინების დაზუსტების მიზნით საგნებს დეტალურად აღწერენ, ურთავენ ილუსტრაციებს. თემატურად დამუშავებულ მასალებს ქართულ ლექსიკონებში ვერ მოვიძიებთ, მაგრამ, ზოგადად, საინტერესოა, რა შესატყვისები იძებნება ქართულ ლექსიკონებში, მაგალითად, ამ რევოლვერის ნაწილების ინგლისური ტერმინებისათვის:



1. ინგლ. muzzle, რუს. дуло
(სიტყვარი 1920) – ლულა
(ცაგარელი 1920, 1925) – ლულა
(სამხედრო 1967) – ლულის ტუჩი, ლულა
(ინგლ.-ქართ. 1975) – ლულა
(ტექნიკური 1977) – ლულა
(სამხედრო 1987) – ტუჩი (ლულისა)
(ქართ.-ინგლ. 2006) – არ არის
(ინგლ.-ქართ. 2010) – ლულის ტუჩი
(სამხედრო 2010) – სსრ. ლულის ტუჩი
(საუბრული) – დულა

2. ინგლ. barrel, რუს. ствол

(სიტყვარი 1920) – ლულა

(ცაგარელი 1920) – მუხლი

(ცაგარელი 1925) – ლულა

(სამხედრო 1967) – ლულა (ბუდ.)

(გვარჯალაძე 1975) – ლულა

(ტექნიკური 1977) – ლულა

(სამხედრო 1987) – ლულა

(ქართ.-ინგლ. 2006) – ლულა

(ინგლ.-ქართ. 2010) – ლულა (ცეცხლსასროლი იარაღისა)

(სამხედრო 2010) – ლულა (ცეცხლსასროლი იარაღისა)

3. ინგლ. trigger, რუს. спусковой крючок

(სიტყვარი, 1920) – კაკვი

(ცაგარელი 1920) – მოსასხლეტი კაუჭა

(ცაგარელი 1925) – მსხლეტას კაუჭა

(სამხედრო 1967) – რიკი, სასხლეტი კავი

(გვარჯალაძე 1975) – სასხლეტი მექანიზმი

(ტექნიკური 1977) – სასხლეტი კაუჭი

(სამხედრო 1987) – კაუჭი სასხლეტი

(ქართ.-ინგლ. 2006) – სასხლეტი

(ინგლ.-ქართ. 2010) – სასხლეტი, სასხლეტი კაუჭი

(სამხედრო 2010) – სსრ. სასხლეტი

4. ინგლ. frame, რუს. рама

სიტყვარი (1920) – ჩარჩო (Закладная рама შესიტყვებაში)

(ცაგარელი 1920) – ჩარჩო (Рамка) კორას ჩარჩო (Рамка прицельная)

(ცაგარელი 1925) – ჩარჩო (рамка)

(სამხედრო 1967) – ჩარჩო (ბუდ.)

(გვარჯალაძე 1975) – ჩარჩო (სამხ. მნიშვნელობით არ არის)
(ტექნიკური 1977) – ჩარჩო (ზოგადი)
(ქართ.-ინგლ. 2006) – ჩარჩო (ზოგადი)
(ინგლ.-ქართ. 2010) – ჩარჩო (ზოგადი)
(სამხედრო 2010) – არ არის
(საუბრული) – რამკა

5. ინგლ. hammer (აგრ. firing hammer), რუს. курок (ცეცხლსასროლ იარაღში)
(სიტყვარი 1920) – ჩახმახი
(ცაგარელი 1920) – ფეხი (თოფის ნაწილი)
(ცაგარელი 1925) – ფეხი (თოფისა), ფეხის ნაწილი, დაბალ ფეხზე (ზახილი)
(სამხედრო 1967) – ჩახმახი
(გვარჯალაძე 1975) – ჩახმახი
(ტექნიკური 1977) – ჩახმახი
(სამხედრო 1978) – შეაყენე ჩახმახი (взвести курок)
(ქართ.-ინგლ. 2006) – ნემსკავა (of gun)
(ინგლ.-ქართ. 2010) – სსრ. ჩახმახი (აგრ. firing hammer)
(სამხედრო 2010) – სსრ. ჩახმახი (აგრ. firing hammer)
(საუბრული) – კუროკი

6. ინგლ. grip, რუს. рукоятка
(სიტყვარი 1920) – ტარი (ორთითა, Вилкообразная рукоятка-ში)
(ცაგარელი 1920) – თავრქა, სახელური
(ცაგარელი 1925) – ტარი, ხელტარი
(სამხედრო 1967) – სახელური (ბუდ.)
(გვარჯალაძე 1975) – სახელური, ტარი, ხელი (ზოგადი)
(ტექნიკური 1977) – ტარი, სახელური
(სამხედრო 1987) – ტარი, სახელური
(ქართ.-ინგლ. 2006) – არ არის
(ინგლ.-ქართ. 2010) – სახელური, ტარი (ზოგადი)

(სამხედრო 2010) – არ არის

7. ინგლ. cylinder, რუს. барабан (multitrans.com)

(სიტყვარი 1920) – დოლი

(ცაგარელი 1920) – დოლი, დალაზა

(ცაგარელი 1925) – დალაზა; დაფდაფი, დოლი

(სამხედრო 1967) – დოლი (რეკოლვერი)

(გვარჯალაძე 1975) – ტექ. ცილინდრი, ლილვი (მხოლოდ)

(ტექნიკური 1977) – დოლი

(სამხედრო 1987) – დოლი, დაფდაფი

(ქართ.-ინგლ. 2006) – დოლურა (e.g. brake მხოლოდ)

(ინგლ.-ქართ. 2010) – არ არის

(სამხედრო 2010) – არ არის

(საუბრული) – ზარაზანი

8. ინგლ. front sight (sight) რუს. мушка

(სიტყვარი 1920) – მიზანტარი

(ცაგარელი 1920, 1925) – ნიშანი

(სამხედრო 1967) – ნიშანი (სამიზნოს სისტემის ნაწილი) (ბუდ.)

(გვარჯალაძე 1975) – არ არის (სამიზნო, მიზანი (sight))

(ტექნიკური 1977) – სამიზნე

(სამხედრო 1987) – ნიშანი

(ქართ.-ინგლ. 2006) – კორა

(ინგლ.-ქართ. 2010) – არ არის (სამიზნე, დასამიზნებელი მოწყობილობა;

ვიზირი (ცეცხლსასროლი იარაღისა) (sight))

(სამხედრო 2010) – სსრ. ნიშანი, სამიზნე, კორა

(საუბრული) – მუშკა

9. ინგლ. rear sight, რუს. целик

(სიტყვარი 1920) – არ არის

(ცაგარელი 1920) – არ არის

(ცაგარელი 1925) – სამარჯვი

(სამხედრო 1967) – სამარჯვი (სამიზნოს დეტალი)

(გვარჯალაძე 1975) – არ არის (სამიზნო, მიზანი (sight))

(ტექნიკური 1977) – მთელანი

(სამხედრო 1987) – სამარჯვი (სამიზნებელი)

(ქართ.-ინგლ. 2006) – არ არის

(ინგლ.-ქართ. 2010) – სამიზნე (ცეცხლსასროლი იარაღის ლულის უკანა ნაწილზე)

(სამხედრო 2010) – სამიზნე

10. ინგლ. trigger guard, რუს. спусковая скоба (სასროლ იარაღში) ან предохранительная скоба спускового крючка

(სიტყვარი 1920) – არ არის

(ცაგარელი 1920) – მოსასხლეტი რგალი, გამირი

(ცაგარელი 1925) – მსხლეტას რგალი

(სამხედრო 1967) – სასხლეტი კავი

(გვარჯალაძე 1975) – არ არის

(ტექნიკური 1977) – სასხლეტი კავი

(სამხედრო 1987) – სასხლეტი კავი

(ქართ.-ინგლ. 2006) არ არის

(ინგლ.-ქართ. 2010) – არ არის

(სამხედრო 2010) – არ არის

11. ინგლ. front strap, რუს. передная часть планки ან передная часть рукоятки (multitran.com)

(სიტყვარი 1920) – არ არის

(ცაგარელი 1920) – არ არის

(ცაგარელი 1925) – არ არის

(სამხედრო 1967) – არ არის

(გვარჯალაძე 1975) – არ არის
(ტექნიკური 1977) – არ არის
(სამხედრო 1978) – არ არის
(ქართ.-ინგლ. 2006) – არ არის
(ინგლ.-ქართ. 2010) – არ არის
(სამხედრო 2010) – არ არის

12. ინგლ. back strap (backstrap), რუს. задняя часть планки ან задняя поверхность (рукоятки пистолета)

(სიტყვარი 1920) – არ არის
(ცაგარელი 1920) – არ არის
(ცაგარელი 1925) – არ არის
(სამხედრო 1967) – არ არის
(გვარჯალაძე 1975) – არ არის (ამ მნიშვნელობით)
(ტექნიკური 1977) – არ არის
(სამხედრო 1978) – არ არის
(ქართ.-ინგლ. 2006) – არ არის
(ინგლ.-ქართ. 2010) – არ არის
(სამხედრო 2010) – არ არის

13. ინგლ. Cylinder release, რუს. высвободитель барабана, Клавиша защелки барабана

(სიტყვარი 1920) – არ არის
(ცაგარელი 1920) – არ არის
(ცაგარელი 1925) – არ არის
(სამხედრო 1967) – არ არის
(გვარჯალაძე 1975) – არ არის
(ტექნიკური 1977) – არ არის
(სამხედრო 1978) – არ არის
(ქართ.-ინგლ. 2006) – არ არის

(ინგლ.-ქართ. 2010) – არ არის

(სამხედრო 2010) – არ არის

14. ინგლ. ejection rod რუს. Шомпол-выбрасыватель ან Стержень для выброса барабана

(სიტყვარი 1920) – არ არის

(ცაგარელი 1920) – არ არის

(ცაგარელი 1925) – არ არის

(სამხედრო 1967) – არ არის

(გვარჯალაძე 1975) – არ არის

(ტექნიკური 1977) – არ არის

(სამხედრო 1978) – არ არის

(ქართ.-ინგლ. 2006) – არ არის

(ინგლ.-ქართ. 2010) – არ არის

(სამხედრო 2010) – არ არის

მაშასადამე, რომ შევაჯამოთ:

ინგლისური სამხედრო ტერმინების ქართული შესატყვისების დაძებნა ვცადეთ ქართულ სამეცნიერო სივრცეში არსებული 10 ლექსიკონის გამოყენებით. ეს ლექსიკონებია:

რუსულ-ქართული ტექნიკური ლექსიკონი (სიტყვარი), 1920

სამხედრო-ტექნიკური ლექსიკონები 1920, 1925 (ვლადიმერ ცაგარელი)

სამხედრო ლექსიკონი 1967 (ივანე შაიშმელაშვილი)

ინგლისურ-ქართული ლექსიკონი 1975 (ისიდორე გვარჯალაძე)

ტექნიკური ტერმინოლოგია 1977 (ენათმეცნიერების ინსტიტუტი)

სამხედრო ტერმინოლოგია 1987 (ივანე შაიშმელაშვილი)

დიდი ქართულ-ინგლისური ლექსიკონი 2006

დიდი ინგლისურ-ქართული ონლაინლექსიკონი 2010

ინგლისურ-ქართული სამხედრო ონლაინლექსიკონი 2017

14 ინგლისური სამხედრო ტერმინის ქართული შესატყვისის მითითებულ ლექსიკონებში დაძებნის შედეგად მიღებული ტერმინოლოგიური სურათი ასეთია:

ორ ტერმინს აქვს ზუსტი ქართული შესატყვისები.

ოთხ ტერმინს არ აქვს სათანადო ქართული შესატყვისები.

ოთხ ტერმინს აქვს რამდენიმე პარალელური შესატყვისი.

ერთ ტერმინს აქვს არაზუსტი/შეუსაბამო შესატყვისი.

ერთი ტერმინი არის მხოლოდ ძველ ლექსიკონებში.

რეგულერის აღწერილობა ნათლად გვაჩვენებს იმ ტერმინოლოგიურ პრობლემებს, რომლებსაც ზოგადად ვხვდებით სამხედრო დარგის მიმართულებით.

შესაბამისად, გასაკვირი არცაა, რომ ქართული საველე სახელმძღვანელოებისა თუ წესდებების, წვრთნის ცირკულარების, ტექნიკური სახელმძღვანელოების, სტრატეგიული თუ სხვა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის დოკუმენტების შექმნის პროცესში, პირველ რიგში, იკვეთება მნიშვნელოვანი სათანადო ქართული სამხედრო ტერმინოლოგიის უქონლობა. ცხადია, ქართული არსებული სამხედრო ტერმინოლოგიური ლექსიკონები ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს.

ზოგადად, ეს არის ის ძირითადი წინააღმდეგობები, რომლებსაც აწყდებიან მთარგმნელები, რედაქტორები, სახელმძღვანელოების ავტორები. დღეს, ციფრულ ეპოქაში, უმწვავესად დადგა თემატური ლექსიკონების მოთხოვნილების საკითხი. ანბანური ლექსიკონები ამ საჭიროებას ვერ აკმაყოფილებს, ამიტომაც დაისვა 2020 წელს ვრცელი თემატური ქართულ-ინგლისური ლექსიკონის შექმნის საკითხი (რუსიეშვილი და სხვ. 2024), რომელშიც ჩვენც ვმონაწილეობთ (ხატიაშვილი 2024).

2.1.1. ქართული სამხედრო ლიტერატურის ენა, ტერმინთა სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი

ქართული სამხედრო ტერმინების თავისებურებას განაპირობებს ის ფაქტი, რომ ქართული სამხედრო დოქტრინა უმეტესად ეყრდნობა ნათარგმნ დოქტრინებს. აღსანიშნავია, რომ თავდაცვის სამინისტროს დოქტრინების განვითარების ცენტრში მუდმივად მიმდინარეობს დოქტრინული სახელმძღვანელოების მომზადება და შემუშავება, ქართული ყოფიერებისთვის მორგება და, შესაბამისად, ქართული სამხედრო ცნება-ტერმინების სრულყოფა.

დადგენილი, შეთანხმებული ტერმინებისა და ცნებების გამოყენებას დიდი მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ ლექსიკონებისა თუ სასწავლო სახელმძღვანელოების სწორად გაგების, არამედ საბრძოლო მოქმედებების სწორად გააზრებისა და შესრულების კუთხითაც „მეთაურები სწავლობენ თავიანთი ოპერაციის კონცეფციის ნათლად გადმოცემას ტექნიკურად და დოქტრინულად თანმიმდევრული სიტყვიერებით, საყოველთაოდ გასაგები და მიღებული დოქტრინული ტერმინებისა და ცნებების გამოყენებით“ – წერია ADP 3-90-ში, „ტაქტიკაში“ (2019, p. 1-4)⁴.

აშშ-ის სამხედრო დოქტრინებში დიდი მნიშვნელობა ენიჭება და სავალდებულოდ მოეთხოვებათ კიდევ დადგენილი ცნება-ტერმინების გამოყენება სამხედრო და შესაბამის სტრუქტურაში მომუშავე სხვა პირებს.

ამავე სახელმძღვანელოში სათანადოდაა მითითებული, რომ ADP 3-90-ში გამოიყენება საერთო ტერმინები საჭიროებისამებრ (2019, p. iii).

ქართული სამხედრო სახელმძღვანელოები ძირითადად მზადდება აშშ-ისა და *ნატოს* სავალდებულო სახელმძღვანელოების, დოქტრინული პუბლიკაციებისა და საბრძოლო მომზადების ცირკულარების საფუძველზე, რომლებიც მუდმივად ახლდება, ხშირად გარკვეული ტერმინებიც იცვლის შინაარსობრივ მნიშვნელობას. ამ ცვლილებების შესახებ ინფორმაცია უმეტესად მოცემულია დოქტრინული სახელმძღვანელოების წინასიტყვაობებში მსგავსი სახით: „ADP 3-90 არის ბევრი ტერმინის მხარდამჭერი წყარო. ზოგიერთი ტერმინი შეიცვალა ბოლო ვერსიის გამოცემის შემდეგ. შესავალში წამოდგენილ ცხრილში გამოყოფილია ტერმინები, რომელთაგან ზოგიერთი ან ახალია, ან შეცვლილია“ (2019, p. V). ამავე სახელმძღვანელოში ცხრილის სახით ჩამოთვლილია შეცვლილი ან ახალი ტერმინები, ხოლო გლოსარიუმში, ტექსტის სახელმძღვანელოს ბოლოს ერთვის განმარტებები. ტერმინები, რომლებიც შემოდის კონკრეტულ სახელმძღვანელოში აღინიშნება შემდეგი სიმბოლოთი (*) (ADP 3-90, glossary-1). აშშ-ის სახელმძღვანელოების განახლებას განაპირობებს ტერმინის შინაარსობრივი შეცვლა, რაც აისახება საბრძოლო მოქმედებების, ოპერაციების, დავალებებისა და კონცეფციების შესრულებაზეც.

⁴კვლევაში განვიხილავთ აშშ-ის კოდირებულ სახელმძღვანელოებს, ინგლისურ ვერსიებს, ასევე ქართულ ვერსიებს, რომლებსაც თავდაცვის სამინისტროს ფარგლებში მინიჭებული აქვს სათანადო კოდები, და გასასწორებელ ქართულ ვერსიებს, რომლებიც ამ ფორმით არ ინახება. რადგან სწორდება სტილისტების მიერ.

მსგავსი მითითებები გვხვდება არა მარტო არმიის (სახმელეთო ძალების) დოქტრინულ პუბლიკაციებში, არამედ საველე სახელმძღვანელოებშიც. სახელმძღვანელოთა უმეტესობას ერთვის გლოსარიუმი, ცნება-ტერმინებისა და სიტყვათა შემოკლებების განმარტებით. საბრძოლო მოქმედებებისა თუ ოპერაციების კონცეფციების, ზოგადად, ომის მეცნიერებისა და ხელოვნების სტრატეგიის შეცვლით გამოწვეული ცვლილებები გასათვალისწინებელია ქართული შესატყვისის მისადაგებისას. სამხედრო ცნება-ტერმინების შემუშავება ეფუძნება სამხედრო დარგის მუდმივ განვითარებას ნებისმიერ დონეზე, ნებისმიერი დარგობრივი მიმართულებით.

ქართული სამხედრო სახელმძღვანელოები ითარგმნება და მზადდება აშშ-ისა და *ნატოს* იმ სათანადო დოქტრინების მიხედვით, რომლებიც განსაზღვრულია თავდაცვის სამინისტროს ფარგლებში მიმდინარე კურსისა და მოთხოვნების საფუძველზე.

მაშასადამე, აშშ-ის სამხედრო დოქტრინა მოიცავს საველე სახელმძღვანელოებს (FM), სახმელეთო ძალების (არმიის) ტექნიკურ გამოცემებს (პუბლიკაციებს) (ATP), წვრთნის ცირკულარებს (TC); ჯარისკაცის ინდივიდუალური მომზადების სახელმძღვანელოებს (STP), საბრძოლო მომზადების დაგეგმვაზე ორიენტირებულ გეგმებს (ARTEP). ეს პუბლიკაციები აღწერს ოპერაციების ჩატარებას ან დავალებების დაგეგმვას, მომზადებას, შესრულებასა და პრაქტიკულ გამოყენებას. ასევე მნიშვნელოვანია სახმელეთო ძალების (არმიის) დოქტრინული პუბლიკაციები (ADP), ერთობლივი პუბლიკაციები (JP), რომლებშიც განმარტებულია ერთობლივი ძალებისთვის უნიფიცირებული ტერმინები და მოქმედებები. თუ სახმელეთო ძალების დოქტრინულ გამოცემებში აღწერილია ოპერაციებისა და საბრძოლო მოქმედებების ფუნდამენტური პრინციპები, საველე სახელმძღვანელოებში აღწერილია ამ პრინციპების შესრულების მეთოდები, პრაქტიკული მითითებები.

ამასთან, აშშ-ის სამხედრო სახელმძღვანელოები იყოფა ომის სამი დონის – ტაქტიკური, ოპერატიული, სტრატეგიული – შესაბამისად. ერთობლივ გამოცემა (JP) 3-0-ში მოცემული განმარტების მიხედვით, ოპერატიული დონე ძალების ტაქტიკურ მოქმედებებს აკავშირებს ეროვნულ სტრატეგიულ მიზნებთან (JP 3-0: 2017, p. XI). ამ დონეების შესაბამისად იცვლება ტერმინების შინაარსობრივი მნიშვნელობა, თუმცა

ყველა აღნიშნული გამოცემა ექვემდებარება აშშ-ის სახელმწიფო და თავდაცვის უწყების ერთიან მიდგომას – სტანდარტიზებული სამხედრო ტერმინების გამოყენებას.

ქართულ სამხედრო ტერმინოლოგიურ რეალობაში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გასათვალისწინებელია როგორც თანამედროვე სახელმძღვანელოები, რომლებიც ეფუძნება აშშ-ისა და ნატოს დოქტრინას, ისე საბჭოთა პერიოდის დოქტრინა და ტერმინოლოგია, რომელიც ეფუძნებოდა რუსულ დოქტრინასა და ტერმინოლოგიას, ამ პერიოდის სამხედრო ლექსიკონებიც რუსულ-ქართულია. რუსული და აშშ-ისა თუ ნატოს დოქტრინა კი ძირეულად განსხვავდება ტერმინების შინაარსობრივი კუთხით. სწორედ ეს ურთიერთსაწინააღმდეგო გავლენები განაპირობებს ქართული სამხედრო ტერმინოლოგიის თავისებურებას.

რა მდგომარეობაა ქართულ თარგმნულ ლიტერატურაში, სახელმძღვანელოებში. არის თუ არა ცხადად გასაგები ტექსტები, წესები, ადვილი აღსაქმელია თუ არა ქართულ ენაზე იგივე ტექსტები? თავდაცვის სამინისტროს დოქტრინების განვითარების ცენტრში მრავალწლიანი მუშაობის განმავლობაში უცხოენოვანი (ინგლისური, რუსული) სამხედრო დოქტრინების გრამატიკულ-სტილისტიკურად დამუშავებისას, ჩვენი დაკვირვებით, ერთ-ერთ მნიშვნელოვან სირთულეს და გაურკვევლობას ქმნიდა და ქმნის დღემდე სათანადო ტერმინების უქონლობა, ერთი ტერმინის შესატყვისი სხვადასხვა სალექსიკონო ფორმათა საეჭვო, არასანდო მნიშვნელობები. ქართული სამხედრო სახელმძღვანელოების რედაქტირებისას ნათლად ჩანს დადგენილი, შეთანხმებული სამხედრო ტერმინოლოგიის აუცილებლობა.

სამწუხაროდ, თანამედროვე ქართული სამხედრო ენა „მეტად ჭრელ სურათს ქმნის“, რადგან აერთიანებს რუსულ და ინგლისურ კალკირებულ გამოთქმებს, საუბრულ სიტყვებს, ბარბარიზმებს, უცხოძირიან სიტყვებს, თვითშემოქმედებით ტერმინებს, რომელთა შორის, შესაძლოა, მისაღები ტერმინებიცაა, მაგრამ, სამწუხაროდ, არ ხერხდება მათი განხილვა და ლექსიკონებში ასახვა.

განსაკუთრებით თვალში საცემია ის ფაქტი, რომ თანდათან შესამჩნევად იმატებს უთარგმნელად გადმოღებული ტერმინები. საყურადღებოა ის დამოკიდებულებაც, რომელიც, სამწუხაროდ, თავს იჩენს ჩვენს საზოგადოებაში – ქართული ნეოლოგიზმების მიუღებლობა უცხოურთან შედარებით. რამდენად შესაძლებელია,

რომ ქართველისთვის „ქართულბუნებოვანი“ სიტყვა ვერ გამოხატავდეს ზუსტად ცნების შინაარსს „უცხოზუნებოვან“ სიტყვასთან შედარებით? რამდენად შესაძლებელია, რომ მშობლიურ ენაზე კარგად გვესმოდეს და გვესისხლხორცებოდეს უცხო ენა და უცხო სიტყვები? არადა, ერთი შეხედვით, თითქოს უწყინარი უცხო სიტყვები ხმარებიდან დევნის ქართულ სიტყვებს, მათ ადგილს იჭერს და ხდება მისაღები. „ქართულ ენას არ სჭირდება ისეთი სიტყვებით შევსება, რომლებიც მას თავად აქვს და დუბლეტებით, ვითომდა სინონიმებით გამდიდრება არღვევს სესხების ერთან პრინციპს: უცხოური სიტყვები გადმოგვაქვს, როცა საკუთარი არ გაგვაჩნია. ვითომდა საერთაშორისო სიტყვა-ბარბარიზმები არა მარტო ამახინჯებენ, აღარიბებენ მშობლიურ ენას“ (მაღრაძე, 2016, გვ. 111).

როგორი უნდა იყოს ქართული დარგობრივი ტერმინოლოგია – ქართული, საერთაშორისო თუ ქართულიც და საერთაშორისოც – ეს საკითხები დაწვრილებითაა განხილული ლია ქაროსანიძის სტატიაში „სიტყვარი – ქართული ტექნიკური ტერმინოლოგიის პირველი ლექსიკონი 100 წლისა“ (2020). სტატიაში ზედმიწევნითაა მიმოხილული ტერმინოლოგიის ეროვნული და ინტერნაციონალიზაციის პერიოდები, ამასთან, გაანალიზებულია, რომელმა პერიოდმა რა მოუტანა ქართულ ენას, გაადარიბა თუ გაამდიდრა.

ეროვნული ტერმინოლოგიის პერიოდად ლია ქაროსანიძე მიიჩნევს საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდს, როდესაც დარგობრივ ტერმინოლოგიაზე მუშაობას სათავეში ჩაუდგა საქართველოს ტექნიკური საზოგადოება (ქაროსანიძე, 2020, გვ. 7). ამავე პერიოდში მუშაობდა სხვა ჯგუფიც, რუსუდან და გიორგი ნიკოლაძეების ჩართულობით. როგორც შენიშნავს ლია ქაროსანიძე, 1919 წელს ეს ორი ჯგუფი გაერთიანდა საერთო სახელმწიფოებრივი ხედვის საფუძველზე. ცხადია, ამ ნაბიჯით იკვეთება ტერმინოლოგიაზე მომუშავე პირთა მიერ შეთანხმებული მუშაობის მნიშვნელობის გათავისება ტერმინოლოგიური სიჭრელის თავიდან არიდებისა და ეროვნული ტერმინოლოგიის შექმნის საქმეში.

ჩვენ არ განვიხილავთ დაწვრილებით მათ მიერ ეროვნული ტერმინოლოგიის შემუშავებისთვის გადადგმულ თითოეულ ნაბიჯს, მაგრამ, სტატიაზე დაყრდნობით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ „ნიკოლაძეების ჯგუფს“ ჰქონდა ჩამოყალიბებული ეროვნული ტერმინთშემოქმედების მეთოდური მიდგომები და მათ მიერ შემუშა-

ვებული „სამეცნიერო სახელები“ სასკოლო სახელმძღვანელოებშიც დაინერგა (ქაროსანიძე, 2020, გვ. 13); ხოლო ე.წ. საერთაშორისო ტერმინების დამკვიდრების მომხრეებს უპირისპირებდნენ იმ თვალსაზრისს, რომ ქართული ენა სრულიად „განსხვავებული შტოა ქვეყნიერების ენებისა“ და ეროვნული თვითმყოფადობა მოითხოვს ტერმინთშემოქმედებაში ქართული ენის ხასიათის გათვალისწინებას (ქაროსანიძე, 2020, გვ. 15). როგორც ვხედავთ, „ნიკოლაძეების ჯგუფი“ მოქმედებდა ტერმინოლოგიური მუშაობის მართვის პრინციპებით და, შედეგად, მათ მიერ შექმნილი ტერმინების ნაწილმა გაუძლო დროს, ქართული ენის ბუნებრივ ნაწილად იქცა (ქაროსანიძე, 2020, გვ. 20).

სამწუხაროდ, საბჭოთა ეპოქის დასაწყისში გაიმარჯვა ფილიპე მახარაძის მიერ განხორციელებულმა საბჭოთა ტერმინოლოგიურმა პოლიტიკამ, რომლის მიხედვითაც უპირატესობა ენიჭებოდა უცხოენოვან, ე.წ. საერთაშორისო ტერმინებს. ფილიპე მახარაძემ საბოლოოდ ბრძანებით აკრძალა 1920 წელს გამოცემული პირველი ქართული ტექნიკური ტერმინოლოგიური ლექსიკონი, როგორც „ზედმეტად ქართული“. აკრძალა მხოლოდ იმის გამო, რომ მისი ავტორები, „ნიკოლაძეების ჯგუფის“ წევრები, ქართულ სიტყვებს იყენებდნენ ფიზიკის, ქიმიისა თუ ტექნიკის დარგის ტერმინოლოგიის შესაქმნელად. ეროვნულობის ნებისმიერი გამოვლინება კი უპირისპირდებოდა საბჭოთა იდეოლოგიას, რომლის მიხედვითაც ხალხებს „საერთო ენით“ უნდა ელაპარაკათ, ეს გულისხმობდა იმ „საერთაშორისო ტერმინებს“, რომლებიც რუსულს ძველი გერმანულიდან, ფრანგულიდან თუ სხვა ენებიდან ჰქონდა ნასესხები“ (ქაროსანიძე, 2020, გვ. 26).

დღეს თითქოს არაფერი არ უნდა უშლიდეს ქართული ტერმინების უპირატესობას, თუმცა ეს ყოველთვის ასე არ ხდება. თვითშემოქმედებითი და შეუთანხმებელი ტერმინოლოგიური მუშაობა უცხო სიტყვების სიჭარბესაც განაპირობებს, ცალკეული გამოწვევის გარდა. ამას, სავარაუდოდ, ორი მიზეზი აქვს: 1. ადვილია უთარგმნელად გადმოღება, 2. უცხო ტერმინი უფრო მისაღები და გამართლებულია მთარგმნელისთვის. ცხადია, ეროვნული ტერმინოლოგიური პოლიტიკის არსებობის შემთხვევაში, დარგის ტერმინოლოგიის შექმნასაც თავისი მკაფიოდ განსაზღვრული მიმართულება და გეგმა ექნებოდა, რაც თავისთავად გამორიცხავდა უსისტემო ტერმინთშემოქმედებას. ყველასათვის კარგადაა ცნობილი ის, რომ „საყოველთაოდ

მოსახმარად“ მიჩნეული ტერმინების შექმნა დარგის განვითარების ხელშემწყობი ფაქტორია. მნიშვნელოვანია იმის გააზრება, რომ ტექნიკური და სამხედრო ტერმინები ქმნის, აშენებს ერთიან სისტემას, რომელსაც „სამხედრო მეცნიერების ტაძარი“ ჰქვია (ცაგარელი, 1920, გვ. IV).

მრავალმნიშვნელობიანი უცხო სიტყვების ქართულად გააზრება რომ გარკვეულ სირთულეს ქმნის, ეს ქვემოთ მოყვანილ მაგალითებშიც ცხადად ჩანს, კერძოდ: ასეთ სიტყვათა რიცხვს მიეკუთვნება უთარგმნელად გადმოტანილი **იდენტიფიკაცია**. ქართულად მას რამდენიმე სიტყვა შეესაბამება, როგორებიცაა: ამოცანის, დავალების, საკითხის, გეგმის **განსაზღვრა**; მონაცემების (სადაზვერვო, ბალისტიკური თუ პროგრამული), წესდების **დადგენა**; საფრენი აპარატის, ობიექტის **ამოცნობა**. გარდა იმისა, რომ **იდენტიფიკაცია** რამდენიმე ქართული სიტყვის ნაცვლად გამოიყენება, მისი გამოყენებისას ირლვევა ქართული ენის ბუნება, რადგან უცხო სიტყვა, უმეტეს შემთხვევაში, დამხმარე ზმნას მოითხოვს. მაგალითად: **იდენტიფიცირება ხდება, იდენტიფიცირება მოხდა**. თანდათან უცხო სიტყვა ზმნის ყველა ფორმასაც იკეთებს: **დააინდენტიფიცირეს, აიდენტიფიცირებენ** და სხვ.

სამხედრო სასწავლო სახელმძღვანელოებში (საბრძოლო მომზადებაზე ორიენტირებულ გეგმებში) **კრიტიკული** გამოყენება ფართოდ და უპირობო ფორმად მიიჩნევა ისეთ შესიტყვებებში, როგორებიცაა: **კრიტიკული დავალებები, კრიტიკული კრიტერიუმები, კრიტიკული მარშრუტები**. აქ საქმე, ვფიქრობთ, უფრო რთულადაა, რადგან ხშირად გაუგებარია კრიტიკული „ძირითადს“ აღნიშნავს თუ „გადამწყვეტს“? სამუშაო პრაქტიკიდან გამომდინარე, სხვადასხვა სასწავლო, საბრძოლო მომზადების სახელმძღვანელოს დამუშავებისა და გასწორების შედეგად, ცალსახა პასუხი არ არსებობს, საუბარია, სწორედ ამ შესატყვისების შინაარსობრივ მნიშვნელობაზე.

ასევე ხშირად გამოიყენება **სპეციფიკური** „თავისებურის“ ან „განსაკუთრებულის“ მნიშვნელობით, მაგალითად: **სპეციფიკური პირობები, სპეციფიკური მახასიათებლები** და სხვ.

ასეთ სიტყვებს მიეკუთვნება **ვალიდურობაც**, რომელსაც რამდენიმე მნიშვნელობა აქვს სამხედრო დარგში გამოყენებისას და არსებობს მისი არასწორად აღქმის, გააზრების საფრთხე, მაგალითად, რას გულისხმობს ამ კონკრეტულ შემთხვევებში **ვალიდურობა**?

მაგალითი 1.

„1-28. მიზნის ვალიდურობის განსაზღვრა აუცილებელია იმისათვის, რომ მიიღონ მეთაურების თანხმობა მიზნებზე ზემოქმედებისთვის. სახმელეთო ძალების მოქმედებების ფარგლებში ვალიდურობა არის მეთაურის მიერ მიზნების შეტანა მიზნებზე სამუშაო ფურცელში ან მაღალი მნიშვნელობის მიზნების ნუსხაში.

1-29. ვალიდურობის განსაზღვრა არის მიზნის დამუშავების ნაწილი, რომელიც უზრუნველყოფს იმას, რომ ყველა შესაძლო მიზანი აკმაყოფილებდეს მეთაურის მითითებებში მოცემულ მიზნებსა და კრიტერიუმებს... ახალი სადაზვერვო ინფორმაციის მიღებისას უნდა განხორციელდეს მიზნის შემოწმებისა და ვალიდურობის განსაზღვრის პროცესის გადახედვა (განახლება).

1-30. მიზნის ვალიდურობის განსაზღვრა ხორციელდება მიზანზე ზემოქმედების დაგეგმვის ჯგუფის მიერ, საჭიროების შემთხვევაში, დამგეგმავებთან, სამხედრო-იურიდული სამსახურის უფროსთან, სხვა სფეროების ექსპერტებსა და ორგანოებთან შეთანხმებით“ (FM 3-60, 2023, p. 25).

აღნიშნულ სახელმძღვანელოს ერთვის სიტყვარი (გლოსარიუმი), რომელშიც განმარტებულია მასში გამოყენებული ცნება-ტერმინები, კერძოდ:

„validation A part of target development that ensures all candidate targets meet the objectives and criteria outlined in the commander’s guidance and ensures compliance with the law of war and rules of engagement “ (FM 3-60, 2023, p. glossary-4).

ნათელია, რომ აღნიშნულ სახელმძღვანელოში ვალიდურობა მიზნის შემუშავების/განსაზღვრის ნაწილია და მოიცავს, მეთაურის მითითებებისა და ომის კანონების თანახმად, ყველა შერჩეული მიზნისა თუ ობიექტის თანხვედრის დამოწმებას.

ინგლისურ-ქართულ ლექსიკონებში validation-ს შეესაბამება: **დამტკიცება, განმტკიცება, რატიფიკაცია** (გვარჯალაძე 1975); **დამტკიცება, დადასტურება, მოწონება** (სამხედრო 2010)

მაშასადამე, მოყვანილ წინადადებებში ვალიდურობამ ჩაანაცვალა შემდეგი ქართული სიტყვები: **დამტკიცება, დადასტურება, დამოწმება, სისწორე.**

ხშირად გამოიყენება **ლეტალური** და **არალეტალური**, რომლებიც ანაცვლებენ შემდეგი ქართულ სიტყვებს **მომაკვდინებელი** და **არამომაკვდინებელი**, ასევე

პროფესიული დონე, რომელიც ანაცვლებს გაწაფულობას, ოსტატობასა და დახელოვნებულობას.

გვხვდება **დებრიფინგიც**, მაგალითად: „ქვემოთ მოცემულია რამდენიმე მეთოდი, რომლებიც გამოიყენება შტაბის სადაზვერვო სამსახურის მიერ მაღალი ღირებულების მიზნების დასადგენად: მაღალი ღირებულების მიზნების დადგენა საფრთხის მოდელებისა და ვითარების ამსახველი მოდელების დროის ფაზის ხაზების, არსებული სადაზვერვო მონაცემების შესწავლით, მონაცემთა ბაზების შეფასებების, პატრულის დებრიფინგებისა და ზომის, მოქმედების, ადგილმდებარეობის, ქვედანაყოფის ტიპის, დროის, აღჭურვილობის ანგარიშების მიხედვით“ (FM 3-60: 2024, 153).

სამხედრო 2010-ში debriefing-ის შესატყვისად გამოტანილია: **გამოკითხვა, გამოკითხვის ჩატარება.**

დებრიფინგის გამოყენება კარგავს **გამოკითხვას** და წინადადების შინაარსსაც აბუნდოვანებს.

საბოლოოდ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქართულ სამხედრო ლიტერატურაში ჭარბობს ტრანსლიტერაციით შემოტანილი ცნება-ტერმინები და აბრევიატურები, როგორებიცაა: **აკროსი (ACROSS), დრილი (Battle drill); გაიდლაინი, ჩეკ-პოინტი, იმპლემენტაცია;** უცხოპირიანი სიტყვები, მაგალითად: **კონსოლიდაცია// კონსოლიდირება, კამუფლაჟი, კანალიზება, ლოჯისტიკა** და სხვ. ასევე ხშირად გამოიყენება ორი ტერმინი (ქართული და უცხოური), მაგალითად, **ინდიკატორი//მაჩვენებელი, ბრუსტვერი//მიწაყრილი, სტატუსი//მდგომარეობა, პატრონტაში//სავაზნე ჩანთა, ინფილტრაცია//შეჟონვა, ექსფილტრაცია//ფარულად გამოღწევა, პენალი// საკუთნო** და სხვ.

როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია შენიშნული, დროსთან ერთად პარალელური უცხოპირიანი ტერმინები თანდათან იჭერენ ქართულპირიანი ტერმინების ადგილს (მაღრაძე, 2016, გვ. 111).

ნათელია, რომ ქართულ სამხედრო ტერმინებზე მუდმივად ახდენს ზეგავლენას სხვადასხვა დომინანტი ენის ლექსიკა. „21-ე საუკუნის ქართულ სამეცნიერო ენაში... ლათინურპირიანმა ტერმინებმა ისევე ჩაანაცვლა ქართული ძირები, როგორც თავის დროზე აღმოსავლური ენებიდან შემოჭრილმა ლექსიკამ“ (ქაროსანიძე, 2020, გვ. 29).

ხშირია ასევე რუსული ენიდან შემოსული ბარბარიზმების გამოყენება, რადგან, როგორც აღვნიშნეთ, სამხედრო ტექნიკაც და შეიარაღებაც ძირითადად რუსულია. მაგალითად: შომპოლი (ზუმბა), ანტაბკა (რგოლკავი), ბარაბანი (დოლი), კამორა (სავაზნე, chamber).

ფართოდაა გავრცელებული მაწარმოებლების მიხედვით განსხვავებული ფორმები, მაგალითად,

სავაზნე კოლოფი //ვაზნის კოლოფი

მაგრილებელი//გამაგრილებელი//გაგრილების

მანძილსაზომი//მანძილზომი

ყუმბარსატყორცნი//ყუმბარმტყორცნი

ნალმსატყორცნი// ნარმტყორცნი

სათვალთვალო ხელსაწყო//თვალთვალის ხელსაწყო

ვხვდებით ერთი შინაარსის გამომხატველ სინონიმურ ფორმებსაც:

ოპერაციის რაიონი //ოპერაციების რაიონი// საბრძოლო მოქმედებების რაიონი

ოპერატიული რაიონი// სამოქმედო რაიონი

ბრძოლაში ჩაბმის რაიონი //ბრძოლაში ჩართვის რაიონი

საბრძოლო მომზადება//წვრთნა/სწავლება

პირდაპირი მხარდაჭერა//უშუალო მხარდაჭერა

ვლინდება ტერმინებისა და ცნებების შეუსაბამობის მაგალითები, რასაც ძირითადად იწვევს ის, რომ ამა თუ იმ ტერმინს გავრცელებულ მნიშვნელობასთან ერთად ვიწრო სპეციალური მნიშვნელობა,

მაგალითად:

ა) Hummer retarder – замедлитель курка (multitran.com), замедлитель

ჩახმახის შემნელებელი, მაყოვნებელი დასტურდება ტექნიკურ ტერმინოლოგიაში (1977), თუმცა სამხედრო სახელმძღვანელოებში უპირატესობა შემფერხებელს ენიჭება.

ბ) cheekpiece (cheek piece) – щека ложки, щека приклада (multitran.com)

щека – ლოყა გვხვდება 1925 წლის სამხედრო ლექსიკონში, ხოლო გარეპირი, ყბა – ტექნიკურ ტერმინოლოგიაში (1977), უმეტესად გამოიყენება კონდახის გარეპირი.

გ) rifle – винтовка

შაშხანა, დაკუთხვილულიანი/ნაჭდევებიანი თოფი/ცეცხლსასროლი იარაღი დასტურდება ინგლ.-ქართულ სამხედრო ონლაინლექსიკონში, ასევე გვხვდება კუთხვილი იარაღი/კუთხვილიანი/კუთხვილლულიანი (ქართ. სამხ. ენციკლოპედია), ხრახნილლულიანი თოფი (კარაბინი ან შაშხანა). ამ ნაირგვარი ფორმებიდან შაშხანისა და კარაბინის გამოყენებას ენიჭება უპირატესობა, თუმცა „ასეთი ლულის შესატყვისი სწორი ტერმინი უნდა იყოს „სწორდარებიანი ლულა“ ან უფრო მარტივად „სწორდარული ლულა“, ნაცვლად სხვადასხვა ლექსიკონში მოწოდებული ტერმინებისა“ (მაგნიძე, 2016, გვ.142).

დ) **Safety – предохранитель**

საფრთხილო – ცაგარელი (1920)

საფრთხილო – ქართული საბჭოთა ენციკლოპედიაში (1984)

მცველი – ტექნიკური (1977), სამხედრო (1987)

ამათგან ინგლისური და რუსული ფორმები თუ შინაარსობრივად ერთია, ქართული **საფრთხილო** სხვა კონტექსტს გამოხატავს. ფართოდაა გავრცელებული საუბრული ფორმა **პრედახრანიწელი**.

ე) **Comb – гребень**

ქიმი – ტექნიკური (1977)

თხემი – სამხედრო (1987)

ტერმინები ვიწრო სპეციალიზაციის მნიშვნელობით გამოიყენება, ხშირია მათი აღრევაც.

ვ) **Slide stop – затворная задержка** (пистолета, автоматического пистолета, multitran.com)

როდესაც ტერმინი **Slide** გვხვდება პისტოლეტისა და ავტომატური პისტოლეტის აღწერილობაში (slide stop of a pistol):

კლიტის შემჩერი – სიტყვარი (1920)

საკეტის საჭერი, ჩახმახის საჭერი – ცაგარელი (1920, 1925)

საკეტის საკავი – ტექნიკური (1977)

სალექსიკონო ფორმას **საკეტის საკავს** ანაცვლებს **საკეტის შემკავებელი**, დეტალის დანიშნულებიდან გამომდინარე.

როდესაც ტერმინი **Slide** გვხვდება ტყვიამფრქვევის საკეტის აღწერილობაში, **затворная рама** (multitran.com):

საკეტი ჩარჩო – ტექნიკური (1977),

ხშირად მას ანაცვლებს **საკეტის ჩარჩო**, სრულიად სხვა შინაარსის მატარებელი შესიტყვება.

ცალკე დგას ქართულში **სხვა მნიშვნელობით გადმოტანილი ცნებები**, მაგალითისთვის განვიხილოთ, ერთი შეხედვით, სრულიად მისაღები დამკვიდრებული შესიტყვება **შესრულების ეტაპები და ხერხები** – performance measures. აღნიშნული შესიტყვება არსებულ ლექსიკონებში არ გვხვდება. Measures-ის ქართულ შესატყვისად დიდ ინგლისურ-ქართულ ლექსიკონში დასტურდება: **2. ზომა, 3. საზომი**, ხოლო საველე სახელმძღვანელო (FM) 7-0-ში მოცემულია ამ შესიტყვების განმარტების მიხედვით შეგვიძლია ვთქვათ, რომ მასში იგულისხმება **შესრულების მაჩვენებლები** „შესრულების მაჩვენებლები“ (performance measures) არის შესრულებული მოქმედებები, რომლებსაც აკვირდებიან ობიექტურად, აფასებენ ხარისხობრივად და რაოდენობრივად ...შემფასებლები და ლიდერები იყენებენ შესრულების მაჩვენებლებს იმისთვის, რომ განსაზღვრონ, თუ როგორ შეასრულა ქვედანაყოფმა საფეხური ან ქვესაფეხური“ (2016, p. B-8).

ქართულ სამხედრო სახელმძღვანელოებში გვხვდება შემთხვევები, როდესაც ძნელია ინგლისური ტერმინის ზუსტი სათანადო შესატყვისის მიგნება ან, როდესაც გვაქვს ზუსტი შესატყვისები, მაგრამ გამოიყენება უცხოპირიანი სიტყვები. თუ **ლეტალურისა და არალეტალურის** თანაფარდად გამოიყენება ზუსტი ქართული შესაბამისობა **მომაკვდინებელი და არამომაკვდინებელი; კომბატანტისა და არაკომბატანტის, კონვენციურისა და არაკონვენციურის, ტრადიციულისა და არატრადიციულის** ზუსტი შესაბამისობები, სამხედრო შინაარსის მატარებელი, რთული მისასადაგებელია, რადგან ამ შემთხვევებში პირდაპირი თარგმანით ტერმინის შესაბამეა შეუძლებელია და შინაარსობრივ გააზრებას საჭიროებს სათანადო ეკვივალენტის შემუშავება.

სამხედრო ტერმინოლოგიის ხშირად შეცვლას განაპირობებს შემდეგი გარემოებები: პოლიტიკური ვითარება, სტრატეგიული მიდგომები, რომლებიც ფართოდ შუქდება მედიასაშუალებებით; მსოფლიო მასშტაბით მიმდინარე საბრძოლო

მოქმედებების ოპერატიულ-ტაქტიკური მეთოდოლოგია, ტექნიკის განვითარება (შეიარაღების დახვეწა-გაუმჯობესებით გამოხატული).

სწორი და სათანადო ტერმინების გამოყენება საჭიროა ოპერაციების, მოქმედებების, ბრძანებების აღსაწერად და მოსამზადებლად, შესაბამისად, „მეთაურები აღწერენ დოქტრინული ტერმინებით და აზუსტებენ პირობებს მოთხოვნების შესაბამისად“ (FM 3-0: 2008, 102).

ამავე დროს ტერმინების სისწორე მნიშვნელოვანია ბრძანებების შესრულების დროს, რაც შესაძლოა გადამწყვეტი იყოს მთელი ოპერაციის, ქვედანაყოფისა თუ სახელმწიფოს დონეზე, „ბრძანებებში გამოიყენება მკაფიოდ განსაზღვრული ტერმინები და გრაფიკული ნიშნები“ (FM 3-0: 2008, 153).

სახმელეთო ძალების ლიდერები ოპერაციებს გეგმავენ, ამზადებენ, აღასრულებენ და აფასებენ გარემოპირობების ანალიზით იმ ტერმინების გამოყენებით, რომლებიც უკავშირდება ამოცანისა და ოპერატიულ ცვლადებს“ (ADP, 2011, p. 2)

განვიხილოთ კიდევ ერთი ტერმინის განმარტება, რომელიც მოცემულია ამავე სახელმძღვანელოში, კერძოდ, **ადგილზე ჩანაცვლება** (Replacement): „ადგილზე ჩანაცვლება არის ოპერაცია, რომელშიც ზემდგომი მეთაურის ბრძანებით ქვედანაყოფს ან ქვედანაყოფის ნაწილს ამა თუ იმ რაიონში ანაცვლებს ჩამნაცვლებელი ქვედანაყოფი და იღებს ჩანაცვლებული ელემენტების ამოცანის შესრულებისა და ოპერაციის ზონაზე პასუხისმგებლობებს (გაერთიანებული პუბლიკაცია (JP) 3-07.3).

აქვე მითითებულია შემდეგი: „ყურადღება მიაქციეთ, რომ არმიაში ოპერაციის ზონის ნაცვლად გამოიყენება ტერმინი ოპერაციის რაიონი“. არმიაში (ზოგადად, ქართულ დოქტრინებში არმია ჩანაცვლებულია **სახმელეთო ძალებით**), იგულისხმება სახმელეთო ძალების დოქტრინა, რომელიც აღწერილია სათანადო სახელმძღვანელოში, სადაც ტერმინი იცვლის მნიშვნელობას.

საერთო ტერმინოლოგიის გამოყენებას ასევე დიდი მნიშვნელობა ენიჭება წვრთნის ცირკულარებში, მაგალითად: „TC 3-20.11-ში საჭიროებისდა მიხედვით გამოყენებულია საერთო ტერმინები. საერთო და სახმელეთო ძალებისთვის ნიშანდობლივი ტერმინები და განმარტებები მოცემულია როგორც სპეციალური ტერმინოლოგიის ლექსიკონში/გლოსარიუმში, ისე ტექსტში“ (TC 3-20.11, 2021, p. vii).

გარდა ამისა, ყოველ ორ წელიწადში ახლდება აშშ-ის სამხედრო ტერმინების დოქტრინული სახელმძღვანელო FM 1-02 (იხ. I თავი, 1944 წლიდან 2024-მდე გამოიცემა სახმელეთო ძალების საველე სახელმძღვანელო (FM) 1-02.1 (*ტერმინები და აბრევიატურები*). ცალსახაა, აშშ-ის დოქტრინულ სახელმძღვანელოებში იკვეთება საკუთრივ საერთო სამხედრო ტერმინოლოგიის მნიშვნელობა ტერმინოლოგიის სტანდარტიზაციისთვის.

ასევე პერიოდულად ახლდება და გამოიცემა ერთობლივი პუბლიკაცია (JP) 1-02, რომელიც მოიცავს და აერთიანებს აშშ-ის ძალების სრულ სპექტრთან დაკავშირებულ სამხედრო ტერმინოლოგიას. მის წინასიტყვაობაში მითითებულია საერთო და სტანდარტიზებული სამხედრო ტერმინოლოგიის გამოყენების მოთხოვნა და შესაბამისობა ინგლისური ენის ლექსიკონებთან (JP 1-02, 2016) https://irp.fas.org/doddir/dod/jp1_02.pdf). ეს გამოცემა აღწერს სტანდარტიზებულ აშშ-ის სამხედრო და მასთან დაკავშირებულ ტერმინოლოგიას, რათა მოიცვას აშშ-ის შეიარაღებული ძალების ერთობლივი მოქმედებები. ეს ტერმინები განმარტებულია გამოყენება აშშ-ის თავდაცვის დეპარტამენტის ყველა კომპონენტისთვის. გამოცემის მიზანია როგორც თავდაცვის სამინისტროს ფარგლებში, ისე სხვა ფედერალურ უწყებებსა და მოკავშირე ქვეყნების სათანადო უწყებებს შორის საერთო ტერმინოლოგიის გამოყენებით ურთიერთობებისა და ზოგადი გაგების სრულყოფა და გაუმჯობესება. ტერმინების განსაზღვრის კრიტერიუმები რეგულირდება აშშ-ის თავდაცვის სამინისტროს სათანადო მითითებების შესაბამისად.

ზოგადად, აშშ-ის დოქტრინულ გამოცემებსა და საველე სახელმძღვანელოებში, მოცემულია თანამედროვე საბრძოლო მოქმედებებთან, ოპერაციის სახეებსა თუ საბრძოლო მომზადებასთან დაკავშირებული კონცეფციები და საჭირო ცნება-ტერმინები, რომლებიც იცვლება დოქტრინების ან იარაღის განვითარებასთან ერთად, თუმცა გასათვალისწინებელია შემდეგიც: მიმდინარე ფართომასშტაბიანი და გლობალური პროცესები, კერძოდ, თანამედროვე ომის შეცვლილი ფორმები, კვეთს სხვა საკითხსაც, სად გადის ზღვარი საომარ და არასაომარ, სამხედრო და არასამხედრო მოქმედებებს შორის? მსგავსი მიდგომები ცვლის კონცეფციებს, მთლიანობაში კი, ომისა და თანამედროვე ბრძოლის ველის გაგებას, შესაბამისად, ცვლის დოქტრინულ გაგებასაც და, თავისთავად, ცნების შინაარსობრივ გაგებასაც.

აქედან გამომდინარე, მრავალი თანამედროვე სამხედრო ტერმინი წინააღმდეგობრივ გაგებას მოიცავს, ამიტომ მნიშვნელოვანია ცნების სწორად გააზრება. და სწორედ ეს ფაქტორი ქმნის თანამედროვე სამხედრო ტერმინების ერთ-ერთ თავისებურებას, რაც აისახება ქართულ ნათარგმნ სახელმძღვანელოებშიც. ამასთან, ხელს უწყობს პარალელური ტერმინების გამოყენებას.

ამავე დროს, ქართულ სამხედრო ტერმინთა არაერთგვაროვნება შედეგია ერთიანი ტერმინოლოგიური ბაზის არარსებობისა და ინტერნეტსივრცეში თვითნებურად გავრცელებული, სხვადასხვა ფორმით დამკვიდრებული სიტყვების გამოყენებისა.

ტექნიკური სახელმძღვანელოების თარგმნისას, დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, ხშირია ტერმინების აღრევა და, შესაბამისად, მათი არასათანადო გამოყენება. მაგალითად, Возвратно боевая пружина და Возвратная пружина, пружина боевая.

სამხედრო ტერმინოლოგიაში (1978) боевая მოცემულია მხოლოდ **საბრძოლოს** მნიშვნელობით, არადა Боевая ტექნიკურ ტერმინოლოგიაში (1977) ნიშნავს: 1. **საბრძოლოს** და 2. **დარტყმას, სარტყამს**. ეს ზამბარა არის საცემ-სასხლეტი მექანიზმის ნაწილი (возвратно-боевая пружина ударно-спускового механизма) და, შესაბამისად, სწორია **სარტყამი ზამბარა** და არა **საბრძოლო ზამბარა**. მთელ რიგ სამხედრო სახელმძღვანელოებში გამოიყენება **საბრძოლო ზამბარა**.

მაშასადამე, როგორც განხილული მასალითაც ჩანს, თანამედროვე სამხედრო ლექსიკონებში იკვეთება შემდეგი მოსაგვარებელი პრობლემები:

- ორ- და მეტტერმინიანობა (პარალელური ცნება-ტერმინები, ქართული და უცხო);
- სინონიმური შესატყვისები;
- უცხოძირიან შესატყვისთა სიჭარბე;
- ქართულ შესატყვისთა უზუსტობა.

როგორც გარკვეული მასალის შესწავლა-ანალიზი გვიჩვენებს, ქართული სამხედრო ტერმინების სიჭრელეს განაპირობებს, ერთი მხრივ, დარგობრივი ლექსიკონების სიმწირე, მეორე მხრივ, სამეცნიერო თუ კონკრეტული დარგის არასათანადო განვითარება.

სამხედრო სფეროს განვითარება მოითხოვს ქართული სამხედრო ტერმინოლოგიის სრულყოფას. ტექნიკისა და ციფრული ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად სამხედრო სფერო დღეს ბევრად მრავალმხრივი და მრავალდარგოვანია, ვიდრე აქამდე. შესაბამისად, ტაქტიკურ-ოპერატიული დოქტრინების შემუშავებისა და განახლების თანმდევი უწყვეტი პროცესი უნდა იყოს სამხედრო ტერმინოლოგიის დახვეწა-სრულყოფა, ასევე ინდექსებისა და ტერმინთა ცნობარების უწყვეტი შევსება-განახლება ყველა ცვლილებისა და სიახლის სტანდარტების შესაბამისი მითითებებით, სამხედრო ტერმინების შესწავლა და შემუშავება კი არსებული სამხედრო ლექსიკონების შესწავლის გარეშე წარმოდგენილია. „როგორც ივანე ჯავახიშვილი წერდა: ჩვენ ხომ ვეღუბები არა ვართ, რომ ყოველი საქმე მუდამ თავიდან დავიწყოთ და წინაპართა ნამუშევარს ზურგი შევაქციოთ“ (ქაროსანიძე, 2014, გვ. 183).

2.2. ტერმინოლოგიური მუშაობა თანამედროვე ციფრულ ეპოქაში: ევროპული მიდგომები, სტანდარტები, ტერმინთბანკები

ეროვნული ტერმინოლოგიის განვითარების კუთხით ცალკეულ ქვეყნებში მოქმედი ტერმინთბანკების როლის, ეროვნული ტერმინთბანკების ჩამოყალიბების გზისა და ფუნქციური დანიშნულების შესახებ მრავალი გამოკვლევაა დაწერილი, აღწერილია სხვადასხვა ქვეყნის ეროვნული ტერმინთბანკების შექმნის ისტორია და ეროვნული სტანდარტების დონეზე დადგენილია მათი ადგილი და ფუნქცია.

ეროვნული ტერმინთბანკები უპირველესად გამოყენება შეთანხმებული ტერმინოლოგიური მუშაობის მართვის სისტემის, ანუ ტერმინოლოგიური პოლიტიკის, ჩამოსაყალიბებლად. ტერმინოლოგიური მუშაობის თითოეული ნაბიჯი მიმოხილულია „ტერმინოლოგიის პოლიტიკის სახელმძღვანელოში“, რომელიც იუნესკოს შეკვეთით შექმნა საერთაშორისო საინფორმაციო ტერმინოლოგიურმა ცენტრმა (Infoterm) და რამდენიმე ქვეყნიდან საგანგებოდ მიწვეულმა ტერმინოლოგებმა. 2005 წელს გამოქვეყნებული სახელმძღვანელო თარგმნილი იყო 11 ენაზე, ხოლო 2020 წელს გამოიცა მისი ქართული ვერსიაც. წიგნის შესავალში ვკითხულობთ: „წარმოდგენილი „სახელმძღვანელო დებულებები“ განკუთვნილია გადაწყვეტილების მიმღებ თანამდებობის პირთათვის, რომელთაც სხვადასხვა

მიზნით სურთ ისეთი ტერმინოლოგიური პოლიტიკის შემუშავება, დაგეგმვა და განხორციელება, რომელიც მიმართულია გარკვეული საზოგადოებისათვის ტერმინოლოგიის შექმნის, მოვლა-პატრონობისა და გამოყენების გონივრულ, თანმიმდევრულ და მართვად მიდგომაზე“ (სახელმძღვანელო, 2022, გვ. I). ერთია, ტერმინოლოგიური პოლიტიკის შემუშავება, მეორე, მისი სრულფასოვნად განხორციელება, რაშიც შედის: ენობრივი და ტერმინოლოგიური გარემოსა და არსებული კანონმდებლობის შეფასება; ენობრივი ცნობიერების შესაქმნელი ღონისძიებები და ამ ღონისძიებების ოფიციალური აღიარების მისაღწევად საჭირო ძალისხმევა; მეთოდოლოგიის შემუშავება და არსებული თუ შესაძლებელი ღონისძიებები; წინასწარი დოკუმენტების მომზადება; ეროვნული კონსულტაციის მოწყობა (სახელმძღვანელო 2022).

მაშასადამე, ეროვნული ტერმინოლოგიის მოვლა-პატრონობა დამოკიდებულია სწორი ტერმინოლოგიური პოლიტიკის წარმართვაზე, რასაც ციფრულ ეპოქაში საუკეთესოდ არეგულირებს ეროვნული ტერმინთბანკები.

ტერმინთბანკზე მუშაობა ევროპაში გასული საუკუნის 70-იანი წლების ბოლოდან დაიწყო. შეიქმნა ეროვნული ტერმინოლოგიური ბანკები, რომლებშიც გაერთიანდა ნორმატიული ტერმინოლოგიური ლექსიკონები.

შვედეთის ტერმინოლოგიურმა ცენტრმა ჩამოაყალიბა პირველი კომპიუტერიზებული ტერმინთბანკი – Termdok (ტერმდოკი), რომელიც ძირითადად მოიცავდა ცენტრის ტერმინოლოგიურ ლექსიკონებს. Termdok პირველად გამოქვეყნდა 1987 წელს, CD დისკის სახით (ელექტრონული ვერსიის სახით). სამი წლის შემდეგ ამოქმედდა ვებპორტალზე დაფუძნებული ეროვნული ტერმბანკი – Rickstembanken (Bucher et al., 2010, p. 171). ტერმინთბანკის მოცულობა მუდმივად იზრდებოდა. 100-ზე მეტი ნებისმიერი დარგის კონცეფციის აღწერილობა, 390 გამოცემული ტერმინოლოგიური მასალა, 117 მონაწილის მიწოდებული, 23 ენის სათანადო ეკვივალენტები. ტერმინთბანკის პროგრამული უზრუნველყოფა შეესაბამება ისოსა და იატეს სტანდარტებს. ესაა სამდონიანი სტრუქტურა, რომელიც მოიცავს ცალკეული ენის დონეს, ასევე ენისა და ტერმინის დონეებს (Bucher et al., 2010, p. 172). ყველაზე მნიშვნელოვანია ტერმინთბანკის როლის, როგორც ეროვნული ტერმინოლოგიის ინფრასტრუქტურის/სისტემური სტრუქტურული ბაზის, სამომავლო ხედვა.

ტერმინთბანკი ითვალისწინებს შვედური ენის, როგორც ძირითადი ენის, სტატუსსა და დანარჩენი 5 ენის, როგორც უმცირესობების, ენის, სტატუსს.

შვედური ტერმინთბანკი შედგება წყაროების 3 ძირითადი ჯგუფისგან: ტერმინოლოგიური ცენტრის, ასევე მისი მეგობარი ფინური ტერმინოლოგიური ცენტრის ტერმინოლოგიური ლექსიკონები, სხვადასხვა ორგანიზაციის/უწყების მიერ მიწოდებული ტერმინოლოგია (სახელმწიფო დაწესებულებები, ბიზნეს-სექტორის ასოციაციები, კერძო ორგანიზაციები და სხვ).

თუ ევროპული ტერმინთბანკის შექმნის თავდაპირველი მიზანი იყო ტერმინოლოგიური ინფრასტრუქტურის სრულყოფა შერჩეულ ევროკავშირის ქვეყნებში, როგორებიცაა: ლატვია, ლიეტუვა, ესტონეთი, პოლონეთი, უნგრეთი, დღეს ევროტერმინთბანკი აფართოებს თავის საქმიანობას ევროკავშირის სხვა ქვეყნებზეც და მის ფარგლებს გარეთაც. ამის მიღწევა კი განაპირობებულია როგორც საერთო ქსელების შექმნით, ისე შეთანხმებული და დადგენილი ტერმინოლოგიური რესურსების ქონით. 2007 წელს ამოქმედდა ევროპული ტერმინთბანკი, რომელიც მოიცავს 1 918886 ტერმინს 30 ენაზე, ასევე დამატებით რესურსებს, რომლებიც ხელმისაწვდომია ურთიერთდაკავშირებული ტერმინოლოგიური ბანკებით (Vasiljevs & Rirdance, 2008, p. 55).

ევროტერმინთბანკის პროექტი ითვალისწინებს ტერმინოლოგიური მონაცემების ხელმისაწვდომობის გამარტივებას და მათ მიმოცვლას რამდენიმე, კერძოდ, სამი დონის ფარგლებში. ევროტერმინთბანკს აქვს ჩამოყალიბებული ტერმინოლოგიური მუშაობა ადგილობრივი, ეროვნული და საერთაშორისო დონეების მიხედვით (Vasiljevs & Rirdance, 2008, p. 57).

ევროტერმინთბანკი იყენებს ისოს სტანდარტებს, 12200:1999 და 12620:1999, რომლებიც მოიცავს შემდეგ მიდგომას: ტერმინის ცნება არის კონცეფციაზე დაფუძნებული, შეიცავს მონაცემების ფართო სპექტრს, რაც უზრუნველყოფს დაჯგუფებას და თითოეული ტერმინის აღწერას.

2007 წელს ხორვატიის ტერმინოლოგიის საბჭომ წამოიწყო პროექტი „ხორვატიის დარგობრივი ენის ტერმინოლოგიის განვითარება დახვეწა-გაუმჯობესება“, რაც ხორვატიული ტერმინოლოგიის დაგეგმვის მიმართულებით გადადგმული პირველი ნაბიჯი იყო. პროექტს ახორციელებდა ხორვატიის ენისა და ენათმეცნიერების

ინსტიტუტი ხორვატიის სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით. ხორვატიული ტერმინთბანკი – STRUNA ოფიციალურად ამოქმედდა 2012 წლის თებერვალში.

ცხადია, ტერმინთბანკი ეფუძნება თანამედროვე ტერმინოლოგიური მუშაობისა და ტერმინოლოგიური მუშაობის მართვის სტანდარტებს.

ყურადსაღებია, რომ STRUNA არის ეროვნული პროექტი, ნორმატიული ერთეოვანი ბაზა, მიმართული და ფოკუსირებული მხოლოდ ხორვატიულ ენაზე, თუმცა სარგებლობს ორენოვანი და მრავალენოვანი ტერმინოლოგიური სივრცით, რაც აიხსნება შემდეგით: 1. უცხო ენის ეკვივალენტები არის ეფექტური მექანიზმი იმისთვის, რომ გაკონტროლდეს სხვადასხვა დარგის ტერმინების ჰარმონიზაცია; 2. არის წინაპირობა ტერმინოლოგიური ბაზებისა და მონაცემების გაცვლისა; 3. მთარგმნელები არიან ტერმინთბანკის ყველაზე ხშირი მომხმარებლები (Bratanie & Ostroski, 2013, 678). ჩანაწერების მიმდინარე ნუსხა მოიცავს მონაცემთა 23 კატეგორიას. ამის მიღმა ავტომატურად გამოიყოფა ტერმინოლოგიურ მონაცემთა 4 კატეგორია: ტერმინის ID, ტერმინის შექმნის თარიღი, ტერმინის ავტორი/წყარო და ტერმინის ცვლილების ავტორი/წყარო (Bratanie & Ostroski, 2013, 678).

ევროპაში ტერმინთბანკების შექმნა და მათი მეშვეობით ტერმინოლოგიური მუშაობის მართვა მრავალი არგუმენტითაა გამართლებული. გათვალისწინებულია ყველა ის დადებითი შედეგი, რომლებიც ზოგადად ტერმინთბანკის შექმნას მოჰყვება, ესენია:

- ფინანსები – ტერმინოლოგია დაზოგავს ფულს (დაზოგილი დროის საშუალებით, სწრაფი თარგმანების მეშვეობით და სხვ.);
- ცოდნის გადაცემა – ხელისუფლებასა და მოქალაქეებს შორის, მასწავლებლებსა და სტუდენტებს შორის და სხვ.;
- განათლება – სალიტერატურო ენის როლის შესახებ ცნობიერების ამაღლება;
- ენის განვითარება – მშობლიურ ენაზე ტერმინების ქონა, დარგების განვითარება და სხვ.;
- სანდოობა – სიზუსტე, თანმიმდევრულობა, გამჭვირვალობა, სტანდარტიზაცია, ჰარმონიზაცია;

- სამართლებრიობა – არასწორი ტერმინოლოგიის სამართლებრივი შედეგების შესახებ ცნობიერების ამაღლება“ (Nilson, 2009, 13).

ტერმინთბანკის მეშვეობით წარმართულ ტერმინოლოგიურ მუშაობას მოჰყვა კონკრეტული შედეგებიც, მაგალითად, შვედური ტერმინთბანკის შემთხვევაში: 1. სწრაფი და მარტივი წვდომა ტერმინოლოგიაზე, რომელიც ბევრი წყაროდანაა შევსებული; 2. ახალი ტერმინებისა და ცნებების სწრაფი გავრცელება; 3. კოორდინაცია, ჰარონიზაცია, სტანდარტიზაცია (Bucher et al., 2010, p. 178), ხოლო ევროტერმინთბანკის პროექტის შემთხვევაში: ტერმინოლოგიის დახვეწა, შეტანა ბაზებში და მათი შენარჩუნება. პროექტზე მუშაობამ ცხადყო, რომ მიზნების მიღწევა შესაძლებელი იყო ტერმინების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით დადგენით (Vasiljevs & Rirdance, 2008, p. 56).

ხორვატიის მაგალითი გვიჩვენებს, თუ როგორ შეიძლება მოგვარდეს ეროვნულ ტერმინოლოგიასთან დაკავშირებული პრობლემები ეროვნული ტერმინთბანკის ჩამოყალიბებითა და ამოქმედებით, ამავდროულად, ძირძველი ტრადიციების შენარჩუნებით. მართალია, ეროვნული ტერმინთბანკის შექმნა შრომატევადი საქმიანობაა, მოითხოვს დიდძალი მასალის მოპოვებასა და შესწავლა-დამუშავებას, მაგრამ ტერმინთბანკის ინფრასტრუქტურა იძლევა დიდძალი მასალის სათანადო წესით დამუშავების მარტივ გზას, უფრო მეტიც, უზრუნველყოფს ტერმინთა სანდოობას, ტერმინოლოგიური მუშაობის მართვის აღდგენას.

აქედან გამომდინარე, ტერმინთბანკის მუშაობის პრინციპებია:

- ტერმინოლოგიის მოგროვება: ყველა დარგის მოგროვებული ტერმინოლოგიის წარდგენა ქვეყნის ფარგლებში და მუდმივად განახლება;
- ტერმინოლოგიის შენახვა: დაარქივების ფუნქციის ამოქმედება (არქივის შექმნა);
- ტერმინოლოგიის გავრცელება: შეგროვებული ტერმინოლოგია ხელმისაწვდომია ყველა დარგობრივი და ენის ექსპერტისთვის, ჟურნალისტისთვის, ინფორმაციის სპეციალისტისთვის, განათლებისა და სწავლების ექსპერტის, სახელმწიფო უწყებების თანამდებობის პირებისთვის, სტუდენტებისთვის, ფართო საზოგადოებისთვის.

უპირველესად, კი ტერმინთბანკი არის ცალსახად ტერმინის ძეგნისა და უნიფიცირების თანამედროვე საშუალება (ნილსონი 2016).

რა თქმა უნდა, ტერმინთბანკის მუშაობის დანიშნულება, პრინციპები, საბოლოო შედეგები ძირითადად ერთია, მაგრამ ტერმინთბანკებს აქვს მათთვის დამახასიათებელი თავისებურებებიც.

ცნება-ტერმინთა უნიფიცირება ეფუძნება ტერმინოლოგიის ჰარმონიზაციას როგორც ერთი სფეროს/დარგის ფარგლებში, ისე სხვა დარგებთან კვეთისას. ხორვატიის ტერმინთბანკის ფარგლებში ერთი და იმავე ჩანაწერების გაკეთების თავიდან ასაცილებლად შემოღებულია დარგთაშორისი ტერმინის კატეგორიაც. ნათელია, – აღნიშნავენ მკვლევრები, რომ ჰარმონიზაცია მუდმივად მიმდინარე პროცესია და მოითხოვს ახალი ტერმინების წარმოებისას/შექმნისას მათ ხელახლა განსაზღვრასაც. ტერმინთბანკით წარმართული მუშაობისას ცნება-ტერმინთა ჰარმონიზაციის უმნიშვნელოვანეს ასპექტად მიიჩნევა კონტექსტი და ჩანაწერები, რადგან ისინი როგორც ექსტრალინგვისტურ, ისე ენციკლოპედიურ ინფორმაციას შეიცავს (Bratanie & Ostroski, 2013, 679).

ინფორმაცია, რომელიც მიიღება კონტექსტიდან და ჩანაწერიდან, იყოფა სამ კატეგორიად: კონცეფციის დონის ინფორმაცია, ტერმინის დონის ინფორმაცია და ენციკლოპედიური დონის ინფორმაცია, მაგალითად: ტერმინის განმარტება, კონტექსტი და ჩანაწერი (Bratanie & Ostroski, 2013, 680).

შვედური ტერმინთბანკის გამოცდილება ცხადყოფს, რომ ტერმინოლოგიური მასალების შეგროვებისას მნიშვნელოვანია მასალების სანდოობის საკითხი. ტერმინოლოგიური მასალა სანდოა, თუ ის შეესაბამება ორ ძირითად მოთხოვნას: 1. ზუსტ და დაკავშირებულ ტერმინოლოგიურ მოცემულობას, შედგენილს როგორც საგნობრივ საფუძველზე, ისე თეორიულ-ლოგიკურ ცოდნაზე/გამოცდილებაზე დაყრდნობით; 2. თანამედროვე საკუთრივ/ინდივიდუალურად, გამოცდილებაზე დაყრდნობით, შედგენილ, ლექსიკონებს, რომლებიც დიდიხანია არსებობს, მაგრამ არ ეთავსება არსებულ ოფიციალურ ლექსიკონებს. შვედური ტერმინთბანკის ტერმინოლოგიური მუშაობა ითვალისწინებს ძველი ლექსიკონების/მასალების/ინფორმაციის გამოყენებას შემდეგი კრიტერიუმების საფუძველზე:

- ძველ ლექსიკონებს აქვს ისტორიული ღირებულება;

- იძლევა ტერმინის კონცეფციური განხილვის შესაძლებლობას (მითითებული წლების მიხედვით);
- აზუსტებს ბუნდოვანი ან ორაზროვანი ტერმინის შინაარსს (ტერმინების შესახებ ინფორმაციის განთავსება ან სინონიმების ჩამოთვლა მოძველებულ ტერმინებთან ერთად ხელს უწყობს სხვადასხვა ორგანიზაციის თანამედროვე მასალებში გამოვლენილი არაერთგვაროვნების დაძლევას, არასათანადო განმარტებების დაზუსტებას ერთიანი მეთოდოლოგიური მიდგომების გამოყენებით (Bucher et al., 2010, p. 174).

ტერმინოლოგიური ჩანაწერები მოიცავს შემდეგ ინფორმაციას: 1. ძირითადი ტერმინი შვედურ ან უმცირესობათა ენაზე; 2. სინონიმები; 3. ინფორმაცია ტერმინის სტატუსის შესახებ (უპირატესი, მისაღები, გამონაკლისი), 4. განსაზღვრა ან განმარტება ერთენოვანი ჩანაწერებისთვის; 5. ტერმინის ეკვივალენტები; 6. ენობრივი ინფორმაცია გრამატიკა ან წარმოთქმა; 7. დამატებითი ინფორმაცია განმარტებისთვის; მაგ., ენციკლოპედიური, 8. ინფორმაცია გამოყენების ან გავრცელების შესახებ 9. მითითება სხვა ცნებებზე (Bucher et al., 2010, p. 177).

განხილული მასალების საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ შვედური ტერმინთბანკის ფუნქცია ეროვნული ტერმინოლოგიური პორტალისა და ტერმინოლოგიური კოორდინაციის პროგრამის შექმნაა.

ევროტერმინთბანკს აქვს ორი ძირითადი ფუნქცია: გამოიყენება როგორც ტერმინოლოგიური მონაცემების ცენტრალური/მთავარი ბაზა და როგორც სხვა ეროვნული ტერმინთბანკების მაკავშირებელი (Vasiljevs & Rirdance, 2008, p. 55). ერთი მხრივ, ახლად გაერთიანებული ქვეყნების ტერმინოლოგიის გაუმჯობესებას უწყობს ხელს, მეორე მხრივ, განაპირობებს დარგობრივი ენების სისტემური ბაზის შექმნას, რისთვისაც საჭიროა საყოველთაოდ ხელმისაწვდომი ტერმინოლოგიური მასალების მოგროვება, ჰარმონიზაცია და გავრცელება.

დღეს ხორვატიული ტერმინთბანკის უმთავრესი დანიშნულებაა, გაუმჯობესდეს ხორვატიულ ენაზე ცოდნისა და ინფორმაციის მიმოცვლა მრავალენოვან გარემოში, ზოგადად, ტერმინთბანკი მიიჩნევა ხორვატიული ენის არსებობის აუცილებელ პირობად. ამასთან, ხორვატიული ტერმინთბანკის დანიშნულება საწყის ეტაპზე იყო ხორვატიული ენის ნორმირება, დღეს კი STRUNA წარმოადგენს

მრავალფეროვან/მრავალმხრივ ინფორმაციას ტერმინოლოგიური ჩანაწერების სახით და არის ცოდნის ბაზა (Bratane & Ostroski, 2013, 683).

ტერმინთბანკი ეტაპობრივად ქმნიდა სტანდარტიზებულ ხორვატიულ ტერმინოლოგიას ყველა პროფესიული დარგის მიმართულებით, ყველა საგნობრივი სფეროს სპეციალისტის ჩართულობით, ერთი მხრივ, და, მეორე მხრივ, ტერმინოლოგებისა და ენის ექსპერტების მონაწილეობით (Bratane & Ostroski, 2013, 677).

ტერმინოლოგიური ბაზა STRUNA ბევრჯერ შეიცვალა, პირველ რიგში, მონაცემების რაოდენობის მხრივ, ფუნქციური დანიშნულების მიხედვითაც, რაც, როგორც ჩანს, ტერმინთბანკების ტერმინოლოგიური მუშაობის გეგმაზომიერი პროცესია.

აქედან გამომდინარე, ცხადია, ტერმინთბანკის ფუნქციები შესაძლოა შეიცვალოს და ეროვნული ტერმინთბანკი გამოიყენებოდეს სხვა ფუნქციებით, მაგალითად, როგორც კვლევითი ცენტრი, კვლევის სფერო შესაძლოა იყოს სპეციალური, ანუ დარგობრივი ენები, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების ისტორია და სხვ. ეროვნული ტერმინთბანკი შესაძლოა დამუშავდეს სრულ ტერმინოლოგიურ მართვის სისტემად, რომელიც მოიცავს სხვა საკითხებსაც, რომლებიც უკავშირდება ტერმინოლოგიის დანაწევრებულად/თემატურად შეტანასა და შინაარსის რედაქტირებას (Bucher et al., 2010, p. 170).

როგორც ვხედავთ, ტერმინთბანკების შექმნა ეყრდნობა იმ ტერმინოლოგიურ საჭიროებებს, რომლებიც მოიტანა, ერთი მხრივ, ახალ ტექნოლოგიებთან/მეთოდოლოგიებთან დაკავშირებული ტერმინოლოგიის გამოყენებამ, მეორე მხრივ, სპეციალურ/დარგობრივ ტერმინოლოგიაზე სწრაფმა წვდომამ.

შესაბამისად, ტერმინთბანკების შექმნამ მოითხოვა:

- ეროვნული დარგობრივი ტერმინოლოგიის მასალების/რესურსების/მონაცემების შეჯერება შეთანხმებული ტერმინოლოგიური მუშაობის საფუძველზე;
- ეროვნული დარგობრივი ცნება-ტერმინების დადგენა თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით;

- სტანდარტიზებული და დადგენილი ეროვნული ტერმინოლოგიის ელექტრონული პროგრამული უზრუნველყოფა მის სწრაფად გასავრცელებლად;
- სტანდარტიზებული და დადგენილი ეროვნული ტერმინოლოგიის ჰარმონიზაცია უცხოენოვან სტანდარტიზებულ და დადგენილ ტერმინოლოგიასთან.

2.3. ქართული დარგობრივი ტერმინოლოგიის ელექტრონული ბაზა – ქართული ტერმინთბანკი

სამწუხაროდ, საქართველო ამ პროცესებს ჩამორჩა, განსაკუთრებით 90-იანი წლებიდან. დღეს, ციფრულ ეპოქაში, ყველა ქვეყანა ცდილობს, საკუთარი ენა საერთაშორისო ენად აქციოს, ქართული ტერმინოლოგიის მდგომარეობა – სიჭრელე კი ხელს უშლის დარგობრივი ტერმინოლოგიის ნორმირებას, რაც საერთაშორისო ბაზებსა და ქართულ ენას შორის „ციფრულ გამყოფად“ აღიმართება. „ის ენობრივი საზოგადოება, რომელსაც არ შეუძლებია სამეცნიერო-ტექნიკური ტერმინოლოგია, იძულებული გახდება გამოიყენოს რომელიმე სხვა, უფრო განვითარებული, უცხო ენა დარგობრივი ენისთვის. დღეს საზოგადოებრივი ურთიერთობები ეყრდნობა საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, შესაბამისად, ტერმინოლოგიის უქონლობა, მართალია, ირიბად, მაგრამ უცილობლად აღმართავს ციფრულ გამოყოფს... (სახელმძღვანელო 2005: 21)“ (ქაროსანიძე, 2022-2023, გვ. 408).

საბჭოთა, პოსტსაბჭოთა თუ თანამედროვე პრობლემების მოგვარების შესახებ ქართველ საზოგადოებას ორი განსხვავებული შეხედულება აქვს, ნაწილი მიიჩნევს, რომ საჭირო არ არის „საბჭოთა ლექსიკონების“ გაციფრულება და ყველა დარგის ტერმინოლოგიური ლექსიკონი უნდა მომზადდეს ინგლისურის მიხედვით, ნაწილი კი ფიქრობს, რომ სჯობს ყველა ქართული ტერმინი გაანალიზდეს თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით და ამის საფუძველზე წარიმართოს ტერმინთა ნორმალიზაცია-სტანდარტიზაცია (ქაროსანიძე, 2022-2023, გვ. 403-404).

საქართველო გვიან, მაგრამ მაინც ჩაერთო ამ საერთო ევროპულ მუშაობაში და შექმნა ქართული ტერმინთბანკის პროგრამა. უკვე ათი წელია, თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ტერმინოლოგიის განყოფილება სწორედ ამ პროგრამით ამუშავებს სხვადასხვა დარგის ტერმინოლოგიურ ლექსიკონებს და ქმნის მყარ ტერმინოლოგიურ ბაზას ქართული

ტერმინთშემოქმედებისათვის. ქართული ტერმინთბანკი მონიშნულია ევროპის ტერმინთბანკების რუკაზე, ეს კავკასიაში პირველი ტერმინოლოგიური ბანკია (<https://ice.tsu.ge/>). მისი გამოქვეყნება წელს იგეგმება. ქართული ტერმინთბანკი ევროპულისგან განსხვავებული მეთოდოლოგიით შეიქმნა: თუ ევროპაში ტერმინთბანკები ნორმატიული ტერმინოლოგიური ლექსიკონების კრებულია, საქართველოში თანამედროვე ნორმატიული ტერმინოლოგიური ლექსიკონების არარსებობის გამო ამ სახის ტერმინთბანკის შექმნა დაგვიანდა. ამ ვითარების გათვალისწინებით ქართულ ტერმინთბანკში უპირველესად თავს იყრის თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო ტერმინოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელობით შექმნილი აკადემიური ლექსიკონები, რომელთა სრულად შესწავლა-გაანალიზება გახდება საფუძველი სხვადასხვა დარგის ნორმატიული ლექსიკონების ახალი რედაქციებისა და, ზოგადად, ახალი ლექსიკონების შექმნისაც.

მაშასადამე, ქართული ტერმინთბანკის პროგრამა შეესაბამება ქართული ტერმინოლოგიის მდგომარეობას და მიზნად ისახავს მის მოგვარებას არსებული მასალების თავმოყრითა და ანალიზით. ამ მეთოდოლოგიას იცნობს ევროპული სტანდარტები, რომელთა მიხედვითაც ერთად თავმოყრილ ბაზაზე დაყრდნობით იქმნება ნორმატიული ტერმინოლოგიური ლექსიკონები (ქაროსანიძე, 2022-2023, გვ.409).

ქართულ ტერმინთბანკში თავს იყრის უმნიშვნელოვანესი მასალა, კერძოდ:

- სხვადასხვა დროის დარგობრივი ლექსიკონები;
- ინსტიტუტში დაცული ხელნაწერი ფონდები;
- უმნიშვნელოვანესი ოქმები, რომლებშიც XX საუკუნის ტერმინოლოგიური საკითხების შესახებ გამართული სხდომების ჩანაწერებია დაცული;
- დარგის სპეციალისტების მიერ სხვადასხვა დროს გამოთქმული შენიშვნები; ძველი ქართული ტერმინოლოგიური მასალა;
- არასალიტერატურო ფონდი; სხვადასხვა გაზეთში შემონახული ტერმინოლოგიური მასალა; ტერმინოლოგიასთან დაკავშირებული ბიბლიოგრაფია თემატური საძიებლებით.

ტერმინთბანკს შემდეგი ფუნქციები აქვს: აქ იძებნება სიტყვის განმარტება, სიტყვის წარმომავლობა, სიტყვის შედგენილობა, ტერმინები მაწარმოებლების მიხედვით, ბარბარიზმი, სინონიმი, გამოუქვეყნებელი ტერმინოლოგიური მასალები, სიტყვა ფუძის/ძირის მიხედვით, არასალიტერატურო მასალა, ძველი ქართული მასალა, სპეციალისტთა შენიშვნები (ქართული ტერმინთბანკი 2018: 189-198) (ქაროსანიძე 2022-2023: 409).

ცხადია, ამ ყველაფრის გათვალისწინებით იცვლება და სიახლეები შემოდის ტრადიციულ ტერმინოლოგიურ მუშაობაში. ციფრულ ეპოქაში ეს, რა თქმა უნდა, გასაკვირი არც არის, უპირველესად, მნიშვნელოვანი და აუცილებელია, დარგის სპეციალისტებსა და ენათმეცნიერებთან ერთად მუშაობდნენ ტერმინოლოგიურ სტანდარტებსა და პროგრამებში კარგად გარკვეული პროგრამისტები, რომლებიც უზრუნველყოფენ ქართული ტერმინთბანკის საერთაშორისო მიდგომებით გამართვას. გარდა ამისა, ცვლილებებს მოითხოვს სამეცნიერო მუშაობის დაგეგმვაც, კერძოდ, ქართული ტერმინთბანკის მასალის საბოლოოდ შესაჯამებლად საჭირო ხდება საგანგებო კითხვარების მომზადება ისო 1087 სტანდარტის ე.წ. მისაღებობის მსაზღვრელის მიხედვით. უნდა დადგინდეს, არსებული ტერმინებიდან, რომელს მიიჩნევენ მკვლევრები უპირატეს, დასაშვებ, დაუშვებელ და მოძველებულ ტერმინებად (ისო 1087, 2024). ერთ ბაზაში თავმოყრილი გასაანალიზებელი მასალა საქმეს აადვილებს, სარედაქციო სამუშაოებს აჩქარებს. ტერმინთბანკიდან ამოღებული თემატური და დარგობრივი მასალა იგზავნება სხვადასხვა კვლევითი თუ სასწავლო ცენტრის სპეციალისტებთან, მასალის სარედაქციო სამუშაოში ჩართულია თითქმის ყველა დარგის მკვლევარი, მეცნიერი, მათ შორის ისინიც, რომელთაც ენათმეცნიერების ინსტიტუტის გრიფით გამოცემულ ლექსიკონებში აქვთ უშუალოდ მონაწილეობა მიღებული. ტერმინთბანკის მასალის გასაანალიზებლად და საბოლოოდ ნორმატიული ფორმის გამოსავლენად დარგის სპეციალისტების პასუხებს, მათ თვალსაზრისებს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება, თუმცა კითხვარების შეჯამების შემდეგ საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად კიდევ რამდენიმე ეტაპია გასავლელი, დარგის სპეციალისტების მიერ შერჩეული ტერმინები განიხილება ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წინაშე და საბოლოოდ იგზავნება

სახელმწიფო ენის დეპარტამენტის ექსპერტთა კომისიასთან განსახილველად (ქაროსანიძე 2022-2023, გვ. 411).

საერთო სახელმწიფო/ეროვნული ტერმინოლოგიური ბაზის, ქართული ტერმინთაზნის გამოქვეყნება და მისი მუდმივი შევსება-განვითარება ციფრული ტექნოლოგიებისა და ხელოვნური ინტელექტის სამყაროში „ტერმინოლოგიის ხვალისდელი დღეა“.

შესაბამისად, ტერმინოლოგიური მასალების თავმოყრა და ტერმინოლოგიური კვლევა თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, რასაც მოიცავს თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართული ენის ტერმინთაზნი, ეფუძნება საერთაშორისო სტანდარტებს.

2.4. ქართული ტერმინთაზნის სამხედრო ტერმინოლოგიის ქვებაზა

ქართული სამხედრო ტერმინოლოგიის სრულყოფილად შესასწავლად მნიშვნელოვანია ქართული ტერმინთაზნის პროგრამით ქართული სამხედრო ტერმინოლოგიის ქვებაზის შექმნა, რაზეც, უკვე 5 წელია, ვმუშაობთ.

სამხედრო ტერმინოლოგიის ელექტრონული ბაზა ხელს შეუწყობს სამხედრო ტერმინოლოგიის ისტორიისა და თანამედროვე სამხედრო დარგის ენის შესახებ სამეცნიერო კვლევებს, რომელთა გარეშე სამხედრო ტერმინოლოგიის დადგენა-ჰარმონიზაციის საკითხი ვერ მოგვარდება.

ქართულ-ინგლისური სამხედრო ცნება-ტერმინების დადგენა-ჰარმონიზაცია შედეგის მომცემია მხოლოდ მაშინ, თუ გათვალისწინებული იქნება დარგის თავისებურებები და ქართული დარგობრივი/სამეცნიერო ენის ნორმები. საგულისხმოა ისიც, რომ სწორი ტერმინების დანერგვა სამიზნე აუდიტორიის მზაობაზეცაა დამოკიდებული.

სამხედრო ტერმინების სტანდარტიზაციის მნიშვნელობაზე მეტყველებს საკუთრივ აშშ-ისა და *ნატოს* სახელმძღვანელოებში ტერმინოლოგიური ცვლილებების შეტანა და გლოსარიუმების დართვა აზრობრივ-შინაარსობრივი ბუნდოვანებისა და გაურკვევლობის თავიდან არიდების მიზნით.

სამხედრო ტერმინოლოგიის ისტორიაზე დაკვირვება არსებული ტერმინების დახვეწისა და ახალი სათანადო ტერმინების შექმნისა თუ გამოყენების წინაპირობაა,

ხოლო ძველი სალექსიკონო ბაზების აღწერა-დამუშავება, ქართული ენის საერთო ელექტრონულ ბაზაში – ტერმინთბანკში – გადატანა მიგვიყვანს თანამედროვე სამხედრო ტერმინოლოგიური საკითხების მეცნიერულ კვლევამდე და სწორ, ზუსტ და სათანადო დარგობრივ ტერმინებამდე. სამხედრო ტერმინოლოგიის ელექტრონული ბაზა შესაძლოა არაერთი ტერმინის შეთხზვის წყაროდ ან მეთოდური მიდგომის დასაყრდენად იქცეს.

XX საუკუნის 20-იან წლებში ვლადიმერ ცაგარელმა სამხედრო ტერმინებთან ერთად თავის ლექსიკონებში ტექნიკური ტერმინებიც შეიტანა, რამდენიმე ათეულის წლის შემდეგ კი, XX საუკუნის 80-იან წლებში, ივანე შაიშმელაშვილმა მასალებიდან გაცხრილა მომიჯნავე დარგის ტერმინები – საჭირო ხდებოდა ცალკეული დარგობრივი ლექსიკონები. მსგავსად ამისა, უცილობლად დადგება არსებულ სამხედრო ლექსიკონთა შეჯერებისა და საერთო ტერმინების დადგენის საკითხი ერთიან ეროვნულ ტერმინოლოგიურ ბაზაში, საბოლოოდ კი, საერთაშორისო ბაზებში გასაერთიანებლად.

ქართულ ტერმინთბანკში სხვადასხვა დარგის ტერმინოლოგიურ ლექსიკონებთან ერთად გაერთიანებული ქართული სამხედრო ტერმინოლოგიის ლექსიკონები სამხედრო ტერმინოლოგიის სრულყოფილად კვლევისა და თითოეული ტერმინის ცვლილების ისტორიის აღდგენის საშუალებას იძლევა.

ქართულ სამხედრო ტერმინთა ბაზაში უკვე შესულია შემდეგი ლექსიკონები: 1920 წლის „სამხედრო-ტექნიური ლექსიკონი“, 1925 წლის „სამხედრო ტექნიკური ლექსიკონი“ და 1987 წლის სამხედრო ტერმინოლოგია, შესატანად მზადდება 1967 წლის სამხედრო ლექსიკონი.

სამხედრო ტერმინოლოგიური ლექსიკონების დამუშავებისას უპირველესად მნიშვნელოვანია თემატური ჯგუფების გამოყოფა.


როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია შენიშნული, IX საუკუნიდან დღემდე ქართული სამხედრო საქმისა და სამხედრო ძალების ტერმინოლოგიის სისტემატიზების ძირითადი ღერძია: ორგანიზაცია; ტაქტიკა; შეიარაღება (წურწუმია, 2014).

ამ ძირითადი ხაზის განშტოებებად იშლება სამხედრო დარგის მიმართულებები, ჯგუფდება არსებული ქართული სამხედრო ტერმინოლოგია.

სამხედრო ცნება-ტერმინების/ლექსიკის დარგობრივ ჯგუფებად დაყოფისას ვიხელმძღვანელებთ ასევე საქართველოს თავდაცვის ძალების სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციისა (<https://mod.gov.ge/>) და საქართველოს სამხედრო ისტორიის მასალების მიხედვით (<https://history.mod.gov.ge/ge/page/24/samxedro-wodebebi>), საქართველოს თავდაცვის ძალების სტრუქტურული შემადგენლობის, შეიარაღების, საბრძოლო ფუნქციების, ოპერაციების/ტაქტიკური საკითხების გათვალისწინებით, თუმცა სამხედრო მასალების შესწავლის პარალელურად, შესაძლოა, შეიცვალოს გამოყოფილი თემატური ჯგუფების სტრუქტურა.

სამხედრო საქმე აერთიანებს მრავალ მიმართულებას, აქედან გამომდინარე, წარმოდგენილი ზოგადი დარგობრივი ჯგუფები იყოფა ქვეჯგუფებად, რომლებიც იშლება სხვა სახეობებადაც.

სქემა 2-1. დარგობრივი ჯგუფების ზოგადი სქემა



მაგალითად, ჯგუფიდან შეიარაღება და სამხედრო ტექნიკა ქვეჯგუფი შეიარაღება იშლება ასევე ქვეჯგუფებად, რომლებიც ნაწილდება კატეგორებიად და ქვეკატეგორიებად.

შეიარაღება:

1. ცეცხლსასროლი იარაღი
2. საარტილერიო შეიარაღება

ცეცხლსასროლი იარაღი:

1. ავტომატური კარაბინი, თოფი, პისტოლეტი, რევოლვერი
2. მსუბუქი ტყვიამფრქვევი
3. ხელის, დაზგის და მსხვილკალიბრიანი ტყვიამფრქვევი
4. ლულისქვეშა, ხელის ტანკსაწინააღმდეგო და ავტომატური ყუმბარსატყორცნი, ერთჯერადი გამოყენების ყუმბარსატყორცნები

საარტილერიო შეიარაღება:

1. ქვემეხი
2. ჰაუბიცა
3. ნაღმსატყორცნი
4. რეაქტიული არტილერია
5. საველე საზენიტო არტილერია
6. საბრძოლო მანქანების შეიარაღება

ცეცხლსასროლი იარაღი:

1. ლულიანი (20მმ-მდე)
2. ავტომატური
3. არავტომატური
4. ნახევრადავტომატური

მომზადებული და დამუშავებული სალექსიკონო მასალა ლაგდება ჯგუფებად, კუთვნილების შესაბამისად.

მაგალითი1:

ჯგუფი: შეიარაღება და სამხედრო ტექნიკა

ქვეჯგუფი: ცეცხლსასროლი იარაღი

კატეგორია: ავტომატური

ქვეკატეგორია: ავტომატური შაშხანა AK 74 (კალაშნიკოვის) ან M4

მაგალითი 2:

ჯგუფი: შეიარაღება და სამხედრო ტექნიკა

ქვეჯგუფი: სამხედრო ტექნიკა

კატეგორია: საბრძოლო ტანკი

ქვეკატეგორია: T72

ერთიან ბაზაში გაანალიზებისას ქართული სამხედრო ტერმინოლოგიური ლექსიკონების მიმართება ცხადად იკვეთება: პირველი ქართული სამხედრო-ტექნიკური ლექსიკონი (ცაგარელი 1920) თავს უყრის საინტერესო ქართულ სამხედრო ცნება-ტერმინებს, მისი ერთგვარი გაგრძელებაა მომდევნო ლექსიკონებიც: ქართული სამხედრო-ტექნიკური (ცაგარელი 1925), სამხედრო ლექსიკონი (1967), სამხედრო ტერმინოლოგია (1987). თუ თვალს მივადევნებთ ერთი სალექსიკონო ფორმის განვითარებს გზას, ამ სალექსიკონო ბაზებზე დაყრდნობით, დავინახავთ, რომ ძირითადი სალექსიკონო-საბაზისო ღერძი საერთოა.

ქართული „სამხედრო-ტექნიკური ლექსიკონი“ (ცაგარელი 1920) დავყავით ზოგად თემატურ ჯგუფებად თანამედროვე თავდაცვის სისტემის მიხედვით, რაც, ჩვენი აზრით, ხელსაყრელია ახალი და ძველი ტერმინების შესადარებლად. თემატური ჯგუფები იძლევა სამხედრო დარგობრივი ცნება-ტერმინების სრული აღწერისა და ეპოქალურ-ტექნიკური განვითარების გზის ჩვენების შესაძლებლობას.

რასაკვირველია, ლექსიკონის შექმნის (XX საუკუნის) პერიოდისა და თანამედროვე პერიოდის (XXI საუკუნის) სამხედრო სფერო განსხვავდება სტრუქტურის, შეიარაღებისა და სხვა გამოყოფილი ჯგუფების მიხედვით, თუმცა

ჯგუფების განზოგადებული სახით წარმოდგენამ მოგვცა ცნება-ტერმინების ერთგვარი დახარისხების შესაძლებლობა.

ცხადია, ჯარის თანამედროვე დაყოფას ვერ შევუთავსებთ XX საუკუნის დასაწყისის ჯარის სტრუქტურას, იმის გათვალისწინებით, რომ მას შემდეგ ქართულმა ჯარმა დღემდე დიდი ცვლილებები გაიარა, დამოუკიდებლობისა თუ საბჭოთა სტანდარტებიდან *ნატოსა* და *ევროკავშირის* სტანდარტებზე მორგების კუთხით, და მიუხედავად იმისა, რომ ქართული სამხედრო ლექსიკა გამდიდრდა, გამრავალფეროვნდა, პრობლემად რჩება ქართულძირიანი სამხედრო ტერმინების უქონლობა, უზუსტობა და შეუსაბამობა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სამხედრო სფერო მრავალმხრივია, აერთიანებს სხვადასხვა დისციპლინას. მაგალითად, სამხედრო დისციპლინა/მიმართულება *საცეცხლე მხარდაჭერა* მოიცავს არაპირდაპირი ცეცხლის გამხსნელ იარაღებს, სხვა მომაკვდინებელ და არამომაკვდინებელ საშუალებებს, ამაში შედის სამხედრო შეიარაღება და სამხედრო ტექნიკა, ამათგან ცეცხლსასროლი იარაღების (მსუბუქი შეიარაღების) სახეებია: პისტოლტები და რევოლვერები, შაშხანები და ავტომატები, ხელის ტყვიამფრქვევები და პისტოლეტ-ტყვიამფრქვევები, ასევე დაზგიანი ტყვიამფრქვევი; ხელის, ლულისქვეშა და დაზგიანი ყუმბარსატყორცნები, გადასატანი საზენიტო (ჰაერსაწინააღდეგო) სარაკეტო კომპლექსები, ტანკსაწინააღმდეგო სარაკეტო კომპლექსები, 100 მმ-მდე კალიბრის ნაღმსატყორცნები და სხვ. სამხედრო ტექნიკაში შედის მძიმე შეიარაღება, როგორიცაა: ჯავშანტექნიკა: ტანკები, ჯავშანტრანსპორტიორები და სხვ.

თემატური ჯგუფები მაგალითებითურთ წარმოვადგინეთ სქემების სახით, რაც დაგვეხმარა საკუთრივ ქართული სამხედრო-ტექნიკური ლექსიკონის (ცაგარელი 1920) სალექსიკონო ერთეულების გამოყოფაში/დახარისხებაში, ასევე ქართული სამხედრო-ტექნიკური ლექსიკონების (ცაგარელი 1920, 1925) და სამხედრო ლექსიკონისა (1976) და სამხედრო ტერმინოლოგიის (1987) ლექსიკონების შედარებაში.

სალექსიკონო მასალების შესწავლა-დამუშავებისას გამოვყავით შემდეგი ზოგადი თემატური ჯგუფები:

ჯარი და მასთან დაკავშირებული ერთეულები (სქემა 2-2)

ოპერაციები და მასთან დაკავშირებული ერთეულები (სქემა 2-3)

საბრძოლო შეიარაღება (სქემა 2-4)

საზღვაო/საჰაერო და კავშირგაბმულობის საშუალებები (სქემა 2-5)

შეიარაღების ნაწილები, საბრძოლო მასალა და ბალისტიკა (სქემა 2-6)


მატერიალურ-ტექნიკური საგნები და სამხედრო აღჭურვილობა (სქემა 2-7)

სამხედრო სამსახურებრივი ტერმინები (სქემა 2-8)

სქემებში რუსულ სალექსიკონო ერთეულებთან ერთად მოცემულია ქართული სამხედრო-ტექნიკური ლექსიკონის (ცაგარელი 1920) ქართული ერთეულები, რომლებსაც სვეტებში თანმიმდევრულად მოსდევს ქრონოლოგიურად დალაგებული სხვა სალექსიკონო ერთეულები, კერძოდ: ცაგარელი 1925, სამხედრო 1976, სამხედრო 1987.


ჯარი და მასთან დაკავშირებული ერთეულები (სქემა 2-2) მოიცავს ტერმინებს, რომლებიც შინაარსობრივად გამოხატავს შემდეგ დარგობრივ მიმართულებებს: ჯარის სახეობა, გვარეობა, სტრუქტურული ერთეული, სამხედრო მიმართულება, საბრძოლო ფუნქცია, სამხედრო სპეციალობა, თანამდებობა, წოდება, მაგალითად:

სქემა 2-2. ჯარი და მასთან დაკავშირებული ერთეულები



როგორც სქემიდან ვხედავთ, მესანგრე დასტურდება უცვლელად, მაშველი ჩაანაცვლა უცხოპირიანმა სიტყვამ, რეზერვმა, დამიზნებული – მემიზნემ, სპა – ჯგუფმა და დაჯგუფებამ.


სქემა 2-3. ოპერაციები და მასთან დაკავშირებული ერთეულები



ოპერაციები და მასთან დაკავშირებული ერთეულები (სქემა 2-3) აერთიანებს ოპერაციებთან დაკავშირებულ მოქმედებებს, ოპერაციების ჩატარების ადგილებს, ასევე ოპერაციებისა და მანევრის ფორმების სახელწოდებებს, როგორებიცაა: იერიში, შეტაკება, კონტრიერიში, შეტევა, გარშემორტყმა, უკანდახევა, გადარბენა, დადევნება, რომლებიც დღესაც ამ ფორმით გამოიყენება, მათგან შეტევა და გადარბენა დასტურდება ნიკო ჩუბინაშვილის ლექსიკონშიც. ასევე დღემდე გამოიყენება ცაგარელის შესიტყვებები ხელჩართული ბრძოლა, სამხედრო თამაში და ხელოვნური დაბრკოლებები.


საინტერესოდ განვითარდა უკანდახევა//უკუქცევის ისტორია: ცაგარელის ლექსიკონებში ორივე დასტურდება, 1987 წლის ლექსიკონში მხოლოდ უკუქცევაა, დღეს კი უფრო უკანდახევაა (//უკან დახევა) დამკვიდრებული.

სქემა 2-4. საბრძოლო შეიარაღება




საბრძოლო შეიარაღების რამდენიმე სახელდება გვხვდება, მაგალითად, გულამფრქვევი//ტყვიამფრქვევი, თვითმოქმედი//ავტომატი, ქვემები, ზარბაზანი, ლივერი, დამბაჩა, რევოლვერი.


სქემა 2-5. საფრენი/საზღვაო და კავშირგაბმულობის საშუალებები



კავშირგაბმულობის საშუალებებიდან ტელეფონი და ტელეგრაფი გვხვდება უმავეთულოსთან შესიტყვებებშიც, კერძოდ: беспроволочный телеграф – უმავეთულო ტელეგრაფი.


სქემა 2-6. შეიარაღების ნაწილები, საბრძოლო მასალა და ბალისტიკა





მოყვანილი მაგალითების გარდა, სროლასა და დამიზნებასთან დაკავშირებული ცნება-ტერმინებია: мушка – ნიშანი, мишен – ამოსამიზნი, прицел – კორას მოლი, прицеливание – ნიშანში ამოღება, დამიზნება, пристрелка – გამიზვნა, стрельба в цель – მიზანში სროლა.


სქემა 2-7. მატერიალურ-ტექნიკური საგნები და სამხედრო აღჭურვილობა



მატერიალურ-ტექნიკური საგნები და სამხედრო აღჭურვილობა აერთიანებს სანივთე ქონების, ასევე ჯარისკაცის ინდივიდუალურ სალაშქრო, საველე, სასწავლო საგნების აღმნიშვნელ და სამხედრო ფორმის შემადგენელი სამოსის ცნება-ტერმინებს, როგორებიცაა: სანივთე: ორყურა, ბადია – миска, ფალასკა – патронташ, ჩაჩქანი, ჩაფხუტი – шлем, საგოზელი – замазка, საზეთე – маслянка. მათგან საზეთე, საგოზალი, ჩაფხუტი ყოველდღიურად გამოიყენება დღესაც.

Поясная сумка და патронная сумка ორივე გამოცემაში გამოხატულია ერთი საერთო ტერმინით ვეზნა (ცაგარელის შემოტანილი ტერმინია).

სქემა 2-8. სამხედრო სამსახურებრივი ტერმინები



სამხედრო სამსახურებრივ ტერმინებში შედის სამხედრო ფრაზები/გამონათქვამები, ბრძანების სახეები, საქმისწამოებისთვის საჭირო დოკუმენტების სახელები. მაგალითად: арматурный список – **ნივთულობის სია**; боевая задача – **საომარი ამოცანა** (1920), **ბრძოლის ამოცანა** (1925); навесная стрельба – **დაკიდებული სროლა**, **ციცაბი სროლა**; разряжение пушки – **ზარბაზანის დაცლა**, разряжение вынуждением гильз – **ზარბაზანის გამოცლა** და სხვ.

ტერმინთაზი და მისი სამხედრო ტერმინთა ბაზა გვამღევს არა მარტო ცნება-ტერმინების განვითარების გზის საერთო სურათს, არამედ სახელდების შემუშავების მიდგომების გაცნობის საშუალებასაც. ამასთან, იძლევა როგორც ცნება-ტერმინთა დაჯგუფების, ისე მათი შედარებითი აღწერის შესაძლებლობას.

ამ კუთხით საინტერესოა 1920, 1925 და 1987 წლების სამხედრო ლექსიკონების შედარება. გარკვეული ცდომილებების დასაზუსტებლად სალექსიკონო ერთეულები მოწმდება ტექნიკურ ტერმინოლოგიაშიც (1960, 1977). გარკვეულ შემთხვევებში ძველი სალექსიკონო ერთეულების დასადგენად შედარებისთვის გამოვიყენეთ ნიკო ჩუბინაშვილის ლექსიკონიც (<https://archive.ph/2013.08.30-195639/http://meskhi.net/lexicon/%23k>).

თემატური ჯგუფების დახარისხებისას ყურადღებას იქცევს სალექსიკონო ერთეულთა თავისებურებები. 1920 წლისა და 1925 წლების „სამხედრო-ტექნიურ ლექსიკონში“ **ვაქსი** და **ზუმბური** დასტურდება Вакса-ს შესატყვისად მაშინ, როდესაც ნიკო ჩუბინაშვილის ლექსიკონში **ზუმბური** განმარტებულია შემდეგნაირად: **ლაქი** თუ **ლუქი**, ხოლო მის შესატყვისად დასტურდება сургу. როგორც ჩანს, ცაგარელს თავის ლექსიკონში ტერმინები პირდაპირ კი არ გადაჰქონდა არსებული ლექსიკონებიდან, არამედ შეჰქონდა პრაქტიკულ გამოცდილებაზე დაყრდნობით. **ვაქსი** და **ზუმბური** არ დასტურდება სალექსიკონო ერთეულებად არც სიტყვარში, არც 1987 წლის სამხედრო ტერმინოლოგიაში. ამასვე ადასტურებს cleaning rod – шомпол-ი, რომელსაც 1920, 1925,

1987 წლების სამხედრო ლექსიკონებში შეესაბამება **ზუმბა**. ნ. ჩუბინაშვილის ლექსიკონში – шомпол-ის შესატყვისად მიჩნეულია **დგუში** მაშინ, როდესაც **დგუში** 1925 და 1987 წლის ლექსიკონებში შეესატყვისება porшен-ს – rod-ს. შესაბამისად ცნებათა მისადაგების მხრივ იკვეთება არაერთგვაროვანი სურათი.

დასტურდება შემდეგი შემთხვევებიც, მაგალითად: aviation – авиация-ს 1920 წლის ლექსიკონში შეესატყვისება ავიაცია, 1925 წლის ლექსიკონში – **ფრენაობა**, ავიაცია, სიტყვარში (1920) – **ფრენოსნობა**; 1987 წლის ლექსიკონში ავიაცია, ბუდობრივი პრინციპით დალაგებული შესიტყვებებით. საპირისპირო შემთხვევაა biplane – биплан, რომელიც 1920 წლის ლექსიკონში დასტურდება როგორც **ორმფრანი**, **ბიპლანი**, ხოლო 1925 წლისა და 1987 წლების ლექსიკონებში – **ბიპლანი**. **ფრენაობა** და **ფრენოსნობა** დღეს უკვე მოძველებული ფორმებია, თუმცა ყველა სამხედრო ლექსიკონის ერთ ბაზაში შესწავლისას თანამედროვეობისთვის საყურადღებო სიტყვებიც დასტურდება.

1920 წლის ლექსიკონში instructor – инструктор-ს შეესატყვისება **მწურთენელი**, ხოლო 1925 წლის ლექსიკონში **ინსტრუქტორი**, 1987 წლის ლექსიკონში ეს სიტყვა საერთოდ არ გვხვდება, დღეს თავდაცვის ძალებში გავრცელებული ფორმაა **ინსტრუქტორი**. საინტერესოა ჯარის ერთ-ერთი სახეობა infantry – пехота, 1920 წლის ლექსიკონში შეესატყვისება **ქვეითა**, 1925 და 1987 წლების ლექსიკონებში – **ქვეითი**. ყურადსაღებია ოპერაციის ერთ-ერთი ფორმა assault – атака – **იერიში**, სამივე ლექსიკონში დასტურდება ერთი და იგივე ფორმა. საინტერესოა მანევრის ფორმა **გადარბენა** – bound – Перебежка, დღესაც ხშირად გამოყენებული ტერმინი, სამივე ლექსიკონში გვხვდება ამავე სახით. ასევე მანევრის ფორმაა pursuit – погоня, რომელიც 1920 და 1925 წლების ლექსიკონებში გვხვდება როგორც **დადევნება**, ხოლო 1987 წლის ლექსიკონში – **დევნა** – **преследование**. რასაკვირველია, სალექსიკონო ფორმათა შედარებისას გასათვალისწინებელია რუსულ თუ ინგლისურ სამხედრო ტერმინთა ცვლილებებიც. ამ შემთხვევაში ამოსავალი კონკრეტული ქართული სახელწოდებაა.

სიტყვათა მნიშვნელობის ცვლის მაგალითია ammunition – амуниция 1920 და 1925 წლების ლექსიკონებში დასტურდება **მოკაზმულობა**, 1987 წლის ლექსიკონში **ამუნიცია**, დღეს არც ერთი ფორმა არ გამოიყენება, რადგან ammunition უფრო

განზოგადებული მნიშვნელობის ტერმინი გახდა და შეიძლება აღჭურვილობასაც გულისხმობდეს, კონკრეტულ საბრძოლო მასალასაც ან ასაფეთქებელ საშუალებებსაც. ზოგადი მნიშვნელობის სიტყვაა – **სამხედრო მოსამსახურე** – serviceman, რომელიც 1920 და 1925 წლების ლექსიკონებში გვხვდება როგორც **სამხედრო მსახური** – военнoслужащий, ხოლო 1987 წლის ლექსიკონში სამხედრო მოსამსახურე – военный.

თუ 1920 და 1925 წლების ლექსიკონში ვხვდებით bivouac – бивуак-ს, რომელსაც შეესატყვისება **ბანაკი**, 1987 წლის ლექსიკონში – **ბანაკი** შეესატყვისება лагерь-ს, დღეს bivouac-ის შესატყვისად გამოიყენება **ბივუაკი**.

საბრძოლო მომზადებასთან დაკავშირებული ტერმინებიდან თუ დღეს training გამოიყენება შემდეგი შესატყვისებით: **საბრძოლო მომზადება; წვრთნა, სწავლება; ტრენინგი**, 1920 და 1925 წლის ლექსიკონებში დასტურდება обучение – **სწავლება, წვრთნა**, ხოლო 1987 წლისაში – учение – **სწავლება, боевая подготовка – საბრძოლო მომზადება**.

1920, 1925 და 1987 წლების სალექსიკონო ერთეულების მსგავსი გზით შედარება ხელსაყრელია იმ მხრივ, რომ ნათლად იკვეთება ლექსიკოგრაფიული შესატყვისების მსგავსება-განსხვავებები, ასევე გავრცელებისა და მოხმარების არეალი.

ამასთან, 1920, 1925 და 1987 წლების ლექსიკონების შედარება იძლევა იმის თქმის საფუძველს, რომ ვლადიმერ ცაგარელს პირდაპირ კი არ გადაჰქონდა ძველი ლექსიკონებიდან ცნება-ტერმინები, არამედ ითვალისწინებდა პრაქტიკულ გამოცდილებას, სავარაუდოდ, თარგმნითი მასალების საფუძველზე, როგორც აღვნიშნეთ I თავში, ვლადიმერ ცაგარელი თარგმნიდა სამხედრო წესდებებსა და საჭირო დოკუმენტებს.

1920-1925 წლების „სამხედრო-ტექნიური ლექსიკონების“ ლექსიკოგრაფიული ერთეულები, როგორებიცაა: **ქვეითი, გადარბენა, იერიში, წვრთნა, სამხედრო ტყვე, ნავთსაშენი, მომარაგება**, დღესაც გამოიყენება. ეს გვამლევს იმის ვარაუდის შესაძლებლობას, რომ 1920-1925 წლების სამხედრო ლექსიკონები ერთგვარი ბაზაა 1978 წლის სამხედრო ტერმინოლოგიისა, უფრო მეტიც, დღეისთვის არსებული ზოგადი სამხედრო ტერმინოლოგიისაც. ამ ისტორიის ცოდნა კი მნიშვნელოვანია. საბოლოოდ, მასალების სრულად შესწავლა საშუალებას მოგვცემს შევქმნათ ქართულ სამხედრო

ტერმინთა ისტორიული ლექსიკონი, რომელშიც დავინახავთ თითოეული ტერმინის განვითარების სრულ სურათს.

მასალის გაანალიზებისას გამოჩნდა, რომ ქართულ სამხედრო ტერმინთა ლექსიკონებში შეტანილია სხვა დარგების, მაგალითად, ყოფითი, საქმისწარმოების, ასტროლოგიური, ტექნიკური თუ მათემატიკური ტერმინები. სამწუხაროდ, ქართულ ბეჭდურ ტექნიკურ ტერმინოლოგიურ ლექსიკონებში დარგები მიწერილი არ არის, რაც, გარკვეულწილად, აფერხებს შესატყვისების მისადაგებას სხვა ენებზე, აბუნდოვანებს სიტყვის მნიშვნელობას. როგორც ცნობილია, სამხედრო ტექნიკა და შეიარაღება იყოფა სახესხვაობებისა (მოდიფიკაციების) და მწარმოებელი ქვეყნების მიხედვითაც. მძიმე და მსუბუქ შეიარაღებაში ერთი და იგივე ტერმინი შესაძლოა სხვადასხვა დეტალს აღნიშნავდეს, შესაბამისად, იქმნება გაურკვეველობა ცნება-ტერმინების სისწორის კუთხით. მაგალითად: hammer (აგრ. firing hammer) кypок (რევოლვერში) – თოფის ნაწილია, რომლის შესატყვისები და განმარტებები რამდენადმე განსხვავებულია ქართულ ლექსიკონებში: **ჩახმახი** ქეგლ-ში (1986) განმარტებულია, როგორც თოფის, რევოლვერისა და მისთანა ცეცხლსასროლი მექანიზმის დამცემი ნაწილი; ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში (ქსე 1984) **ჩახმახი** რევოლვერისა და სანადირო თოფის ნაწილია; ქართული ლექსიკონის (ganmarteba.ge, 2014) მიხედვით, **ჩახმახი** ავტომატში ცეცხლსასროლი იარაღის ასამუშავებელი მექანიზმი, **სასხლეტია**.

ტერმინების სახეობათა მიხედვით დანაწევრება გააადვილებს განმარტებების დაზუსტებასა და ცნება-ტერმინის შესაბამისობის სანდოობას. სწორედ ამიტომ ითვალისწინებს ტერმინთბანკის პროგრამა თითოეული ტერმინის გამოყენების სფეროს მკაფიოდ გამოკვეთას. სამხედრო ტერმინოლოგიის დამუშავება ქვედარგებისა და თემატური ჯგუფების მიხედვით საშუალებას გვაძლევს დაწვრილებით აღიწეროს და განიმარტოს თითოეული ისტორიული თუ თანამედროვე ტერმინი.

უპირველესად, როგორც ქართულ ტერმინთბანკში შეტანილი სხვა ლექსიკონების შემთხვევაში, ქართულ ტერმინთა ქვებაზაში მუშავდება **სინონიმები**, ერთი ცნების აღმნიშვნელი ყველა შესატყვისი, მათი ინგლისურ-რუსული შესატყვისები, მიეთითება გავრცელებული საუბრული ფორმებიც.

ლექსიკონების მიხედვით ერთი და იმავე საგნის ერთ დეტალს შესაძლოა ჰქონდეს რამდენიმე ქართული სახელდება. ამ სახელდებებს, ცალკეული დეტალების შესაბამისად, თავს უყრის და ახარისხებს ტერმინთბანკი, რუსული და ინგლისური შესატყვისებით. მაგალითად:

კონდახის სახელდებები: butt, rifle butt – приклад, ложе

(სიტყვარი 1920) დუმლუგი

(ცაგარელი 1920) დუგლუგი, კონდახი

(ცაგარელი 1925) თოფისხე

(ცაგარელი 1925) კონდახი

(ტექნიკური 1977) ლოჟა

(სამხედრო 1987) კონდახი

სახელურის სახელდებები: pistol grip – пистолетная рукоятка

(ცაგარელი 1920) თავრქა, სახელური

(ცაგარელი 1925) ტარი, ხელტარი

(ცაგარელი 1925) თავრქა

(ტექნიკური 1977) ტარი, სახელური

(სამხედრო 1978) ტარი, სახელური

ძირის სახელდებები: base – основание

(სიტყვარი 1920) ძირი

(ცაგარელი 1925) საფუძველი, ფუძე

(ცაგარელი 1925) ნიშნის ძირი

(სამხედრო 1978) ნიშნის ძირი

(ცაგარელი 1920) საფუძველი, ძირი, ფუძე

(ცაგარელი 1925) კორას ძირი

(სამხედრო 1978) სამიზნის ფუძე

(სამხედრო 1978) ფუძე, ძირი

(ტექნიკური 1977) ფუძე, საფუძველი, ძირი, ნიშნის (სამიზნე) ფუძე

სავაზნე კოლოფის სახელდებები: magazine – магазин

(ცაგარელი 1920) ვაზნების კოლოფი

(ცაგარელი 1925) ვაზნკოლოფა

(ტექნიკური 1977) სავაზნე

(სამხედრო 1987) სავაზნე კოლოფი

სავაზნე კოლოფი, ვაზნის კოლოფი, მჭიდი

ზამბარის სახელდებები: spring – пружина

(სიტყვარი 1920) ზამბარი

(ცაგარელი 1920) აშკა, ზამბარაკი, მშვილდი

(ცაგარელი 1925) აშკა, ზამბარაკი

(ტექნიკური 1977) ზამბარა

სავაზნე ჩანთის სახელდებები: ammunition pouch – патронная сумка,
патронташ

(ცაგარელი 1920, 1925) ვეზნა

(სამხედრო 1978) სავაზნე ჩანთა

(ცაგარელი 1920, 1925) ფალასკა (патронташ)

(სამხედრო 1978) პატრონტაში

ტერმინთბანკი (და შესაბამისად, ქართულ სამხედრო ტერმინთა ქვებაზაც) გვაჩვენებს სახელდებების განვითარებას, ერთი საგნის ისტორიას და გვაწვდის ინფორმაციას ქართული სამხედრო ტერმინთშემოქმედების შესახებ.

სინონიმების დადგენის შემდეგ სადავო საკითხები ეგზავნებათ დარგის სპეციალისტებს. კითხვარი შედგენილია საერთაშორისო ტერმინოლოგიური სტანდარტის – ისო 1087 „ტერმინოლოგიური მუშაობა და ტერმინოლოგიური მეცნიერება – ლექსიკონი“ – მიხედვით.

კითხვარი შედგენილია საერთაშორისო ტერმინოლოგიური სტანდარტის -
**ისო 1087 „ტერმინოლოგიური მუშაობა და ტერმინოლოგიური მეცნიერება —
 ლექსიკონი“** - მიხედვით.

ტერმინთა შერჩევა

კითხვარი

დარგი:	სამხედრო ტერმინოლოგია
სპეციალისტის სახელი, გვარი:	
ინსტიტუტის სახელი:	
მუნიციპალიტეტი:	
მუშაობის თარიღი:	

	ტერმინი: ამოსაშიზნი (1920, 1978)	ტერმინი: სამიზნე, მიზანი, სამიზნე ობიექტი (1920, 1978)	ტერმინი: ამოსაშიზნი (ავტორის სახელი, გვარი)
გადაწყვეტილება:	☐ უპირატესი ☐ დასაშვები ☐ მიუღებელი ☐ მოძველებული	☐ უპირატესი ☐ დასაშვები ☐ მიუღებელი ☐ მოძველებული	☐ უპირატესი ☐ დასაშვები ☐ მიუღებელი ☐ მოძველებული

ტერმინთა განმარტება:

უპირატესი ტერმინი - მოცემული ცნებისთვის მისაღებობის მსაზღვრელის¹ მიხედვით დადგენილი ტერმინი, როგორც ძირითადი.

დასაშვები ტერმინი - ტერმინი, რომელიც უპირატესი ტერმინის სინონიმია, მაგრამ მისაღებობის მსაზღვრელის მიხედვით არ არის შეფასებული უპირატეს ტერმინად.

მიუღებელი ტერმინი - ტერმინი, რომელიც უპირატესი ტერმინის სინონიმია, მაგრამ მისაღებობის მსაზღვრელის მიხედვით განხილულია არასასურველად.

მოძველებული ტერმინი - ტერმინი, რომელიც აღარ გამოიყენება. „მოძველებული“ შეიძლება იყოს სახელწოდებები, საკუთარი სახელები და სიმბოლოები.

¹ მსაზღვრელი, რომელიც საშუალებას იძლევა, სახელწოდებები განაწილდეს უპირატესობის მიხედვით, როგორც სახელმძღვანელო დებულება მომხმარებლებისთვის.

კითხვარის პასუხები ჯამდება და მის მონაცემებზე დაყრდნობით წყდება ტერმინთა კვალიფიკაციის საკითხი. თსუ ენათმეცნიერების ინსტიტუტის თარგმნითი ლექსიკონებისა და სამეცნიერო ტერმინოლოგიის განყოფილების მიერ დანერგილი ციფრული ეპოქის ეს სიახლე, გარკვეულწილად, აგრძელებს ტრადიციულ ტერმინოლოგიურ სხდომებზე მიღებულ გადაწყვეტილებებს. ტერმინთბანკის არქივში ინახება კითხავრები და, მაშასადამე, ყველა სპეციალისტის მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება.

ქართული დარგობრივი ტერმინოლოგიის ერთ ბაზაში თავმოყრა აჩქარებს სიტყვათა ძებნის, შესწავლის, რედაქციის პროცესს, რაც მოგვცემს ნორმატიული ტერმინოლოგიური ლექსიკონების მომზადებისა და სტანდარტიზაციის მწყობრად,

თანმიმდევრულად წარმართვის საშუალებას. ლექსიკონების სრული გაანალიზება ქართული ტერმინთაზნის მასალით, ცხადია, სრულფასოვან სურათს ქმნის, თუმცა რამდენიმე სალექსიკონო ერთეულის შედარებაც ნათლად წარმოაჩენს იმ განსხვავებულ მიდგომებს, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე იკვეთება. ტერმინთა ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა გაგრძელდა მომდევნო წლებშიც, რაც საგრძნობლად ეტყობა საბჭოთა ეპოქაში შექმნილ ტერმინოლოგიურ ლექსიკონებს, თუმცა არსებობს მეორე მხარეც, ეს ლექსიკონები აკადემიური პრინციპებითაა შექმნილი, რაც, უპირველესად, საზოგადოების მონაწილეობასა და ტერმინთა სიფრთხილით არჩევას უკავშირდება, ამიტომაც საინტერესოა ამ ლექსიკონებში გადარჩენილი და შემონახული ქართული ტერმინები, როგორც ისტორია, ერთი მხრივ, და, მეორე მხრივ, წყარო, საფუძველი ახალი ტერმინთშემოქმედებისათვის.

ქართული სამხედრო ტერმინოლოგიის ისტორიის კვლევა და სათანადო ლექსიკონების მეცნიერული შესწავლა დიდძალი მასალის დამუშავების საშუალებას იძლევა. „ქართული ტერმინოლოგიის ისტორია ეროვნული ენის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია“ (არაბული, 2016, გვ. 15). თავის მხრივ, დარგობრივი ტერმინების შექმნა-შემუშავება ცალსახად უკავშირდება ერის განვითარების დონეს, ამდენად, თუ თვალს მივადევნებთ ქართული დარგობრივი ტერმინების განვითარებას, დავინახავთ ქართული სამეცნიერო ენის ჩამოყალიბების გზასაც და სხვადასხვა პერიოდის ენობრივ პოლიტიკასაც.

ძველ სამხედრო სიტყვა-ტერმინებს ცვლის ახალი სამხედრო ტერმინები. დღეს ტექნოლოგიური განვითარება და სამხედრო მეთოდოლოგიების ცვლა-გაუმჯობესება განაპირობებს სპეციალური ლექსიკის გაჩენას. ახალი სიტყვების უმეტესობა კი ტერმინებია, კონცეფციის მატარებელი ცნებებია. ახალი სახელდებების შექმნა და შემოტანა გამოიწვია მსოფლიოს მასშტაბით მიმდინარე საომარმა მოქმედებებმა, ინფორმაციის გადაცემის ახალმა გზებმა, ახალმა ტექნიკა-შეიარაღებამ, ძალების სტრუქტურულმა ცვლილებებმა. ამ ცვლილებების გასიგრძეგანება ქართულ რეალობაში ადვილი არაა, რადგან საქართველოს თავდაცვის ძალები თავისი სტრუქტურით, შესაძლებლობებითა და შეიარაღებით მკვეთრად განსხვავდება აშშ-ისა და *ნატოსგან*. შესაბამისად, რთული ხდება ახალი კონცეფციების ქართული

სახელდებების შექმნა, მკვიდრდება უცხო სიტყვები. დამკვიდრებული ნასესხობები კი აფერხებს ცნება-ტერმინების ზუსტ მისადაგებას.

სამომავლოდ ქართული სამხედრო ტერმინოლოგიის ელექტრონული ქვებაზის გამოყენება ღირებული იქნება შემეცნებითი კუთხითაც, რადგან აქ „მომხმარებელი იპოვის სხვადასხვა სამხედრო ტერმინის შექმნის ძალიან საინტერესო ისტორიებს, ტერმინთა ავტორების ვინაობას და სხვა მრავალ შემეცნებითი ხასიათის ინფორმაციას“ (ქაროსანიძე, 2022-2023, გვ. 412).

დღეს მკვეთრად გაიზარდა ინტერნეტ- და ელექტრონული რესურსების გამოყენებაზე მოთხოვნა. სამხედრო მასალებზე მუშაობისას, როდესაც მნიშვნელოვანია კონკრეტული მასალის დროულად მომზადება, ხელსაყრელი და მოსახერხებელია თარგმნითი, განმარტებითი თუ ორთოგრაფიული ონლაინლექსიკონებისა და სათანადო მასალების მოძიება. მეორე საკითხია მოძიებულ მასალათა სანდოობა. „ტერმინთა ბანკი დღეისთვის არის ყველაზე სანდო და უნივერსალური რესურსი, იგი ხელმისაწვდომია ინტერნეტში, ღირებულია მკვლევართათვის, რედაქტორებისთვის, მთრგმნელებისთვის, ტერმინოლოგებისთვის ან ტერმინოლოგიის საკითხებით დაინტერესებული პირებისთვის“ (აუკსორიუტე და მანჯგალაძე, 2018, გვ. 10). ამ მიზანს ემსახურება თსუ ენათმეცნიერების არნ. ჩიქობავას სახელობის ინსტიტუტის ტერმინთბანკის ფარგლებში ქართული სამხედრო ტერმინთბაზის შექმნაც.

ქართული ტერმინთბანკის სამხედრო ქვებაზის შექმნა მოძველებული სამხედრო ტერმინოლოგიური ლექსიკონების გაციფრულებით უზრუნველყოფს:

- ისტორიული ტერმინოლოგიის შენახვას;
- სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობას;
- სამხედრო ტერმინოლოგიური მეთოდოლოგიის გამოკვეთას;
- სამხედრო ტერმინოლოგიის კლასიფიცირებას/თემატურ ჯგუფებად დაყოფას.

მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, სამხედრო ტერმინოლოგიის ქვებაზაში ლექსიკონებთან ერთად ივანე ჯავახიშვილის მიერ შესწავლილი და განჯგუფებული ძველი სამხედრო ცნება-ტერმინების შეტანაც, რაც სამხედრო ტერმინების ცვლილების ისტორიის აღდგენის უფრო სრულ სურათს მოგვცემს.

ქართული ენის ტერმინთბანკის ფარგლებში ქართული სამხედრო ტერმინოლოგიის ბაზა, ვფიქრობთ, ხელს შეუწყობს სამხედრო ტერმინოლოგიის დახვეწასა და სრულყოფას. „...ქართული ენა, როგორც ყოველი ცოცხალი ენა, უცვლელი ვერ იქნება. ამოცანა ისაა, რომ ცვლის პროცესი მიზანშეწონილად წარვმართოთ: შევინარჩუნოთ და დავიცვათ ყველაფერი, რაც ფასეული შეუქმნია ქართული ენის მრავალსაუკუნოვან ისტორიას“ (ჩიქობავა, 1972, გვ. 13).

III თავი. ქართული სამხედრო ტერმინოლოგიის კვლევისა და ქართულ-ინგლისური შესატყვისების დადგენის (ჰარმონიზაციის) საკითხები

3.1. ტერმინთა სტანდარტიზაციის საერთაშორისო მეთოდოლოგია და ქართული ტერმინოლოგიური მუშაობა

ჩვენ მიერ ჩატარებულმა მცირე კვლევამ, სალექსიკონო ერთეულების ცნება-ტერმინების აღწერით-შედარებითმა ანალიზმა, ნათლად წარმოაჩინა თანამედროვე ქართული სამხედრო ტერმინების სიმრავლე, სიჭრელე. როგორც ირკვევა, ნათარგმნ სამხედრო სახელმძღვანელოებსა და პუბლიკაციებში ტერმინოლოგიურ სირთულეებს იწვევს ნორმირებული და სტანდარტიზებული ქართული სამხედრო ცნება-ტერმინების უქონლობა, მთარგმნელებისა თუ სამხედროების ცალკეული და შეუთანხმებელი მიდგომები, ახალ სამხედრო ლექსიკონებში არსებული პარალელური ტერმინები, მთარგმნელების მიერ შექმნილი ინდივიდუალური ლექსიკონები. ვითარებას ართულებს სამხედრო ტერმინოლოგიის სწრაფი განვითარება და ცნება-ტერმინთა სისტემატური ცვლა, რაც აფერხებს ტერმინოლოგიის წყარო ენიდან (ინგლისური) სამიზნე ენაზე სწრაფად გადმოტანას. ცხადია, ინგლისური ენა ძირითადი სამხედრო ენაა, რადგან მსოფლიო მასშტაბით სამხედრო სახელმძღვანელოები უმეტესად იქმნება ინგლისურად. ინგლისური სამხედრო ტერმინების თავისებურება კი მდგომარეობს სამხედრო დარგის მრავალფეროვნებაში, მრავალ ქვედარგში, ყველა ქვეყნის ჯარის შემადგენლობის, წოდებებისა და სტრუქტურების განსხვავებულობაში, შესაბამისად, რთულდება სამხედრო ცნება-ტერმინების ზუსტად და სწორად თარგმნა სამიზნე ენაზე, რადგან ენობრივ თავისებურებებთან ერთად გასათვალისწინებელია დარგისთვის ნიშანდობლივი მხარეები, არსებული ტერმინოლოგიური სტანდარტები, რომლებიც ტერმინოლოგიურ მუშაობასა თუ ჰარმონიზაციის საკითხებს ეხება.

როგორც ცნობილია, ნებისმიერი სამეცნიერო თუ არასამეცნიერო პროდუქტი ექვემდებარება საერთაშორისო სტანდარტიზაციის ნორმებს, რაც თავისთავად განაპირობებს სტანდარტებზე დაფუძნებულ მუშაობას.

ზოგადად, ნებისმიერი საქმიანობა ყოველთვის მოითხოვდა გარკვეული სტანდარტების დაცვას, კონკრეტულ შეთანხმებებზე დაფუძნებულ მუშაობასა და ერთგვარი კანონზომიერებების დაცვას (დათეშიძე და სხვანი, 2022-2023, გვ. 84).

უნდა შევნიშნოთ, რომ ქართული დარგობრივი ტერმინოლოგიური მუშაობა მეცნიერულ პრინციპებზე იყო დამყარებული 1921 წლიდან, რასაც არეგულირებდა სახელმწიფო სამეცნიერო საბჭო, რომელიც 1925 წლიდან ჩანაცვლდა ცენტრალური სამეცნიერო ტერმინოლოგიური კომიტეტით (დამბაშიძე, 1972, გვ. 19). ცენტრალური სამეცნიერო ტერმინოლოგიური კომიტეტი წარმართავდა ტერმინოლოგიურ მუშაობას დადგენილ სტანდარტებზე დაყრდნობით, როგორებიცაა: ქართული ენის მდიდარი ლექსიკური მარაგის გამოყენება, უცხო სიტყვათა სესხების პრინციპები და მათი ქართულში გაფორმების საკითხები, რუსული ენის როლის კალკირების შემთხვევებში, ცნებებისა და მათი აღმნიშვნელი ტერმინების შესატყვისობის პრინციპი. ცნების შესატყვისობის პრინციპის პარალელურად კი მნიშვნელოვანი იყო დარგობრივი ტერმინოლოგიის სხვა პრინციპების გათვალისწინება, როგორებიცაა: ტერმინის სიმოკლე, ანუ ეკონომიურობა, ტერმინის მრავალმნიშვნელობიანობა, ანუ პოლისემია, სინონიმია, პარალელიზმები და სხვ. (დამბაშიძე, 1972, გვ. 22-23).

თუმცა დღეს ციფრული ტექნოლოგიების განვითარებამ სხვა სტანდარტებიც გამოკვეთა და დარგობრივი ტერმინოლოგიების სტანდარტებთან ერთად ყურადსაღები ხდება ციფრული ტექნიკისა და მიდგომების გამოყენების ახალი პრინციპებიც.

საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო (GEOSTM) 2006 წლიდან ისოს წევრია და იყენებს წევრ-კორესპონდენტის სტატუსს; ეს კი ნიშნავს იმას, რომ საქართველო ითვალისწინებს საერთაშორისო სტანდარტს, მხოლოდ არ ერთვება უშუალოდ სტანდარტების შემუშავებაში, ამასთან, საქართველო დამკვირვებლის სტატუსით გაწევრიანებულია ისოს ისეთ კომიტეტებში, როგორებიცაა: CASCO (შესაბამისობის შეფასება) და DEVCO (განვითარებადი ქვეყნების საკითხები) (დათეშიძე და სხვანი, 2022-2023, გვ. 85).

ისოს ერთ-ერთი კომიტეტი არის ენისა და ტერმინოლოგიის კომიტეტი, რომელსაც გამოცემული აქვს 79 სტანდარტი. მათგან სამი სტანდარტის საფუძველზე 1999 წელს საქსტანდარტის, არნოლდ ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტისა და

სახელმწიფო ენის პალატის მონაწილეობით გამოიცა სათანადო ქართული სტანდარტები, კერძოდ: ისო 704: 87 – ტერმინოლოგიის პრინციპები და მეთოდები, ისო 1087: 90 – ტერმინოლოგია ლექსიკონი და ისო 860: 96 – ტერმინოლოგიური საქმიანობა – ცნებათა და ტერმინთა ჰარმონიზაცია (დათეშიძე და სხვანი, 2022-2023, გვ. 85-86).

ისო 860-ში განხილული სტანდარტი გამოიყენება ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე ტერმინოლოგიური სისტემების შემუშავებისთვის, რისთვისაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება ცნებების, ცნებათა წყებების, მათი განმარტებებისა და ტერმინთა შესაბამისობის დადგენის სათანადო მეთოდოლოგიის გამოყენებას.

დარგობრივი მიმართულებით მუშაობისას, ახალი სახელმძღვანელოებისა და მასალების მომზადებისას რთულია ტერმინოლოგიური სიჭრელისა და უზუსტობების თავიდან არიდება, უპირველესად, როგორც აღნიშნულია ისო 860-ში, ამას ხელს უშლის შეუთანხმებელი ტერმინოლოგიური მუშაობა. „ტერმინოლოგიური სიჭრელე და ტერმინების განსხვავებული მნიშვნელობით გამოყენება დოკუმენტებისა და წესდებების განსხვავებულად გადამუშავების გამო“ (2023, გვ. 5) აფერხებს ენობრივ ურთიერთობასაც. ცალკეულ ენებსა და ენობრივ საზოგადოებებში/წრეებში ცნებები და ტერმინები განსხვავდება, ამიტომ საჭირო ხდება ცნება-ტერმინთა შესაბამისობების დადგენა.

აქედან გამომდინარე, ერთი ენის ან სხვადასხვა ენის ცნება-ტერმინთა სტანდარტიზაციისთვის გასათვალისწინებელია საერთაშორისო სტანდარტების ძირითადი დებულებები, კერძოდ, ისო 860-ში მოცემული ცნებების, ცნებათა წყებების, მათი განმარტებებისა და ტერმინების შესაბამისობის დადგენის განმარტებები. განსხვავებული ენის ცნება-ტერმინთა შესაბამისობის დადგენის კვლევა ძირითადად მოიცავს ცნების არსის განსაზღვრას და მისთვის ტერმინის მისადაგებას (2023, გვ. 5).

ისო 860-ის მიხედვით ცნებათა შესაბამისობის დადგენა ნიშნავს ახლომდგომი თუ ნაწილობრივ მსგავსი ცნებებიდან ყველაზე მეტად სავარაუდო ცნების შერჩევას პროფესიული, ტექნიკური, მეცნიერული, ენობრივი, კულტურული და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით (2023, გვ. 6), ხოლო ცნებათა წყებების შესაბამისობის დადგენა ნიშნავს ახლომდგომ თუ ნაწილობრივ მსგავს რამდენიმე წყებას შორის სათანადო წყების შერჩევას პროფესიული, ტექნიკური, მეცნიერული, ენობრივი,

კულტურული და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით. განმარტებების შესაბამისობის დადგენა მოიცავს შესაბამისობადადგენილი ცნების დამაზუსტებელ განმარტებით აღწერას, რის მიხედვითაც განისაზღვრება ამ ცნების ადგილი, ტერმინთა შესაბამისობის დადგენა კი ნიშნავს შესაბამისობადადგენილი ცნების სახელდებების შერჩევას სხვადასხვა და ერთი ენის ფარგლებში.

სხვადასხვა ენათა ცნება-ტერმინების მისაღებისას უპირველესად გასათვალისწინებელია შემდეგი საკითხი: სხვადასხვა ენაში შესაბამისობადადგენილი ტერმინები შესატყვისებია, ხოლო ერთ ენაში ისინი გვხვდება როგორც სინონიმები ან ტერმინის სახესხვაობები. შესაბამისად, შესატყვისობა მოიცავს ერთი და იმავე ცნების გამომხატველი სახელდებების ურთიერთმიმართებას (2023, გვ. 7).

აქედან გამომდინარე, ცნებებისა და ცნებათა წყებების შესაბამისობის დადგენა არის ორაზროვნებისა და ბუნდოვანების თავიდან არიდების საწინდარი.

ისო 860-ის თანახმად, ცნებათა და ცნებათა წყებების შესაბამისობის დასადგენად საჭიროა მათი მსგავსება-განსხვავების კვლევა, რის საფუძველზეც განისაზღვრება, რამდენად მიზანშეწონილია ამ შესაბამისობის დადგენა კონკრეტული სფეროსთვის; ასევე განისაზღვრება ცნებათა წყებების კუთვნილება, კერძოდ, ერთ სფეროს მიემართება ისინი თუ სხვადასხვას. ცნებათა შინაარსის ნაწილობრივი დამთხვევის შემთხვევაში შესაბამისობის დადგენის ამოსავალი უნდა იყოს ეს დამთხვევები ან წყებების ცნებების შესაბამისობები.

შესაბამისობის დადგენა კი მიიღწევა მაშინ, თუ დარგის ტერმინოლოგიის ძირითადი ნაწილი სათანადოდაა დადგენილი, დარგი კარგადაა განვითარებული და აქვს სტანდარტიზაციის გამოცდილება (2023, გვ. 8).

ერთი ენის ან სხვადასხვა ენის ფარგლებში ცნებებისა და ცნებათა წყებების შესაბამისობის დასადგენად საჭირო ხდება კვლევის საფუძველზე ზოგიერთი საკვანძო ცნების ზედაპირული შედარება ცნებათა თითოეულ წყებაში; კერძოდ, ცნებათა წყებებზე დაკვირვებით უნდა გამოიკვეთოს ცნებათა საერთო მახასიათებლები ერთი ენისა და სხვადასხვა ენის მიხედვით; ასევე უნდა გამოიკვეთოს მათი განმასხვავებელი მახასიათებლები და თითოეული საკვანძო ცნების ძირითადი მახასიათებლები. ცნებათა შესაბამისობები სრულყოფილად დადგენილად მიიჩნევა იმ შემთხვევებში, თუ ცნებები მჭიდროდაა ურთიერთდაკავშირებული და აქვთ საერთო

მახასიათებლები, ხოლო ძირითადი მახასიათებლები ან ერთნაირია, ან მსგავსია პროფესიული, მეცნიერული, კულტურული ან სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორების მიხედვით.

კვლევის ფარგლებში, წყაროდან ამოკრებილ მასალაზე დაყრდნობით, უნდა გამოვლინდეს ცნებათა წყებების ახალი ჯგუფი, თუმცა შესაძლოა მოძიებული ქვეჯგუფები განსხვავდებოდეს მაჩვენებლებით (2023, გვ. 9). სწორედ განსხვავებული წყებების შესწავლის შედეგად განისაზღვრება ცნებათა რაოდენობა, ცნებათა ურთიერთმიმართება, მათი წყებებად დაყოფის მიზეზი და კონკრეტული ქვეჯგუფის მაჩვენებლები.

მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, რომ ცნებების შესწავლა აუცილებელია მათი მახასიათებლების და არა მათი სახელდებების მიხედვით. მახასიათებლები კი უნდა განისაზღვროს განმარტებებისა და ცნებებთან დაკავშირებული შენიშვნების მიხედვით, ხოლო განმარტებების წყაროა სანდო მასალები და დარგის სპეციალისტების დასკვნები.

ისო 860-ში მითითებულია, რომ შედარებითი კვლევის შემთხვევაში ცნების მისაღებადობა ეყრდნობა კონკრეტულ პირობებს (ისო 2023, გვ. 10); ესენია: იგივეობრივი ცნებები, ნაწილობრივ მსგავსი ცნებები, ერთ წყებაში არსებული ცნებები, სხვა წყების ორი ან მეტი ცნების შესაბამისი ერთი წყების ცალკეული ცნებები.

ცალსახაა, სხვადასხვა ენის ტერმინთა დადგენისთვის მნიშვნელოვანია ცნებათა შესწავლა, ცნებათა განმარტებების შესაბამისობა, მათი დარგობრივი მიმართულებით დაჯგუფება, ამასთან, გარკვეული ნიშნით კონკრეტული ქვეჯგუფების გამოყოფა და პრაქტიკაზე დაფუძნებული კვლევების წარმართვა.

ტერმინთა შესაბამისობის დადგენა, ნათქვამია ისო 860-ში, ნიშნავს ისეთი საკითხების განსაზღვრას, როგორებიცაა: ტერმინთა შერჩევა, შესატყვისობა, სინონიმია და ტერმინთა სახესხვაობები. ამ კუთხით ყურადღება გასამახვილებელია დარგისთვის ნიშანდობლივ ტერმინთქმნადობის ტრადიციაზე, ტერმინის საერთაშორისო-დარგობრივ მოხმარებაზე. საგულისხმოა ისიც, რომ ტერმინთა შესაბამისობის დადგენა შესაძლოა გულისხმობდეს შემდეგს: პირველი, დამკვიდრებული ტერმინების ჩანაცვლებას, რისი საფუძველიც ხდება არსებული ცდომილებების გამოკვეთა, ტერმინების ნაკლოვანებებისა და უპირატესობების

განსაზღვრა; მეორე, უცხოენოვანი ტერმინის ტერმინელემენტთა თარგმნით ნაწარმოებ ტერმინებს, როდესაც დასაშვებია ტერმინის ან უცხოენოვანი ტერმინის მორფოლოგიური ელემენტების თარგმნა; მესამე, სხვადასხვა ენაში ერთნაირი ან მსგავსი ფორმებით ნაწარმოებ ტერმინებს (ისო 2023, გვ. 21).

ისო 860-ში ასევე აღნიშნულია, რომ ტერმინთა შესაბამისობის დადგენა გულისხმობს შესატყვისების, სინონიმებისა და ტერმინთა სახესხვაობების განსაზღვრას. ამ კრიტერიუმების მიხედვით სხვადასხვაენოვან ცნება-ტერმინთა დადგენისთვის მიზანშეწონილია ტერმინოლოგიური მუშაობის დაგეგმვა საერთაშორისო ნორმატიული მითითებების საფუძველზე, ცალკეული ეროვნული ენობრივი საზოგადოების მიერ.

შესაბამისად, სამხედრო ტერმინოლოგიის სტანდარტიზაციისთვის მნიშვნელოვანია საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით მუშაობა. აქედან გამომდინარე, ქართულ-ინგლისური სამხედრო შესატყვისების დადგენა-დახვეწისთვის ვეყრდნობით სწორედ ისო 860-ს, „ტერმინოლოგიური მუშაობა – ცნებათა და ტერმინთა შესაბამისობაში მოყვანა/ჰარმონიზება“ (ისო 860: 2023).

სამხედრო დარგობრივი ტერმინოლოგია თავისებური მახასიათებლების მქონე ენაა, რაც ქმნის სამხედრო ტერმინოლოგიის ბუნებას და რაც მოითხოვს არსებული ენობრივი ნორმებიდან გადახვევასაც. ეს კარგად გამოჩნდა კვლევის II თავში განხილული მაგალითებითაც. ამავე დროს, ნათელია, რომ ვფლობთ, შესაძლოა მცირე, მაგრამ ქართულ ისტორიულ სამხედრო ტერმინოლოგიასაც, მოძველებულ სამხედრო სალექსიკონო ბაზებსაც, რაც იძლევა თანამედროვე სამხედრო ტერმინოლოგიის შემუშავებისა და სამხედრო ტერმინოლოგიური კვლევების საფუძველს. აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, უმნიშვნელოვანესია არსებული სამხედრო ტერმინოლოგიის თავმოყრა ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართული ენის ტერმინთაგანში, მისი სისტემატიზება/მოწესრიგება თემატური სახით და ერთგვარი დახარისხება/კლასიფიცირება კატეგორიებად, როგორებიცაა: ისტორიული, მოძველებული, კონკრეტული წყაროს მითითება და ა.შ.

ადრინდელი სალექსიკონო მასალების გამოყენება-განახლება და თანამედროვე ქართული სამხედრო ცნება-ტერმინების დახვეწა-შემუშავება, თავისთავად ცხადია, უნდა წარიმართოს თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სამხედრო ტერმინოლოგიური სირთულეები გამოიხატება ცნება-ტერმინთა უქონლობაში, უზუსტობასა და სიჭრელეში. სამხედრო სფერო მოიცავს სხვადასხვა მიმართულების მასალებს, როგორებიცაა: სამხედრო დოკუმენტები, საველე სახელმძღვანელოები, საბრძოლო მომზადებაზე ორიენტირებული გეგმები, ჯარისკაცის საბრძოლო მომზადების პუბლიკაციები, დოქტრინული პუბლიკაციები, ერთობლივი პუბლიკაციები, წვრთნის ცირკულარები, ტექნიკური სახელმძღვანელოები და სხვ. შესაბამისად, რთულია ცნებებისა და ტერმინების შესაბამისობების დადგენა, რადგან ცნებები იცვლის მნიშვნელობას განსხვავებული მიმართულებების მხრივ.

ერთი რამ უდავოა, საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინება ხელს უწყობს სამხედრო ცნება-ტერმინების სწორი გზით დადგენას, ამასთან, გვარიდებს ხარვეზებს, შესაბამისად, საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინება არის იმის წინაპირობა, რომ გვექონდეს ნაკლები ტერმინოლოგიური უზუსტობა და შედარებით დახვეწილი სამხედრო ტერმინოლოგია.

როგორც კვლევის II თავში განვიხილეთ, აშშ-ისა და ნატოს სამხედრო ტერმინოლოგია ნორმირდება საერთაშორისო სტანდარტებზე დაყრდნობით, რაც მითითებულია ცალკეულ სამხედრო დოქტრინულ თუ პუბლიკაციურ გამოცემაში. ასევე მითითებულია ისიც, თუ სახელმძღვანელოში ტერმინი დამკვიდრებული მნიშვნელობისგან განსხვავებული მნიშვნელობით გამოიყენება. ასეთ შემთხვევაში ეს სახელმძღვანელო მიიჩნევა ცნება-ტერმინის წყაროდ. მაგალითად, FM 3-0-ის 2017 წლის გამოცემის შესავალში ცხრილის სახით ნაჩვენებია ის ტერმინები, რომელთა მნიშვნელობაც ამ კონკრეტულ სახელმძღვანელოში შეცვლილია და რომელთა მხარდამჭერიცაა ეს სახელმძღვანელო (FM 3-0, 2017, p. xii) (<https://carlsgsc.libguides.com/ld.php?content>):

შესავალი ნაწილის ცხრ. მნიშვნელობაშეცვლილი ტერმინები

ტერმინი	შენიშვნა
Direct support	FM 3-0 is now the proponent publication.
reinforcing	FM 3-0 is now the proponent publication.

რა სირთულეებს ვაწყდებით ტერმინების, განსაკუთრებით, ახალი შეიარაღების, საბრძოლო მასალისა თუ მათი შემადგენელი ნაწილების ქართული სახელდებების მისადაგებისას. რა მეთოდს მივმართავთ, როგორ ვმუშაობთ ტერმინთშემოქმედების კუთხით?

ერთი მხრივ, საინტერესოა ლექსიკონში შეტანილი სიტყვა-ტერმინების შემუშავების გზების შესწავლა, ხოლო, მეორე მხრივ, ამ ტერმინების განვითარების ისტორიაზე დაკვირვება სხვადასხვა დროს გამოცემული სამხედრო ტერმინოლოგიის ლექსიკონების მიხედვით, კერძოდ, იმის დადგენა, თუ რამდენად ქმედითია ტერმინი და რა პროცესებმა იქონია გავლენა თანამედროვე ფორმების ჩამოყალიბებაზე, სავარაუდოდ, უმნიშვნელოვანესი ასპექტია სახელმწიფოს ნება. „მეცნიერული ენა თავისი განვითარების მანძილზე გარკვეულ ცვლილებებს განიცდის. ამ ცვლილებებს კი... ხშირად ექსტრალინგვისტური ფაქტორებიც განაპირობებენ, როგორიცაა, მაგ.: თვით ამა თუ იმ მეცნიერების განვითარების დონე, პირობები და თავისებურებანი ერის (/სახელმწიფოს) ისტორიის სხვადასხვა პერიოდში, სხვადასხვა უცხოენოვანი კონტაქტებისა და, შესაბამისად, გავლენების მონაცვლეობა, და ბოლოს, თვით სახელმწიფოს ნება“ (მელიქიშვილი, 2014, გვ. 121). ამას ადასტურებს თუნდაც ის ფაქტი, რომ 1920 წლის „სამხედრო-ტექნიურ“ ლექსიკონში ცალსახად ჩანს ტერმინების გაქართულების მცდელობა, 1925 წელს გამოცემულ „სამხედრო-ტექნიკურ“ ლექსიკონში კი უპირატესობა უცხო ძირებს, ე.წ. საერთაშორისო სიტყვებს, ენიჭება.

სავალალოა, მაგრამ დღეს უპირატესობა ენიჭება უცხოძირიანი ფორმების გამოყენებას იმ მიზეზით, რომ ლექსიკონში ორივე ფორმაა მითითებული და უცხოძირიანი შესატყვისიც მართებულია/მისაღებია. ვფიქრობთ, სწორედ ესაა დადგენილი და არასტანდარტიზებული ტერმინოლოგიის არსებობის შედეგი, რაც საბოლოოდ შესაძლოა გამოიხატოს შემდეგში: მივიღოთ წყარო ენიდან – ინგლისურიდან არა გადმოთარგმნილი სახელმძღვანელოები, არამედ სიტყვასიტყვით და უთარგმნელად გადმოღებული ტექსტები. ერთი შეხედვით, თუ მოვიტანთ სამხედროების ნაწილის არგუმენტს, რომ უცხოძირიანი ტერმინები ამარტივებს კომუნიკაციას/ურთიერთობას სხვადასხვა ეროვნების სამხედროებს შორის, ადვილად გასაგებსა და აღსაქმელს ხდის საერთაშორისო წვრთნებს, შესაძლოა, დავფიქრდეთ კიდევ, მათთვის ამ სარგებლის მნიშვნელობაზე. რომ დავფიქრდებით და

გავაანალიზეთ სრულ არსებულ სურათს, ქართული სამხედრო ტერმინოლოგიის მდგომარეობასა და ქართველი სამხედროების ნაწილის დამოკიდებულებას ქართული სამხედრო ტერმინოლოგიისადმი, ცხადი გახდება, რომ ასეთი სარგებელი შესაძლოა ამარტივებდეს ურთიერთობებსა და სწავლებას/სასწავლო კურსის გავლას, მაგრამ თანდათანობით გვაკარგვინებდეს ქართულ ტერმინოლოგიას, ქართულ ცნებებს, რადგან სამხედრო ტერმინოლოგია მთლიანობაში ქმნის ქართულ ტერმინოლოგიას.

თანამედროვე ქართული სამხედრო ტერმინები ხშირად იწვევს გაურკვევლობასა და ბუნდოვანებას, ეს გასაკვირიც არაა, რადგან ახალი სამხედრო ტერმინები იქმნება ახალი სამხედრო სახელმძღვანელოების მომზადება-შემუშავების კვალდაკვალ. არსებული ქართული სამხედრო ლექსიკონები კი ამ მხრივ ვერ აკმაყოფილებს ტერმინოლოგიურ საჭიროებებს, შედეგად, ჩნდება შეუსაბამო ტერმინები. სამხედროებისა და მთარგმნელ-სტილისტების მოწადინების მიუხედავად, ბევრი ტერმინი იწვევს კითხვებს, რომლებზე პასუხებიც მოითხოვს სიღრმისეულ კვლევებსა და ენათმეცნიერულ მიდგომებს. მსგავს ტერმინებს მიეკუთვნება **დასახლებული პუნქტის ოპერაციები**, რომელიც ფართოდაა გავრცელებული სამხედრო დარგში.

აშშ-ის სახელმძღვანელო ATP 3-09.42-ში, „ბრიგადის საბრძოლო ჯგუფის საცეცხლე მხარდაჭერა“, გვხვდება შესიტყვება urban operations, რომელიც ითარგმნება როგორც **ურბანული ოპერაციები** ან როგორც **დასახლებული პუნქტის ოპერაციები**. სიტყვა **ურბანული** ამავე სახელმძღვანელოში გვხვდება სხვა შესიტყვებებშიც, მაგალითად: **ურბანული გარემო**, **ურბანული ბრძოლა**, **ურბანული რაიონები**, **ურბანული სივრცე** და ა.შ. ამავე სახელმძღვანელოს სიტყვარში urban operations განმარტებულია შემდეგნაირად: „operations across the range of military operations planned and conducted on, or against objectives on a topographical complex and its adjacent natural terrain, where man-made construction or the density of population are the dominant features“ (2016, p. 297).

შესიტყვებები urban environment და urban area ხშირად ითარგმნება შემდეგნაირად: **დასახლებული გარემო** და **დასახლებული რაიონი**.

ამავე დროს, გავრცელებულია შემდეგი შესიტყვებებიც: **ურბანული გარემო**, **ურბანული რაიონი**, **ურბანული ბრძოლა**, **ურბანული ტერიტორია**, **ურბანული ოპერაცია**, **არაურბანული ტერიტორიები**.

ცხადია, ჩნდება პარალელური ფორმები ურბანული გარემო//დასახლებული გარემო, ურბანული რაიონი//დასახლებული რაიონი, ურბანული ტერიტორია//დასახლებული ტერიტორია, ურბანული ოპერაციები//დასახლებული პუნქტის ოპერაციები, რაც იწვევს გაურკვევლობებს, ამასთან, ურბანული ოპერაციები ატარებს დასახლებული პუნქტის ოპერაციებისგან განსხვავებულ შინაარსს და მოსახერხებელიცაა გამოსაყენებლად.

Urban ინგლისურ-ქართულ სამხედრო ონლაინლექსიკონში არ არის შეტანილი სალექსიკონო ერთეულად, ინგ.-ქართ. ონლაინ ლექსიკონში კი შეესაბამება ქალაქური, ქალაქისა; საქალაქო; ურბანული.

Multitran.com-ში მის ერთ-ერთ შესატყვისად დასტურდება городской – საქალაქო, городской (განსხვავებით სოფლურისა, სასოფლოსი). ასევე დასტურდება შემდეგი შესატყვისებიც: mil. боевые действия в крупных населённых городах; боевые действия в крупных населённых пунктах. მეორე ლექსიკოგრაფიული ერთეულის პირდაპირი თარგმანია საბრძოლო მოქმედებები დასახლებულ პუნქტში, საბრძოლო მოქმედებები, ანუ ოპერაციები. შესაძლოა, ქართული შესიტყვება ეყრდნობოდეს სწორედ ამ რუსულ ლექსიკოგრაფიულ ერთეულს.

Merriam-Webster Dictionary (merriam-webster.com)-ის მიხედვით:

urbanus ლათინური სიტყვაა და მომდინარეობს ქალაქიდან urbs.

Adj.: of relating to, characteristic of, or constituting a city/of, relating to, typical of, or being a city

აშშ-ის სახელმძღვანელო ATP 3-06-ის წინასიტყვაობაში ნათქვამია:

Operations in and around cities are one of the greatest challenges U.S. forces face (ATP 3-06, 2022, p. ix).

სახელმძღვანელოს I თავში კი განმარტებულია, რომ:

„1-2. The urban environment comprises three parts: (1) complex manmade physical terrain, (2) population of significant size and density, and (3) supporting infrastructure. JP 3-06 refers to these three parts as the urban triad. Cities are unique for the density of these three features – that density is a key aspect of the inherent complexity of urban operations“ (ATP 3-06 2022: 13).

როგორც ვხედავთ, საუბარია ქალაქებში მიმდინარე ოპერაციებზე.

ამ თემის საფუძვლიანად გაანალიზების მიზნით განვიხილოთ სხვა დონის სახელმძღვანელო, კერძოდ, JP 3-06, Joint Urban Operations (2013).

აღნიშნულ დოქტრინულ პუბლიკაციაში განმარტებულია საკვანძო ტერმინები: urban environment, urban area, urban terrain, urban warfare, რომელთა შესწავლის საფუძველზე სწორად უნდა გავიაზროთ, რას მოიცავს **ურბანული რაიონი**, რა მახასიათებლები აქვს მას და სად ტარდება **ურბანული ოპერაციები**. როგორც ჩანს, ურბანული რაიონის განსაზღვრა დამოკიდებულია ისეთ ფაქტორებზე, როგორებიცაა: მისი ადგილმდებარეობა, ისტორია, ეკონომიკური განვითარება, კლიმატი, ხელმისაწვდომი შენობა-ნაგებობები, მოსახლეობის კულტურა, მოსახლეობის სიმჭიდროვე, დასახლების ზომა და ა.შ. (JP 3-06: 2013: 15). ერთი, სიტყვით ის ფაქტორები, რომლებიც ურბანულ რაიონს ხდის მოწინააღმდეგისთვის ღირებულს .

სახელმძღვანელო JP 3-06 ოპერატიული დონის სახელმძღვანელოა, შესაბამისად, აქ გააზრებულია ცნება-ტერმინები ოპერატიული დონის თვალსაზრისით. I თავის წინასიტყვაობაში ზოგადად ახსნილია, რომ ქალაქები, სტრატეგიული თვალსაზრისით, ისტორიულად, დიდი როლს თამაშობენ სამხედრო კამპანიების წარმართვაში; და ეს განპირობებულია მათი გეოგრაფიული მდებარეობით და ისტორიულადაც ყველაზე მნიშვნელოვანი სტრატეგიული სამიზნე-ობიექტებია. ურბანიზაციის ზრდა მთელ მსოფლიოში იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ მომავალი სამხედრო ოპერაციები ჩატარდეს ურბანულ გარემოპირობებში. კონკრეტული ურბანული რაიონის კომპლექსურობა ზეგავლენას ახდენს დაგეგმვაზე, გადაწყვეტილების მიღებაზე, ოპერაციების ჩატარებაზე და ა.შ. (JP 3-06, 2013, p. 14).

ამავე დროს, აქვე მოყვანილია აშშ-ის არმიის გენერალ-მაიორ რობერტ ჰ. სკალესის (Major General Robert H. Scales) ციტატა, რომელშიც ის განმარტავს, რომ ურბანული საომარი მოქმედებები წარმართება ქალაქებში, კომპლექსურ რელიეფზე/ადგილმდებარეობაზე და ამის მაგალითია ბერლინის, სტალინგრადის, ბეირუთის შემთხვევები. სამხედრო სპეციალისტები ყოველთვის ცდილობენ მსგავსი ურბანული საომარი მოქმედებების თავიდან არიდებას (JP 3-06, 2013, p. 14).

ცალსახაა, რომ ეს არის ქალაქებში ჩასატარებელი ოპერაციები და როგორც თანამედროვე ომის, ისე სამომავლო ოპერაციების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სახე/ტიპი.

განხილული მაგალითებიდან და სალექსიკონო განმარტებებიდან გამომდინარე, ცნება **ურბანულში**, სამხედრო თვალსაზრისით, იგულისხმება ქალაქი და ქალაქის **ოპერაციები**, რაც უფრო ნათლად გამოხატავს ოპერაციებს ქალაქის ტიპის დასახლებაში, რადგან ამ ოპერაციების სამიზნე-ობიექტი ქალაქებია ადამიანის ხელით სახეცვლილი რელიფით/ადგილმდებარეობით, მჭიდრო მოსახლეობით, მხარდამჭერი ინფრასტრუქტურით. ეს ასპექტები წარმოადგენს სასურველ, ხელში ჩასაგდებ სამიზნე-ობიექტებს, იმავდროულად, ქმნის თანამედროვე ომის წარმართვის საუკეთესო შესაძლებლობასაც, თუნდაც ქსელების კუთხით.

შესაბამისად, შესაძლებელია, რომ urban ამ შემთხვევაში გულისხმობდეს **ქალაქს** და, ჩვენი ვარაუდით, **ქალაქის ოპერაციები**, **ქალაქის გარემოპირობები**, **ქალაქის რაიონი**, **ქალაქის ტერიტორია/რელიეფი**, **ქალაქის საომარი მოქმედებები შემდეგი ერთეულების** – urban operations, urban environment, urban area, urban terrain, urban warfare – სათანადო შესატყვისები იყოს, რადგან მიზანშეწონილია საკითხის უფრო სიღრმისეულად შესწავლა.

როგორც ვხედავთ, ინგლისური ეკვივალენტის მორგების მიზნით მნიშვნელოვანია სამხედრო ცნებების ინგლისურ-ქართული სახელების შინაარსობრივ-თვისობრივი მხარეების ძირეული გააზრება.

თანამედროვე სამხედრო ქართულ-ინგლისური შესატყვისების მისადაგებას ართულებს:

- სამხედრო ტერმინთშემოქმედების გზების უგულებელყოფა;
- მსოფლიოში მიმდინარე კონფლიქტებისა და სამხედრო მოქმედებების სწრაფი განვითარება, რასაც სდევს ძველი ტერმინების მნიშვნელობისა და მათი განმარტების შეცვლა ან ახალი მნიშვნელობის შეძენა, ასევე ახალი სამხედრო ტერმინების შემოტანა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სამხედრო ტერმინების შინაარსობრივი ცვლა დამოკიდებულია იმაზე, თუ ომის რომელ დონეზე ტარდება ოპერაციები ან სრულდება მოქმედებები. ეს პრობლემა ძირითადად აისახება ოპერატიულ-სტრატეგიულ ტერმინებზე, რომლებიც მნიშვნელოვანია არა მარტო სამხედრო, არამედ პოლიტიკური თვალსაზრისითაც, შესაბამისად, მსგავსი ტერმინები შესაძლებელია განვიხილოთ სტრატეგიულ-პოლიტიკურ ტერმინებადაც. თუმცა ამავე

დროს ომის დონეებს შორის არ არსებობს დადგენილი ზღვარი, ომის სამი დონე – სტრატეგიული, ოპერატიული და ტაქტიკური – აჩვენებს ეროვნული მიზნებისა და ტაქტიკური მოქმედებების ურთიერთმიმართებას. ისინი მეთაურებს ეხმარება ოპერაციების საზღვრების, ხელმისაწვდომი რესურსების, შესასრულებელი ამოცანების ვიზუალიზებაში (წარმოდგენაში). სამეთაურო დონე, ქვედანაყოფების ზომა, აღჭურვილობის ტიპები, ძალებისა და ქვედანაყოფების ადგილმდებარეობა ყოველთვის უკავშირდება გარკვეულ დონეს, მაგრამ მათი შესრულების ტაქტიკური, ოპერატიული და სტრატეგიული მიზანი უკავშირდება დავალების, ამოცანის ან ობიექტის ბუნებას“ (JP 3-0, 2017, p. I-12).

დოქტრინული მიდგომების ცვლასთან ერთად ინგლისურენოვანი ტერმინების შინაარსის ცვლა ართულებს მათთვის ქართულ დოქტრინულ სახელმძღვანელოებში სათანადო შესატყვისების მისადაგებას, შესაბამისად, მნიშვნელოვანია ახალი ქართული სამხედრო ცნება-ტერმინების, ერთი მხრივ, სამეცნიერო-სპეციალური ლიტერატურის, მასალების კუთხით შესწავლა, მეორე მხრივ, დოქტრინული/კონტექტური ანალიზი.

დარგობრივი ტერმინების, მათ შორის, სამხედრო ტერმინების, სწორად გამოყენება საპასუხისმგებლო საქმეცაა. სამხედრო ტერმინების დადგენა-ჰარმონიზაციის სირთულეს იწვევს ისიც, რომ სამხედრო ტერმინი ადვილად აღსაქმელი და ლაკონური უნდა იყოს, შესაბამისად, რთულია ცნება-ტერმინების გასაგები და მოკლე ფორმების შემუშავება, უფრო მარტივია ქართული შესატყვისის ვრცელი შესიტყვებით გამოხატვა. ახალი ოპერატიულ-სტრატეგიული მეთოდოლოგიები წარმოადგენს ახალ ტექნოლოგიებზე დაფუძნებულ მეთოდოლოგიებს, კომპლექსურ ფორმებს, რომლებიც გამოიყენება რთულ მრავალგანზომილებიან გარემოში სამოქმედოდ, შესაბამისად, ოპერატიულ-სტრატეგიული ტერმინები კონცეფციებია, რაც უფრო ართულებს მათ გადმოტანას ქართულ ენაზე.

ინგლისური-ქართული ცნება-ტერმინების მისადაგებისას მნიშვნელოვანია აშშ-ისა და *ნატოს* შექმნილი სახელმძღვანელოებისთვის დართული გლოსარიუმების გათვალისწინებაც, რადგან მათში ხშირად მითითებულია ტერმინის პირველწყარო, რაც ხელს უწყობს მისი, როგორც ცნების, გააზრებას.

ოპერატიულ-სტრატეგიული სამხედრო ტერმინების დადგენა-ჰარმონიზაციისთვის მნიშვნელოვანია ტერმინის, როგორც ცნებისა და როგორც კონცეფციის, გააზრება.

3.2. ქართულ სამხედრო ტერმინთა შესაბამისობის დადგენის საკითხები: კვლევები და მიდგომები

ქართულ-ინგლისური სამხედრო ტერმინების დადგენა-ჰარმონიზაცია მოითხოვს ქართული სამხედრო ტერმინთშემოქმედების ცოდნასაც და, რა თქმა უნდა, ტერმინოლოგიურ კვლევებსაც, რომელთა გარეშე ტერმინოლოგიური ლექსიკოლოგია ვერ განვითარდება.

ლექსიკონების შედგენას თან სდევს სიტყვა-ცნებების დამუშავება ლინგვისტიკურ-მეთოდოლოგიური მიდგომებით, სიტყვა-სტატიების შედგენის გზების ძიება, ისტორიული სინონიმების, ფორმების შესწავლა, ქართულ-ინგლისური შესატყვისების დადგენის სირთულეები, რომლებიც ერთი ენიდან სამიზნე ენაზე გადმოტანის პროცესში იჩენს თავს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია თარგმნითი მუშაობის თავისებურებების გათვალისწინება და ლინგვისტიკური თუ სემანტიკური ასპექტების განსაზღვრა, რისთვისაც „განსაკუთრებული როლი ენიჭება სპეციალური... პროგრამების დაგეგმვასა და განხორციელებას. სახელმწიფო ენის განვითარება, მისი ტექნოლოგიური უზრუნველყოფა, ნორმალიზაცია და სტანდარტიზაცია არის გამოსავალი სახელმწიფო ენის გადარჩენის საქმეში (არაბული 2016: 8).

სწორი დადგენილი სამხედრო ტერმინოლოგიის გამოყენება ერთნაირად მნიშვნელოვანია როგორც დოქტრინულ სახელმძღვანელოებში, ისე ადგილობრივ მეცადინეობებშია თუ წვრთნებშიც, რომლებშიც სამხედროებთან ერთად მონაწილეობენ თარჯიმნები, დამკვირვებლები და სხვადასხვა დონის სამეთაურო რგოლების წარმომადგენლები. შესაბამისად, მოქმედებათა სწრაფად შეთანხმებისა და ურთიერთობების ადვილად დამყარებისთვის ასევე მნიშვნელოვანია საერთო ცნება-ტერმინების გამოყენება. ხშირად ქართული დოქტრინული ტერმინი და პრაქტიკაში ხმარებული ტერმინები განსხვავდება, ხშირად ქართული სამხედრო ცნება-ტერმინის დასადგენად აუცილებელი ხდება გრამატიკული ნორმების დარღვევაც, რადგან

მნიშვნელოვანია იმ სამიზნე აუდიტორიის მოთხოვნების გათვალისწინება, რომელიც მოიხმარს კონკრეტულ დარგობრივ ცნება-ტერმინებს.

სამხედრო დოქტრინებისა და სახელმძღვანელოების დამუშავებისას გვხვდება სამხედრო ტერმინები, რომელთა გამოყენებას უკავშირდება ერთგვარი უზუსტობები ან გაურკვევლობები. ასეთ ტერმინთა რიცხვს მიეკუთვნება ოპერატიულ-სტრატეგიული ტერმინები *targeting*-ი და *hybrid war*-ი.

Targeting-ის შესახებ

targeting-ზე, როგორც ცნება-ტერმინზე, ვერ ვისაუბრებთ, *targeting*-ის, როგორც პროცესის, მნიშვნელობის შეუსწავლელად. ტერმინის კვლევასა და, შესაბამისად, ტერმინისთვის ქართული შესატყვისის (ეკვივალენტის) მისადაგებას ართულებს რამდენიმე ტერმინის არსებობა. სინონიმია კი ტერმინოლოგიებისთვის „არასაჭირო ენობრივ ფაქტადაა მიჩნეული“, რადგან მათი ამოცანაა სინონიმთა რიცხვის გარკვეულად შეზღუდვა (დამბაშიძე, 1972, 14-27).

targeting-ის შესახებ ქვემოთ განხილული სტატიების ავტორები, მოქმედი ან ყოფილი სამხედრო პირები/სამოქალაქოები, სწორედ *targeting*-ის ჯგუფში შედიოდნენ, *targetingeers* (თარგეთინგელები, როგორც თავად მიუთითებენ) არიან და, შესაბამისად, აქვთ გამოცდილება ამ მიდგომის დანერგვაში.

Targeting-ის შესახებ ქართული სამეცნიერო/სპეციალური სტატიები ვერ მოვიძიეთ ვერც ელექტრონული, ვერც ბეჭდური სახით. შესაბამისად, *Targeting*-ის, როგორც სამხედრო პროცესის, ისტორიას/წარმოშობას, განვითარებასა და მნიშვნელობას განვიხილავთ ონლაინსივრცეში ხელმისაწვდომი ინგლისურენოვანი სტატიების მიხედვით. *Targeting*-ი არ დასტურდება არც ინგლისურ-ქართულ ონლაინსამხედრო ლექსიკონში, არც დიდ ინგლ.-ქართ. ონლაინლექსიკონში, არც ინგლ.-ქართ. ლექსიკონში (გვარჯალაძე).

მ. მ. მოლერი თავის წიგნში *the sum of there fears: the relationship between the joint targeting coordination board and the joint force commander* (1995), აღწერს გაერთიანებული/ერთობლივი *Targeting*-ის ისტორიას მეორე მსოფლიო ომიდან დღემდე. ერთობლივი (joint) ჯგუფი, რომელსაც მ.მ. მოლერი პირობითად *target-ჯგუფს* (*target-group*) უწოდებს (JTG), შეიქმნა 1944 წლის 2 აგვისტოს, რაც განაპირობა

იმ ფაქტორმა, რომ შტაბების მეთაურების გაერთიანებული კომიტეტი (JCS) მივიდა დაგეგმვის პროცესის ცენტრალიზებული მართვის გადაწყვეტილებამდე. ეს აღკვეთდა ძალთა შორის კოორდინაციის ნაკლებობას, ძალისხმევას კი გააორმაგებდა, ამასთან, შესაძლებელი იქნებოდა მიზნების სიღრმისეული შესწავლა და ბომბდამშენებისა და თვითმფრინავების მცირე რაოდენობითაც სათანადო მიზნების განადგურება. გაერთიანებული მეთაურების შტაბის ამოცანა იყო ერთობლივ target ჯგუფს უზრუნველყო სამიზნეების ანალიზზე მუშაობის გაგრძელება და ინტეგრაციისა და კოორდინაციის უწყვეტობა სხვადასხვა გვარეობასა და ორგანიზაციასთან. მუშაობა მიმდინარეობდა ვაშინგტონში, გენერალ მაკარტურის ხელმძღვანელობით, საბრძოლო მოქმედებათა თეატრების შტაბებთან კოორდინაციით. ჯგუფი თავის რჩევებსა და პროდუქტებს აწვდიდა გენერალ მაკარტურს, ხოლო ის და მისი შტაბი იღებდნენ გადაწყვეტილებას, რომელი ინფორმაცია გამოეყენებინათ. ომი დასრულდა იქამდე, სანამ ჯგუფმა შეძლო სამიზნეების ნაკრების შესახებ თავისი წინადადებების მიწოდება, რაც დაუჭერდა მხარს სახმელეთო ძალებსა და საზღვაო ქვეითთა კორპუსის ჯარებს იაპონიასთან მიახლოებამდე. მოლერის აზრით, პროცესი იყო არაფორმალური, რის შედეგადაც ყველა ორგანიზაცია თვლიდა, რომ ჯგუფისგან შეეძლოთ მხოლოდ რჩევების მიღება. ასე ჩაეყარა საფუძველი ერთობლივი ჯგუფის შექმნასა და პრიორიტეტული მიზნების ანალიზს.

მ.მ. მოლერი თავის წიგნში განიხილავს targeting-ის განვითარების ეტაპებს, რომლებიც მოიცავს კორეულ კონფლიქტს, სადაც ძირითად პრობლემას ქმნიდა მნიშვნელოვანი განსხვავებები სამიზნე პრიორიტეტებში, მართვა-კონტროლის ფარგლებში კოორდინაციის არარსებობა სახმელეთო და საჰაერო ელემენტებს შორის, ასევე დოქტრინული განსხვავებები. მეორე მსოფლიო ომის ჯგუფის მსგავსად კორეული target-ჯგუფი შედგებოდა სამეთაურო ჯაჭვის წარმომადგენლებისგან და არა საჰაერო სამიზნეების შერჩევის სპეციალისტებისგან. გამოცდილების უქონლობის შედეგად ჯგუფმა ვერ გაართვა თავი მოთხოვნილ ამოცანას. სწორედ სამიზნეების თაობაზე შეუთანხმებლობა და ძალების არაკოორდინირებული მოქმედება გამოვლინდა ვიეტნამის ომშიც.

როგორც მ.მ. მოლერი აღნიშნავს, ამ ოპერაციაში პირველად ხელმძღვანელობდა ერთი პირი კოორდინირებულად მთელ საომარ მოქმედებათა თეატრს, საზღვაო-

საჰაერო ძალების ჩათვლით. გენერალი ჩარლზ ჰორნერი იყო პასუხისმგებელი ოპერაციის ყველა მოქმედებაზე. თავდაპირველად სახმელეთო ძალების ქვეითი ქვედანაყოფების მეთაურებმა წარადგინეს თავიანთი სამიზნეების ნუსხა მთავარი შტაბისა და საზღვაო კორპუსების მეთაურებისთვის, რომლებმაც შექმნეს შერჩეულ სამიზნეთა ნუსხა და დაასახელეს ისინი. მოგვიანებით, გაითვალისწინეს საჰაერო მხარდაჭერაც. სწორი კოორდინაციისა და სწორად შერჩეული სამიზნეების გათვალისწინებით წარმართული მოქმედებების შედეგად ოპერაცია წარმატებით დასრულდა. Targeting-ი წარმატებით გამოყენებოდა ერაყის ომშიც.

Targeting-ის წარმოშობისა და ჩამოყალიბების ისტორიის მოყვანით გვინდა ყურადღება გავამახვილოთ შემდეგ საკითხებზე: targeting-ის პირველ ეტაპზე სხვადასხვა დარგობრივი მიმართულების სამხედრო სპეციალისტებით ყალიბდება target ჯგუფი, რომელიც არჩევს გასანადგურებელ მიზნებს და მოქმედებს სახელმწიფოს პირველ პირთან შეთანხმებით.

აშშ-ის ძალების ვიცე-პოლკოვნიკი რ. ტ. ვეიტი targeting-ის ჩამოყალიბების ისტორიის განხილვისას აღნიშნავს, რომ ეს იყო სადავო პროცესი, რაც გამოიხატებოდა სხვადასხვა გვარეობის წარმომადგენლების ურთიერთდამოკიდებულებებში, კერძოდ, უთანხმოებებში, რასაც აღწერს მ. მ. მოლერიც. რ.ტ. ვეიტი აღნიშნავს, რომ ოპერაცია „უდაბნოს ქარიშხლის“ (Desert storm/Desert shield) განმავლობაში „აშშ-ის ძალებმა აჩვენეს ერთობლივი ოპერაციებისა და ერთობლივი targeting-ის წარმატებული გამოყენება...“ (Weit, 1996, p. 5).

საინტერესოა, აშშ-ის ვიცე-პოლკოვნიკის მიერ targeting-ის დანიშნულების გააზრება, კერძოდ, ის მიიჩნევს, რომ: „ერთობლივი საომარი მოქმედებები არის ჯგუფის საომარი მოქმედებები; ერთობლივი targeting კი – გუნდური ძალისხმევა. საჰაერო, სახმელეთო, საზღვაო, მიწისქვეშა, კოსმოსური და სპეციალური ოპერაციების ძალების ეფექტური ინტეგრირება და სინქრონიზება მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ მოწინააღმდეგე იყოს სამიზნე მისივე საბრძოლო სივრცის ფარგლებში, მასზე სხვადასხვა განზომილებიდან და მიმართულებით იერიშის მისატანად, რათა შეირყეს, განადგურდეს და დამარცხდეს მოწინააღმდეგის ძალა“ (Weit, 1996, p. 2).

ა. ტ. ჯუქის⁵ თვალსაზრისით, targeting-ი ნიშნავს შერჩეულ სამიზნეებს, რომლებიც შეესაბამება მეთაურის ჩანაფიქრს და რომლებიც გამოკვეთილია პრიორიტეტად, რომ პირველ რიგში მისდიონ უმნიშვნელოვანეს მიზნებს. ის მოიცავს სიცოცხლისათვის საშიშ და მშვიდობიან მიდგომებს. ა. ტ. ჯუქსი განიხილავს დრონების, უპილოტო საფრენი აპარატების გამოყენებას, თუმცა ნაკლებად სავარაუდოდ მიაჩნია, რომ უპილოტო საფრენი აპარატები უპირატესი იქნება პრიორიტეტული სამიზნეების ნუსხაში; მიუხედავად ამისა, დრონების გამოყენება მანევრის ზონაში/რაიონში, სადაც შეუძლებელია პრაქტიკული წვდომა და მოქმედების თავისუფლება, ხელსაყრელად მიაჩნია.

ა. ტ. ჯუქსი ასკვნის, რომ დღეს, როდესაც საქმე ეხება თანამედროვე შეიარაღებული ძალებისთვის წინააღმდეგობის გაწევას, ჩნდება ახალი ჰორიზონტები, რადგან მრავალი საფრთხისგანაა თავის დაცვა საჭირო. „თუ გავიაზრებთ, რომ ახალი ტექნოლოგიები თავისთავად საფრთხის მატარებელია, განსაკუთრებით, ხშირად გამოყენებული არატრადიციული და ჰიბრიდული საშუალებები, შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ უნდა არსებობს დოქტრინა, რომელშიც მოცემული იქნება დაცვის/უსაფრთხოების კუთხით ხელმძღვანელობა და შემდგომი განვითარება-გაუმჯობესება C-UAS-ებისა. ეს არის იაფი და ხელმისაწვდომი საშუალება ინფრასტრუქტურასა და მნიშვნელოვან პირებზე შეტევის მიტანისა“ (Jux, 2021, p. 12).

ნატოსა და აშშ-ის არსებული საფრთხეებისადმი თანამედროვე მიდგომების, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების საკითხს ავრცობს ა. ბ. ფერნანდესი სტატიაში „Targeting-ი ნატოს სამხედრო ოპერაციებში, როგორც მასტიმულირებელი ფაქტორი“.

ა.ბ. ფერნანდესის აზრით, თანამედროვე ეპოქაში კონფლიქტებზე გავლენას ახდენს კომპლექსურობა, რასაც განაპირობებს გლობალური სოციალურ-პოლიტიკური სცენარი, სწრაფი ტექნოლოგიური და დოქტრინული განვითარება ან საერთაშორისო სამართალთან აუცილებელი შესაბამისობა (Fernandez, 2020).

ა.ბ. ფერნანდესი ხაზს უსვამს მიმდინარე ოპერაციებისა და მასში გამოყენებული მეთოდოლოგიებისა და მოქმედებების საერთაშორისო სამართალთან შესაბამისობას.

⁵ ა. ტ. ჯუქსი – targeting-ის სამოქალაქო კონსულტანტი, ავსტრალიის სამეფო საჰაერო ძალების ოფიცერი, რომელიც 27 წელი მსახურობდა. კვალიფიციური *თარგეთინგელი* (targeteer), ამ საკითხზე მრავალი სტატიისა და წერილის ავტორი.

ტექნოლოგიურ განვითარებასთან ერთად *ნატო* უფრო ღრმად იკვლევს მეთოდებსა და ხერხებს, რომლებიც გამოიყენება ოპერაციებში. ერთ-ერთი მათგანია ერთობლივი targeting-ის პროცესი. ის targeting-ს განიხილავს, როგორც ინოვაციას, რომელიც შეესაბამება საერთაშორისო სამართალს, ასევე საუბრობს მის გამოყენებასა და სამხედრო ოპერაციებში შეტანის თაობაზე.

ა.ბ. ფერნანდესი აღნიშნავს, რომ targeting-ი არის შედარებით ახალი კონცეფცია, შესაბამისად, რთულია სათანადო აკადემიური პუბლიკაციების მოძიება; ამიტომ ის ეყრდნობა *ნატოს* და *ესპანეთის* სამხედრო ძალების დოქტრინებსა და მხოლოდ ხელმისაწვდომ დოკუმენტაციას. ავტორი მიმოიხილავს targeting-ის ისტორიას მეორე მსოფლიო ომიდან დღემდე, რაც მოიცავს *ისრაელის* ტაქტიკასაც, *ბალკანეთის* ომსაც, *აშშ-ის* მოქმედებებს *თალიბანის* რეჟიმის წინააღმდეგ *ავღანეთში*. აქვე დასძენს, რომ სამხედრო საზოგადოების პროფესიული ჟარგონით, ეს მიდგომა ცნობილია როგორც „ავღანური მოდელი“. ა.ბ. ფერნანდესი targeting-ის კონცეფციას ხსნის შემდეგნაირად, რომ საერთაშორისო საზოგადოება უფრო და უფრო მოითხოვს ძალების შეზღუდულ და კანონიერ გამოყენებას მინიმალური თანმხლები ზიანით. targeting-ის კონცეფცია გულისხმობს ამ მოთხოვნებს ოპერატიული ეფექტურობის დაუკარგავად.

ამ სტატიების მიმოხილვა ცხადყოფს, რომ ახალ ათასწლეულთან ერთად წარმოიშვა ახალი კონფლიქტები, ხოლო ტექნოლოგიური მიღწევები, როგორებიცაა: *ლაზერული*, *ფრთოსანი რაკეტები*, *სხვა სახეს* სძენს მათ.

ტერმინი targeting-ი არის სინონიმი target selection-ისა („სამიზნეების შერჩევისა“), მაგრამ ეს არ გულისხმობს ნებისმიერ სამიზნეს, არამედ ირჩევენ იმ სამიზნეებს, რომლებიც უპირატესობის მიმცემი იქნება სამხედრო კამპანიისთვის (Fernandez, 2020, p.12 (192)). ამავე დროს, ა.ბ. ფერნანდესი targeting-ს განიხილავს თანამედროვე ჭრილში და განმარტავს, როგორც პროცესს, რომელიც მიმართულია სამიზნეზე, ანუ მიზანზე სასურველი ზემოქმედების მიღებაზე, თუმცა მნიშვნელოვნად მიაჩნია targeting-ის გააზრება, როგორც *ნატოს* სამხედრო ოპერაციების სამართლებრივი უფლებამოსილებისა, კერძოდ: „ომი არის იმაზე მეტი, ვიდრე ორი მოწინააღმდეგის მატერიალური თუ ტექნოლოგიური დაპირისპირება, რაშიც დიდ როლს ასრულებს დოქტრინული და ორგანიზაციული მიდგომებიც (baques, josep 2013:12) (Fernandez, 2020, p. 19 (199)).

ავტორის აზრით, targeting-ის ინოვაციურობა ვლინდება მის მიმართებაში მოქმედ კანონმდებლობასთან და იმ სარგებელში, რომელიც მას მოაქვს ოპერაციების აღსრულებისთვის.

სამხედრო ინოვაციების გამოყენების თვალნათელი მაგალითია რუსეთ-უკრაინის ომი. ვისლავ გოზდიევიჩი სტატიაში „Targeting-ი რუსეთ-უკრაინის ომში“ კანონიერი და ტექნიკური ასპექტების გადაკვეთაზე, targeting-ის პროცესს განიხილავს *ნატოს* დოქტრინის მიხედვით, რასაც ასაბუთებს იმით, რომ ეს გამოცემა ფართო აუდიტორიისთვის ხელმისაწვდომია.

ვ. გოზდიევიჩი targeting-ზე საუბრობს ტერმინოლოგიური კუთხითაც და აზუსტებს, რომ ტერმინი target *ნატოს* დოქტრინაში არ არის იურიდიული ტერმინი (კანონიერ სამხედრო მიზანთან დაკავშირებული), არამედ ატარებს უფრო ვრცელ ოპერატიულ და დოქტრინულ მნიშვნელობას, რომლის მიხედვითაც, target/სამიზნე არის ყველაფერი “Five-O” construct: a Facility, an Individual, a Virtual entity, Equipment, and an Organisation“ (Gozdziewicz, 2024, p. 3), ხოლო აშშ-ის დოქტრინის, კერძოდ, 3-60-ის, მიხედვით, სამიზნეებად მიიჩნევა მხოლოდ მოწინააღმდეგის ან მოწინააღმდეგის მხარდაჭერილი სუბიექტები, რომლებიც საფრთხეს უქმნიან ჩვენს ძალებს. *ნატოს* დოქტრინა განიხილავს მეგობრულ სუბიექტებს, როგორც სამიზნეებს, მხოლოდ საინფორმაციო ოპერაციებისთვის, სტრატეგიული კომუნიკაციებისთვის ან ზეგავლენისთვის.

ჯ.მ. ოკონორი სტატიაში „თანამედროვე ბრძოლის ველზე targeting-ის კანონის გამოყენება“, აღნიშნავს, რომ აშშ ნებისმიერ ვითარებაში მოქმედებს სამართლებრივი ნორმების შესაბამისად და, უფრო მეტიც, ამ შესაბამისობას ის აშშ-ის სიძლიერის წყაროდ მიიჩნევს. ჯ.მ. ოკონორი აღწერს targeting-ის პროცესის გარკვეულ ასპექტებს, რომლებსაც აშშ-ის ძალები იყენებენ შეიარაღებული კონფლიქტის დროს, განსაკუთრებით, ერაყსა და სირიაში, ამავე დროს, აჩვენებს იმას, თუ როგორ წამყვან როლს თამაშობს სამართლებრივი ნორმები ამ ოპერაციებში. მოქმედ პოლიტიკასა და შეიარაღებული კონფლიქტების სამართლებრივ ნორმებს ეყრდნობა ოპერაციებში წარმართული მოქმედებები, მათ შორის, targeting-ის პროცესი.

სამართლის მიხედვით, იმ ქვეყნებში, რომლებშიც მიმდინარეობს აშშ-ის სამხედრო ოპერაციები, აშშ უპირისპირდება მოწინააღმდეგეს და არა იქ მცხოვრებ

სამოქალაქოებს. შესაბამისად, ჯ.მ. ოკონორის აზრით, „აშშ-ის მიზანია პარტნიორ ქვეყნებში მცხოვრებთათვის მინიმალური ზიანის მიყენება, რისთვისაც გამოიყენება targeting-ის პროცესი“ (O'Connor, 2016, p. 3).

როგორც ვხედავთ, targeting-ის მიზანია მოქმედება მინიმალური ზიანით, საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების დაცვით, სამხედრო იურისტის მუდმივი ჩართულობით; ხოლო targeting-ის მეთოდოლოგიის თავისებურება ვლინდება targeting-ის სამიზნეებში, რომლებშიც მოიაზრება: მოწინააღმდეგის ძალების მნიშვნელოვანი წარმომადგენელი, პიროვნება ან მოწინააღმდეგის ოპერაციებისთვის მნიშვნელოვანი ობიექტი, ფულადი საშუალებები, სახსრები, მაგალითად, ნავთობის პროდუქცია ან ნავთობის ტრანსპორტირება. სავარაუდო target (მიზანი/სამიზნე) შეიძლება იყოს შენობა ან სატრანსპორტო საშუალება ან მოწინააღმდეგის შეიარაღებული ძალების ლიდერი. პირი, რომელიც განსაზღვრულია, როგორც სამიზნე, შეიძლება იყოს ჯარისკაცი ან მეთაური, რომელიც მიმდინარე სახმელეთო საბრძოლო ოპერაციებში მონაწილეობს, ან საჰაერო ძალების ოფიცერი, რომელიც გეგმავს შეტევას.

ზემოთ განხილული სტატიები ცხადყოფს targeting-ის პროცესის ინოვაციურობასა და მნიშვნელობას, კერძოდ: სამიზნე ობიექტის განადგურებას გარემოსა და ადგილობრივების, მონაწილე ძალების, რესურსების მინიმალური რისკითა და მინიმალური ზიანით; მხოლოდ ომის კანონისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული ნორმების შესაბამისად, რასაც ადასტურებს აშშ-ის სხვა დოქტრინული სახელმძღვანელოებიც.

Targeting-ის არსი

საქართველოს თავდაცვის ძალებში ინერგება Targeting-ის მეთოდოლოგია და, შესაბამისად, არის სიახლეს და გამოწვევაც ამ საკითხზე მომუშავე და ამ საკითხით დაინტერესებულ პირთათვის. Targeting-ის არსსა და მასთან დაკავშირებულ ტერმინებს განვიხილავთ აშშ-ის სამხედრო დოქტრინული სახელმძღვანელოების, კერძოდ, JP 3-60-ის, ATP 3-09.42-ს, FM 3-60-ის, მიხედვით. წინამდებარე კვლევაში გამოყენებულია როგორც ორიგინალი სახელმძღვანელოები, ისე მათი

გასასწორებელი/მოსამზადებელი ნათარგმნი ქართული ვერსიები, რათა უფრო ნათლად შევაფასოთ ქართულ-ინგლისური ტერმინების შესაბამისობა.

აშშ-ის საველე სახელმძღვანელო (FM) 3-60-ში, „მიზანზე ზემოქმედების დაგეგმვა“ (ქვ 2024, ივ 2023) განკუთვნილია სახმელეთო ძალების სარდლობებისა და ბრიგადის მეთაურებისთვის, მიზანზე ზემოქმედების დაგეგმვის ჯგუფის მეთაურებისა და შტაბის პირადი შემადგენლობისთვის. „მიზანზე ზემოქმედების დაგეგმვა მიმდინარეობს მეთაურის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად“ (ქვ, FM 3-60, 2024, გვ. 15) და მასში მონაწილე პირებმა უნდა დაიცვან მიზანზე ზემოქმედების დაგეგმვის პრინციპები, რადგან ის აერთიანებს მრავალ პროცესს, რომლებიც უკავშირდება შესაბამისი ემელონების მიხედვით შესაძლებლობებისა და საშუალებების ინტეგრირებასა და სინქრონიზაციას. აღნიშნული პრინციპებია: ფოკუსირება, ეფექტებზე ორიენტირება; ინტერდისციპლინირებულობა, სისტემატურობა.

Targeting-ი დოქტრინულ სახელმძღვანელოში განმარტებულია შემდეგნაირად: „**მიზანზე ზემოქმედების დაგეგმვა** არის მიზნების შერჩევისა და პრიორიტეტულობის დადგენისა და მათზე სათანადო რეაგირებების საშუალებების დაზუსტების პროცესი, ოპერატიული მოთხოვნებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით“ (ქვ, FM 3-60, 2024, გვ. 14), რაც თავისთავად ადასტურებს targeting-ის პრინციპების ამოსავალ დებულებად მიჩნევას.

Targeting-ი გვხვდება აშშ-ის საველე სახელმძღვანელო (FM) 3-0-შიც (2008). საგულისხმოა, რომ ამ სახელმძღვანელოს ქართულ ვერსიაში მის შესატყვისად დასტურდება **მიზნები** და **მათზე ზემოქმედების საშუალებების დადგენა** (ქვ, ოპერაციები, 2011). ამ შემთხვევაშიც ქართული შესატყვისი შეთხზულია targeting-ის არსის შინაარსობრივ გააზრებაზე დაყრდნობით და უფრო განმარტებას ჰგავს, ვიდრე ტერმინს.

ერთია targeting-ის არსი, მეორეა მისი დანიშნულება, კერძოდ: მეთაურის მიერ განსაზღვრული მიზნების მიღწევა დადგენილი სამოქმედო რაიონის ფარგლებში, მხოლოდ ძალის გამოყენების წესებისა და ომის სამართლის დაცვით, რაც targeting-ის კუთხით მოიცავს საომარი მოქმედებების რეგულირებას, ომის მსხვერპლის დაცვას, კულტურულ-რელიგიური და სხვა აკრძალული ობიექტების ხელშეუხებლობას.

სახელმძღვანელოებში მიზანზე ზემოქმედების დაგეგმვის გამოყენება იწვევს ერთგვარ მოუქნელობას. ყურადღებაამისაქცევია მიზანზე ზემოქმედების დაგეგმვის მეთოდოლოგიაც. Targeting-ის ძირითადი მეთოდოლოგია ცნობილია როგორც D3A, რაც მოიცავს გადაწყვეტილების მიღებას, აღმოჩენას, ზემოქმედებას და შეფასებას. უნდა შევნიშნოთ, D3A არის ინგლისური აბრევიატურა: Deciding, Detecting, Delivering, Assessing (გადაწყვეტილების მიღება, აღმოჩენა, ზემოქმედება, შეფასება). ყურადღება მისაქცევია, რომ Delivering ქართულად გამოხატულია ზემოქმედებით, რაც აბუნდოვანებს Targeting-ის აღქმას.

Targeting-ის მეთოდოლოგია გამოიყენება სამხედრო ოპერაციების დაგეგმვისას და სამხედრო გადაწყვეტილების მიღებისას, არის ოთხეტაპიანი და ციკლური ხასიათისა. სწორედ მათი მიმდინარეობისას ყალიბდება Targeting-ის პროცესი. რა თქმა უნდა, გასათვალისწინებელია ცნება-ტერმინების მრავალმნიშვნელობიანობაც და სინონიმურ მნიშვნელობებიც.

მიზანზე ზემოქმედების დაგეგმვა არ არის პროცესი, რომელშიც ჩართული იქნება შტაბის ნებისმიერი წევრი ან ქვედანაყოფების კონკრეტული სამსახურები, არამედ ამ პროცესს წარმართავს **მიზანზე ზემოქმედების დაგეგმვის ჯგუფი**, რომლის წევრები სხვადასხვა სამსახურის/მიმართულების წარმომადგენლები არიან.

ამასთან, თავდაცვის ძალების ფარგლებში არსებობს სტრუქტურული თანამდებობები: **მიზანზე ზემოქმედების დაგეგმვის ჯგუფი** ან **მიზანზე ზემოქმედების დაგეგმვის ოფიცერი**, ზეპირ ბრძანებებში, წვრთნებსა და საუბრებში, უმეტესწილად, მოხსენიებული, **თარგეთინგის ჯგუფითა და თარგეთინგის ოფიცრით**.

მიზანზე ზემოქმედების დაგეგმვის ჯგუფის ძირითად პირად შემადგენლობაში, სხვადასხვა ეშელონის გათვალისწინებით, როგორც ვერტიკალურად, ისე ჰორიზონტალურად, შედიან შემდეგი სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები.

როგორც ვხედავთ, აშშ-ის დოქტრინებში ნათლადაა განსაზღვრული targeting-ის სტრუქტურა და მასთან დაკავშირებული თანამდებობრივი ფუნქცია-მოვალეობები. შესაბამისად, ATP 3-09.42-ში (2016) ისევე, როგორც FM 3-60-სა (2024) და JP 3-60-ში (2024), გვხვდება:

targeting officers – მიზანზე ზემოქმედების დაგეგმვის ოფიცერი; targeting working group – მიზანზე ზემოქმედების დაგეგმვის ჯგუფი; joint targeting working group – მიზანზე ზემოქმედების დაგეგმვის ერთობლივი სამუშაო ჯგუფი.

ზემოთ მოყვანილი თანამდებობრივი სახელწოდებების მაგალითებიდანაც ნათლად ჩანს targeting-ისთვის ქართული მიზანზე ზემოქმედების დაგეგმვის მოუქნელობა, იმის გათვალისწინებით, რომ აშშ-ის სახელმძღვანელოებისა და ნატოს სტანდარტიზაციის ხელშეკრულებების მიხედვით სამხედრო ტერმინი უნდა იყოს მოკლე, ზუსტი და შესაბამისი.

ქართულად თარგმნილ სახელმძღვანელოებში ასეთი შესატყვისებიცაა: commander's targeting guidance – მეთაურის მითითებები მიზანზე ზემოქმედების დაგეგმვის შესახებ, targeting synchronization matrix – მიზანზე ზემოქმედების დაგეგმვის სინქრონიზაციის მატრიცა, modified targeting synchronization matrix – მოდიფიცირებული, targeting product – მიზანზე ზემოქმედების დაგეგმვის პროდუქტი, deliberate targeting – მიზანზე ზემოქმედების წინასწარი დაგეგმვა, dynamic targeting – მიზანზე ზემოქმედების დინამიკური დაგეგმვა, targeting device – targeting information – ინფორმაცია მიზანზე ზემოქმედების დაგეგმვის შესახებ, targeting cycle – მიზანზე ზემოქმედების დაგეგმვის ციკლი, targeting taxonomy – მიზანზე ზემოქმედების დაგეგმვის ტაქსონომია, targeting specialist – მიზანზე ზემოქმედების დაგეგმვის სპეციალისტი, targeting personnel – მიზანზე ზემოქმედების დაგეგმვის პერსონალი/პირადი შემადგენლობა, targeting task – მიზანზე ზემოქმედების დაგეგმვის დავალება, targeting assesment – მიზანზე ზემოქმედების დაგეგმვის შეფასება joint targeting assesment – მიზანზე ზემოქმედების ერთობლივი დაგეგმვის შეფასება; ხოლო joint targeting cycle მიზანზე ზემოქმედების ერთობლივი დაგეგმვის ციკლი.

მნიშვნელოვანია მიზანზე ზემოქმედების დაგეგმვისა და სამხედრო ოპერაციების დაგეგმვის გამიჯვნა. წარმატებული სამხედრო ოპერაციის დაგეგმვისთვის აუცილებელია და საჭიროებს ცეცხლისა და დაზვერვის ფუნქციების კოორდინირებულ გამოყენებას. უფრო მეტიც, „მიზანზე ზემოქმედების დაგეგმვა რჩება მნიშვნელოვან ინტეგრირებად ფუნქციად ოპერაციის პროცესში და გამოიყენება ოპერაციის დაგეგმვის, მომზადების, შესრულებისა და შეფასების ყველა ეტაპზე“ (ქვ, FM 3-60, 2024, გვ.101).

ქართული დოქტრინული ვერსიების განხილვა-გააზრებისას თვალნათლივ ჩანს targeting-ის ქართული შესატყვისის მოუქნელობა არა მარტო სახელმძღვანელოში ან თარგმნის დროს, არამედ ცხრილებსა თუ სხვა გრაფიკულ გამოსახულებებში გამოყენებისას, როდესაც ტექსტი წვრილი შრიფტით და კომპაქტურად უნდა გადმოიცეს.

თუ დავაკვირდებით წინადადებას „მიზანზე ზემოქმედების დაგეგმვა (მიზანზე ზემოქმედება) დაკავშირებულია დაგეგმვასთან.“ (ქვ, FM 3-60, 2024, გვ. 17), უფრო მეტად დავრწმუნდებით იმაში, რომ სასურველია, ეს ორი პროცესი გაიმიჯნოს ერთმანეთისგან არა მარტო როგორც თავისთავადი და იმავდროულად ურთიერთდაკავშირებული პროცესები, არამედ ტერმინოლოგიური კუთხით; რადგან წინადადებაში ამ ორი პროცესის გამომხატველი ტერმინები სახეცვლილია მათი აღრევის თავიდან არიდების მიზნით.

საგულისხმოა ისიც, რომ **ზემოქმედება** effects-ის საპირწონედ გამოიყენება, თუმცა effects-ის შესატყვისად გამოიყენება **შედეგებიც**. ცნება-ტერმინები **ეფექტები/ზემოქმედება, ეფექტები/შედეგები** ხშირად პარალელურ ან ჩანაცვლებად სიტყვებად გამოიყენება. ამ შემთხვევაში სინონიმია იწვევს ერთგვარ გაურკვევლობებსაც და უზუსტობასაც.

თუ განვიხილავთ **მიზანზე ზემოქმედების დაგეგმვის** კატეგორიებს, ქართულ-ინგლისური მაგალითების მოყვანით, კიდევ მეტად დავრწმუნდებით იმაში, რომ მსგავსი შესატყვისები საკითხის გააზრებასა და აღქმას მეტად აბუნდოვანებს, მაგალითად: deliberate targeting – **მიზანზე ზემოქმედების წინასწარი დაგეგმვა**; dynamic targeting – **მიზანზე ზემოქმედების დინამიკური დაგეგმვა**.

შესიტყვების – **მიზანზე ზემოქმედების დაგეგმვა** – უფრო ღრმად გააზრების მიზნით განვიხილოთ მისი ცალკეული შემადგენელი ცნებები.

მიზანზე ზემოქმედების დაგეგმვისას შეირჩევა მიზნები. Targeting-ის კუთხით **მიზანში** იგულისხმება: „ინფრასტრუქტურა“, „ინდივიდი“, „ვირტუალური ობიექტი“, „აღჭურვილობა“, „ორგანიზაცია“.

მიზანს სამხედრო დარგში სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს. მაგალითად, **მიზანი** – საველე სახელმძღვანელო „ოპერაციებში“ განმარტებულია შემდეგნაირად. „**მიზანი** – ყველა სახის სამხედრო ოპერაციის მიმართვა საერთო, მკაფიოდ განსაზღვრული,

გადამწყვეტი და მიღწევადი მიზნისკენ“ (ქვ, FM 3-0, 2011, გვ. 150), თუ ამ სახელმძღვანელოს შევადარებთ მის ინგლისურ ვერსიას, დავრწმუნდებით, რომ ტერმინი მიზანი მოცემულია objective-ის შესატყვისად. კერძოდ: „objective – the purpose of military operations is to accomplish the military objectives ...“ (FM 3-0, 2008, p. 143). ამავე სახელმძღვანელოების შედარებისას და სათანადო ეკვივალენტების დაძებნისას დასტურდება **მიზნების სია** (ქვ, FM 3-0, 2011, გვ. 111), რასაც სახელმძღვანელოს ინგლისურ ვერსიაში შეესაბამება target lists (FM 3-0, 2008, p. 91).

ამავე დარგის ფარგლებში aim, goal გვხვდება როგორც ზოგადი ოპერაციის, სასწავლო დავალების **მიზანი**, თუმცა aim-ს, ამავე დროს, შეესატყვისება **დამიზნება**. ასევე საბრძოლო ფუნქცია ცეცხლის მიმართულებით გვხვდება **სამიზნე, სამიზნი, მიზანი, ნიშანი** (უფრო იშვიათად გამოიყენება) რაც, თავის მხრივ, უკავშირდება ტერმინებს: zero – **მიზანი, სამიზნე** და zeroing – **მიზანში ამოღება, გამიზვნა**, Sight – **მიზანი, სამიზნე** თუ **სამიზნო** და sighting – **გამიზვნა** თუ **მიზანში ამოღება**, adjustment – **გამიზვნა, რეგულირება** თუ **ცეცხლის კორექტირება**. მოყვანილი ქართული ცნება-ტერმინები ცალსახად უკავშირდება უშუალოდ კონკრეტული შეიარაღების მომართვასა და სროლას.

მიზანზე ზემოქმედების დაგეგმვა კი მრავალფუნქციური პროცესია, რომლის მიზანიცაა „მიზნის მიღწევა“ ნაკლები ზიანით. objective განიმარტება შემდეგნაირად: „სამხედრო objective არის ის, რაც კონტროლდება, რასაც ხელში ჩაიგდებ, მწყობრიდან გამოიყვან, ან გაანადგურებ, და რისი შედეგიც იქნება სამხედრო ვითარების გადამწყვეტი ცვლილება. ტაქტიკური, ოპერატიული და სტრატეგიული მიზნები იცვლება მათი ზომისა და მნიშვნელობის მიხედვით. ზოგადად, რაც რთულია მიზანი, მით რთულია მისი მიღწევა ერთჯერადი მოქმედებით“ (Vego, 2006, p. 3). objective-ის შესატყვისებად სამხედრო სახელმძღვანელოებსა და წესდებებში პარალელურ ფორმებად გვხვდება **მიზანი, სამიზნე ობიექტი** და **ობიექტი**.

ეს ცნებები ხშირად იწვევს გაუგებრობას სამხედრო სფეროში, სადაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მნიშვნელოვანია კონკრეტულობა, სიზუსტე და მოქნილობა არა მარტო ამ ოპერაციების, მოქმედებების შესრულების ბრძანებების, კონცეფციების, წესდებების გადმოსაცემად, არამედ მოქმედებების შესრულების კუთხით.

Target-ის ქართულ შესატყვისად FM 3-60-ის ქართულ ვერსიაში დასტურდება ორი პარალელური ფორმა: **მიზანი/სამიზნე**, ხოლო JP 3-60-ში – **მიზანი**.

საგულისხმოა, რომ FM 3-60-ის ქართული ვერსიის სქოლიოში გამოტანილია „მიზნის ტაქსონომია: მოწინააღმდეგე – მიზნის სისტემა – მიზნის სისტემის კომპონენტი – მიზანი – მიზნის ელემენტი ან დამიზნების (ზემოქმედების) წერტილი“ (ქვ, FM 3-60, 2024, გვ. 101).

ზემოთქმულიდან გამომდინარე, target-ის, როგორც targeting-ის ნაწილის, შესატყვისად, შესაძლებელია მივიჩნიოთ **მიზანი** და არა **სამიზნე**.

მიზანზე ზემოქმედების დაგეგმვის გამოყენება მოუხერხებელია ბრძანებებში, სწავლებებზე, საომარი მოქმედებების წარმართვისას, რადგან ამ შემთხვევებში მნიშვნელოვანია დროის დაზოგვა და მოკლე, ნათელი, მკაფიო წინადადებები. ყურადსაღებია სამხედროების მცდელობა, ტექსტში ტერმინი გადმოიცეს ორსიტყვიანი შესიტყვებით, კერძოდ: „მიზნებზე ზემოქმედებისას ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ სასურველი ეფექტების მიღწევაზე...“ (ქვ, JP 3-60, 2024, გვ. 33). ამ შესიტყვების მიხედვით, targeting-ის ძირითად არსს, აზრს გამოხატავს ეს ორი ცნება. მაშასადამე, **მიზანზე ზემოქმედების დაგეგმვას** ზოგჯერ ანაცვლებენ **მიზნებზე ზემოქმედებით**.

ზემოქმედება ქეგლში განმარტებულია შემდეგნაირად: „ისეთი მოქმედება, რომელიც გარკვეულ შთაბეჭდილებას ახდენს ვინმეზე და ამით მას სათანადო ქცევისთვის აღძრავს, ზეგავლენა“, რის მიხედვითაც ჩვენი შესატყვისის კონტექსტში ზუსტად ვერ გადმოიცემა targeting-ის არსი. **მიზანი** კი განმარტებულია შემდეგნაირად: 1. რაც უნდა განახორციელონ; რისკენაც მიისწრაფვიან; რასაც უნდა მიაღწიონ.

Targeting-ი (სამხედრო მნიშვნელობით) რუსულ ლექსიკონებში ასე განიმარტება: „наведение на цель (Киселев); оценка вероятного воздействия средства поражения (на данную цель, Киселев); приведение к нормальному бою (Киселев); наведение (на цель); определение вероятного воздействия средства поражения (на данную цель); определение целей; получение данных о цели (Киселев) (<https://www.multitrans.com/m.exe>). ქართულ-რუსული ლექსიკონში наведение-ს

შესატყვისება **დამიზნება, დაყენება, воздействие**-ს – **ზემოქმედება** (ქართულ-რუსული ლექსიკონი, ice.ge).

Targeting – наведение, როგორც **დამიზნება**, ინგლისურ-ქართულ სამხედრო ონლაინლექსიკონშიც არის მოცემული, თუმცა ჩვენი საკვლევი თემა უკავშირდება targeting-ის მეთოდოლოგიას და არა საკუთრივ targeting-ს, როგორც უბრალოდ **დამიზნებას**.

სამხედრო დარგის მიმართულებით რუსულ ონლაინლექსიკონში (Multitran.com) მოცემული განმარტებების საფუძველზე შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ **ზემოქმედება** რუსული შესიტყვებების მიხედვითაა ქართულ შესიტყვებაში გამოყენებული.

სხვადასხვა დარგობრივი მიმართულებით, რუსულ ონლაინლექსიკონში დასტურდება შემდეგი რუსული შესატყვისები: целенаправленность, нацеливание, целевое прогнозирование, целеполагание, таргетирование, адресность... ზოგადად, ტერმინის ფართოდ გამოყენებადი რუსული შესატყვისებია адресация და таргетирование (ინტერნეტსივრცის მიხედვით).

целенаправленность რუსულ-ქართულ ლექსიკონში დასტურდება, როგორც – **მიზანმიმართულება**; нацеливание – იხ. нацелиться კი – **მიზანში ამოღება, დამიზნება** (რუსულ-ქართული ონლაინლექსიკონი, nplg.gov.ge).

ზემოთქმული Targeting-ს, როგორც კონცეფციას, გვააზრებინებს შემდეგნაირად: მნიშვნელოვანია მიზანი და მასზე ფოკუსირება/ორიენტირება, ანუ მისკენ მიმართულება.

Merriam-Webster Dictionary-ში დასტურდება შემდეგი ფორმები: target – targeted; targeting; targets (transitive verb) 1. to make a target of; especially: to set as a goal 2. to direct or use toward a target . targeting-ს უკავშირდება direct.

Direct დიდ ინგლისურ-ქართულ ლექსიკონში – 1. მიმართვა, მიქცევა, მიპყრობა.

ქეგლის მიხედვით მიმართული ნიშნავს რაც მიმართეს, ხოლო მიმართვა – 1. მიქცევა, მიშვერა. 2. გადატ. წარმართვა

შესაბამისად, **მიმართვა** გამოხატავს ზუსტ სამხედრო მნიშვნელობას, რაც მოყვანილი დოქტრინული განმარტებების შესაბამისია.

როგორც ვხედავთ, targeting-ის, როგორც პროცესის, მეთოდოლოგიის, გასააზრებლად მნიშვნელოვანია მისი წარმოშობის ისტორია, დოქტრინული მიდგომა, სემანტიკური ველის გაცნობა, თუმცა, მის სრულად გასააზრებლად აუცილებლად მიგვაჩნია ეტიმოლოგიური მნიშვნელობის შესწავლა. ამ მიზნით მოვიძიეთ ინფორმაცია ონლაინეტიმოლოგიურ ლექსიკონში (<https://www.etymonline.com/>), ასევე World Wide Words-ისა (<https://www.worldwidewords.org/>) და ბიბისის ოფიციალური გვერდებიდან (<https://www.bbc.co.uk/ahistoryoftheworld/objects/ahhLOBiNSmWzuZJx0KF16Q>).

Target ძველ ინგლისურში გამოიხატებოდა targe ან targa ფორმით. მისი ძირი მოდის გერმანულიდან, სიტყვიდან, რომელიც ნიშნავს **ჩარჩოს**. სიტყვის პოპულარულობა გაიზარდა ანგლო-ნორმანულ პერიოდში, ფრანგული ფორმის targe გავლენით, თუმცაღა ფრანგებმა ისესხეს ეს სიტყვა. target ნიშნავდა **პატარა მრგვალ ფარს**. გადატანითი მნიშვნელობით სიტყვა გაცოცხლდა XIX საუკუნის შუა წლებში, თავდაპირველად გულისხმობდა ადამიანს, რომლისკენაც მიმართული იყო დაცინვა ან შეურაცხყოფა, უფრო ზუსტად, გამოხატავდა ადამიანს შეურაცხყოფის ობიექტად. როგორც მასალებიდან ჩანს, target-მა **სამიზნისა** და **მიზნის** მნიშვნელობა შეიძინა 1940 წელს. ზოგადად, სიტყვა 1600 წლიდან ჩნდება და ნიშნავს ვინმეს **ფარით დაცვას დარტყმისგან**. ერთ-ერთი თანამედროვე მნიშვნელობა, კერძოდ, **სამიზნე მოწყობილობა**, გაჩნდა XVII საუკუნეში. დღეს კი, მენეჯმენტისა და დაგეგმვის ტერმინადაც განიხილება. targeting, ing-იანი სუფიქსით ნაწარმოები (დერივაციით) ფორმა, პირველად ჩნდება (Oxford English Dictionary) 1563 წელს, ჯონ ნოქსის, რელიგიური რეფორმატორის, ჩანაწერებში. ნათელია target/targeting ეტიმოლოგიური მნიშვნელობა ერთდროულად უკავშირდება მიზნისკენ მიმართულ მოქმედებასაც და ამ მოქმედებისგან დაცვასაც.

საგულისხმოდ მიგვაჩნია targeting-ის, გააზრება გადატანითი, მეტაფორული მნიშვნელობის შესწავლით. აშშ-ის სამხედრო ისტორიაში განსაკუთრებული მნიშვნელობის ოპერაცია იყო „უდაბნოს ქარიშხალი“ (Desert storm), ასევე „უდაბნოს ფარი“ (Desert shield), ზოგადად, აშშ-ის დოქტრინებში ხშირად არის „უდაბნოს ქარიშხალი“/„უდაბნოს ფარი“ (სპარსეთის ყურის ომი, 1990-1991) განხილული. ზემოთ მოყვანილ ციტატაში (Weit, 1996, p. 5) ჩანს, რომ ეს ოპერაცია მიიჩნევა targeting-ის,

როგორც ახალი მეთოდოლოგიის, საჰაერო ძალის ახალი სტრატეგიული კონცეფციისა და მიდგომების, წარმატებით გამოყენების მაგალითად. ჩვენი აზრით, შესაძლოა, ოპერაციის სახელწოდება „უდაბნოს ფარი“ უკავშირდებოდეს target-ის საწყის მნიშვნელობას, **ფარს**; თუმცა, ეს მხოლოდ ვარაუდია, რადგან სათანადო სამხედრო მასალებზე წვდომა ამ ეტაპისთვის არ გვაქვს.

თავისთავად, ცხადია targeting-ისა და მსგავსი სიტყვების ერთი ენიდან მეორეზე პირდაპირი გადმოტანისას იკარგება მათი არსებითი მნიშვნელობა. ასევე ვფიქრობთ, რომ target-ის შუალედური პერიოდის მნიშვნელობა, **მიმართულება რაიმესკენ**, ცხადყოფს მიგნებული შესატყვისის შესაბამისობას ეტიმოლოგიურ-სემანტიკურ და მეტაფორულ-შინაარსობრივი კუთხით, ვფიქრობთ, კარგი იქნებოდა, თუ ამ ტერმინს ქართულ სახელდებაში შეუნარჩუნდებოდა იდეურ-მეტაფორული დატვირთვა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, დოქტრინულ სახელმძღვანელოებსა და სამეცნიერო სტატიებზე დაყრდნობით, კვლევაში მითითებული სახელმძღვანელოების დამუშავება-რედაქტირების საფუძველზე, სამხედრო დარგისთვის targeting-ის, როგორც ახალი მეთოდოლოგიის, დანერგვის გათვალისწინებით, ვფიქრობთ, რომ შესაძლებელია targeting-ის არსს ზუსტად შეესაბამებოდეს **მიზანმიმართვა**, რომელიც მოიცავს targeting-ისთვის ამოსავალ ორ ცნებას **მიზანსა** და (რადაციისკენ) **მიმართვას**.

აღნიშნული სიტყვა არ დასტურდება ქართულ ტექნიკურ თუ სამხედრო ბეჭდურ და ონლაინლექსიკონებში.

ამავე დროს, **მიზანი** და **მიზანმიმართვა** ინგლისური ტერმინების – target და targeting – მსგავსად საერთო ძირიდანაა ნაწარმოები, რაც უფრო გაამარტივებს სამხედროებისთვის ტერმინის აღქმას.

Hybrid warfare-ს შესახებ

ტერმინი hybrid warfare (hybrid war) და მისი კონცეფცია შექმნა ფრენკ ჯ. ჰოფმანმა, აშშ-ის საზღვაო ქვეითი ჯარების ვიცე-პოლკოვნიკმა. 2005 წელს მან ჩამოაყალიბა ჰიბრიდული ომის საკუთარი სტრატეგია, რომელმაც განაპირობა ამ ტერმინის პოპულარულობა, ხოლო 2007 წელს ჰოფმანისავე გამოქვეყნებულმა

ნაშრომმა „კონფლიქტი 21-ე საუკუნეში: ჰიბრიდული ომების განვითარება (აღმასვლა)“ ამ თემაზე ფართო დისკუსიები და კრიტიკა გამოიწვია (Hoffman, 2007).

სხვადასხვა ავტორი ტერმინ hybrid warfare-ს განსაზღვრავს და განმარტავს სხვადასხვაგვარად. ფრენკ ჯ. ჰოფმანი ნაშრომში „კონფლიქტის კომპლექსური ფორმების კვლევა“ აღნიშნავს, რომ ეს შეიძლება იყოს სასურველი ამოცანის ქსელი ან ჩვეულებრივი „დიდი ომის“ პარადიგმის ხაზგასმის საშუალება, რომელიც ავიწროებს კონფლიქტის შემეცნებით გაგებას.

ის ხაზს უსვამს იმას, რომ წინა საუკუნეების ომის სახე და ფორმა დღეს შეცვლილია და, უფრო მეტიც, შეცვლილია კონფლიქტის სახე და ფორმაც. თანამედროვე პირობებმა და მოთხოვნებმა შეცვალა ომისა და კონფლიქტის შინაარსი, რადგან სხვა მახასიათებელი ნიშნები შეიძინა, რაც გამოწვია ომის მეთოდოლოგიის შეცვლამ.

როგორც ჰოფმანი აღნიშნავს, რუსეთი ცივი ომისა და გამოცდილების საპასუხოდ იყენებს პოლიტიკურ, ეკონომიკურ და დივერსიულ მოქმედებებს, როგორც აქტიურ ზომებს, და ისინი რუსული ოპერატიული ხელოვნების ელემენტებია. რუსეთი ამ ტაქტიკას იყენებს უკრაინაში და ყველგან. მათში შედის: პროპაგანდა, „ცრუ სიახლეები“ (Hoffman, 2018, p. 3), „საზოგადოებრივი ბოტები“ (social bots – ერთ-ერთი ხერხი – კომპიუტერული ანგარიშების გამოყენება სოციალურ პლატფორმებზე, დეზინფორმირება). აღნიშნულ ნაშრომში განხილულია ჩინეთის ხედვაც, კერძოდ, ლეგალურ, ფსიქოლოგიურ და „short of war-ის“ საინფორმაციო მოქმედებებსა და მრავალფუნქციურ და მრავალგანზომილებიან საფრთხეებზე.“ (Hoffman, 2018, p. 8), რაც კი ხსნის ჰიბრიდულის ხასიათს, რადგან სწორედ ეს საფრთხეები გადაიზრდება კონფლიქტებში და, საბოლოოდ, მოქმედებებში.

ჯეიმს ვითერის „ჰიბრიდული ომის გაგებაში“ hybrid warfare განიხილება როგორც XXI საუკუნის კომპლექსურობის გამომხატველი ზოგადი ტერმინი და მოიცავს მრავალგვარ სუბიექტსა და ბუნდოვანებას. ჯ. ვითერის აზრით, 2000 წლიდან მოყოლებული ტერმინ ჰიბრიდული ომის გამოყენებით აღიწერება თანამედროვე საბრძოლო მოქმედებები კიბერმოქმედებებთან ერთად, ამავე დროს, ხაზს უსვამს კონვენციურ და არარეგულარულ მიდგომას სრული სპექტრის კონფლიქტებში (Wither, 2016, p. 3).

სამხედრო ისტორიკოსი რ. მანსური hybrid warfare-ს განსაზღვრავს როგორც XXI კონფლიქტს, რომელიც მოიცავს კონვენციური, სამხედრო და არარეგულარული ძალების (პარტიზანების, ამბოხებულების, ტერორისტების) ერთობლიობას (კომბინაციას), რომელიც, შესაძლოა, მოიცავდეს სახელმწიფო და არასახელმწიფო სუბიექტებსაც (Mansoor, 2012, p. 2).

ფრენკ ჯ. ჰოფმანი hybrid warfare-ს არსს აკონკრეტებს ნაშრომში „კონფლიქტი 21-ე საუკუნეში: ჰიბრიდული ომების განვითარება (აღმასვლა)“ და განსაზღვრავს, როგორც „საფრთხეებს, რომლებიც მოიცავს საბრძოლო მოქმედებების სხვადასხვა მოდელის სრულ დიაპაზონს, გულისხმობს კონვენციურ შესაძლებლობებს, არარეგულარულ ტაქტიკასა და ფორმირებებს, ტერორისტულ აქტებს, როგორებიცაა: განურჩეველი ძალადობა და იძულება, ასევე კრიმინალური არეულობა. ამ მოქმედებებს ატარებს ორივე მხარე და სხვადასხვა არასახელმწიფო სუბიექტი“ (Hoffman, 2007, p. 8).

აქვე ის წერს, რომ 2014 წელს რუსეთის შეჭრამ უკრაინაში გამოიწვია ინტერესი ამ კონცეფციის მიმართ. Hybrid საუკეთესოდ გამოხატავს იმ საშუალებებსა და მეთოდებს, რომლებსაც რუსეთის ფედერაცია იყენებს ყირიმის ანექსიის დროს და მხარს უჭერს სეპარატისტულ ჯგუფებს აღმოსავლეთ უკრაინაში.

2014 წლის ივლისში მიცემულ ინტერვიუში *ნატოს* ყოფილმა გენერალურმა მდივანმა ანდრეს ფონ რასმუსენმა აღნიშნა, რომ რუსული ტაქტიკაა „ორმაგი თამაში“ და რუსეთი აწარმოებს მოქმედებებს, რომელსაც **ჰიბრიდულ ომად** მოიაზრებს, კერძოდ, კი „სამხედრო მოქმედებების, ფარული ოპერაციებისა და დეზინფორმაციის აგრესიული პროგრამის კონცეფციის ერთიანობად“ (Landler & Gordon, 2015) .

ამის პარალელურად, რუსი ანალიტიკოსები იყენებენ ტერმინებს **ახალი თაობის ომი** ან **არახაზოვანი ომი** (non-linear), ან უწოდებენ „გერასიმოვის დოქტრინას“. გერასიმოვი ახალი თაობის ომს კონფლიქტის გაგებას სძენს, რომელიც აერთიანებს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, ინფორმაციულ, ჰუმანიტარულ და სხვა არასამხედრო მეთოდებს/ხერხებს, ამავე დროს მხარდაჭერილს სამოქალაქო არეულობით (Galeotti, 2017, p. 3).

Hybrid Warfare-ს არსის გასარკვევად მნიშვნელოვანი და აუცილებელია კვლევების შედეგად წამოჭრილი კითხვების ანალიზი და მათი მიმართულებით

კვლევა. Hybrid Warfare მიმდინარე პროცესია და, შესაბამისად, საჭიროებს მსოფლიოში მიმდინარე მოვლენების თანადროულ ანალიზსა და ისტორიული რაკურსის გააზრებას.

ჰიბრიდული ომის რუსული სცენარის შესახებ საუბრისას, უმეტესწილად, გამოიყენება ტერმინი გერასიმოვის დოქტრინა, რომელსაც სახელი დაერქვა რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის, ვალერი გერასიმოვის, 2013 წლის პუბლიკაცია, რომელშიც ის წერს, რომ „ომის წესები შეიცვალა. პოლიტიკური და სტრატეგიული მიზნების არასამხედრო საშუალებებით მიღწევის ძალა გაიზარდა და ხშირ შემთხვევაში მათი ეფექტიანობა ძალაზე აღემატება იარაღის ძალით შედეგების მიღების შესაძლებლობებს“. ამის ნათელი მაგალითია რუსეთის მოქმედებები საქართველოსა და უკრაინაში (ვიჩოვა, 2018, გვ. 250).

„ე.წ. **ჰიბრიდული ომი** დღეს ყველაზე ხშირად გამოყენებადი და სადისკუსიო ტერმინია კონფლიქტების ანალიტიკის სფეროსა და სამხედრო კონფლიქტოლოგიაში. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნავს ძალიან ჩვეულებრივ ფენომენს რეგულარული და არარეგულარული სამხედრო ძალებისა და საშუალებების გამოყენების მხრივ“ – ვხვდებით ამ ტერმინის მსგავს განმარტებასაც. ამასთან, დასძენს ავტორი: „**ჰიბრიდული ომი** იმდენად არა მარტო ძველი და ახალი ომების დაპირისპირებაა, რამდენადაც არის ეტაპი, რომელიც დაემთხვა ეპოქისა და ომების თაობათა ცვლას, გარდამავალი ეტაპი, რომელშიც ვლინდება ძველი და ახალი თაობის ომები“ (Оганнисян, 2016, ст. 111 -112).

ამ თემაზე არსებული მასალების გარკვეული ნაწილის მიმოხილვის საფუძველზე ნათელია, რომ კვლევების ავტორები განასხვავებენ ჩვეულებრივ (კონვენციურ) ომს და ჰიბრიდულ ომს, შესაბამისად, კონფლიქტებიც იძენს სხვაგვარ კლასიფიკაციას, რადგან ჰიბრიდულ ომს წინ უსწრებს ჰიბრიდული საფრთხეები, რომლებიც სახელმწიფოებისთვის ერთგვარი გამოწვევაა. ჰიბრიდულ საფრთხეებზე საპასუხო მოქმედებები ქმნის კონფლიქტებს, რომლების დასაძლევად ერთობლივად გამოიყენება ჩვეულებრივი და თანამედროვე მხედრობები, რაც იღებს ერთიან სახეს და მოაზრება Hybrid Warfare-ად.

აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია **საფრთხეებისა და კონფლიქტების**, როგორც ცნება-ტერმინების, შესწავლა.

ზემოთ აღნიშნული სამეცნიერო-საინფორმაციო სტატიები და მიმოხილვები ცხადყოფს, რომ hybrid warfare-ს, როგორც ტერმინის, გააზრებისთვის მნიშვნელოვანია hybrid warfare-ს, როგორც მოვლენის, გააზრება. ინგლისურ და რუსულ სტატიებში ვხვდებით როგორც hybrid warfare-ს, ისე hybrid war-ს, ქართულ სტატიებში კი როგორც **ჰიბრიდულ საბრძოლო მოქმედებებს**, ისე **ჰიბრიდულ საომარ მოქმედებებს**, **ჰიბრიდულ ომს**, **ჰიბრიდულ ოპერაციებს**. უცხოურ წყაროებში ვხვდებით ტერმინის ორ ცალკეულ შესიტყვებას, ქართულ მასალებში, როგორც სამეცნიერო-საინფორმაციო, ისე სამხედრო დოქტრინულ გამოცემებში, – რამდენიმეს, რაც თავისთავადად იწვევს უფრო მეტ კითხვას და, ამასთან, ცხადყოფს იმას, რომ ჯერ კიდევ არ არის საბოლოოდ ჩამოყალიბებული ტერმინის არსი და მიმდინარე მოვლენების კვალდაკვალ იძენს/იცვლის მნიშვნელობას.

თვალნათელია, hybrid warfare პასუხია ჰიბრიდულ საფრთხეებზე, რომლების აღსაკვეთად მიმართავენ გარკვეულ კომბინირებულ, ერთობლივ მოქმედებებს (ყველა თანამედროვე ასპექტის – ხერხის – საშუალების გათვალისწინებით) და ეს ქმედებები, მკვლევართა და ექსპერტთა აზრით, იღებს კონფლიქტის, ომის ან ბრძოლის სახეს.

როგორც ვხედავთ, აღნიშნულ ტერმინზე საუბარი შეუძლებელია მისი არსის შეუცნობლად, შესაბამისად, ერთია, ტერმინის შექმნის ისტორია, მისი არსისადმი განსხვავებული მიდგომების კვლევა და, მეორეა, ტერმინის ქართული შესატყვისის შესწავლა ქართულ სამეცნიერო თუ მედიასივრცეში გამოქვეყნებული სტატიების, სამხედრო ექსპერტებისა თუ ამ თემით დაინტერესებული მკვლევრების სამეცნიერო-საინფორმაციო ნაშრომებისა და თავდაცვის სამინისტროს დოქტრინების განვითარების ცენტრში ნათარგმნი სახელმძღვანელოების მიხედვით. აქედან გამომდინარე, აღნიშნული ტერმინის ქართული შესატყვისის დასადგენად, განმარტებების მოსამიებლად და დარგის სპეციფიკის გასათვალისწინებლად, გავეცანით სათანადო დოქტრინულ პუბლიკაციებსა და არსებულ თარგმნით და განმარტებით ლექსიკონებს. ქართული სამეცნიერო-საინფორმაციო მასალები კი, ძირითადად, შევისწავლეთ ამ ტერმინების ფორმათა გამოყენების მხრივ.

2018 წელს თინა ხიდაშელის რედაქციით გამოსულ წიგნში „ჰიბრიდული ომების ანატომია“ შესულია დარგის სამოქალაქო და სამხედრო ექსპერტების სტატიები ჰიბრიდული ომის, მისი კომპონენტების, შესაძლებლობებისა და მეთოდების შესახებ.

წიგნში ცალსახად გამოყენებულია ტერმინი **ჰიბრიდული ომი** და **ჰიბრიდული საფრთხეები**. **ჰიბრიდული ომი** ძირითადად „სუსტის ძლიერზე გამარჯვების“ იდეის შემცველია (ნათან ფრეიერი, ამერიკელი მკვლევარი), ეს ბუნებრივია არ გამორიცხავს დიდი სახელმწიფოების მიერ ჰიბრიდული ომის ინსტრუმენტებისა და სტრატეგიის გამოყენებას...“ (ხიდაშელი, 2018, გვ. 19). ტერმინის გამოყენების კონტექსტები შვეისწავლეთ ამავე წიგნის მიხედვით.

აღნიშნულ წიგნში არ ვხვდებით ტერმინებს **ჰიბრიდული ოპერაციები**, **ჰიბრიდული საბრძოლო მოქმედებები** თუ **საომარი მოქმედებები**, არადა აქ შესულ სტატიათა უმეტესობა ეყრდნობა უცხოურ წყაროებს, მოყვანილია ციტატები და დამოწმებულია სტატიები, რომელთა გაცნობისას ვხვდებით როგორც ტერმინ hybrid war-ს, ისე hybrid warfare-ს.

აღნიშნული წიგნის გარდა, გავეცანით ჰიბრიდული ომის შესახებ ინტერნეტსივრცეში გამოქვეყნებულ ქართულენოვან სტატიებს.

გ. ანთაძე განიხილავს ჰიბრიდული ომის მკვლევრების ნაშრომებსა და განმარტებებს, იყენებს ცალსახად ტერმინ **ჰიბრიდულ ომს** და აღნიშნავს, რომ „ყველა ეს ტერმინი და ცვლილება აღწერს სწორედ იმ სიახლეებს რომლებიც კლაუზევიცის მიერ აღწერილ ომის ბუნების სუბიექტურ მახასიათებლებში კაცობრიობის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე ხდება ხოლმე. იქ სადაც სხვადასხვა დროს ხმალი და დამბაჩა, შაშხანამ და ტყვიამფრქვევმა, ტანკმა და გამანადგურებელმა ჩაანაცვლა. იქ სადაც დღეს მობილური ტელეფონი, პლანშეტი და დრონი, ფეისბუქი და ტვიტერი როგორც იარაღის ახალი სახეობები წარმოგვიდგება. ყველა ეს ცვლილება ომის ობიექტურის მხარეების – ძალადობა, დაპირისპირება, შემთხვევითობა და გაურკვევლობის რეალიზაციისთვის ადამიანის გონების მიერ გამოყენებული მორიგი ახალი საომარი ინსტრუმენტებია და კვლავინდებურად ემსახურება მოწინააღმდეგის წინააღმდეგობის ნების გატეხვას (ანთაძე, GC ანალიზი).

ტერმინის მოხმარების შესწავლის მიზნით გავეცანით სტუდენტების სამაგისტრო თუ სადოქტორო ნაშრომებს. **ჰიბრიდული ომის** პარალელურად ვხვდებით ტერმინებს: **ჰიბრიდული საომარი მოქმედებები** (ქარსელაძე, 2020), **ჰიბრიდული ომი** (ახვლედიანი, 2019), **ჰიბრიდული საბრძოლო მოქმედებები** (ყალიჩავა, 2015).

Hybrid warfare-ს არსი

ამ თემაზე ვესაუბრეთ თავდაცვის ძალების პოლკოვნიკს, მამუკა კოპეიკინს, რომელმაც ტერმინი განმარტა შემდეგნაირად: „ჩემი წარმოდგენით, ჰიბრიდული ომი გულისხმობს ორ სახელმწიფოს შორის კონფლიქტს, რომელიც შეიცავს ქვეყნის ეროვნული სიძლიერის ყველა კომპონენტის (ეკონომიკური, პოლიტიკური, სამხედრო, საინფორმაციო, სოციალური) ერთდროულად ან ცალ-ცალკე გამოყენებას საკუთარი პოლიტიკური ინტერესების მიღწევის მიზნით.“

აქვე მან ხაზგასმით აღნიშნა ქართული სამხედრო ტერმინოლოგიის დანერგვის აუცილებლობა, რადგან „ხშირია შემთხვევები, როდესაც გარკვეული მკვლევრები და სამხედრო პერსონალი განიცდის გაურკვევლობას და ზუსტად ვერ საზღვრავს, რას ნიშნავს ინგლისური ტერმინი ქართულად. ახალი ტერმინების შინაარსი როგორიცაა: **ჰიბრიდული ომი, არაკონვენციური ომი** და ა. შ., ისედაც ბუნდოვანია ბევრი ინგლისურენოვანი მკვლევრისთვის და მათი ზუსტი ქართული შესატყვისების არარსებობა უფრო მეტ გაურკვევლობას ქმნის“.

ამავე დროს „ქართულ რეალობაში ძირითადად გამოიყენება ტერმინი „ჰიბრიდული ომი“, როგორც ძირითადი ტერმინი“, – აღნიშნა მან. მისი აზრით, ტერმინის დასადგენად მნიშვნელოვანია ამ მოვლენის განსაზღვრა ომის დონეების მიხედვით. მართლაც, დოქტრინების ცენტრის ფარგლებში ნათარგმნ მასალებშიც ძირითადად warfare გადმოიტანება როგორც ომი. მაგალითად, Electronic warfare გამოიხატება ორი პარალელური ფორმით **ელექტრონული ომი** და **ელექტრონული ბრძოლა**.

ზემოთ მოყვანილ ქართულ სამეცნიერო და საინფორმაციო სტატიებშიც არ ჩანს, სად გადის ზღვარი war-სა და warfare-ს შორის, თუმცა, როგორც ვხედავთ, **ჰიბრიდული ომი**, ზოგადად, აერთიანებს სხვადასხვა მოქმედებას, როგორებიცაა: information warfare, Electronic warfare, Computer warfare, Conventional, Irregular warfare, Guerrilla warfare, Mine warfare, რომლების ქართულ შესატყვისად, ძირითადად, დასტურდება: **ინფორმაციული ომი, ელექტრონული ომი, კომპიუტერული ომი, კონვენციური ომი, არაკონვენციური ომი, არარეგულარი ომი, ასიმეტრიული ომი, პარტიზანული ომი**; თუმცა Warfare გამოხატულია შემდეგი პარალელური ქართული ეკვივალენტებითაც: **ომი, საბრძოლო მოქმედებები, საომარი მოქმედებები**.

აქედან გამომდინარე, ეს ცნებებიც შევისწავლეთ სამხედრო დოქტრინების მიხედვით.

War აშშ-ის 2001 წლის ერთობლივ პუბლიკაციაში (JP), *ერთობლივი ოპერაციების დოქტრინა*, განმარტებულია სამი დონის მიხედვით, კერძოდ: tactical level of war, operational level of war, strategic level of war (JP 3-0: 2001, p. 179-177-178).

2017 წლის ამავე გამოცემაში War ჩაანაცვლა ტერმინმა Warfare, რადგან შეიცვალა ომის მეთოდოლოგია და თანამედროვე მსოფლიო მოიცვა აქამდე არსებულისგან განსხვავებულმა საბრძოლო თუ საომარმა მოქმედებებმა. დიდი საბრძოლო შენაერთებისა და ქვედანაყოფების ნაცვლად დღეს ბრძოლას წარმართავს team ჯგუფი/გუნდი. „აშშ-ის ყველა სამხედრო ორგანიზაცია“ – აღნიშნულია 2017 წლის ერთობლივ ოპერაციებში – „ყველა დონეზე არის გუნდი/ჯგუფი.“ „აღნიშნული ცვლილება მიმდინარე მოვლენების ფონზე განაპირობა სტრატეგიული გარემოპირობებისა და ეროვნული უსაფრთხოების პრინციპების შეცვლამ. სამხედრო გარემო პირობები და საფრთხეები ატარებს ტრანსრეგიონულ, მრავალგანზომილებიან და მრავალფუნქციურ ბუნებას.“ (JP 3-0, 2017, p. 28).

Warfare აშშ-ის 2017 წლის ერთობლივ პუბლიკაციაში (JP), *ერთობლივი ოპერაციები*, განმარტებულია ასევე სამი დონის მიხედვით, კერძოდ:

„tactical level of warfare – საბრძოლო მოქმედებების დონე, რომელზეც იგეგმება და წარიმართება ბრძოლები იმისთვის, რომ ტაქტიკურმა ქვედანაყოფებმა ან დაჯგუფებებმა მიაღწიონ სამხედრო მიზნებს.“ (JP 3-0, 2001, p. 221).

„operational level of warfare – საბრძოლო მოქმედებების დონე, რომელზეც კამპანიები და ძირითადი ოპერაციები იგეგმება, ტარდება და ნარჩუნდება იმისთვის, რომ მიაწიონ სტრატეგიულ მიზნებს თეატრის ან სამოქმედო რაიონის ფარგლებში.“ (JP 3-0: 2001, 218).

„strategic level of warfare – საბრძოლო მოქმედებების დონე, რომელზეც ერის, როგორც ერების გაერთიანების წევრი, განსაზღვრავს ეროვნულ ან მრავალეროვნულ უსაფრთხოებას, მიზნებსა და სახელმძღვანელო მითითებებს და შეიმუშავებს და იყენებს სახელმწიფო რესურსებს ამ მიზნების მისაღწევად.“ (JP 3-0, 2001, p. 220).

2001 და 2017 წლების „ერთობლივი ოპერაციების“ გამოცემების შედარების საფუძველზე შეგვიძლია გამოვიტანოთ დასკვნა, რომ war-ის warfare-თი შეცვლა განაპირობა თანამედროვე საბრძოლო გარემოპირობებმა.

ამასთან, აშშ-ის ერთობლივ პუბლიკაციაში, სპეციალური ძალების ოპერაციებში, დავებნეთ unconventional warfare-ს განმარტება, რადგან ჰიბრიდულ ომს უნიკალურ ხასიათს სწორედ ამ ელემენტის თანაარსებობა სძენს.

„unconventional warfare – მოიცავს ოპერაციებსა და მოქმედებებს, რომლებიც სრულდება იმისთვის, რომ აკრძალულ რაიონში დასძლიონ წინააღმდეგობის მოძრაობა ან ამბოხება, ან დაამხონ ხელისუფლება, ან ჩაიგდონ ხელში ძალაუფლება მიწისქვეშა, დამხმარე და პარტიზანულ ძალებთან ერთად.“ (JP 3-05, 2014, p. 12).

როგორც ვხედავთ, კონვენციური (ჩვეულებრივი, ტრადიციული, იგულისხმება ჟენევის კონვენციით გათვალისწინებული) ტაქტიკური, ოპერატიული და სტრატეგიული დონის warfare – **საომარი მოქმედებები** – წარიმართება სამოქმედო რაიონებსა და თეატრებში, აქვს ბრძოლის სახე და სრულდება პატარა ქვედანაყოფების ან ოპერატიული დაჯგუფებების (ჯგუფების) მიერ, ხოლო Hybrid warfare-ისთვის ნიშანდობლივია არაკონვენციური ელემენტი, რაც ავლენს ცნების, როგორც ტერმინის, ჰიბრიდულ (ლათ. ნაჯვარი) მნიშვნელობას.

საგულისხმოა, რომ თანამედროვე საბრძოლო მოქმედებების ბუნებამ და სახელმწიფოების სტრატეგიულმა მოთხოვნებმა ცალსახად შეცვალა **კონვენციური** (ანუ **ტრადიციული, ჩვეულებრივი** – ეს ტერმინებიც გამოიყენება) **ოპერაციების** არსიც.

აშშ-ის სახელმძღვანელოში **ჰიბრიდული საფრთხე** „ტერმინი ჰიბრიდული გამოიყენება ომის მზარდი სირთულის (კომპლექსურობის), მასში მონაწილე სუბიექტების მრავალფეროვნებითა და კონფლიქტის ტრადიციულ გაგებებს შორის სხვაობის გამოსახატავად.“ (TC 7-100, 2010, p. 7).

ამავე სახელმძღვანელოს ქართულ ვერსიაში warfare ნათარგმნია როგორც **ომი** (ჰიბრიდული საფრთხე, 2017, გვ. 3).

თუ გავითვალისწინებთ სამხედრო დარგობრივ-დოქტრინულ გაგებას, **ჰიბრიდულ საფრთხეს**, შესაძლოა, ჰქონდეს **ჰიბრიდული ძალის** მნიშვნელობაც, მის ქართულ შესატყვისად ხშირად გამოიყენება **ჰიბრიდული ძალა**.

როგორც ვხედავთ, ტერმინი hybrid (ჰიბრიდული) აღნიშნავს კონფლიქტს, რომელშიც მონაწილე ორივე/ყველა მხარე იყენებს ჰიბრიდულ საბრძოლო მოქმედებებს, რომლებიც მოიცავს კონვენციური (რეგულარული), არარეგულარული და სხვა მიდგომების ერთობლიობას, ხოლო hybrid warfare არის ძალადობრივი კონფლიქტი, რომელშიც თანადროულად გამოიყენება კონვენციური და არარეგულარული საბრძოლო მოქმედებები სახელმწიფო და არასახელმწიფო სუბიექტების მონაწილეობით და არ არიან შეზღუდული ფიზიკური ბრძოლის ველით ან ტერიტორიით. ამავე დროს, ამ მოქმედებებს კონფლიქტში იყენებენ არა მარტო სახელმწიფოები ან შეიარაღებული ძალები, არამედ სახელმწიფო უფლებამოსილების არმქონე სუბიექტებიც, რაც უკვე თანამედროვე ელემენტების მატარებელია.

ზემოთ მოყვანილი განმარტებების მიხედვით ნათელია, რომ, ზოგადად, warfare არის მოქმედებები, რომლებიც სრულდება საბრძოლო/საომარ მოქმედებათა თეატრში და მკვეთრად იმიჯნება სამხედრო ოპერაციებისგან, ამავე დროს, სამხედრო ოპერაციები განსხვავდება ომისგან იმით, რომ ისინი ფოკუსირებულია ომის შეჩერებასა და მშვიდობის შენარჩუნებაზე.“ (JP 3-0, 2001, p. 22). ამასთან, warfare-ს განვითარება და საწყისი მეთოდოლოგია დამოკიდებულია ოპერაციების სიღრმეზე (გავრცელების არეალის შესაბამისად) (JP 3-0, 2001, p. 65).

აქვე საყურადღებოა ისიც, რომ ჰიბრიდულ მოქმედებებში შეტევები უმეტესწილად აერთიანებს პოლიტიკურ, სამხედრო, დიპლომატიურ, ეკონომიკურ, კერძო სექტორის, კიბერ-, სამოქალაქო და მედია- ძალისხმევებს (Power – ძალა).

როგორც ჩანს, თეატრის ან ბრძოლის ველის ფარგლებში მიმდინარე შეტევები ძირითადი მოქმედებებია, რომლებიც სხვა ელემენტებთან ერთად ქმნის ჰიბრიდულ მიდგომას.

ჰიბრიდულ ომთან დაკავშირებული ცნება-ტერმინები მოვიძიეთ ქართულ დოქტრინულ სახელმძღვანელოებში (აშშ-ის დოქტრინების მიხედვით ნათარგმნი), კერძოდ: „ოპერაციებსა“ (FM 3-0) და „ტაქტიკაში“ (FM 3-90), ასევე „ჰიბრიდულ საფრთხეებში“ (2010), რომლებშიც საკუთრივ ტერმინები **ჰიბრიდული ომი** და **ჰიბრიდული საბრძოლო მოქმედებები** არ გვხვდება; თუმცა „ოპერაციებში“ განხილულია არაკონვენციური ომი, საყოველთაო ომი, რომელიც მოიცავს კონფლიქტებს, **ბრძოლა** განიხილება ურთიერთდაკავშირებულ **შეტაკებებად**, ხოლო

საომარი მოქმედებები და საბრძოლო მოქმედებები, როგორც warfare-ს შესატყვისები, შეტანილია პარალელურ ფორმებად. ამასთან, საომარი მოქმედებების თეატრისა და საბრძოლო მოქმედებების თეატრის პარალელურად დასტურდება სამხედრო მოქმედებების თეატრიც.

სახელმძღვანელო „ტაქტიკაშიც“ warfare-ს ქართულ შესატყვისად გამოიყენება საომარი მოქმედებები და საბრძოლო მოქმედებები.

სტატიაში განხილულ სამხედრო დოქტრინებსა და საინფორმაციო-სამეცნიერო-პოლიტიკურ მასალებში ჰიბრიდულ ომს უკავშირდება ისეთი ცნებები, როგორებიცაა: ომი, ბრძოლა, კონფლიქტი, შეტევა, ჰიბრიდული, კონვენციური-არაკონვენციური, ოპერაცია, საბრძოლო/საომარ მოქმედებათა თეატრი და სხვ.

საომარი მოქმედებები და საბრძოლო მოქმედებები სამხედრო სახელმძღვანელოებში გამოყენებულია პარალელურ ფორმებად.

ომთან დაკავშირებული სხვა ტერმინების განმარტებები მოვიძიეთ აშშ-ის საველე სახელმძღვანელოში, FM 1-02 „ოპერატიული/სამოქმედო ტერმინები და გრაფიკული გამოსახულებები“ (2004).

ოპერაცია (operation) – 1. სამხედრო მოქმედება ან სტრატეგიული, ოპერატიული, ტაქტიკური მომსახურება, სასწავლო ან ადმინისტრაციული სამხედრო ამოცანის შესრულება.

საომარ მოქმედებათა თეატრი (theater) – გეოგრაფიული რაიონი,..., რომელზეც პასუხისმგებელია საბრძოლო სარდლობის მეთაური.

ბრძოლა – (battle) – ურთიერთდაკავშირებული შეტაკებების ერთობლიობა, რომელიც გრძელდება შეტაკებაზე დიდხანს და რომელშიც მონაწილეობს შეტაკებაზე მეტი ძალა.“

შეტაკება (engagement) – 2. ტაქტიკური კონფლიქტი, რომელიც ჩვეულებრივ მიმდინარეობს დაბალი ეშელონის დაპირისპირებულ სამანევრო ძალებს შორის.

შეტევა (attack) – თავდასხმითი ოპერაცია, რომლის შედეგადაც მოწინააღმდეგის ძალა ნადგურება ან მარცხდება ადგილმდებარეობის დაკავებასა და გამაგრებასთან ერთად, ან სრულდება ორივე.

საყოველთაო ომი – (general war) – დიდ სახელმწიფოებს შორის შეიარაღებული კონფლიქტი, რომელშიც მეომარი მხარეები იყენებენ მთელ თავიანთ რესურსს და რომელშიც საფრთხე ემუქრება მეომარი მხარის ეროვნულ გადარჩენას.“

კონფლიქტი (conflict) – შეიარაღებული დაპირისპირება ან შეჯახება ორგანიზებულ ჯგუფებს შორის ერთი ქვეყნის ფარგლებში ან ქვეყნებს შორის, შეზღუდული პოლიტიკური ან სამხედრო მიზნების მისაღწევად.

ზემოთ მოყვანილი განმარტებების ანალიზის საფუძველზე, შეგვიძლია ვთქვათ: სამხედრო დარგობრივი მნიშვნელობით, **ოპერაცია** მოიცავს საბრძოლო მოქმედებებს, აქვს სხვადასხვა, მაგალითად, შეტევის ფორმა, **შეტევა** თავისი ბუნებით გულისხმობს თავდასხმებს მოწინააღმდეგეზე, რასაც სდევს **ბრძოლები**, რომლებიც, თავის მხრივ, მოიცავს ურთიერთდაკავშირებულ **შეტაკებებს**. შესაბამისად, ცალსახაა, **ომისა და ოპერაციის, ოპერაციისა და ბრძოლის**, ასევე **ომისა და ბრძოლის** განსხვავება. ეს ტერმინები სხვადასხვა ცნებას გამოხატავს და, შესაბამისად, ვერ ჩაანაცვლებს ერთმანეთს. ამის მიხედვით ერთი ცნების აღმნიშვნელი ვერ იქნება **საომარი და საბრძოლო მოქმედებები**. **ჰიბრიდული მოქმედებები** კი ძირითადად მოიცავს **შეტევებს, შეტაკებებს** (პარტიზანულს და სხვ.) და, უმეტესწილად, არის საპასუხო მოქმედება **ჰიბრიდულ საფრთხეზე**, რომელიც ხშირად გამოიხატება **კონფლიქტით**, შემოიფარგლება **თეატრითა და ბრძოლის ველით**; ცხადია, საფრთხე განაპირობებს რეაგირებას, რაც გადაიზრდება კონფლიქტში, **კონფლიქტი და ომის მასშტაბები** განსხვავდება, შესაბამისად, **ბრძოლა** შემოიფარგლება ერთი თეატრის ფარგლებში მიმდინარე ოპერაციით/მოქმედებებით, ხოლო სტრატეგიულ დონეზე თეატრების ერთობლიობა განაპირობებს **ჰიბრიდული ომის კომპლექსურობას**, მრავალგანზომილებიანობას. ე.ი. აშშ-ის სამხედრო დოქტრინის მიხედვით, ტაქტიკურ და ოპერატიულ⁶ დონეზე hybrid war-ი, როგორც ცნება, გულისხმობს, ერთ კონკრეტულ საომარ მოქმედებათა ადგილზე, თეატრში მიმდინარე ოპერაციებს. არც რუსულ, არც ინგლისურენოვან მასალებში hybrid war-ი და hybrid warfare გამოიყენებული არ არის, თუმცა აშშ-ის ერთობლივ პუბლიკაციაში, სამხედრო თვალსაზრისით, მიმდინარე მოვლენების შედეგად, war ჩანაცვლებულია warfare-თი. ვფიქრობთ, ამ

⁶ ოპერატიული ოპერაციულის ნაცვლად არასწორად დამკვიდრებული ფორმაა.

შემთხვევაში ამ ტერმინების ცალსახა შინაარსობრივი მნიშვნელობის ცვლის მიზეზი სწორედ სამხედრო წყაროებსა და მიდგომებში უნდა ვეძიოთ.

აქედან გამომდინარე, hybrid warfare-ს ქართული შესატყვისი დადგენისას უნდა დავეყრდნოთ მის აზრობრივ-სემანტიკურ კონტექსტს, რადგან ეს არ არის მასშტაბური ძალების გამოყენება მასშტაბურ ფართობებზე, რაც დამახასიათებელია ჩვეულებრივი (ტრადიციული) ომისთვის (განმარტება), რომლისგანაც განსხვავდება იმით, რომ თანამედროვე მეთოდების გამოყენებას არ სჭირდება დიდი სამოქმედო სივრცე და შემოიფარგლება საბრძოლო მოქმედებათა თეატრით (ან საომარ მოქმედებათა თეატრით) ან სამოქმედო რაიონით (operational area).

ქართულ სამხედრო დოქტრინებში გვხვდება ტერმინების სხვადასხვა ფორმა; თუმცა საერთო სურათი ნათელია, არსებული ტერმინები თავდაცვის სფეროშიც და სამოქალაქო სექტორშიც მეტად ჭრელ სურათს ქმნის.

ტერმინი **ჰიბრიდული ომი** არ დასტურდება არც ერთ თანამედროვე ქართულ ლექსიკონში, მათ შორის, სამხედრო ენციკლოპედიასა და ინგლისურ-ქართულ სამხედრო ლექსიკონებში. შესაბამისად, ტერმინის დადგენის მიზნით, დავძებნეთ მასთან დაკავშირებული ცალკეული ცნებების განმარტებები.

ამასთან, ინგლისური ტერმინები მოვიძიეთ ინგლისურ განმარტებით ლექსიკონებშიც.

დიდ ინგლ.-ქართ. ონლაინლექსიკონსა და ინგლ.-ქართ. ონლაინსამხედრო ლექსიკონში (<https://dictionary.ge/ka/word/war>) შესიტყვება hybrid war და hybrid warfare არ დასტურდება, თუმცა იძებნება შემდეგი ტერმინები: war 1. ომი, შეიარაღებული კონფლიქტი; 2. ომი, კონკრეტული სამხედრო კამპანია; 3. გადატ. ომი, ბრძოლა. Warfare – 1. ომი, საომარ/საბრძოლო მოქმედებათა წარმოება; საომარ/საბრძოლო მოქმედებათა წარმოების მეთოდები (ორივეში). Battle – 1. ბრძოლა; კვეთება, შებმა; მსხვილი ოპერაცია (სამხ.) (იგივე) Battlefield – 1. ბრძოლის ველი; საბრძოლო მოქმედებების რაიონი (სამხ.) (იგივე). Attack 1. შეტევა, შეტევითი ბრძოლა 2. თავდასხმა; Operation ოპერაცია (ორ.), Conflict კონფლიქტი და fight – 1. ბრძოლა, საბრძოლო მოქმედებები.

საინტერესოა, რომ ცაგარელის 1920 წლისა და 1925 წლის სამხედრო ლექსიკონებში **ომი** ცალკეულ სიტყვა-სტატიად არ გვხვდება, თუმცა დასტურდება

შემდეგი ტერმინები: **საომარი ამოცანა** – Боевая задача; **ბრძოლა** – Бой, **შეტევა** – Наступление; **საბრძოლო შეტაკება** – Боевое столкновение; **ბრძოლა** – Сражение.

ქეგლის მიხედვით **ომი** ასეა განმარტებული: 1. შეიარაღებული ბრძოლა სახელმწიფოებს შორის ეკონომიკური ან პოლიტიკური მიზნების მისაღწევად, **ბრძოლა** კი მოიცავს შემდეგ მოქმედებებს: 1. შეიარაღებული შებმა, შეტაკება მტერთან, საომარი მოქმედება ერთ გარკვეულ ადგილას. აქვე საინტერესოა შესიტყვებები **პარტიზანული ბრძოლა** და **ბრძოლის ველი** – ადგილი, სადაც ბრძოლა, ომი მიმდინარეობს; ხოლო **ოპერაცია** განმარტებულია როგორც 2. სამხ. სამხედრო დაჯგუფებათა მოქმედებანი გარკვეული მიზნის მისაღწევად. შეტევა ახსნილია როგორც 1. სამხ. ჯარის ნაწილების ბრძოლით წინსვლა (თავდაცვაში მყოფი) მტრის საიერიშოდ, **კონფლიქტი** კი ნიშნავს შემდეგს: 1. სერიოზული უთანხმოება, განხეთქილება; საწინააღმდეგო ინტერესების, შეხედულებათა, მისწრაფებათა შეჯახება.

Warfare-ს განმარტებები დავძებნეთ ინგლისურ ლექსიკონებში, კერძოდ:

MERRIAM-WEBSTER DICTIONARY:

Definition of warfare

1: military operations between enemies : HOSTILITIES, (მტრული მოქმედებები)

WAR also : an activity undertaken by a political unit (such as a nation) to weaken or destroy another economic warfare

2: struggle between competing entities : CONFLICT

OXFORD LEARNERS DICTIONARIES :Definition of warfare

1.the activity of fighting a war, especially using particular weapons or methods (ომის საბრძოლო მოქმედებები)

air/naval/guerrilla warfare

countries engaged in warfare

2.the activity of competing in an aggressive way with another group, company, etc.

gang warfare – the debate soon degenerated into open warfare.

Fighting, war, struggle, hostilities, conflict – ეს არის ინგლისური ცნება-ტერმინის ინგლისურ ლექსიკონებში მოცემული განმარტებების საკვანძო სიტყვები, რომლებიც განვიხილეთ როგორც ცნების, ისე ტერმინის თვალსაზრისით.

საინტერესოა, რომ multitrans.com-ში hybrid war-ისა და hybrid warfare-ს შესატყვისად მოცემულია საერთო რუსული შესატყვისი гибридная война – ჰიბრიდული ომი. თავისთავად ცხადია ჩნდება კითხვა: ხომ არ არის რუსული ენის გავლენა ქართულ სივრცეში ამ ტერმინის გამოყენება?

ცალსახაა, hybrid war და hybrid warfare სხვადასხვა ქართული შესატყვისით უნდა გამოიხატოს.

ამ კვლევაზე მუშაობის დასაწყისში hybrid warfare-ს შესატყვისად მიგვაჩნდა **ჰიბრიდული საბრძოლო მოქმედებები**, თუმცა საკითხის უფრო სიღრმისეული ანალიზის საფუძველზე, ვფიქრობთ, რომ ამ ცნების შინაარსს, სამხედრო დარგობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, უფრო ზუსტად გამოხატავს, **ჰიბრიდული სამხარო მოქმედებები**. ამავე დროს, სიტყვის საერთო ძირიდან გამომდინარე, უფრო მოსახერხებელიცაა.

რასაკვირველია, Merriam webster-ში პარალელურ ფორმებად დასტურდება war და warfare და, შესაბამისად, ისინი სინონიმური მნიშვნელობის მატარებელია, მაგრამ, როგორც ვნახეთ, ისინი ცალკეული ცნებებია სამხედრო მნიშვნელობითაც, და საჭიროა მათი სხვადასხვა შესატყვისით გამოხატვა არა მარტო სამხედრო დოქტრინული (როგორც გამოცემების) ან მიმდინარე პოლიტიკურ-სტრატეგიული თვალსაზრისით (როგორც მიმდინარე მოვლენების), არამედ თარგმნითი და გამოყენებითი (ლინგვისტური) კუთხითაც, ამის მაგალითად გამოდგება, სტატიის სათაური: „Future Warfare: The rise of Hybrid Wars“ (Mattis & Hoffman, 2005), რომელშიც ერთსა და იმავე წინადადებაში სტატიის კონტექსტის უკეთ გამოხატვისა და სტილისტიკის გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ამ ინგლისური ცნება-ტერმინების სათანადო ქართული შესატყვისებით გამოხატვა. ამის დამაჯერებლობას გვძენს ის ფაქტიც, რომ თანამედროვე ეპოქა გლობალური ცვლილებებით სავსეა და მიმდინარე ომის ხასიათი სამომავლოდ განაპირობებს სამხედრო დოქტრინებისა თუ ომისადმი ტრადიციული მიდგომების შეცვლას, რადგან „american military doctrine and culture has narrowed its perspective about the spectrum of war.“ (Hoffman, 2007, p. 45). ბრძოლა შემოიფარგლება ერთი თეატრის ფარგლებში მიმდინარე ოპერაციით, მოქმედებებით, რადგან ერთი თეატრი იგულისხმება, ხოლო სტრატეგიულ დონეზე თეატრების ერთობლიობა, რაც იწვევს ჰიბრიდული ომის კომპლექსურობას, მრავალსახოვნებას,

თეატრების გაერთიანება ქმნის მასშტაბურ სახეს, რასაც ომი ეწოდება. მიმდინარე პოლიტიკური მოვლენები განაპირობებს ომის ფართომასშტაბიანი „მოცულობიდან“ რამდენიმეგანზომილებიან მცირემასშტაბიან „მოცულობაზე“ გადასვლას. ამ ცნებების სემანტიკური მნიშვნელობა კი იცვლება „ომის ბუნების ქამელეონისებურ“ (კარლ ფონ კლაუზევიცი) ცვლასთან ერთად.

აქვე დავძენთ, JP 3-0-ში ნათლადაა განმარტებული, რომ „warfare-ს დონეები, სტრატეგიული, ოპერატიული და ტაქტიკური, აჩვენებს სახელმწიფოებისა (ერი-სახელმწიფოების მიზნების) და ტაქტიკური მოქმედებების ურთიერთმიმართებას (კავშირს), ამ დონეებს შორის არ არის ცალსახად გავლებული დაწესებული საზღვრები, ისინი მეთაურებს ეხმარება ოპერაციების ლოგიკური ფარგლების წარმოსახვასა და ა.შ. შესაძლოა, ერთი ეშელონის (დონის) მეთაური (სარდლობა), ქვედანაყოფების ზომა, აღჭურვილობის ტიპი, ძალებისა და მისი კომპონენტების ტიპი და ადგილმდებარეობა ასოცირდებოდეს კონკრეტულ შესაბამის დონესთან, მაგრამ სტრატეგიული, ოპერატიული და ტაქტიკური მიზნების შესრულება დამოკიდებულია დავალების, ამოცანის ან ობიექტის არსზე... ოპერატიული (საბრძოლო) ხელოვნების დანიშნულებაა ტაქტიკური და ოპერატიული დონის მოქმედებებისა და მიზნების დაკავშირება სტრატეგიულ მიზნებთან“ (JP 3-0, 2017, p. 38)

2001 წლის გამოცემაში war-ის დონეების განმარტება (JP 3-0, 2001, p. 32) ემთხვევა 2017 წლის warfare-ს განმარტებას, რაც გვაჩვენებს იმას, რომ, დოქტრინული თვალსაზრისით, warfare/war levels ერთია, საერთო გაგებას მოიცავს, მაგრამ სახე იცვალა და ჩაენაცვლა ეს სიტყვები ერთმანეთს, მოქმედებების მასშტაბიდან, მეთოდებიდან, ზოგადად, ხასიათიდან გამომდინარე.

საბოლოოდ, ჩვენი დასკვნა ასეთია: მიუხედავად სამხედრო კონსულტანტის მიდგომების გათვალისწინებისა, რომ: „ეს სამი ტერმინი ერთმანეთისგან განსხვავდება დონეების მიხედვით: **ჰიბრიდული საომარი მოქმედებები** – სტრატეგიული დონე; **ჰიბრიდული საბრძოლო მოქმედებები** – ოპერატიულ-ტაქტიკური დონე, **ჰიბრიდული ოპერაციები** – ტაქტიკური დონე“, არსებული მასალებისა და სალექსიკონო ერთეულების შესწავლა-შეპირისპირების საფუძველზე, მიგვაჩნია, რომ hybrid warfare-ს ქართულ შესატყვისად უნდა გამოვიყენოთ **ჰიბრიდული საომარი მოქმედებები** და

გავმიჯნოთ ჰიბრიდული ომისგან (hybrid war). ჰიბრიდული საომარი მოქმედებები და ჰიბრიდული ომი სხვადასხვა ცნებაა და, შესაბამისად, – სხვადასხვა ტერმინი.

მართალია, hybrid warfare გულისხმობს ერთი თეატრისთვის დამახასიათებელ ბრძოლის ელემენტებს და, შესაძლოა, ვიფიქროთ, რომ ეს არის ჰიბრიდული საბრძოლო მოქმედებები, როგორც კვლევის საწყის ეტაპზე მივიჩნიეთ, ამასთან, Warfare-ში დიდი ქართ.-ინგლ. ონლაინლექსიკონის მიხედვითაც საბრძოლო მოქმედებებიც მოიაზრება და საომარი მოქმედებებიც, მაგრამ, სამხედრო დოქტრინული ცვლილებებისა და მიმდინარე მოვლენების თავისებურებების თვალსაზრისით, war-ის warfare-თი ჩანაცვლების საფუძველზე, hybrid warfare-ს, როგორც მოვლენის, შესაბამისად, ცნების, კომპლექსურობა ჩანს სწორედ იმაში, რომ რამდენიმე თეატრში წარმართება ბრძოლა-შეტევები, იქნება საფრთხე, მოქმედებს საფრთხის მომცველი ძალა, რაც საბოლოოდ გამოიხატება hybrid warfare – საომარ მოქმედებებად, რომლებიც ერთიანდება hybrid war – ჰიბრიდულ ომად.

დღეს ომის ხელოვნება ჩანაცვლდა ომის მეცნიერებით, რადგან მეთაურების წარმატების მომტანი მოქმედებები დამოკიდებულია წარსულ „ომის ხელოვნებასა“ (როდესაც ადამიანი იყო წარმართველი) და თანამედროვე „ომის მეცნიერებას“ (როდესაც ტექნოლოგიები წარმართველი) შორის ბალანსის დაცვასა და შენარჩუნებაზე (JP 3-0, 2011, გვ. 41), შესაბამისად, ნათელია, ჰიბრიდული ომი თანადროულად წარმართულ კონვენციურ და არაკონვენციურ მოქმედებებს აერთიანებს, რომლებსაც სდევს თანამედროვე ვირტუალური საინფორმაციო განზომილებები, როგორებიცაა: ინტერნეტი, კიბერსივრცე, სოციალური ქსელები.

ახალი ტექნოლოგიების, ტაქტიკისა და მეთოდების ნაზავი – ჰიბრიდი ქმნის ახალ საფრთხეებს, რომლებზე რეაგირება, თავისთავად ცხადია, მოითხოვს ახალ მიდგომებსა და ახალ თანამედროვე ტერმინებს.

ამავდროულად, საყურადღებოა ისიც, რომ ჰიბრიდული ომის კონცეფცია არ არის შექმნილი უკრაინის კონფლიქტის კონტექსტში, როგორც ხშირად აღნიშნავენ ხოლმე, პირველად ბევრად ადრე გამოიყენეს, როგორც ტაქტიკისა და ძალების კომბინაცია – ერთობლიობა, ტერმინის ძირითადი განმარტებები კი ტექნიკურად უფრო შორს მიდის (Hybrid threats: 2015), უფრო მეტიც, მრავალი მკვლევარი ადასტურებს იმ მოსაზრებას, რომ საქართველო იყო ჰიბრიდული ომის სამიზნე, რასაც

ცხადყოფს აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ მოვლენები, და დღესაც არის ჰიბრიდული საომარი მოქმედებების თეატრი.

მიუხედავად იმისა, რომ სამხედრო კონსულტანტი, პოლკოვნიკი მ. კოპეიკინი გვთავაზობს ტერმინის შესატყვისების გამიჯვნას ომის დონეების შესაბამისად: „აშშ-ს სახელმძღვანელოს JP 3-0 გაერთიანებული ოპერაციების (Joint Operations) მიხედვით საომარი მოქმედებათა თეატრი განისაზღვრება პრეზიდენტის, თავდაცვის მდივნის ან გეოგრაფიული მიმართულების სარდლის მიერ როგორც არეალი, რომელიც მოიცავს საჰაერო, სახმელეთო, საზღვაო ადგილმდებარეობას, რომელიც არის ან შეიძლება პირდაპირ ჩართული იყოს ძირითად სამხედრო ოპერაციებში ან სამხედრო კამპანიებში. საბრძოლო ოპერაციების თეატრს განსაზღვრავს გეოგრაფიული მიმართულების სარდალი, რომელიც მოიცავს რაიონს სპეციალური საომარი ოპერაციების ჩასატარებლად ან მათი მხარდაჭერისთვის“, ე.ი. საომარ მოქმედებათა თეატრისთვის მიზანშეწონილია **ჰიბრიდული საომარი მოქმედებები**, ხოლო საბრძოლო მოქმედებათა თეატრისთვის – **ჰიბრიდული საბრძოლო მოქმედებები**, რაც ეყრდნობა აშშ-ის სამხედრო დოქტრინულ-კონცეფციურ გაგებას; თუმცა ქართული რეალობიდან გამომდინარე, ასევე იმის გათვალისწინებით, რომ „ომის დონეებს შორის მკვეთრი ზღვარი არ არის დადგენილი“ (JP 3-0, 2017, p. 38), ვფიქრობთ, უმჯობესი იქნებოდა საერთო ტერმინად მიგვეჩნია **ჰიბრიდული საომარი მოქმედებები**.

ამასთან, საერთო ტერმინის გამოყენება, ერთი მხრივ, თავიდან აგვარიდებს გაურკვევლობებს: „ხშირია შემთხვევები, როდესაც გარკვეული მკვლევარები და სამხედრო პერსონალი განიცდის გაურკვევლობას და ზუსტად ვერ საზღვრავს რას ნიშნავს ინგლისური ტერმინი ქართულად. ახალი ტერმინების შინაარსი როგორიც არის **ჰიბრიდული ომი**, **არაკონვენციური ომი** და ასე შემდეგ ისედაც ბუნდოვანია ბევრი ინგლისურენოვანი მკვლევარისთვის და მათი ზუსტი ქართული შესატყვისების არარსებობა უფრო მეტ გაურკვევლობას ქმნის ქართველი მოსახლეობისთვის.“ (მ. კოპეიკინი, პირადი ინტერვიუ), მეორე მხრივ, თავიდან აგვარიდებს ტერმინთა სიჭრელესა და შინაარსობრივ არაერთგვაროვნებას, რადგან „სიჭრელე საფრთხეს უქმნის ენის მომავალს. ეს ტერმინები უკვე ენაშიც მკვიდრდება, განტერმინდება, რაც ენას ბუნებრიობას უკარგავს და საფრთხეს უქმნის“ (ქაროსანიძე, 2022-2023, გვ. 405).

გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ დღეს შემოდის ინგლისური სამხედრო ტერმინები, რომელთგან ნაწილი ერთგვარი კონცეფციებია და მათთვის სათანადო ეროვნულძირიანი ტერმინების მისადაგება მოითხოვს სიღრმისეულ სამხედრო-სამეცნიერო მუშაობას.

3.3. ქართული ტერმინთბანკის გამოყენება სამხედრო ტერმინოლოგიურ კვლევებში

ზემოთ განხილული ოპერატიულ-სტრატეგიული ტერმინები ცხადყოფს, რომ ქართულ-ინგლისური სამხედრო ტერმინების დადგენა-ჰარმონიზაციის ამოსავალი სამხედრო დარგის თავისებურებების გათვალისწინებაა. ამასვე ადასტურებს ტერმინთბანკში განთავსებული ვლადიმერ ცაგარელისა და ივანე შაიშმელაშვილის სამხედრო სალექსიკონო ბაზები. თემატური მასალებისა და ტერმინთბანკის მიმართულებით მუშაობის შედეგად გამოიკვეთა, რომ 1920, 1925 და 1987 წლების სამხედრო ლექსიკონების ცნება-ტერმინების გარკვეული ნაწილი დღესაც შემორჩენილია, ნაწილი კი ჩანაცვლებულია სხვა ტერმინებით.

ტერმინთბანკის ფუნქციები განისაზღვრა არსებული ტერმინოლოგიური პრობლემების მოსაგვარებლად, თუმცა ქართული ტერმინთბანკი ევროპული ტერმინთბანკისგან განსხვავებულ პრინციპებს ეყრდნობა – ერთ ბაზაში უყრის თავს ენათმეცნიერების ინსტიტუტის სხვადასხვა დარგის ლექსიკონებს, რომლების მიხედვითაც სინონიმიდან ისაზღვრება ნორმატიული ტერმინი და დგინდება ინგლისური შესაბამისობა (ქაროსანიძე, 2022-2023, გვ. 408). აქედან გამომდინარე, სამხედრო დარგის მიმართულებით მომზადებული სალექსიკონო ბაზები შესაძლებელია გამოვიყენოთ მრავალმხრივი დანიშნულებით, კერძოდ, ტერმინთბანკი:

- აცოცხლებს ძველ სალექსიკონო ბაზებს;
- გვაწვდის ტერმინთშემოქმედების გზებს;
- აღრიცხავს ყველა ცვლილებასა და შეთავაზებას;
- არის ახალ ტერმინების – ნეოლოგიზმების წყარო.

ცხადია, ქართული სამხედრო ტერმინოლოგიის ელექტრონული ქვებაზა, რომელშიც წარმოდგენილია მოძველებული სამხედრო ლექსიკონები და ადრინდელი ქართული სამხედრო ცნება-ტერმინები, ღირებულია სამხედრო ტერმინოლოგიის

აღწერისათვის, თუმცა, თუ კარგად დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ სამხედრო ტერმინების განვითარება-დახვეწისთვის თვალის მიდევნება თავისთავად მოიცავს სალექსიკონო ფორმების გამოკვეთას, სიტყვაწარმოების ხერხების დაზუსტებას, პირველსაწყისი ფორმების ძიებასა და კვლევას, რასაც მივყავართ ისეთი ფორმების აღმოჩენამდე, რომლებიც სამხედრო დარგისთვის ნიშანდობლივია დღესაც და, უფრო მეტიც, რომლებიც თანამედროვეც კი გვგონია.

სპეციალობათა/თანამდებობრივ სახელთაგან, როგორებიცაა: **მეთაური, ოცეულის უფროსი**, დღეს სამხედრო დარგში **უფროსი** გამოიყენება საშტატო სტრუქტურული ორგანიზაციული თანამდებობების აღსანიშნავად, ხოლო ქვედანაყოფების სამეთაურო რგოლში გვხვდება **მეთაური**, მაგალითად, **ოცეულის მეთაური** და არა სალექსიკონო ფორმა **ოცეულის უფროსი**.

საყურადღებოა სიტყვა **ჯარის კაცი**, რომელიც ცაგარელის ლექსიკონში გვხვდება შესიტყვებაში молодой солдат – **ახალი ჯარის კაცი**.

1920 წლის სამხედრო ლექსიკონში рядовой-ს შეესატყვისება ასევე **ჯარის-კაცი**, მხოლოდ დეფისით ჩაწერილი, 1925 წლის ლექსიკონში კი – **მერიგე**. დღეს გამოიყენება **რიგითი**, რომელიც დასტურდება 1987 წლის სამხედრო ლექსიკონში. მაშასადამე, 1920 წლის ლექსიკონში солдат-ს – soldier – შეესატყვისება **ჯარის კაცი**, рядовой-ს – ranker – **ჯარის-კაცი**, რაც მეტყველებს ცალკეული ერთეულისთვის კონკრეტული შესატყვისების მისადაგების მცდელობაზე, ცნებათა გამიჯვნაზე.

ცხადია, ლექსიკონში შეტანილი პროფესიული სამხედრო სახელები უკავშირდება იმ პერიოდისთვის გავრცელებულ სამხედრო სპეციალობებსა და თანამდებობებს, ასევე დასტურდება გავრცელებული მოხელეთა სპეციალობა-თანამდებობები. მაგალითად: **არტილერიისტი, მედროშე, მესაწყობე, მესანგრე**. ამ ფორმათაგან **მესაწყობე** ისტორიას შემორჩა. **მესანგრე** და **სანგარი** კი გამოიყენება დღესაც.

ცაგარელის მიგნებული შესატყვისები: рапорт – report, military report – **პატაკი** (1920) და смирно – attention! shun! – **სმენა** (1925) ყოველდღიურად გამოიყენება თავდაცვის ძალებში პროფესიული კუთხით.

1920 წლის ლექსიკონში ცალკე ერთეულად არ არის შეტანილი **ჯარი**, მაგრამ შესიტყვებებში, მაგალითად, вывоз войск როგორც **ჯარის გამოძახება** (1920)

დასტურდება **ჯარი**. **ჯარი**, **ლაშქარი**, **სპა** პარალელური/სინონიმური ერთეულებიდან **სპა** შეესაბამება отряд-ს, ხოლო **ლაშქარი** (1920) **არმია** (1925) – армия-ს – army.

Минемть-ის შესატყვისად 1920 წლის ლექსიკონში დასტურდება **ნაღმსროლელი** – mortar, როგორც იარაღი, 1925-ში კი – **ნაღმტყორცნი**, **ნაღმსროლი**, ხოლო минеметчик – mortarman – **ნაღმტყორცნელი**, **ნაღმსროლელი**. დღევანდელი ფორმები **ნაღმსატყორცნი**, **ნაღმტყორცნელი** ცალსახად ამ ფორმების საფუძველზეა შედგენილი. ქეოლში დასტურდება **ნაღმსატყორცნი** და **ნაღმმტყორცნელი**, მიუხედავად დადასტურებული სალექსიკონო ფორმებისა, სამხედროები უმეტესად იყენებენ **ნაღმტყორცნს** და არა სალექსიკონო ფორმას **ნაღმმტყორცნს**. მათთვის არც **ნაღმსატყორცნია** მოსახერხებელი ფორმა.

უნდა შევნიშნოთ, რომ 1920 წლის ლექსიკონში ცალსახად გამიჯნულია ცნებები **ომი** და **ბრძოლა**, როგორც ცალკეული ტერმინები. 1920 წლის ლექსიკონში ნიჟ-სა და сражение-ს შეესაბამება **ბრძოლა**, ხოლო 1925 წლის ლექსიკონში: ნიჟ გამოხატულია **ბრძოლით**, сражение – **შებრძოლებით**, **ბრძოლით**; 1987 წლის ლექსიკონში сражение-ს შესატყვისება **კვეთება**, დღეს **ბრძოლა**; **კვეთება**, **შებმა** გამოხატავს battle-ს თანამედროვე ლექსიკონების მიხედვით, რაც მეტყველებს იმაზე, რომ სამხედრო შინაარსობრივი მნიშვნელობების გამიჯვნის მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა.

1920 წლისა და 1925 წლის სამხედრო ლექსიკონები ქართულძირიანი სამხედრო ტერმინების ერთგვარი ბაზაა, რომლის გამოყენებაც შესაძლებელია მეთოდოლოგიური კუთხით, ანალოგიური მაგალითების დასაძებნად.

როგორც ვხედავთ, 1920 წლის ლექსიკონში უპირატესობა ენიჭება ქართული ძირებით შედგენილ და სამხედრო შინაარსის მატარებელ შესატყვისებს. ამას ადასტურებს მსგავსი სახის მაგალითები: отзыв – counterchallenge, countersign – **გასაწდო**, რომელიც შემორჩენილია და რომელსაც დღემდე იყენებენ სამხედროები, ასევე დასტურდება ინგლისურ-სამხედრო ონლაინლექსიკონში.

მაგალითად, **სამიზნე**, **მიზანი** და **სამიზნე ობიექტი** გამოიყენება პარალელურ ფორმებადაც და სხვადასხვა მნიშვნელობითაც. ქართულ ლექსიკონებში დასტურდება ინგლისური შესატყვისების ეკვივალენტები, კერძოდ, ინგლ.-ქართ. სამხედრო ონლაინლექსიკონში: sight – **სამიზნე**, **დასამიზნებელი მოწყობილება**; ვიზირი (ცეცხლსასროლი იარაღისა). target – 2. **მიზანი**, **სამიზნე** (ცეცხლდაშენის, დარტყმის...)

6. სამიზნე, მიზანი, ნიშანი (უპირატ. მრგვალი ფიცარი ან სხვა სიბრტყე კონცენტრული წრეებისა, რომელსაც სროლაში ვარჯიშის დროს უმიზნებენ). aim – 2. მიზანი, სამიზნე, ნიშანი. objective – 2. მიზანი, გასანადგურებელი ან დასაკვებელი ობიექტი. Multitran.com-ში დასტურდება ინგლისური სიტყვების შემდეგი რუსული შესატყვისები: target – мишен; aim – мишен, объект, objective – мишен. სწავლების დროს target და aim გამოიყენება სილუეტის ფიგურების აღსანიშნავად, სამხედროები იყენებენ ქართულ შესატყვისად მიზანსაც, სამიზნესაც და სამიზნსაც, რაც იწვევს ბუნდოვანებასაც და შინაარსობრივ უზუსტობასაც. უფრო მეტიც, ფართოდაა გავრცელებული საუბრული ფორმა „ჰარდი“ (hard), რაც იმას ნიშნავს, რომ სამხედრო მიმართულებით მნიშვნელოვანია კონკრეტული ცნებების გამოყენება და არა მრავალმნიშვნელობიანისა. мишен-ის ქართულ შესატყვისად 1920 წლისა და 1925 წლის სამხედრო ლექსიკონებში დასტურდება ამოსამიზნი, ასევე გვხვდება შესიტყვება фигурная мишен – ტანის ამოსამიზნი (1920), სრულნაკვთა ამოსამიზნი (1925). ამოსამიზნი არსებულ ლექსიკონებში არ დასტურდება.

გვიქრობთ, ბუნდოვანების თავიდან ასარიდებლად ხელსაყრელი იქნებოდა ადამიანის სილუეტის ფიგურის, ე.ი. ფიგურული მიზნის, ქართულ შესატყვისად გამოგვეყენებინა ამოსამიზნი⁷, რაც განაცალკევებდა შინაარსობრივ მნიშვნელობით ქართულ შესატყვისებს: სამიზნე, მიზანი და სამიზნე ობიექტი.

საინტერესოა, შესიტყვება პირადი შემადგენლობა, რომელიც გვხვდება შემდეგი სახით: პირადი შემადგენლობის განყოფილება – Отделение личного состава; личный состав – personnel. პირადი შემადგენლობა, რუსული ენის კალკირებული ფორმა, დღემდე უპირობოდ გამოიყენებოდა სტრუქტურული შემადგენლობისა თუ ქვედანაყოფის შემადგენლობის გამოსახატავად, თუმცა ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში აქტიურად ჩანაცვლდა პერსონალით, ინგლისური ნასესხობით. მიუხედავად იმისა, რომ ინგლ.-ქართ. სამხედრო ონლაინლექსიკონში personnel-ის შესატყვისად დასტურდება: 1. პერსონალი, შტატი (ორგანიზაციის თანამშრომელთა) 2. პირადი შემადგენლობა (სამხედრო ქვედანაყოფისა). თავდაცვის ძალებში შეინიშნება მცდელობა ორივე შემთხვევაში პერსონალის გამოყენებისა.

⁷ ამოსამიზნი იშვიათად, მაგრამ მაინც ხმარებადი ტერმინია, მხოლოდ სამხედროთა პირად საუბრებში.

ამავე დროს, ბაზა გვამღევს ქართულ სამხედრო სიტყვებს, რომლებიც დღესაც შემორჩენილია სამხედრო პირთა მეტყველებაში და რომლებიც ჩანაცვლებულია უცხო სიტყვით ან უცხო ენის კალკირებით შედგენილი ქართული სიტყვებით. საინტერესოა იმ ფაქტორების კვლევაც, თუ რა განაპირობებს ერთი ქართული ტერმინის დაკარგვას ან ჩანაცვლებას მეორე ქართული ტერმინით.

საყურადღებოა, რომ ჯარის ქვედანაყოფების სახელდებები ერთეულის რიცხოვნობის შესაბამისადაა შერჩეული, მაგალითად: **ათეული, ოცეული, ათასეული, ასეული**. ეს ტერმინები ნიკო ჩუბინაშვილის ლექსიკონში არ დასტურდება სამხედრო მნიშვნელობით. ტერმინები მისადაგებულია ჯარის სტრუქტურული ერთეულების რაოდენობრიობიდან გამომდინარე. დღეს მათგან **ათეული, ოცეული და ასეული** ინარჩუნებს ქმედითობას, ხოლო **ათასეული**, მიუხედავად იმისა, რომ 1987 წლის სამხედრო ტერმინოლოგიასა და ინგლისურ-ქართულ სამხედრო ონლაინლექსიკონშიც დასტურდება, ჩანაცვლა **ბატალიონმა**.

აღსანიშნავია ტერმინები: **ჯგუფი** – группа (1920-25); **დაჯგუფება** – группировка (1920-25); **რაზმი** (1925) – отряд; **გუნდი (ჯარისა)** – команда (1920-25). ვლ. ცაგარელი იყენებს ცნებებს **გუნდს და ჯგუფს** სამხედრო მნიშვნელობით. ჩამოთვლილი ტერმინები დღესაც გამოიყენება. ნ. ჩუბინაშვილის ლექსიკონში **ჯგუფი** სამხედრო მნიშვნელობით არ გვხვდება; **დაჯგუფება** საერთოდ არ დასტურდება; **გუნდი, სპა და რაზმი** დასტურდება, **რაზმეული** – არა. **რაზმი და რაზმეული** ხშირად გამოიყენებოდა საბჭოთა და პოსტსაბჭოთა პერიოდშიც. ინგლისურენოვან ნათარგმნ სახელმძღვანელოებში გვხვდებოდა **გუნდის** სინონიმური მნიშვნელობითაც, ბოლო პერიოდში თითქმის ამოღებულია ხმარებიდან; არადა ინგლისური cell, group, team საჭიროებს სხვადასხვა შესატყვისს ერთი სახელმძღვანელოს ფარგლებში, რადგან ამ შემთხვევაში გულისხმობს სხვადასხვა სახის ერთეულს. Team-ის შესატყვისად გვხვდება **ჯგუფი**, იშვიათად **გუნდი**. ამავე დროს, task force-ს შესატყვისებოდა **ტაქტიკური დაჯგუფება**, რომელიც ჩანაცვლა **ტაქტიკურმა ჯგუფმა**. ვფიქრობთ, **რაზმი და რაზმეული** კარგი ქართული შესატყვისებია, რომელთა გამოყენებაც, საჭიროებისამებრ, მიზანშეწონილი იქნებოდა დღესაც, უფრო მეტიც, **რაზმი** ისტორიულად დასტურდება ივ. ჯავახიშვილის კვლევაშიც, გვხვდება „ვეფხისტყაოსანშიც“.

დღეს დოკუმენტებსა (პატაკებში) თუ სახელმძღვანელოებში ხშირად გამოიყენება *налицо*-ს შესატყვისი **სახეზეა** – (in) present, რომელიც რუსულის კალკია. თუ 1920 წლის ლექსიკონში გვხვდება **სათვალავშია**, 1925 წლის ლექსიკონში მის შესატყვისად დასტურდება **დამხდურია**.

ყურადსაღებია შემდეგი ფორმები: rear guard – *арьергард*, რომელიც ქეგლის მიხედვით ფრანგული სიტყვაა და ნიშნავს ზურგის დაცვას, ასევე advance – *авангард guard*, რომელიც ასევე ფრანგული სიტყვაა და ნიშნავს მეწინავე რაზმს. დღეს ამ ტერმინების შესატყვისად ცალსახად გამოიყენება **არიერგარდი** და **ავანგარდი**, რაც დასტურდება სამხედრო ენციკლოპედიის მიხედვითაც, ხოლო ინგლისურ-ქართულ სამხედრო ლექსიკონში მოცემულია შემდეგი შესატყვისები: ჯარის/შენაერთის ზურგის დამცველი რაზმი; არიერგარდი ავანგარდი, წინა ხაზი; მეთავე/მეწინავე რაზმი. საგულისხმოა, რომ 1920 წლის სალექსიკონო ბაზაში დასტურდება rear guard – *арьергард*– **უკანმავალი** და advance – *авангард*– **წინმავალი**, რომლებიც, ჩვენი აზრით, ზუსტი, გასაგები და მოსახერხებლად გამოსაყენებელი შესატყვისებია.

აქედან გამომდინარე, სამხედრო ტერმინოლოგიის ქვებაზა გვთავაზობს ისტორიაში დაკარგული სიტყვების გაცოცხლებასაც, როგორებიცაა: **წინმავალი**, **უკანმავალი**, **ამოსამიზნი**. ვფიქრობთ, ზუსტი სამხედრო შესატყვისები იქნება იმის წინაპირობა, რომ აღარ გავრცელდეს ერთი ტერმინის რამდენიმე პარალელური ფორმა.

ტექნიკური ტერმინების *გაქართულება* განსაკუთრებით რთული და მნიშვნელოვანი ამოცანა იყო დამოუკიდებლობის პერიოდის საქართველოში, რადგან ქვეყანას სჭირდებოდა ფეხის აწყობა მსოფლიო ტექნიკური განვითარებისთვის. მათგან გამოვყავით ტექნიკური დარგის შემდეგი ერთეულები:

მოწყობილობა-დანადგარები

ხელსაწყოები

სამშენებლო/სახარჯი მასალა

საზომი ერთეულები

მაგალითად: **ბარომეტრი**, **გვერდის თარაზო**, **ჰაერმწმენდი**, **ბურღმეზღუდავი**. დღეს *плоскогубцы*-ის – pliers, flat-nose pliers – ორი შესატყვისიდან – **ბრტყელტუჩა** (ცაგარელი 1920, 1925), **პრტყელტუჩა** („სიტყვარი“), მოქმედია **ბრტყელტუჩა**. *круглогубцы*-ს – round-nose pliers – შეესაბამება **ტუჩ-მრგვალა** (ცაგარელი 1920),

„სიტყვარში“ – **მრგვალტუჩა**. Микроскоп-ს – microscope – ორი შესატყვისი შეესაბამება 1920 წლის ლექსიკონში, **უჩინმაჩენი** და **გამდიდე**, 1920 წლის „სიტყვარში“ – **უჩინმაჩენი**, 1925-ში კი უცხოძირიანი – **მიკროსკოპი**; термометр-ს – thermometer – 1920 წლის ლექსიკონში შეესაბამება **თბისაზომი**, სიტყვარში – **თბიზომი**, ხოლო 1925 წლისაში – უცხოძირიანი **თერმომეტრი**.

ტექნიკურ ტერმინებზე მუშაობდა „სიტყვარისტების“ ჯგუფიც, შესაბამისად, ვლადიმერ ცაგარელის ტექნიკურ ტერმინთა შესატყვისები შევადარეთ „სიტყვარის“ შესაბამის ერთეულებს. ზოგიერთი შესატყვისისთვის ვლადიმერ ცაგარელი გვთავაზობს განსხვავებულ ვარიანტებს.

ჩვენი აზრით, ტერმინთშემოქმედების ჰარმონიული/მჟღერი ნიმუშებია საბრძოლო მასალებთან დაკავშირებული ტერმინები самовзрывчатый – **იფეთქისი** (თვით იფეთქებს) და самозагорающиеся – **აინთისი** (თვით აინთება).

საყურადღებოა **ვიზირი** – sight – визир, რომელიც ფრანგული სიტყვაა და უცხო სიტყვათა ლექსიკონში განმარტებულია, როგორც 2. სამიზნე; კორა. 1920 წლის ლექსიკონში დასტურდება **ჭვრეტანა**, რომელსაც 1925 წლის ლექსიკონში ანაცვლებს **ვიზირი**, ხოლო 1987 წლის ლექსიკონში ორი ფორმა დასტურდება **სამიზნებლი** და **ვიზირი**, დღეს კი ვხვდებით მის შესატყვისად რამდენიმე პარალელურ ფორმას **სამიზნე მოწყობილობა**, **სამიზნე**, **ვიზირი**. მათგან **სამიზნე** პირველად გვხვდება 1920 წლის „სიტყვარში“. ყურადსაღებია ისიც, რომ უცხო სიტყვათა ლექსიკონში მოცემული **კორა** ასევე 1920 წლის სალექსიკონო ფორმაა და შეესატყვისება прицель-ს – bead-ს.

თუ გაანალიზებულ და განხილულ მასალას შევაჯამებთ, დავინახავთ, რომ ძველ ბაზებს ეყრდნობა მიმდინარე სამხედრო ტერმინოლოგიის ბაზა, თუმცა შეინიშნება ორ და მეტტერმინიანობა, რაც, ჩვენი აზრით, განპირობებულია, ერთი მხრივ, რუსული, მეორე მხრივ, ინგლისური გავლენებით, ე.ი. ქართული სამხედრო ტერმინოლოგია თავს უყრის სხვადასხვა ენათა თარგმნის შედეგად მიღებულ ცნება-ტერმინებს. შესაბამისად, ვიმედოვნებთ, რომ ტერმინთბანკის ქართული სამხედრო ტერმინოლოგიის ქვებაზა ქმნის ტერმინთა გაცოცხლებისა და ცნებათა სწორად გააზრების საფუძველს, რაც თავიდან აგვარიდებს პარალელური ფორმების გავრცელებას.

თავისთავად ცხადია, ყველა ქართული სამხედრო შესატყვისი ვერ იქნებოდა პირველივე ცდაზე ზუსტი, მოქნილი და სათანადო, მაგრამ ამის მიღმა, სიტყვათშემოქმედების მხრივ, იკვეთება ქართული ენის შესაძლებლობები, ერთნაირად მოხერხებულად აწარმოოს/გადმოიტანოს სამხედრო და სხვა ნებისმიერი დარგის ცნება-ტერმინები ქართულ ენაზე.

ლექსიკონთა შედარებითი ანალიზი ავლენს, რომ პირველი სამხედრო-ტექნიკური ლექსიკონი შედგენილია სწორი ტერმინოლოგიური მუშაობის საფუძველზე და ვლადიმერ ცაგარელის მიერ გამოყენებული ტერმინთშემოქმედების გზების საშუალებით შექმნილია ქართული სამხედრო ტერმინები, რომლებიც დღესაც ინარჩუნებს შინაარსსაც და ქმედითობასაც. მაგალითად: **მზვერავი, მესანგრე, გარშემორტყმა, უკანდახევა, ხელჩართული ბრძოლა, სამხედრო თამაში, მეთვალთვალე, მეთვალყურე, ზედამხედველი** (ნიკო ჩუბინაშვილთან გვხვდება **მეთვალე**).

სალექსიკონო ერთეულების შედარებითი ანალიზი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გვაჩვენებს, ერთი მხრივ, ქართული სამხედრო ტერმინოლოგიის ისტორიას, ქართულძირიანი ტერმინების თხზვისა და შემუშავების გზებს, მეორე მხრივ, შესაძლებელია, დაგვეხმაროს საბაზისო მონაცემების სწრაფად და ზედმეტი ძალისხმევის გარეშე დამუშავებაში, ახალ სალექსიკონო ერთეულებთან შედარებაში.

აქედან გამომდინარე, ტერმინთბანკი გვაჩვენებს სამხედრო ტერმინების პრაქტიკულ გამოყენებასაც, მათი დამკვიდრების სურათსაც.

ვლადიმერ ცაგარელი იყენებდა ძველ მასალებს, სამხედრო მნიშვნელობით უსადაგებდა ახალ ცნებებს, ასეთი გზა რომ სწორი იყო, ამას ადასტურებს მისი სალექსიკონო ფორმების ქმედითობა, შესაბამისად, მოძველებული ბაზების გამოყენება ყოველთვის შედეგის მომცემი იქნება ახალი სამხედრო ცნება-ტერმინების საწარმოებლად და ხმარებაში შემოსატანად.

უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ დარგის განვითარების თანმდევი ტერმინთა შინაარსობრივი ცვლა ან ახალი ტერმინების შემოტანა და, შესაბამისად, ძველი და თანამედროვე სალექსიკონო ბაზები მეტწილად ყოველთვის განსხვავებული იქნება, ყველა ტერმინი ვერ გაუძლებს დროს, მაგრამ მოგვცემს საკვლევ მასალას, მაგალითად:

(ცაგარელი 1920) **თვითმოქმედი**

(ცაგარელი 1925) ავტომატი

(სამხედრო 1987) ავტომატი

(ენციკლოპედია 2017) ავტომატი

(სამხედრო 2010) ავტომატი, ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი

automatic rifle, assault rifle, avtomat

როგორც წინა თავში აღვნიშნეთ, ტერმინთბანკის ბაზაში შეტანილი სამხედრო ლექსიკოგრაფიული ერთეულები ანალიზდება და დარდება თანამედროვე სამხედრო ლექსიკოგრაფიულ შესატყვისებს. სამხედრო ლექსიკონების შედარებითი ანალიზის საფუძველზე შესაძლებელი ხდება სამხედრო ტერმინთა ისტორიის გაცნობა, ასევე ტერმინთშემოქმედების გზების გამოკვეთა (იხ. II თავი).

ქართულ ტერმინთბანკში არსებულ მასალასთან ერთად ანალიზდება დარგობრივი ტერმინოლოგიური სიახლეებიც, რაც ხელს შეუწყობს ტერმინთბანკის მომხმარებლის ინფორმირებას, ასევე თავიდან აგვარიდებს ისეთი მცდარი, არაქმედითი ფორმების გამოყენებას, რომლებიც დარგობრივად აღარ გამოიყენება.

მაგალითად: რამდენიმე წლის წინ შეიარაღებულ ძალებში გამოყენებული ტერმინი **სახმელეთო ჯარი** ჩანაცვლდა ტერმინით **სახმელეთო ძალა**, **შეიარაღებული ძალები** – ტერმინით **თავდაცვის ძალები**, რაც განპირობებული იყო თავდაცვის სისტემის სტრუქტურულ-სტრატეგიული რაკურსით, შესაბამისად, ტერმინის შინაარსობრივი ცვლილებით.

ქართული სამხედრო ტერმინოლოგიის ელექტრონული ბაზა, ერთი მხრივ, გვაჩვენებს, რომ საბაზისო სამხედრო ტერმინების ძირითადი ნაწილი მოძველებული ლექსიკონების ერთეულებია, ასევე ადასტურებს, რომ სამხედროთა მეტყველებაში გამოყენებული/შემორჩენილი ცალკეული სიტყვებიც ამავე ლექსიკონების ნაწილია, მეორე მხრივ, ნათელყოფს იმასაც, რომ დღეს, მიუხედავად დარგის განვითარებისა, მაინც პრობლემად რჩება ქართული სამხედრო შესატყვისების მიგნება და ბევრი ინგლისური ტერმინის ქართული შესატყვისი არ გვაქვს, რაც კარგად გამოჩნდა ძალიან მარტივ რევოლვერის შემადგენელი ნაწილების სახელდებებთან დაკავშირებულ მაგალითზე. შესაბამისად სამხედრო ტერმინოლოგიის ქვებაზა არის წყარო ნეოლოგიზმებისა, რომლებიც შესწავლილი და დადგენილი იქნება სპეციალისტების მიერ.

კვლევის II თავში რევოლვერის შემადგენელი ნაწილების ქართულ-ინგლისურ-რუსული სახელდებები წარმოვადგინეთ ქართულ სამეცნიერო სივრცეში არსებული ლექსიკონების მიხედვით. ტერმინოლოგიური უზუსტობების ან არქონის შემთხვევაში შევადგინეთ რევოლვერის დეტალების ჩვენული სამუშაო ვარიანტები, რომლებიც კითხვარების სახით განსახილველად წარედგინებათ დარგის სპეციალისტებს, კერძოდ:

cylinder – დოლურა

front strap – სახელურის წინა ნაწილი

სახელურის წინა თამასა

სახელურის წინა ჩანართი

back strap – სახელურის უკანა ნაწილი

სახელურის უკანა თამასა

სახელურის უკანა ჩანართი

ejection rod – დოლურას ამომგდები ღერო

ზუმბა-გამომგდები

cylinder release – დოლურას ჩამკეტი ღილაკი

დოლურას საკეტელა, დოლურას საკეტელა ღილაკი

სამხედრო სახელმძღვანელოებსა და დოქტრინებზე მუშაობისას ტერმინოლოგიური სიცარიელე ვლინდება როგორც სამხედრო-ტექნიკური მიმართულებით, შეიარაღებისა და აღჭურვილობის შემადგენელი ნაწილების სახელდებებთან დაკავშირებით, ისე ოპერატიულ-ტაქტიკურ თუ ოპერატიულ-სტრატეგიულ ტერმინებთან დაკავშირებით.

მაგალითად, **stake** ინგლ.-ქართ. სამხედრო ონლაინლექსიკონში (2010) განმარტებულია, როგორც **სარი, ბოძი**, თუმცა დოქტრინების განვითარების ცენტრის სამხედრო კონსულტანტთან, ვიცე-პოლკოვნიკ ვ. კაჭარავასთან, მსჯელობის (დისკუსიის) შედეგად, სათანადო სახელმძღვანელოზე მუშაობის პროცესში, გამოვიყენეთ სიტყვა-ცნება **საყე** [TC 3-22.249 light machine gun M249 series, ARMY Publishing Directorate (2017)].

Multitrans.com-ში **stake** სამხედრო დარგის მიმართულებით განმარტებულია, როგორც *веха* (указатель), რუსულ-ქართულ ლექსიკონში დასტურდება *веха* – **საყე**, რაც ქეგლში ახსნილია, როგორც გზის საჩვენებლად, საზღვრის აღსანიშნავად და სხვა დანიშნულებით მიწაში ჩარჭობილი **ხალა, მანა (პალო)**. სამხედრო სპეციალისტი იხრებოდა სიტყვა **მონიშვნის** გამოყენებისკენ. Stake-ის შესატყვისად შევთავაზეთ **საყე**, რაც დავასაბუთეთ იმით, რომ **მონიშვნა** ცალსახად გამოიყენება marking-ის შესატყვისად. ამგვარად მიღებული ქართული შესატყვისები, ავტორის გვარის მითითებით, აღიწერება სამხედრო ტერმინოლოგიის ქვებაზაში განსახილველად.

დასკვნა

განხილული მაგალითების საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ადრინდელი/მოძველებული ქართული სამხედრო ცნება-ტერმინთა გარკვეული ნაწილი დღესაც ინარჩუნებს თვითმყოფადობას, რადგან სამხედრო თავისებურებებზეა მორგებული და ეყრდნობა მდიდარ ქართულ ლექსიკას.

შესაბამისად, სამხედრო-ტექნიკური მიმართულებით, თანამედროვე ტექნიკისა და ტექნოლოგიების განვითარებიდან და დღევანდელი მოთხოვნებიდან გამომდინარე აუცილებელია სამხედრო-ტექნიკური ტერმინების სათანადო ქართული შესატყვისების დადგენა, პრაქტიკულად გამოყენებადი/დარგობრივი მიმართულებით გავრცელებული ტერმინების აღნუსხვა და ამ მონაცემების საფუძველზე ახალი ტერმინების შემუშავება-დამკვიდრება დარგის სპეციალისტებსა და ენათმეცნიერებთან ერთად, საერთო წესის მიხედვით დადგენა-სტანდარტიზაცია, რაც, თავისთავად ცხადია, საჭიროებს საფუძვლიან კვლევას.

სამომავლოდ ქართული სამხედრო დარგის ენის სრულყოფილად შესასწავლად, გარდა ქართული სამხედრო ლექსიკონების გაციფრულებისა, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ძველი და ახალი სამხედრო განკარგულებების/ბრძანებების, წესდებების, დოკუმენტების გაციფრულება, ტერმინთბანკის გაფართოებული ძიების ფუნქციისათვის მიკროკორპუსის შექმნა. ვფიქრობთ, სამხედრო დოკუმენტების შესწავლა მოგვცემს სამხედრო ენის მორფოლოგიურ-სინტაქსური ანალიზისა და გამოკვეთილი ცნება-ტერმინების ჰარმონიზაციის შესაძლებლობას.

სამხედრო დარგის განვითარებისთვის აუცილებელია სამხედრო აბრევიატურების საკითხის შესწავლა და ქართული სამხედრო აბრევიატურების წარმოების გზების გამოკვეთა, რადგან აშშ-ის/ნატოს სამხედრო ენა უმეტესად აბრევიატურების ენაა, ქართულად აბრევიატურების შედგენა და გადმოტანა კი სირთულეებს უკავშირდება, ამასთან, მოუხერხებელი გამოსაყენებელი ხდება.

შესწავლილი მასალის საფუძველზე ჩანს, რომ დიდი მნიშვნელობა ექს ტერმინის დამკვიდრებასაც და მის პრაქტიკულ გამოყენებასაც. ცალკე საკითხია ტერმინის მართებულად გამოყენება სამხედრო დარგისა და ტერმინების თავისებურებების გათვალისწინებით.

ზოგადი დასკვნები

- ქართული სამხედრო ტერმინოლოგიის განვითარებისა და ისტორიის შესწავლისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს ძველი ქართული სამხედრო ლექსიკონების შესწავლას საბაზისო მასალის თვალსაზრისით, ამასთან, ქართული

სამხედრო ცნება-ტერმინების დარგობრივი თემატური ჯგუფებისა და სიტყვათშემოქმედების ხერხების მიხედვით გამოყოფას.

- ძველი სალექსიკონო ბაზების აღწერა-დამუშავება და ქართული ენის საერთო ელექტრონულ ბაზაში – ტერმინთბანკში – გადატანა მიგვიყვანს თანამედროვე სამხედრო ტერმინოლოგიური საკითხების მეცნიერულ კვლევამდე და სწორ, ზუსტ და სათანადო დარგობრივ ტერმინებამდე.
- აქედან გამომდინარე, საჭიროა არსებული სამხედრო ლექსიკონების თავმოყრა საერთო ბაზაში, ლექსიკონებში დადასტურებული შესატყვისების შედარება-შეპირისპირება და ტერმინების სტანდარტიზება.
- ქართული ტერმინთბანკის ქართული სამხედრო ტერმინოლოგიის ქვებაზის შექმნა საშუალებას გვძლევს, თვალი ვადევნოთ ამ დარგის ტერმინოლოგიაში მიმდინარე პროცესებს, ცვლილებებს ტერმინებსა თუ განმარტებებში.
- ტერმინთბანკისთვის მომზადებული ლექსიკონების ბაზების შესწავლისთვის მნიშვნელოვანია მათი დანაწილება და ამ სახით ტერმინთბანკში დამუშავება.
- ქართულ-ინგლისური სამხედრო ტერმინების დადგენა-ჰარმონიზაციისთვის გამოსაყენებელი მეთოდებია: სამეცნიერო და სამხედრო მასალების შესწავლა, ტერმინთა კლასიფიკაცია და ანალიზი, პრაქტიკული დაკვირვება. ამ პროცესში სამხედრო სპეციალისტ-კონსულტანტების ჩართულობა ახალი ტერმინების შემოტანისა და დამკვიდრების კარგი ცდაა, თუმცა მოითხოვს სათანადო სიღრმისეულ კვლევასა და მუშაობას თვითნებობის თავიდან ასაცილებლად.
- თანამედროვე ინგლისურ-ქართული სამხედრო ცნება-ტერმინების დადგენა-მისადაგებისას მნიშვნელოვანია სამხედრო დარგობრივი თავისებურებების, დოქტრინული გამოცემებისა და სათანადო სახელმძღვანელოების გააზრება, არსებული ქართული თუ უცხოური თარგმნითი და განმარტებითი ლექსიკონების გამოყენება საკვლევ ფორმათა შედარება-შეპირისპირებით, ასევე ცნებების აზრობრივ-სემანტიკური მნიშვნელობის გააზრება და ეტიმოლოგიური შესწავლა.
- უცხოპირიანი ცნება-ტერმინები ხელს უშლის ქართული შესატყვისების წარმოქმნას. რა თქმა უნდა, ზოგადი მნიშვნელობით დამკვიდრებული უცხოპირიანი სიტყვების გამოყენებას თავს ვერ ავარიდებთ; მაგრამ სამხედრო დარგის თავისებურებების გათვალისწინებით, დოქტრინულ გამოცემებსა და

თემატურ კვლევებზე დაყრდნობით, შესაძლებელი იქნება ინგლისური სამხედრო ტერმინებისთვის სწორი და გასაგები ქართული შესატყვისების მისადაგება.

- ლექსიკონების მასალების შესწავლა თემატური ჯგუფებისა და ტერმინთა სემანტიკის საშუალებით გვაჩვენებს, რომ ისინი მოიცავს ჩვენთვის ნაცნობ, უფრო მეტიც, სამხედრო სფეროში ყოველდღიურად გამოყენებად ცნება-ტერმინებსაც. აქედან გამომდინარე, აღნიშნული ლექსიკონების გაციფრულება და თემატური მრავალდარგოვანი ლექსიკონისთვის დამუშავებული მასალა ადასტურებს მათ სარგებელსაც და ღირებულებასაც დარგობრივი ტერმინოლოგიის დადგენა-დახვეწის საქმეში.
- ვფიქრობთ, აღნიშნულ ლექსიკონთა საერთო ღერძს ქმნის ტერმინთა ფორმაწარმოებისა და ტერმინთშემოქმედების ერთიანი (ინსტიტუციური) მიდგომები, რაც ზოგიერთ შემთხვევაში განაპირობებს მათ ურთიერთკვეთსაც და ცნება-ტერმინთა მოხმარებასაც.
- ვლადიმერ ცაგარელის მიდგომა სამხედრო ტერმინების „შეთხზვისა“ თუ „შედგენისადმი“ მართებულია, სწორედ „ასეთი მეთოდია რიგიანი ტერმინოლოგიის თავმდები“. უდავოა, ტერმინი უნდა იყოს „საყოველთაოდ მოსახმარი“ და „სახალხო მისაღები“; თუმცა გასათვალისწინებელია ისიც, რომ მიმდინარე მოვლენების თანადროულად ტერმინები, შესაძლოა, იცვლებოდეს და იხვეწებოდეს, რაც იმის საწინდარია, რომ ტერმინოლოგიის საკითხები ყოველთვის აქტუალურია.
- ადრინდელი/მოძველებული ქართული სამხედრო ცნება-ტერმინთა გარკვეული ნაწილი დღესაც ინარჩუნებს თვითმყოფადობას, რადგან სამხედრო თავისებურებებზეა მორგებული და ეყრდნობა მდიდარ ქართულ ლექსიკას.
- ქართული სამხედრო ტერმინოლოგიის ელექტრონული ბაზა, ერთი მხრივ, გვაჩვენებს, რომ საბაზისო სამხედრო ტერმინების ძირითადი ნაწილი მოძველებული ლექსიკონების ერთეულებია, ასევე ადასტურებს, რომ სამხედროთა მეტყველებაში გამოყენებული/შემორჩენილი ცალკეული სიტყვებიც ამავე ლექსიკონების ნაწილია, მეორე მხრივ, ნათელყოფს იმასაც, რომ დღეს, მიუხედავად დარგის განვითარებისა, მაინც პრობლემად რჩება ქართული სამხედრო შესატყვისების მიგნება და ბევრი ინგლისური ტერმინის ქართული შესატყვისი არ

გვაქვს, რაც კარგად გამოჩნდა ძალიან მარტივ რეგოლვერის შემადგენელი ნაწილების სახელდებებთან დაკავშირებულ მაგალითზე. შესაბამისად, ქართული სამხედრო ტერმინოლოგიის ქვებაზა არის წყარო ნეოლოგიზმებისა, რომლებიც შესწავლილი და დადგენილი იქნება სპეციალისტების მიერ.

გამოყენებული ლიტერატურა

წიგნი

1. სახელმძღვანელო (2022). *ტერმინოლოგიის პოლიტიკის სახელმძღვანელო, ტერმინოლოგიის პოლიტიკის შემუშავება და ენობრივ საზოგადოებაში დანერგვა*, თბილისი.

ნარკვევები

2. ახვლედიანი, გ. (1925). *წინასიტყვაობა*, ლექსიკონი სამხედრო-ტექნიკური, ტფილისი.

3. ვიჩოვა, ვ. (2018). *რუსეთის საინფორმაციო ოპერაციები აღმოსავლეთ და ცენტრალურ ევროპაში*, 250, ჰიბრიდული ომების ანატომია, პალიტრა L.

4. სახოკია, თ. (1969). *ვლადიმერ (ლადო) ცაგარელი*, ჩემი საუკუნის ადამიანები, თბილისი: „ნაკადული“.

5. ღამბაშიძე, რ. (1987). *წინასიტყვაობა*, სამხედრო ტერმინოლოგია, თბილისი: „განათლება“.

6. ღამბაშიძე, რ. (1972). *ტერმინოლოგიური მუშაობა საქართველოში, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები*, წიგნი I, თბილისი: „მეცნიერება“.

7. შაიშმელაშვილი, ივ. (1976). *წინასიტყვაობა*, სამხედრო ლექსიკონი, რუსულ-ქართული, ქართულ-რუსული (მასალები ტერმინოლოგიისთვის), თბილისი: „განათლება“.

8. შაიშმელაშვილი, ივ. (1987). *ავტორისაგან*, სამხედრო ტერმინოლოგია, თბილისი: „განათლება“.

9. ჩიქობავა, არნ. (1972). *ქართული ენა, როგორც პოლივალენტოვანი სალიტერატურო ენა, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები*, წიგნი I, თბილისი: „მეცნიერება“.

10. ცაგარელი, ლ. (1920). *წინასიტყვაობის მაგიერ*, ლექსიკონი სამხედრო-ტექნიკური, III, ტფილისი: „ოფიციალი“.

11. ცაგარელი, ლ. (1925). *წინასიტყვაობა*, ლექსიკონი სამხედრო-ტექნიკური, XII, ტფილისი.

12. ჯავახიშვილი, ივ. (1962). *საომარი საჭურველი და სამხედრო საქმე, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურისთვის*, ნაკ. IV, თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია.

13. ხიდაშელი, თ. (2018). *მცირე სახელმწიფოების დიდი სტრატეგია*, ჰიბრიდული ომების ანატომია, პალიტრა L.

სტატიები

14. ანთაძე, გ. ჰიბრიდული ომის გააზრებისთვის, GC ანალიზი, https://www.geocase.ge/media/223/Hybrid-War_G.-Antadze.pdf

ანჩაბაძე, გ. (2002). სამხედრო ისტორია, ლექციების კურსი, თბილისი: „სომა პრესი“. <https://eprints.iliauni.edu.ge/1978/1/Anchabadze.%20samxedro%20istoria.pdf>

15. ახვლედიანი, ა. (2019). *ჰიბრიდული ომი, როგორც ევრო-ატლანტიკური უსაფრთხოების ახალი გამოწვევა და ნატოს სტრატეგიული კონცეფცია*, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი.

<https://openscience.ge/bitstream/1/1656/1/Ana%20Akhvlediani%20Samagistro.pdf>, 2019

16. ქარსელაძე, ხ. (2020). *რუსეთის ჰიბრიდული ომი აშშ-ს წინააღმდეგ - 2016 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში ჩარევის გეოპოლიტიკური ასპექტები ახალი “ცივი ომის” პირობებში*, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, <https://openscience.ge/bitstream/1/2094/1/Samagistro%20Karseladze.pdf>

17. ყალიჩავა, გ. (2015). *მცირე ქვეყნებისთვის ჰიბრიდული საბრძოლო მოქმედებების განხორციელების მიზანშეწონილობა*, ახალგაზრდა მკვლევართა ჟურნალი, № 1, ივლისი. http://jyr.tsu.ge/public/uploads/sitepdf/06-Kalichava_JYR_VOL01_JUL15.pdf

სადისერტაციო ნაშრომები

18. სილაქაძე, დ. (2023). *საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის რეგულარული ჯარისა და სახალხო გვარდიის ორგანიზაცია და შეიარაღება*, თბილისი.

19. წურწუმია, მ. (2014). *შუა საუკუნეების ქართული ლაშქარი (900-1700) ორგანიზაცია, ტაქტიკა, შეიარაღება*, თბილისი: უნივერსიტეტის გამომცემლობა. <https://evergreen.tsu.ge/eg/opac/record/52918>

20. ჯიქია, ლ. (2012). *1924 წლის აჯანყება დასავლეთ საქართველოში*, თბილისი. <https://core.ac.uk/download/pdf/78235464.pdf>

კრებული ტერმინოლოგიის საკითხები, ISNB: 1987-7633,
<https://termbank.ge/%e1%83%99%e1%83%a0%e1%83%94%e1%83%91%e1%83%a3%e1%83%9a%e1%83%94%e1%83%91%e1%83%98/>

21. არაბული, ავ. (2014). წინათქმა, „ტერმინოლოგიის საკითხები“, I.
22. არაბული, ავ. (2016). *ტერმინოლოგიური პოლიტიკა და კანონი სახელმწიფო ენის შესახებ*, „ტერმინოლოგიის საკითხები“, II.
23. აუკსორიუტე ა., მანჯგალაძე, მ. (2018). *ენობრივი პოლიტიკა ლიტვაში*, „ტერმინოლოგიის საკითხები“, III.
24. დათეშიძე, ნ., ლაფაური, თ., მუზაშვილი, ნ., ოსაძე, მ. (2020-2023). *ტერმინოლოგიის ახალი საერთაშორისო სტანდარტები*, „ტერმინოლოგიის საკითხები“, V.
25. მაღრაძე, ვ. (2016). *საერთაშორისო სიტყვა-ტერმინები თუ ბარბარიზმები*, „ტერმინოლოგიის საკითხები“, II.
26. მელიქიშვილი, დ. (2014). *ძველი ქართული მწიგნობრული სკოლების გამოცდილების მნიშვნელობა თანამედროვე ქართული სპეციალური ტერმინოლოგიის განვითარებისათვის*, „ტერმინოლოგიის საკითხები“, I.
27. ნაჭყებია, მ. (2020). *სამხედრო აკრონიმები (საერთაშორისო ორგანიზაციებში მუშაობის გამოცდილებიდან)*, II საერთაშორისო კონფერენცია ტერმინოლოგია – მემკვიდრეობა და თანამედროვეობა – თეზისები Pdf.
28. სუთიძე, ლ., იაკობაშვილი, გ. (2016). *ტერმინოლოგიის პრობლემები ტექნიკურ სასწავლო ლიტერატურაში*, „ტერმინოლოგიის საკითხები“, II.
29. ქაროსანიძე, ლ. (2014). *ტერმინოლოგია – ქართული ენის ხვალისდელი დღე*, „ტერმინოლოგიის საკითხები“, I.
30. ქაროსანიძე, ლ. (2020). *სიტყვარი – ქართული ტექნიკური ტერმინოლოგიის პირველი ლექსიკონი 100 წლისაა*, „ტერმინოლოგიის საკითხები“, IV.
31. ქაროსანიძე, ლ. (2022-2023). *ქართული ტერმინთბანკი და ტერმინოლოგიური პოლიტიკა საქართველოში*, „ტერმინოლოგიის საკითხები“, V, 397.
32. ძაგნიძე, ო. (2016). *თოფთან დაკავშირებული ზოგიერთი ტერმინის დაზუსტებისთვის*, „ტერმინოლოგიის საკითხები“, II.

33. ჭავჭავაძე, ს., (2024). *ქართული ტერმინთა ბანკი და ტერმინოლოგიური პოლიტიკა საქართველოში*, „ტერმინოლოგიის საკითხები“, VI.
34. ISO 860. (2023). *ტერმინოლოგიური მუშაობა – ცნებათა და ტერმინთა შესაბამისობაში მოყვანა/ჰარმონიზება*, სსტ ISO 860: 2007/2023, სსკ 01.020, სსიპ-საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო.
35. ISO 1087. (2024). *ტერმინოლოგიური მუშაობა და ტერმინოლოგიის მეცნიერება – ლექსიკონი*, სსტ ISO 1087: 2022/2024, სსკ 01.020; 01.040.01, სსიპ-საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო.
36. ISO 704 (2024). *ტერმინოლოგიური მუშაობა – პრინციპები და მეთოდები*, სსტ ISO 704: 2022/2024, სსკ 01.020, სსიპ-საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო.
37. Bratanie, M., Ostroski Anie, A. (2013). *The Croatian National Termbank STRUNA: A New Platform for Terminological Work*, Coll. Antropol.
38. Bucher A., Dobrina C., Nilsson H. (2010). *ALL TERMS IN ONE PLACE: DEVELOPING A NATIONAL TERM BANK*, терминология и знание: МОСКВА.
39. Fernandez A.B. (2020). *Targeting as an enabling factor in NATO military operations*, (pdf.).
40. Galeotti M. (2017). *General Gerasimov's article from Mark Galeotti, The 'Gerasimov Doctrine' and Russian Non-Linear War*, In Moscow's Shadows (blog), (accessed 6 July 2014).
41. Gozdiewicz, W. (2024). *Targeting in the Russian-Ukrainian war, The Crossroads of Legal and Technical Aspects*.
42. Hoffman, F.G. (2007). *Conflict in the 21st Century: The Rise of Hybrid Wars*, Arlington, VA: Potomac Institute for Policy Studies.
https://potomacinstitute.org/images/stories/publications/potomac_hybridwar_0108.pdf
43. Hoffman, F.G. (2018). *Examining Complex Forms of Conflict*.
<https://ndupress.ndu.edu/Media/News/News-Article-View/Article/1983462/examining-complex-forms-of-conflict-gray-zo>

44. Jux, A. (2021). *Targeting, A Comprehensive Approach to countering Unmanned Aircraft Systems*.
45. Landler, M., Gordon M. R. (2015). *NATO Chief Warns of Duplicity by Putin on Ukraine*, The New York Times, 8 July 2014
<https://www.nytimes.com/2014/07/09/world/europe/nato-chief-warns-of-duplicity-by-putin-on-ukraine.html> (accessed 7 December 2015)
46. Mansoor, P. R. (2012). *Hybrid War in History*, in *Hybrid Warfare: Fighting Complex Opponents from the Ancient World to the Present*, ed. Williamson Murray and Peter R. Mansoor, 2, Cambridge: Cambridge University Press.
https://assets.cambridge.org/97811070/26087/frontmatter/9781107026087_frontmatter.pdf
48. Mattis, J. N., Hoffman, F.,G. (2005). *Future Warfare: The Rise of Hybrid Wars*, United States Naval Institute Proceedings Magazine 131.11.
49. Moeller, M. (1995). *The sum of there fears: the relationship between the joint targeting coordination board and the joint force commander*, *The History of Joint Targeting Since World War II, 1995*. [MOELLER-HistoryJointTargeting](#).
50. Nilson, H., (2009). *The realization of a national term bank – how and why?* ELETO – 7th Conference “Hellenic Language and Terminology”, Athens, Greece.
51. O’Connor, J. M. (2016). *Applying the Law of Targeting to the Modern Battlefield*, As Prepared New York University School of Law, New York.
52. Vasiljevs, A., Rirdance, S., (2008). *Application of terminology standarts for a multilingual term bank: the Euro TermBank experience*, Tilde, University of Latvia, PROCEEDINGS, LREC 2008 Workshop.
53. Vego, M. N. (2006). *The problem of common Terminology*, issue 43,4.
54. Weit, R.T. (1996). *Joint targeting: improving the playbook, communications, and teamwork*, U.S. Army War College, (pdf.), 1996.
55. Wicker, E. (2023). *CIVIL-MILITARY TRANSLATION: ENCODING, SIGNALING AND SURVIVAL*, Modern War Institute. <https://mwi.westpoint.edu/civil-military-translation-encoding-signaling-and-survival/>
56. Wither J.K. (2016). *Making Sense of Hybrid Warfare*, Vol.15, No. 2.
<https://www.jstor.org/stable/26326441?seq=3>

57. Оганнисян, А (2016). *Гибридные войны: традиции и новации*//Пути к миру и безопасности, № 1(50) <https://cyberleninka.ru/article/n/gibridnye-voyny-tradits>

სამხედრო დოქტრინები

58. FM 3-60, (2024). *მიზანზე ზემოქმედების დაგეგმვა*, თავდაცვის სამინისტრო.

59. FM 3-0, (2011). *ოპერაციები*, თავდაცვის სამინისტრო.

60. JP 3-60, (2024). *მიზანზე ზემოქმედების ერთობლივი დაგეგმვა*, თავდაცვის სამინისტრო.

61. *ჰიბრიდული საფრთხე*. (2017). თავდაცვის სამინისტრო.

62. ADP 3-90. (2019). *Tactics*, HEADQUARTERS, DEPARTMENT OF THE ARMY
https://irp.fas.org/doddir/army/adp3_90.pdf

63. ADP 3-0. (2011). *Unified land operations*.
https://www.army.mil/e2/downloads/rv7/info/references/ADP_3-0_ULO_Oct_2011_APD.pdf

64. ATP 3-09.42. (2016). *Fire Support for the Brigade Combat Team*.
<https://www.bits.de/NRANEU/others/amd-us-archive/ATP3-09-42%2816%29.pdf>

65. ATP 3-06. (2022). *URBAN OPERATIONS*, HEADQUARTERS, DEPARTMENT OF THE ARMY, HEADQUARTERS, UNITED STATES MARINE CORPS
https://armypubs.army.mil/epubs/DR_pubs/DR_a/ARN35826-ATP_3-06-000-WEB-1.pdf

66. FM 3-60. (2023). *Army Targeting*, HEADQUARTERS, DEPARTMENT OF THE ARMY

67. FM 3-0. (2008). *Operations*, HEADQUARTERS, DEPARTMENT OF THE ARMY

68. FM 3-0, (2017). *Operations*, HEADQUARTERS, DEPARTMENT OF THE ARMY.
<https://carlsgsc.libguides.com/ld.php?content>

69. FM 1-02. (2004). *OPERATIONAL TERMS AND GRAPHICS*.
<https://dml.armywarcollege.edu/wp-content/uploads/2023/01/FM-1-02-Operational-Terms-Graphics-2004.pdf>

70. FM 7-0. (2016). *Train to win in a complex world*, HEADQUARTERS, DEPARTMENT OF THE ARMY. https://www.globalsecurity.org/military/library/policy/army/fm/7-0/fm7-0_2016.pdf
71. Hybrid threats (2015). NATO. https://www.nato.int/cps/on/natohq/topics_156338.htm
72. JP 1-02. (2016). *Department of Defense, Dictionary of Military and Associated Terms, Department of Defense*. https://irp.fas.org/doddir/dod/jp1_02.pdf
73. JP 3-0. (2017). Joint Operations. https://irp.fas.org/doddir/dod/jp3_0.pdf
74. JP 3-0. (2001). *Doctrine for Joint Operations*, https://irp.fas.org/doddir/dod/jp3_0.pdf
75. JP 3-05. (2014). *Special operations*.
76. JP 3-06. (2013). *Joint Urban Operations*. https://irp.fas.org/doddir/dod/jp3_06.pdf
77. JP 3-60 (2013). *Joint Targeting*.
78. TC 7-100. (2010). *Hybred threats*, Headquarters, Department Of The Army
79. TC 3-20.11. (2021). *Training to Proficiency Maneuver Company and Troop*. https://armypubs.army.mil/epubs/DR_pubs/DR_a/ARN32247-TC_3-20.11-000-WEB-1.pdf

ინტერნეტრესურსები

1. თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ვებგვერდი. https://ice.tsu.ge/?page_id=485
2. საქართველოს თავდაცვის ძალების სამინისტრო <https://mod.gov.ge/>
3. საქართველოს სამხედრო ისტორია <https://history.mod.gov.ge/ge/page/24/samxedro-wodebebi>
4. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ციფრული ფოტომატიანე. <https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/271736>
5. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრები, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. <http://www.nplg.gov.ge/ilia/ka/00004120>
6. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ოქმები. <https://prosopography.iliauni.edu.ge/persons/5794-vladimer-aleqsandres-dze-tsagareli>
7. BBC's official pages <https://www.bbc.co.uk/ahistoryoftheworld/objects/ahhLOBiNSmWzuZJx0KF16Q>
8. World Wide Words. <https://www.worldwidewords.org/>

ლექსიკონები

1. რუსულ-ქართული ლექსიკონი. <http://www.nplg.gov.ge>
2. სამხედრო-ტექნიკურ ტერმინთა ელექტრონული ლექსიკონი. <http://www.saqinform.ge/news/29073/Tsu-shi+samxedroteqnikur+terminTa+eleqtronuli+leqsikoni+waradgines.html>
3. უცხო სიტყვათა ლექსიკონი, საქართველოს ეროვნული პარლამენტის ბიბლიოთეკა. <http://www.nplg.gov.ge>
4. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. <https://ice.tsu.ge/liv/ganmartebiti.php>
5. ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი. <https://ice.tsu.ge/liv/ortograf.php>
6. ქართული ლექსიკონი რუსული თარგამანითურთ, ნ. ჩუბინაშვილი. <http://meskhi.net/lexicon/#k>
7. ქართულ-რუსული ლექსიკონი. https://ice.tsu.ge/liv/kartul_rus.php
8. MERRIAM-WEBSTER DICTIONARY. <https://www.merriam-webster.com>
9. Multitran.com, მრავალენოვანი ლექსიკონი. <https://www.multitran.com/>
10. Online Etymological Dictionaries. <https://www.etymonline.com/>
11. OXFORD LEARNERS DICTIONARIES. <https://www.oxfordlearnersdictionaries.com>
12. Словари и энциклопедии на Академике. <https://dic.academic.ru/>